

კვირის პალიტრა



N28 (213) 8/VII.-14/VII.2004.

ფასი 60 თ.

1168
2004

„მუშის ტექნიკა“

უიუკიათესი ავადყოფოვა საქართველოში




ახალი ქართული მედიკინა რომანი „მთავრის ინსტიტუტი“

თბილისური „ვიგული-ლიმუზინი“

მრგვალფარებიან „მერსედესში“ არ გასვალს



სააბარძო —
ია ფარულავა:
„ორ ქორწინებაში
თავი ვერ წარმოვარინე.
ახლა კი...“



ბაკურიანი

სახელო "მელისი"

ბაკურიანი, აღმაშენებლის ქ. 55
სათაო ოფისი: თბილისი, უზნაძის ქ. 113ბ
ტელ: 94-23-55; 8(99) 24-86-86



მინიატურები	
არაჩვეულებრივი ბამოვნა ანუ „იყიდა საქართველო, საწყისი ფასი...“	3
ერთი კითხვა	4
პოსტი	
დიდიბრი ქიტოშვილის პირველი ბამოცლა და ტელე-რადიო მანუფაქტურის ბაკონტროლების რამდენიმე მარტივი ხერხი	6
დეკლარაციები	
„მილიარდერი“ ფიფია ყოველ წუთს უშუალოდ ბრძნობს... 7	
ჭრელი მსოფლიო	8, 27
საპატარალო	
● „გაღალი ვარ, ლამაზი, მანქანიან-ბინიანი...“	9
● „მეცხება თეთრი კაბა... იქნება ბავრი ფიფიარები და კალზე დიდი წვეულება...“	10
პირველი პაეანი	
ეფსი წყვილის „ხანუბა“ საკუთარ თავს ვერ უმაჯანკლა	12
ხელმძღვანელობა	
ბალიმუზინიანი „ქიბული“ – სარფიანი ბიზნესის დასაწყისი	13
კრიმინალი	
● ომის მონაწილეს უკვე მესუთელ ასამართლებან	15
● ცხრა წლის წინ ჩაღნილი დანაშაულისთვის ბანასაქალს 15 წელი მიუსაჯეს	17
ბამოვნება	
მეგობრულირებითი ბამოვნებით დაჯილდოებულ სეფიანშილას დახურული კარაღები მოსწონთ	18
უამოვნეთ თქვენი სოღა	
ტანტი ერუდისიანა	19
თემა	
მრავალშვილიანი ოჯახები	20
პრობლემა	
„შუშის ბავშვები“ – ქართველი ექიმებისთვის ნაკლებად ცნობილი სენი	23
გზავნილები	
„ანგელოზებით გოგოა შემიყვარა ბოროტმომქველი, მე კი...“	25
მსანოვნი	
აბიციებისგან თავისუფალ მარტია ზიზინაძეს პოლიტიკაში ქმრის ყოფნა სულაც არ ახარებს	28
ჯანმთელოება	
● ოქროს შუალედის პიეზაში	30
● როსა ბავშვი	
პილში ლაპარაკობს...	31
● სუნთქვა მოგისნით პრობლემა	32
სასარგებლო რჩევები	33

„შუშის ბავშვები“ – ქართველი ექიმებისთვის ნაკლებად ცნობილი სენი



დაუსრულებელი ოსტეოგენეზი საქართველოში იშვიათი დაავადებაა. „შუშის ბავშვები“ – ასე მოიხსენიებენ ამ დაავადებით შეყვრობილ პატარებს, რომელთაც ძვლების სიმყიფის გამო, ხშირი მოგეხილობა აწუხებთ. რომელიც მოგჯერ, ასამდეც კი აღწევს(!).

23

„მეცხება თეთრი კაბა... იქნება ბავრი ფიფიარები და კალზე დიდი წვეულება...“

უღალატო კაცი არ არსებობს. რაგინდ კარგი ცოლიც არ უნდა ჰყავდეს, მაინც სხვა ქალსკენ იყურება. ასე რომ, თუ უნდა მიღალატოს... ქართველი ცოლების გამოთქმას ვიხმარ – წავიდეს „ერთჯერად“ ქალებში, ოღონდ, საყვარელი არ გაიჩინოს.



10

ბანეშიმეგობრულ სიბოგობას ზღვაზე ნაშობობას, საბურნალო წელს წრეზე უჩინოს



აი, ნინა სწორედ ის „შემთხვევაა“ – ნეგაზ, მღვაზე წამიყვანა და... ისე, მგონი ცურვა არ იცის. ერთხელ ვიყავით აუზზე ერთად და ახლა მახსენდება, რომ ნამეგანი ტივტივებდა...

46

ბალიმუზინიანი „ქიბული“ – სარფიანი ბიზნესის დასაწყისი

ვერ დაიჯერებთ, მაგრამ ერთი 30-ჯერ მომიხდა მამბარების ხან წინ, ხან უკან გადაგანა. ბოლოს გადავწყვიტე, რომ მანქანის წინა სავეალ ნაწილში „მერსედისი“ მამბარები დამეყენებინა, უკან კი დაჯავშნული „ნივის“...



13

ტაქარი	
რაბომ არის მართლმადიდებელი ეკლესია ერთი წმინდა კათოლიკე და სამოციქულო?	34
კოლექციონერი	
ახირებული კანის საბანკური	35
ანტილავკისაწი	
ინფორმაციულ-შეგნებებითი კოლაჟი გოგა ღვალის უბის წიგნაქიდან	36
პარსკვლავი	
კეიბ უინსლავი: „მთელი მსოფლიოს დასანახავად ოჯახის დანებრება საზარელი რამ გახლავთ“	38
კომოდი	41
რომანი	
რუსულან ბერიძე. მტაცებლის ინსტინქტი (გაბრკელება)	42
როგორ ვისწავნებთ	
ბაბიუბის, კიკეუბის, გეულეაუბის მიერ ბანებომრებულ ნიკო გომელაურს გღვაგე ნებომრობას, სამკურნალო წყლის წრუკვა ურჩევნია	46
პარტივი კითხვები	
როგორ დავსაჯოთ კატარა ონავრები?	48
მომზაურის დღიურები	
ქართული ცეკვით დანთებული სიყვარულის ცეხელი ბრაიტონგა...	49
ტესტი	
ერთგული მკითხველი	51
„ევრო-2004“	
„კონტროლირებად-შეგნები უხეზურთის“ ზამარჯვება ანუ როგორ იქმნებოდა ჰერ რეკავებლის იმპერია	52
ავტო	55
დაუპიწყარი სახეები	
რისტვის ემალეირებოდნენ ქურდები ვახტანგ ნინუას	56
ჰოროსკოპი	
კვირის (12-18 ივლისი) ასტროლოგიური პროგნოზი	60
სკანეროდი	61
იუმორი	62
ტესტი	
რამდენად დაბნული აღამიანი ხართ?	63
კალენდოსკოპი	
ჰრელ-ჰრელი ამბები	64

რისტვის ემალეირებოდნენ ქურდები ვახტანგ ნინუას



„...უდიპლომო სასიძოს“ იღებდნენ. ალბათ გახსოვთ სცენა, რომელშიც ვახტანგ ნინუა სიმარში წასული, ღორებს კონცის... ჰოდა, ამის გამო მის შვილს თურმე სკოლაში დასცინოდნენ – მამაშენი ღორებს როგორ ეხვეოდან?! ერთხელ ატირებული დაბრუნდა შინ მანანა ნინუა...

56


ქართული ცეკვით დანთებული სიყვარულის ცეხელი ბრაიტონგა...

ახლა კი ნამდვილი ცეცხლი დაინთო რესტორნის მომცრო სცენაზე. ჯერ იყო და „ლეკური“ იცეკვეს, „ლეკურს“ „ხორუმი“ მოჰყვა, „ხორუმს“ – „მთიულური“. მერე მოულოდნელად, „განდაგანას“ მელოდია გაისმა. ბიჭები ამარგში შევიდნენ...



49

კეიბ უინსლავი: „ოჯახის დანებრება, საზარელი რამ გახლავთ“




„ჩვენი კეიგი, ინგლისის ვარდი, ბრიტანელთა ეროვნული სიმამყის საგანი – ასე მომიხსენიებდნენ თავდაპირველად, შემდეგ კი, ისე დაუნდობლად მომცხეს ჩირქი, თითქოსდა უკანასკნელი ნაპირალა ვყოფილიყავი. ასეთი შეურაცყოფის აგანა ძალზე ძნელი გახლდათ,“ – განაცხადა, ამას წინათ, კეიგ უინსლეგმა.

38

მცაცენლოს ინსცინქცი

ორი სართულის შემდეგ, სიბნელეს თვალი საკმაოდ შეაჩვია და მესამე სართულზე ასულმა, საკუთარი ბინის კართან აგუბული აღამიანის სილუეტის უმაღვე შენიშნა.

– ვინ ხართ? – უკან დაიხია დამფრთხალმა მეგიმ.



42

გარეკანზე: გიორგი ჟორჟულიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ ზამოლის კვირაში ერთხელ, სუიშაბათობით გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე


მენეჯერი: მათე კბილაძე

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8

ტელ: 33-50-32 email: gza@kvispalitra.com

ჟურნალი იბეჭდება გამოცემლობა „ეკოლოში“

„ჩიხვეულებრივი გამოფენა ანუ „იყიდება საქართველო, სახსი ფასი...“



მართალი ყოფილა ის ჭკალარა მოხუცი, რომ ამბობდა, მზე ჩრდილოეთიდან ამოდისო: ჩვენი მზეც ხომ ჩრდილოეთიდან ანუ რუსეთიდან ამოვიდა... უფრო სწორად – ჩამოვიდა... თანაც, ერთი კი არა – ორი: პირველი, რომელიც ყველაფერს ყიდულობს და გაიძახის, ქველმოქმედი ვარო და მეორე, რომელიც ყველაფერს ყიდის და გაიძახის, მინისტრი ვარო... ჰოდა, ორი ასეთი „მზე“ რომ ერთ ქვეყანაში მოიყრის თავს, ის ქვეყანა აუქციონს ემგავსება, სადაც იყიდება ქალაქიც, სოფელიც, ციფვებიანი ტყეც, მდინარეც და ჰაერიც.

კპ, უფულობას რა ვუთხარი, თორემ, იყიდე ერთი კაი მდინარე და დააგდე სახლში – რა იცი, რაში გამოგადგება?... მაგრამ მე მდინარე კი არა, ერთი ჭიქა გაზიანი წყალი ვერ მიყიდა; ავიტუხები ხოლმე „ლადისის წყლების“ შესავლელში და სხვები რომ სვამენ, ნერწყვის ყლაპვით ვიკლავ წყურვილს. ისე, ამ დალოცვილი რეფლექსის წყალობით, წყურვილის კი არა, შიმშილის მოკვლაც შესაძლებელი ყოფილა: დაღვები რესტორნის კარში და ვინდ ხინკლის ყურებით გაძლები, ვინდ – მწვადის, გემოვნებას გააჩნია...

ისე, ამას წინათ, რესტორნის შესავლელიდან მწვადის ყურებით რომ „ვძლებოდი“, ერთი წვერანი კაცი ამომიღვა გვერდით და ჩემი მეთოდის გამოყენებით (შორიდან ცქერით) დაიწყო დანაყრება. მინდოდა, იქიდან გამეგლო, მაგრამ მითხრეს – ცოლოა, ეგ ის კაცია, გაკოტრებულად რომ გამოაცხადა თავი და ჩვენი გაძვალტყავებული სახელმწიფოც კი ეხმარებაო... მეც გული მომიღბა, კარგ ადგილას დავაყენე, საიდანაც საუკეთესოდ ჩანდა, ვინ რას ჭამდა... ისე, ცოტა კი გამიკვირდა: სახისა და ტანის მოყვანილობით, მთლად გაკოტრებულს არ ჰგავდა, მაგრამ არაფერი მითქვამს; იდგეს, ვის რას უშლის-მეთქი?... მე ჩემთვის „ვუბერავდი“ თვალებით, ის – თავისთვის...

ჰოდა, ასეთი გემოვნების კაცი როგორ დავაკლდეოდი იმ სანახაობას, რომელიც ჩვენმა ხელისუფლებამ ბათუმში მოაწყო – აუქციონი კოღური სახელწოდებით „იყიდება საქართველო“. გასაყიდად გამზადებული შენობები ისე მორთოთ წითელი ლენტებით, რომ „ინტურისტი“ სადღეოფლო ტორტი მეგონა.

აუქციონის წამყვანობა, რა თქმა უნდა, ეკონომიკის მამამთავარმა იკისრა, რომელსაც გაყიდვის მდიდარი გამოცდილება ჰქონია დაგროვილი, თავის დროზე საკუთარი სმოკინგიც კი გაუყიდა და მას მერე აუდიტორიის წინაშე სულ სპორტულ სტილში ჩაცმული გამოდის. ახლაც ასე იყო. ხელში დიდი ხის ჩაქუჩი მოიმარჯვა და საკუთარი „მოხდენილი“ ლექსიკონიც მოიშვლია, მაგალითად: თუ არაფერს იყიდით, ამ ჩაქუჩს ერთ ადგილას გაგიკეთებთო... რა თქმა უნდა, შემემინდა და ვიბეები მოვიქექე, მაგრამ 7 ლარად „ინტურისტის“ ყიდვის მანსი საეჭვოდ მომჩვენა და ამიტომ, ცოტა მოშორებით გადავიხაცვლე და კედელს ავეკარი. – რაო, რამე იყიდება? – ყურში ჩამესმა ნაცნობი ხმა და იმწამსვე დავინახე დიდი ქველმოქმედიც, რომელმაც მთელი ურეკი უკვე აქცია იმედის ქლაქად და ახლა ქობულეთის კულტურის პარკს აკეთებს. არადა, მაგის ამბავი რომ ვიცი, პარკს რომ მორჩება, ქობულეთის ზღვის ფსკერსაც მოგვიწესრიგებს და თუ ჭკუით ვიქნებით, „წყალსაც ჩავვისხამს“...

ვის არ ნახავდით ამ აუქციონზე: მთავრობის წევრებს, ბიზნესმე-

ნებს... ერთი ჩემი მეზობელი დეპუტატიც შევნიშნე, დღემუდამ უფულობაზე რომ წუწუნებს და სუპერმარკეტიდან დაწყებული, „მესემიჩკით“ დამთავრებული, უბანში ყველას ნისია რომ მართებს... ახლა იმხელა სასტუმროზე გააჩაღა ვაჭრობა, რომ საკუთარ თვალებს არ დაუფერე და ვიბიდან პასპორტი ამოვაცალე. სამაგიეროდ, ჩვენი დინჯი პრემიერ-მინისტრი იღვა მოკრძალებულად: ბევრი ეხვეწა შევიღმა – მაძიკო, მიყიდე „ინტურისტი“, – მაგრამ მამას საკმაო თანხა არ აღმოაჩნდა ვიბეზე და შოკოლადის ნაყინი უყიდა.

მე მხოლოდ საყურებლად ვიყავი მისული, მაგრამ როცა ერთმა ვიბესქელმა ბიძამ იძოღენა ობიექტი კინაღამ 2 მილიონად ჩაიგლო ხელში, ჩემში პროვოკატორმა გაიღვიძა, ბოუჯეტი შემეცოდა და ჩაქუჩის მესამე დარტყმამდე ვიყვირე – 3 მილიონი-მეთქი... რა თქმა უნდა, იმწამსვე ვინანე, რადგან, „აუქციონმეისტრის“ დაპირება გამასწენდა, ხის ჩაქუჩთან დაკავშირებით და ენას ოცდათორმეტივე კბილი გამებტებით ვუკაკუნე, თანაც იქვე, ჩემ გვერდით მყოფმა, ჰამბურგერ-ჩისბურგერების მეფემ აუჩქარებლობისკენ მომიწოდა, მაგრამ უკვე გვიან იყო: კონკურენტიც არ ჩამომჩა და 4 მილიონამდე ასწია ფასი. მეც გამოვიდე თავი და ამ ჭიდაობა-ჭიდაობაში, ბოლოს და ბოლოს, 8 მილიონზე დავუთმე. არ მეკუთვნის ღირსების ორდენი?!

ასეთ ამბავში ვიყავი, როცა ჩემი ძველი ნაცნობი, გაკოტრებული წვეროსანი შევნიშნე. ვიფიქრე – ალბათ ფულიან ბიბიებთან სამათხოვროდაა ჩამოსული-მეთქი, მაგრამ... ისე უღარდელად და თან, გაბელულად დაიწყო ექსპრულიანი რიცხვების ძახილი, თითქოს 10 მილიონამდე ვალი მას კი არა, მე მქონდეს... თუმცა, რა გასაკვირა? ახლა ყველაფერი იყიდება და ალბათ იმ ვალებსაც გაყიდის და იქიდანაც დარჩება მოგება. კიდევ კარგი, რომ აუქციონში დიდი ქველმოქმედიც ჩამბულა და „გამარჯვებული ხალხის გაკოტრებული ტელევიზიის“ მფლობელზე ერთით მეტი ობიექტის ყიდვას აპირებს, თორემ, ხომ დავიღუპებოდიო!...

ორივე ხელის აწვეით ვეთანხმები ობიექტების გაყიდვის პოლიტიკას. დედაქალაქში რა, ნაკლებია გასაყიდი და ფინანსურად წამებებიანი ობიექტი?! რა მოგება აქვს ბოუჯეტს უმაღლესი საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების შენობებიდან? – არაფერი. ჰოდა, გაიყიდება და გადაკეთდება „შპს პარლამენტად“, „ინდემწარმე პრემიერად“...

დაბოლოს, თბილისი თუ სახელმწიფოს საკუთრებაა, რა ხერი?! თბილისიც უნდა გაიყიდოს. ერთი კაცი თუ ვერ შეძლებს, ორმა იყიდოს: ერთს მარცხენა სანაპირო შეხვდება, მეორეს – მარჯვენა; ჩვენ, რიგითი და ვიბეფავსეკილი მოქალაქეები კი – ნეიტრალურ ზოლში, ე.ი. მტკვარში დავსახლდებით...

P.S. განცხადება სოფლის საბჭოს შენობაზე: „პატრეცემული გლეხებო, გვაღვიანი ზაფხულის დადგომის გამო სოფლის საბჭოს ეზოში ჩატარდება აუქციონი: იყიდება საწვიმარი ღრუბელი. საწყისი ფასი ორი ხბო...“

პროპოკატორი



„საქსოპარასიები ტელევიზიით სარგებლად იხეივება“

— ბოლო დროს ჩატარებული რამდენიმე ანტიკრიმინალურმა ოპერაციამ კვლავ გამოიწვია საზოგადოებრიობის მწვავე კრიტიკა. ბევრი იურისტი იზიარებს აზრს, რომ ანტიკრიმინალური სპეცოპერაციების მიმდინარეობისას, პროცესუალური ნორმები და ადამიანის უფლებები ირღვევა. რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?



ზაზაჩია ჟუცნაშვილი, იურისტი:

— უდანაშაულობის პრეზუმფცია სწორედ იმას გულისხმობს, რომ არავის აქვს უფლება, სასამართლოს გადაწყვეტილებამდე, პირი დამნაშავედ გამოაცხადოს. სამართალდამცავ ორგანოებს არა აქვთ უფლება, დაკავებისას ტელეკამერების წინ პირს ბრალი დასდონ ქურდობაში, მკვლელობასა თუ სხვა სახის დანაშაულში. ამიტომ „ტელედაპატიმრების“ ნაცვლად, რომელიც მართლაც, შოუს დაემსგავსა, ყურადღება უნდა გადაერთოს სასამართლო გადაწყვეტილებების ტელევიზიით გაშუქებაზე. ამ შემთხვევაში, საზოგადოება პირის ბრალეულობაში თავად დარწმუნდება და არ გაჩნდება უარყოფითი დამოკიდებულება იმ ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლების მიმართ, რომლებიც სპეცოპერაციებში მონაწილეობენ და ფაქტობრივად, ტელეკამერების წინ მუშაობენ. რაც შეეხება დაკავების დროს ნივთმტკიცების სახით გარკვეული პირებისთვის იარაღისა და ნარკოტიკის ჩაღებ...

ბას, ასეთი ფაქტების გამორიცხვაც არ შეიძლება და თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ გამოდის, რომ დანაშაულის წინააღმდეგ ჩვენი ბრძოლის მეთოდები არ შეცვლილა.

შორენა ლომსაძე, იურისტი:

— სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს, აუცილებლობის შემთხვევაში სანქციის გარეშე ადამიანის დაკავებას. მაგრამ ეს გამონაკლისი ჩვენში წესად იქცა. ჩემი აზრით, ეს სპეცოპერაციები ტელევიზიით საჩვენებლად იგეგმება და ალბათ ამას თავისი მიზანიც აქვს, მაგალითად — პოლიციის მუშაობის პოპულარიზაცია ან სხვა რამ... ბოლოს და ბოლოს, არაეთიკურია, როდესაც დაკავებული ადამიანის შეწუხებულ სახეს მთელი დღის განმავლობაში აჩვენებენ საინფორმაციო გამოშვებებში. ვფიქრობ, მათ, ვისაც სურთ, აამაღლოს ძალოვანი უწყებების ავტორიტეტი ხალხში თვალში, საამისოდ სხვა მექანიზმი უნდა მოიფიქრონ.

„ვინაშე განგვიმარტოს — რაზე შეთანხმდნენ პრეზიდენტები?“

— როგორც თქვენ ამბობთ, ორი პრეზიდენტის შეხვედრისას საქართველოსა და რუსეთს შორის რაღაც გარიგება შედგა. ფიქრობთ, რომ გარიგება ნებისმიერ შემთხვევაში ქართული მხარისთვის წამგებიანი იქნება?

დავით გამყრელიძე, „ახალი მემკვიდრეების“ ლიდერი:

— სააკაშვილისა და პუტინის შეხვედრის დეტალების შესახებ საზოგადოებას ძალზე მწირი ინფორმაცია აქვს. გაუგებარია, ეს მოლაპარაკება რით დასრულდა. მათი შეხვედრის შემდეგ, ცხინვალის პრობლემასთან დაკავშირებითაც არაფერი თქმულა. არ ვიცი, დე ფაქტო ხელისუფლების ქმედებებთან დაკავშირებით, რუსეთი რა პოზიციას დაიკავებს. არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხიც: ერთობლივი რუსულ-ქართული ანტი-

ტერორისტული ცენტრის შექმნა, რუსული სამხედრო ბაზების საქართველოში დარჩენას გამოიწვევს. დღეს ტერორიზმთან ბრძოლას სათავეში აშშ და ბრიტანეთი უდგანან. ისინი არიან ანტიტერორისტული კოალიციის ლიდერები და თუკი საქართველოში ანტიტერორისტული ცენტრის ჩამოყალიბების აუცილებლობაა, მაშინ უპრიანი იქნება, რომ ასეთი ტიპის სტრუქტურა აღნიშნულ ქვეყნებთან ერთად ჩამოყალიბდეს. საქართველოში ანტიტერორისტული ცენტრის შექმნა ნატოში ჩვენს გაწევრებას შეუშლის ხელს; პარალელურად, საერთაშორისო ორგანიზაციები დაკარგავენ რუსეთისთვის ბაზების გაყვანის მოთხოვნის საფუძველს. ეს საკითხები ძალიან მნიშვნელოვანია და ამიტომ მოვითხოვთ, რომ ვინმემ განგვიმარტოს — რაზე შეთანხმდნენ



პრეზიდენტები? მე მოვითხოვ, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ და შესაბამისმა უწყებებმა ეს დოკუმენტი (ვგულისხმობ ჩარჩო-ხელშეკრულებას) ღია გახადონ და მომავალში, პარლამენტს ნუ დააყენებენ იმ დილემის წინაშე, რომ უკვე ხელმოწერილ დოკუმენტზე იმსჯელოს.

„კოკოითის განცხადებით ეზოპეს „სკუს“ აბგონებს“

— ედუარდ კოკოითის განცხადებით, სამხრეთ ოსეთის საზღვართან 3 ათასი ქართველი სამხედრო მოსამსახურეა. დაგეგმილ სპეცოპერაციას კი, შინაგანი ჯარების სარდალი გოგი თათუნაშვილი მეთაურობს. მისივე განცხადებით, ოსეთის საზღვართან ქართული შეიარაღებული ძალების გადასროლის პროცესი გრძელდება. რა ხდება სინამდვილეში?

გიორგი ხაინდრაძე, სახელმწიფო მინისტრი:

— რაიმე სამხედრო მობილიზაციის შესახებ საუბარი სასაცილოა. მსგავს განცხადებებს კოკოითი საკუთარი მოსახლეობის იდეოლოგიური დამუშავების მიზნით აკეთებს. ზღაპრებს ჰყვება, რადგან კარგად გრძნობს, რომ სხვა გამოსავალი აღარ აქვს. რა მობილიზაცია უნდა გამოაცხადონ? სულ 32 ათასი არიან და განა, რამდენი კაცი უნდა წავიდეს ჯარში?... თანაც, მოსახლეობა მათ რეალურად მხარს არ უჭერს. გადამწყვეტ მომენტში, კოკოითი ამ ფაქტის წინაშე დადგება. მისი განცხადებები ეზოპეს „სკუს“ მაგონებს:




მწყემსი ბივი ტყვილად რომ ყვირის — არიქა, მგელი დაერია ჩემს ფარას და მიშველეთო!.. თავდასხმის თარიღად ჯერ 26-27 ივნისი იგარაუდეს, მაგრამ არ გამართლდა, შემდეგ — 7-9 ივლისი დაასახელეს... მათ წარმოდგენა არა აქვთ, თუ ვინ არის დღევანდელი სახელმწიფოს სათავეში, ვინ რას წარმოადგენს საქართველოს ხელისუფლებაში და ალბათ ამიტომ ასახელებენ თათუნაშვილს სპეცოპერაციის ხელმძღვანელად.

„ავროპული სტანდარტის ბენზინი 25-30 თეთრით კვირი იქნება...“

— თქვენი კავშირი აპროტესტებს მთავრობიდან წამოსულ ინიციატივას, ნავთობპროდუქტებზე აქციზის გაზრდის თაობაზე. როგორია თქვენი არგუმენტები?

ვანო მთავრალაშვილი, ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარე:

— ახალი საგადასახადო კოდექსის პირობებში, როცა უქმდება ეკოლოგიის საგზაო გადასახადი, დამატებითი ღირებულების გადასახადი კი 20-დან 18%-მდე მცირდება, ყველა სახის გადასახადი თითო ტონა



ბენზინზე დაახლოებით 60 ლარით უნდა შემცირდეს. თუმცა, თუ მთავრობა აქციზის გადასახადს 350 ლარამდე გაზრდის, ახალი კოდექსის პირობებში, ერთი ლიტრი ბენზინი 10 თეთრით გაძვირდება. პირველი იანვრიდან ამოქმედდება ახალი სტანდარტი, რომლის მოთხოვნებსაც არ აკმაყოფილებს ის ბენზინი, რომელიც დღეს აზერბაიჯანიდან შემოდის, ამიტომ შესაძლოა, იმპორტიორებს ევროპიდან მოუსხდეთ მისი შემოტანა. აზერბაიჯანიდან შემოტანილი საწვავი ამჟამად, საერთაშორისო ფასებთან შედარებით 14%-ით იაფია. აქედან გამომდინარე, ევროპიდან შემოტანილი საწვავი სავარაუდოდ, 15-20%-ით გაიზრდება. შესაბამისად, გაზრდილი აქციზის პირობებში, საწვავის ფასი სავარაუდოდ 25-30 თეთრით გაძვირდება.

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ელექტროენერგიის დატაცებისთვის

— ბატონო ნიკა, უკვე დამტკიცდა ენერგეტიკის სფეროს მთავარი სარეგულირებელი პროგრამა. ცვლილებები შედის სისხლის სამართლის კოდექსშიც — ელექტროენერგიის დატაცება კანონით დაისჯება. ეს ყველაფერი კორუფციის ახალი წყაროს გაჩენას ხომ არ შეუწყობს ხელს? როგორ ითანამშრომლებენ ენერგოზედამხედველობის სამსახური და პროკურატურა?

ნია ბილაშვილი, ენერგეტიკის მინისტრი:

— განხორციელებული რეფორმის თანახმად, მთლიანად უნდა შეიცვალოს სამინისტროს მუშაობის პრინციპი და კორუფციის კერები ჯერ თვითონ უწყებაში უნდა აღმოიფხვრას. ენერგოზედამხედველობის სამსახური ფუნქციას შეიცვლის. მას კანონი პირდაპირ აძლევდა ფულის კეთების საშუალებას, რადგან კანონი აიძულებდა მომხმარებელს, თავად მოეწესრიგებინა

ელექტროსისტემა, ზედამხედველი კი, რაღაც დარღვევას მაინც აღმოუჩენდა და იწყებოდა მათ შორის ვაჭრობა... ამიერიდან, ჩვენს დეპარტამენტს მხოლოდ დარღვევათა აღმოჩენა დაევალება და აღმოჩენის შემთხვევაში, არ ექნება იმის უფლება, რომ დააჯარიმოს ან პასუხი მოსთხოვოს მომხმარებელს. ელექტროენერგიის დატაცების ფაქტს ჩვენ პროკურატურას ვაცნობებთ, მათ კი თავიანთ თანამშრომლებს თავად მიხედონ და კორუმპირებულებისგან თავად გაწმინდონ უწყება. ელექტროენერგიის დატაცებისთვის სისხლის სამართლის საქმე მესამე ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში აღიძვრება. პირველი შემთხვევისას, ჯარიმა — 600 ლარია, მეორე შემთხვევისას — 1.500 ლარი. შემოწმების მიზნით შემოვლავ კი სხვადასხვა ჯგუფი ივლის. ამდენად, მოსახლეობა თავად დარწმუნდება, რომ ჩვენი თანამშრომლებსთვის ფულის გადახდას და მათთან ვაჭრობას აზრი არ ექნება.



ორინა უტარაშვილი

— პრეზიდენტმა უმნიშვნელოვანესი სფეროს რეგულირება-გაკონტროლება განდოთ. როგორ მიიღეთ ეს წინადადება?

— როდესაც ეს თანამდებობა შემომთავაზეს, ბევრი ნამდვილად არ მიფიქრია და საკმაოდ მალე მივიღე გადაწყვეტილება, რადგან ეს თანამდებობა „ჯდება“ ჩემს „კრიტერიუმებში“. ამ თანამდებობაზე სამუშაოდ საჭიროა კარგი მენეჯერული თვისებები და გარდა ამისა, იურისპრუდენციისა და ეკონომიკური პროცესების ცოდნა. აქ მთავარია, გქონდეს მართვის უნარი და შეგეძლოს სწორი სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღება.

— ე.ი. ამ პოსტზე დანიშნვა თქვენთვის მოულოდნელი არ ყოფილა?

— ცხადია, ბოლო პერიოდში საქართველოში ყველაფერი ძალიან სწრაფად და მოულოდნელად ვითარდება. რა თქმა უნდა, ეს თანამდებობაც ჩემთვის მოულოდნელი იყო, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ პოსტზე მუშაობა არ წარმოადგენს რაიმე პრივილეგიას — ეს უფრო მეტად, ვალდებულებაა. როდესაც ვინიშნებოდი, იმაზე უფრო ვფიქრობდი, თუ როგორ გავართმევდი საქმეს თავს, რათა არ გამეცრუებინა ის იმელები, რომელსაც ჩემზე, აქ დანიშვნისას ამყარებდნენ.

— კომისიას, როგორც სახელმწიფო სტრუქტურას, მაკონტროლებლის ფუნქცია თუ აკის-

როგორც ამბობდნენ, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარედ სულ ცოტა ხნის წინ დანიშნული დიმიტრი ქიტოშვილი ამ დღეებში, პირველი სეროიზული გამოცდის წინაშე აღმოჩნდებოდა: ჩამოერთმია თუ არა „რუსთავი 2“-ისთვის ლიცენზია, ვადის გასვლისა და დადგენილი თანხის გადაუსდელობის გამო. მასმედია და საზოგადოების ერთი ნაწილი კომისიის სხდომაზე დაძაბულ მსჯელობას ელოდნენ. მაგრამ ახალმა თავმჯდომარემ, კომისიის სხვა წევრებთან ერთად, ძალზე სწრაფად და იოლად მიიღო გადაწყვეტილება და გააკოტრებულ ტელევიზიას საჭირო თანხის შეტანა გადაუვადა...

25 წლის თავმჯდომარის ეს ერთი ნაბიჯიც კი, ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ დიმიტრი ქიტოშვილი არ უფრთხის კანონთან „შეკამათებას“, თუ მტკიცედ სჯერა, რომ ამის გამო უმადლესი ხელისუფალნი არ გაუჯაფრდებიან... დანარჩენს თავად მისი საუბრიდან შეიტყობთ.

დიმიტრი ქიტოშვილის

პიხველი გამოცდა და ტექ-ხადიო მანუებლობის გაქონტხოლების ხამდენიმე მაქივი ხეხი

რია და რამდენად ფართოა ამ მხრივ მისი უფლებები?

— ჩვენი მიზანია, რომ მაუწყებლობა დამოუკიდებელი იყოს. ეს ეხება ტელევიზიასაც და რადიოსაც. კონტროლის უფლება კი მხოლოდ გარკვეულ სფეროზე — კერძოდ, საავტორო უფლებების დაცვაზე უნდა ვრცელდებოდეს. ჩვენ ყველანაირად შევებრძობლებით მეკობრული პროდუქციის — ფილმების, მუსიკალური პროდუქციის, შოუების ჩვენებას. ბოლოს და ბოლოს, საქართველოშიც უნდა ისწავლონ, რომ ინტელექტუალური საკუთრება დასაფასებელია და ის ელემენტარულად, ფული ღირს. აქედან გამომდინარე, ყველა ტელევიზია უნდა მოექცეს ერთიან რეჟიმში. გარდა ამისა,

განვახორციელებთ კონტროლს იმ კუთხითაც, თუ რამდენად იცავენ ისინი კანონს მავნე ზეგავლენისაგან ახალგაზრდობის დაცვის შესახებ: ვთქვათ, არ შეიძლება გარკვეული სახის ფილმების დღისით ჩვენება, ზოგი რამ კი ტელეეთერით საერთოდ არ შეიძლება იყოს ნაჩვენები.

— ე.ი. გარკვეულ აკრძალვებსაც გეგმავეთ?..

— ცხადია. მაგრამ ეს აკრძალვები მხოლოდ კანონიდან გამომდინარე განხორციელდება და არა რაღაც მედიაზე კონტროლის მიზნით.

— ამ დღეებში მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, თქვენი პოზიცია „რუსთავი 2“-თან მიმართებაში ნათელია. მაგრამ

შ.პ.ს. «დექტა»

მეტალოკლასტმასის კარ-ფანჯრები

მაღალი ხარისხი-მისაღები ფასები

მის: გ.ლალიძის ქ.№9 ტ: 92 32 08; 92 14 95.

მინც მინდა გკითხოთ: ტელეკომპანიას სოლიდური ვალები აქვს დაგროვილი. რამდენად რეალურია ფინანსური კრიზისიდან მისი გამოსვლა?

— კომპანიამ საჯაროდ განაცხადა, რომ დაუგროვდა ვალები, რომელთა გადახდასაც ვერ ახერხებს. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ „რუსთავი 2“ უკვე გაკოტრებულია. უბრალოდ, საჭიროა, რომ კომპანიის კრედიტორები — კერძოდ, ბანკები, ჩვენი კომისია, სახელმწიფო (საბიუჯეტო დავალიანებაც არსებობს) — ყველანი შევიკრიბოთ და მივიღოთ ერთობლივი გადაწყვეტილება, თუ როგორ მოვიქცეთ: გაკოტრებულად გამოცხადდეს „რუსთავი 2“ და მისი ქონება ვალების დაფარვას მოხმარდეს (რაც მე არასწორად მიმაჩნია), თუ გადაევიადოს ვალების დაფარვა, გააგრძელოს მუშაობა და განვითარების საშუალება მიეცეს?..

— თქვენ აღნიშნეთ, რომ უნდა შეიქმნას ისეთი სატელევიზიო ფორმატი, რომელიც საზოგადოების მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. რა გქონდათ მხედველობაში და რა გზით დადგინდება საზოგადოების აზრი?

— ჯერ უნდა მოხდეს სატელევიზიო ბაზრის კვლევა და დადგინდეს, თუ რა სჭირდება მაყურებელს — ვთქვათ, კვალავ ის გაუთავებელი ახალი ამბები, პოლიტიკური ტოქშოუები, თუ სჭირდება სპორტი, მუსიკა ან სამეცნიერო-პოპულარული გადაცემები... ამიტომ უნდა დადგინდეს ის სატელევიზიო ფორმატი, რომლის მიმართაც არსებობს მაყურებლის მოთხოვნა. სწორედ ასეთი იქნება ის საზოგადოებრივი ტელევიზია, რომელიც „პირველი არხის“ ბაზაზე ჩამოყალიბდება. მას ეყოლება მესვეურთა საბჭო, რომელშიც საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები შევლენ — ე.ი. სწორედ ის ადამიანები, რომლებსაც მუდამ საზოგადოების პულსზე ექნებათ ხელი დადებული — გამოკითხვებისა თუ რაიმე სხვა საშუალებების წყალობით. ჩვენთან ასეთი ტელევიზია არ არსებობს. დღეს ყველა მოქმედი სატელევიზიო არხი კომერციულია. საზოგადოებრივი ტელევიზია კი არ იქნება მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული, იგი გარკვეულ საზოგადოებრივ მიზნებს დასახავს.

„მილიარდერი“ ფიფია, ყოვერ წუთს უფერობას გჩხობს...

თანამდებობის პირის ქონებრივი დეკლარაცია, რა თქმა უნდა, პარლამენტარმა გოჩა ფიფიამაც შეავსო. მაგრამ მისი ქონების შესახებ იქ ჩანერილი ინფორმაცია ძალზე მწირია: დეკლარაციაში ისიც კი არაა აღნიშნული, თუ რა უძრავ-მოძრავი ქონების პატრონია ბიზნესმენი პოლიტიკოსი... კითხვებზე, რომელიც მის ქონებას ენება, ძალზე მოკლე პასუხებს გვცემდა ან სულაც, იმას გვიმტკიცებდა, — ჩემს პირად ცხოვრებაში ჩახედვის ნება არავის აქვს და თქვენ რატომღა იქექებითო?..


ლიპა ქაჩაია

ბიოგრაფია: გოჩა ფიფია დაიბადა 1965 წლის 5 აპრილს, ქ. თბილისში. სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტში. მუშაობდა პროკურატურის ორგანოებში. რესპუბლიკის პროკურორის რეკომენდაციით, სწავლა განაგრძო მოსკოვის დიპლომატიურ აკადემიაში, საიდანაც სტაჟირებაზე აშშ-ში, რუსეთის საელჩოში გაგზავნეს. აკადემიის დამთავრების შემდეგ მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში და აშშ-ში საქართველოს საელჩოს პირველ მდივანად. 1996 წელს დააფუძნა და 2003 წლამდე — ე.ი. პარლამენტის წევრად არჩევამდე, სათავეში ედგა ფირმა „უმას“.

ჰყავს მეუღლე — მაია ხვიტია, რომელსაც დამთავრებული აქვს სამედიცინო ინსტიტუტი, შვილები — 16 წლის გურამი, რომელიც ილია მართლის სახელობის სკოლაში სწავლობს და 2002 წლის 4 თებერვალს, ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში დაბადებული კესო.

„პირად ცხოვრებაზე ინტერვიუს არ ვიძლევი“

- ვინ არიან თქვენი მშობლები?
- მამაჩემი, გურამ ფიფია ჩვენს ფირმა „უმასში“ მუშაობს. დედაჩემი კი დროებით უმუშევარია, უფრო სწორად — დიასახლისია...
- ადრე სად მუშაობდნენ?
- დედა ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მუშაობდა, მამა 1987-88 წლებში ზუგდიდის ქალაქკომის პირველი მდივანი გახლდათ, ბოლო წლებში მუშაობდა განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამინისტროში.
- რას საქმიანობს თქვენი მეუღლე?
- არ მუშაობს, დიასახლისია.
- ალბათ იმიტომ, რომ თქვენი ოჯახი ამის საჭიროებას არ განიცდის...
- ამ თემებზე, პირად ცხოვრებაზე ინტერვიუსებს არ ვიძლევი...
- ვინ არიან მისი მშობლები?
- დიმიტრი ხვიტია და თამილა ნარმანია. დედაჩემი — დიასახლისია, მამა — უმუშევარი...



მტრების მეშინია...

- ადრე სად მუშაობდნენ?
- სად მუშაობდნენ, როგორ, რანაირად, რა ურთიერთობები მაქვს მათთან — ამაზე პასუხს არ გაგცემთ...
- რა მოჰყვა მზითვემი ქალბატონ მაიას?
- არ ვეტყვი... იცოდეთ, ბარბერს, რომელსაც თავად მე ვავლებ ჩემსა და ურნალისტებს შორის, არ გადმოგატარებთ...
- რატომ? რას მაღაფთ?
- არ მიყვარს ასეთი საუბარი. ეს უყვართ ე.წ. „პიარნიკებს“. ჩემთვის ეს არც თუ მორში გადის და არც სხვა რამეში... პოლიტიკურ თემებზე მკითხეთ და გიპასუხებთ.
- ეს რუბრიკა პოლიტიკურ თემებს არ ითვალისწინებს...
- ეს შენი პრობლემაა...

ვისი ეშინია გოჩა ფიფიას

- ამჟამად სად ცხოვრობთ?
- გასაიდუმლოებული მაქვს...
- რატომ ასაიდუმლოებთ ყველაფერს?
- მტრების მეშინია...
- ბევრი მტერი გყავთ?
- საკმაოდ, მაგრამ — მტერი ბრწყალებში.
- 2004 წლის 21 მაისს თქვენ მიერ შევსებული ქონებრივი დეკლარაციაში აღნიშნული გაქვთ საცხოვრებელი ბინის მისამართი, რომლის მიხედვითაც საბურთალოზე ცხოვრობთ...
- ტყუილია...
- სადღაც სომ ცხოვრობთ? ვის ეკუთვნის ბინა, სადაც თქვენი ოჯახი ცხოვრობს?
- ვცხოვრობ მუდღის მშობლების ბინაში...

ბაკები ძიოფსიას იცეცის

იტალიის ქალაქ სანგვინეტოში ახალგაზრდა მუსიკოსთა ყოველწლიური კონკურსი ჩატარდა. მთავარი პრიზის მისაღებად, ევროპიდან, აშშ-დან და კანადიდან ჩასული ასზე მეტი მუსიკოსი იბრძოდა. პირველი პრემია და კონკურსის სპეციალური პრიზი – 10.000 ევრო, აგრეთვე სოლო დისკის უფასოდ ჩაწერის უფლება იური ბაშმეტის ასპირანტს – ალტისტ ილია გოფმანს ერგო. თუმცა გოფმანმა სახელი რამდენიმე წლის წინ გაითქვა, მაგრამ მაშინ მისი მუსიკალური მიღწევები არაფერ შუაში იყო: ილია გოფმანი რუსეთში პირველი ადამიანია, რომელიც ჰაკერობისათვის სასამართლოს გადასცეს.

იური ბაშმეტის საუკეთესო მოსწავლე, როგორც კი მეცადინეობისგან თავისუფალი დრო გაუჩნდებოდა, ჰაკერობით „ერთობდა თავს“: მან რუსეთის ერთ-ერთი ბანკის ანგარიშზე შეაღწია და იქიდან საკმაოდ მსხვილი თანხა საკრედიტო ბარათზე გადმოქაჩა. ამ მაქინაციას ვერც ვერაინ მიხვდებოდა, ჰაკერის თანამონაწილეებს, ფულის მოხსნისას, ანგარიშში მალაზიებში რომ არ გაესწორებინათ. შედეგად, ბანკის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა მაქინატორები დააკავეს.

ილია გოფმანმა, სასამართლოს მოლოდინში, ერთ-ერთ საიდუმლო იზოლატორში თითქმის წელიწადი დაყო და ბუნებრივია, ამ პერიოდის მანძილზე მეცადინეობას გამოეთიშა. ამ და კიდევ ბევრი სხვა მიზეზის გამო, მას თითქმის ყველა ცნობილი მუსიკოსი და კონსერვატორიის პედაგოგი გულშემატყვივრობდა. უნდა ითქვას, რომ მათ ძალისხმევას უშედეგოდ არ ჩაუვლია: ბოლოს და ბოლოს, სასამართლომ ილია გოფმანს ბრალი მოუხსნა და ბანკისგან „ნასესხები“ თანხის გადახდა დააკისრა.

გათავისუფლებიდან უკვე ერთი წლის შემდეგ, ახალგაზრდა ჰაკერი ბაშმეტის კონკურსის ლაურეატი გახდა, დღესდღეობით კი საერთაშორისო კონკურსის საპატიო პრიზიორია.



- ეი. თქვენს მეუღლეს მზითვეში ბინა მოჰყვა?
- ...
- ავტომანქანა არ გყავთ?
- მანქანა მყავს, მაგრამ ჩემს სახელზე არაა გაფორმებული. სამწუხაროდ, ეს ვერ მოვახერხე.
- რა მარკის ავტომანქანა გყავთ?
- 7 წლის... „ოპელის“ მარკის ჯიპი.

„ეს ხმალი არც კაპიკი ღირს, არც მილიონი“

- თქვენს სახლში ყველაზე ძვირად ღირებული ნივთი რომელია?
- პაპაჩემის დატოვებული ხმალი, რომლის ღირებულება არ ვიცი.
- თქვენ რამდენ ლარად შეაფასებდით პაპათქვენის ხმალს?
- ის ფასდაუდებელია. არც კაპიკი ღირს და არც მილიონი. ხმალი არ არის მატერიალური თვალსაზრისით ძვირფასი ნივთი.
- გაქვთ თუ არა აგარაკი?
- არ მაქვს!..
- გაქვთ თუ არა სახლი სოფელში?
- რა თქმა უნდა, წალენჯიხის რაიონში, საიდანაც არის წარმოშობით ჩემი გვარი. ბაბუაჩემის სახლია.
- ზაფხულში სად ისვენებთ?
- თბილისში...
— თქვენი ოჯახის ნევრები?
- ამდევარი რაღაცები გასაიდუმლოებული მაქვს.
- დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ გაქვთ 15.000 ლარი ნაღდი ფულადი თანხის სახით...
- რა უფლებით იქექებით ჩემს საქმეში?
- ქონებრივი დეკლარაცია, რომელსაც თქვენ ავსებთ, საჯაროა.
- კარგი... იკითხეთ, რამდენიც გინდათ – მე პასუხს არ გაცემთ იმაზე, თუ რამდენი ფული მაქვს, საიდან და ა.შ. ეს ჰკითხეთ იმას, ვისაც არ უნდა ჰქონდეს სიმდიდრე, მაგრამ აქვს. იცოდეთ, იმ დეკლარაციებში, ნახევარზე მეტს ტყუილი უწერია, მე კი ჩავწერე ის, რაც მაქვს.

პარლამენტარს ფულზე ხუმრობაც შესძლება...

- სიტყვაზე რატომ უნდა დაგიჯუროთ?
- კარგი... მაქვს 17 მლრდ ლოლარი...
- სად ინახავთ?
- ოფშორულ ზონაში...
- ხუმრობა კარგია, მაგრამ რამდენია თქვენი წლიური შემოსავალი?
- პარლამენტარებმა პირველი ხელფასი 750 ლარის ოდენობით ავიღეთ. ახლა კი, ორი თვეა, 1.200-1.250 ლარს ვიღებთ.
- ხელფასი ბანკში გვერიცხვებთ თუ ფულს ხელზე იღებთ?

- ხან ასე, ხან ისე.
- თქვენ ბრძანდებით შპს „გაგ“-ს და შპს „უმზას“ პარტნიორი, ასევე ს/ს „შავლეგოს“ აქტიონერი. რამდენი გაქვთ შემოსავალი ამ საწარმოებიდან?
- შარშან მივიღე 19 მლრდ ლოლარი, წელს კი, დაახლოებით 47 მლრდ ლოლარს ავიღებ (იცინის)...

„არავის საქმე არაა, რა ფერის ტრუსი მაცვია...“

- აგილიათ თუ არა ოდესმე ქრთამი?
- არ ვიცი, ეს სიტყვა რას ნიშნავს.
- კორუფციაზე თუ გსმენიათ რაიმე?
- გამიგია, მაგრამ არ ვიცი, ეს რა არის...
- ხართ თუ არა მხარჯველი?
- როცა მაქვს – კი.
- ძირითადად, რაში ხარჯავთ ფულს?
- ყველაფერში, რაშიც ნორმალური ადამიანი დახარჯავდა.
- გარდერობს სად აახლებთ?
- არავის საქმე არ არის, რა ან როგორი გარდერობი მაქვს, ან რა ფერის ტრუსი მაცვია...
- ეს არც მაინტერესებს...
- ჰოო...
- გიგრიძით თუ არა, რა არის უფულობა?
- ყოველ წამს, ყოველ წუთს, მიუხედავად ჩემი „მილიარდერობისა“.
- გაგისესხებიან თუ არა ოდესმე ფული?
- მე რა, მეგავს ვარ? ფულს მხოლოდ მეგავს ან ბანკი ასესხებს.
- რამდენი მონობარათი გჭირდებათ თვეში?
- არ არის თქვენი საქმე.
- სანავიცი?..
- არც ამას გეტყვით!..
- რა გჭირდებათ ამწუთას?
- ...ამწუთას, ამწამს ყველაზე მეტად მეგობრების სიყვარული მჭირდება...
- რა თანხა გიდევეთ ჯიბეში?
- რომ ვითხრათ, არც ერთი თეთრიმეთქი, რა იქნება?..
- არაფერი...
- ორი მილიონი (იცინის)...
- სად ინახავთ ამხელა თანხას?
- ისევ და ისევ ბანკში, ოფშორულ ზონაში. ბანკს სახელად ნოლაიდელ-ჟუანია და კიდევ ვიღაცა ჰქვია...

P.S. სინამდვილეში, ბატონ გოჩას ჯიბეში არც ერთი თეთრი არ აღმოაჩნდა. მან ალაღად ამოიტრიალა ჯიბეები და დაამატა – არც ერთი თეთრი არ მაქვსო... მის მიერ შეესებულ ქონებრივ დეკლარაციაში აღნიშნულია: ფასიანი ქვადღები, აქციები, რომლის ღირებულება 1,27 ლარია, ოდენობა კი – 31143 და ასევე აქცია, რომლის ღირებულებაა 1 ლარი, ოდენობა – 54000.

თუ გახსოვთ, რომ „გზის“ წინა ნომრის „საპატარძლო“, ავიაკომპანია „აირზენას“ სტიუარდესა თამუნა ძამბაძე გახლდათ, მაშინ აღარ გაგიკვირდებათ, რომ მისი თავყვანისმცემელი მამაკაცების უმეტესობას ფრენის სურვილი გაუჩნდა. ერთ-ერთ მათგანს კი, განსაკუთრებით. აი, რას წერს იგი: „თამუნა, ჩემო სიცოცხლე, ახლა ვაშენებ ისეთ საფრენ აპარატს, რომლის სიგრძეც უდრის სიყვარულს, სიგანე — იმედს, სიმაღლე — რწმენას. ამ საფრენი აპარატის სტიუარდესა შენ უნდა იყო. დამაფიცე წმინდა პორფილეს ხატზე, ჩემო მარგალიტა და ცხოვრების ბოლომდე, შენი პილოტი ვიქნები. ერთაობ ბრეგვაძე“... მოკლედ, გაფრენის ყველა მსურველმა გააღოს პირი და თქვას — ა-ა! — ჩვენ კი მათ გაფრენამდე, თამუნას სახელზე მოსულ გამომხაურებებს გავეცნოთ.



„მალე ვარ, ლამაზი, მანქანიან-პინიანი...“

მარი ჩაჭარიძე

„ანგელოზო, თვით მზეს ჩრდილავ სილამაზით“.

„მალზე მშვენიერი „საპატარძლო“ გყავთ. თამუნა ძალიან მომეწონა. ის ჩემი მეზობლისთვის, სულიყო გ-სთვის მინდა. მარტოხელა მამაკაცია, ყველაფრით უზრუნველყოფილი. იქნებ, ეცადათ. დარწმუნებული ვარ, ერთმანეთისთვის არიან დაბადებული. ლევანი. ახალციხე.“

„თამუნა მომწონს და მიხარია, ასე გულახდილად რომ საუბრობს. ბევრს მიაჩნია, რომ საოჯახო საქმის კეთება სირცხვილია, მაგრამ გათხოვების სურვილი კი აქვს. მე ვოცნებობ თქვენაირად გაზრდილ ადამიანზე, მაგრამ თავს უფლებას ვერ მივცემ და ვერც შემოგადრებთ ცხოვრების თანამგზავრობას. ოცნებით კი, ვოცნებობ. გიგა. ქუთაისი“.

„სალამი პრინცესას. იქნებ, გვესტუმრო ქობულეთში“.

„არაჩვეულებრივი „საპატარძლოა“, მაგრამ მინდა ვითხრა, რომ რეალურ ცხოვრებაში გაცილებით უკეთესია, ვიდრე სურათზე. დიდი სიმპათიით ვარ განწყობილი თამუნას მიმართ. +++“.

„ლაგოდენში გათხოვება არ გინდა? ჰა? ადამიანო, გინდა ჩემთან ურთიერთობა თუ არა? ხმას რატომ არ მცემ? ყურნალში ვნახე შენი ინტერვიუც და სურათიც. შთაბეჭდილებას არა უშავს, ცოტა ხელის შევლება გინდა და ეკვიპტის დედოფალს დაგამსგავსებ“.

„ნეტავ, როგორ ჩაეტია თამუნა სურათში ამსიმაღლე ტოლდოსთან ერთად?“

„თამუ, შენ „აირზენას“ მშვენიერ ხარ. მიმგზავრია იმ რეისით, რომელსაც შენ მიჰყვები. მართლაც, საოცრად მიმზიდველი და ჰაეროვანი ხარ. სიამოვნებით ვიფრენდი შენთან ერთად ცხოვრების ბოლომდე. გეოცნი, სიმონი“.

„თამუნა ძალიან მომეწონა! 35 წლის ვარ, ცოლს გაშორებული, მყავს ორი შვილი. ერთი ჩემთან იზრდება, მეორე — დედამისთან. სიამოვნებით გავუწვევდი მამობას თამუნას შვილს“.

„იშვიათია ისეთი ბუნების გოგონები, როგორც თამუნაა. რაღა თქმა უნდა, თუ სიმართლეს შეეფერება ის ყველაფერი, რასაც თავის თავზე ჰყვება. თამუნა, მოდი, ერთად ვიფრინოთ“.

„ფრენა კარგია, მაგრამ საინტერესოა, ცოლად რომ მოგიყვანო, შინ ყოფნას როდისღა მოასწრებ? თუ მეც თვითმფრინავში გადავსახლდე და ერთად ვიფრინოთ?... არა, ასე არ გამოვა. ან ფრენა, ან — მე... აირჩიე, რომ არ ინანო“.

„ისეთი ერთგული და კარგი გოგოს შთაბეჭდილებას ტოვებ, რომ სურვილი გამოჩნდა შენი გაცნობის. ძალზე მიმზიდველი ხარ. მანდილოსანი სუსტი არსებაა და ჩემი ძლიერი მამაკაცის გვერდით ყოფნა გჭირდება. მარტოსულად ყოფნა ძალზე ძნელია. დიდი სიყვარულით, თაზო“.

„თამუნა, შენ ჩემი გიჟური ოცნება ხარ, ჩემი სიზმარი და უნაპირო ფიქრი. ჩემო ლამაზო, უზომოდ შემიყვარდი. მინდა, ბედნიერ ქალად გაქციო. „ოცნების ღმერთებს დაემსხვრევათ ყინულის ფრთები და სიყვარულის აენთება ცაში ხანძარი, მე ღაროქილი, ღმერთს შენს სიყვარულს შევეკვდრები, შენა ხარ ჩემი გულის ხატი, ჩემი ტადარი. ლამა“.

„ვერძნობ, რომ ძალზე უშუალო და უბრალო გოგო ხარ. ვისურვებ დიდ და ლამაზ მომავალს. შენი ძალზე დიდი სურათი მინდა, მთელ კედელზე რომ გაიკრას, იმხელა. როგორ მოვახერხო?“

„თქვენი „საპატარძლო“ მართლაც, სერიოზული ვინმეა. საქმიანი, ლამაზი, ძალიან მომწონს და ვუსურვებ წარმატებებს“.

„სასწაულები არ ხდება, მაგრამ ხომ შეიძლება, თამუნამ სწორედ მე ამიჩიოს? მინდა, ღამით მისმა ჩურჩულმა გამაღვიძოს. მე კი კარგად ვიცი, როდის უნდა ჩაჩურჩულო: მიყვარხარ!“

„მე მაოცებენ შენი თვალები, უძირო ზღვაზე მეტად ღრმა არის, მე მაოცებენ ჩემი გრძნობები, ჯერ არა თქმული ჩემი ბავიდან. და უშენობა თუ გამიძნელდა, მე გეტყვი, კარგო, ძაან მიყვარხარ“.

„საერთოდ, წუნია არ ვარ, მაგრამ 40 წლის ისე გავხდი, ცოლი ვერ მოვიყვანე. ეს გოგონა კი „ნამეტნავად“ მომეწონა. უარს არ ვიტყვოდი, მის გვერდით ცხოვრებაზე. მატერიალურად არ მიჭირს, კარგი სამსახური, კარგი მანქანა და კარგი გარეგნობაც მაქვს. ასე რომ, თუ ბედია, ეს ქალი ჩემი უნდა გახდეს“.

„თავს არ შევიქებ. ვარ ქართველი, კარგი მეოჯახე მამაკაცი. ვცხოვრობ კასპში. დიდი სიამოვნებით ჩავესიძები ქათამაძეების ოჯახს. მარი, დამეხმარე, რა!“

„ეს რა კარგი ქალბატონი შეგირჩევიათ „საპატარძლოდ“! აი, „სასიძოც“ აქ ვარ. ჩემზე კარგს ვიღას ნახავ?“

„მყავს 35 წლის უცოლო ბიძა. ძალიან მომეწონა თამუნა, ჩემი ბიცოლას „პოსტისთვის“.

„მსურს, ერთად ვიყოთ შენაფიცარი, როგორც ყვავილზე სუნთქვა ნამისა, როგორც საათის ორი ისარი, შუადღისას და შუადღისას“.

„თამარ ქალო, სოფლის თვალო, ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს, რომ თავი მოგაწონო. სხვანაირად კი, აბა, რას გაიგებ, როგორი კარგი ბიჭი გიმეჩვიებს? მაღალი ვარ, ლამაზი, მანქანიან-ბინიანი. შენდა მჭირდება სრული ბედნიერებისთვის; 1-2 წლით უმცროსი თუ ვიქნები, მერე რა?“

„აუ, როგორ გამახარეთ, თამუნა რომ დამანახვეს!“

„სუროსავით შემოგეხვევი მაგ ლამაზ ტანზე, თამუ! ჩვენ აუცილებლად გავფრინდებით!“

აკი ვითხარით — გაფრინდებიან-მეთქი... „პასადკას“ სად გააკეთებს, ეს თამუნას გადასაწყვეტია. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, მსუბუქი დაშვება ვუსურვოთ...



ვიდრე ჩვენს მშვენიერ „საპატარძლოს“ წარმოგიდგენთ, მინდა სიხარული გაგიზიაროთ: ამ დღეებში, ყველა მაჭანკლისთვის საოცნებო ტიტული — „მის სამყაროს ხანუმა“ მფლობელი გახდით... არ გჯერათ?... აბა, ნახეთ, ერთ-ერთი მკითხველი რას მწერს (ცხადია, სტილი დაცულია): „მარი, შენ ხანუმა კი არა, დიდი ხაფანგის მეპატრონე ხარ. ნებისმიერი შენი „სასიძო“-„საპატარძლოს“ სახით, მაგარი სატყუარა გაქვს დაგებული ხაფანგზე. ხო, ხო, ხო, რას „იბომბები“ ხოლმე მკითხველების მესიჯებით!.. მამატიოს ღმერთმა, მარა ერთი-ორჯერ „საპატარძლოს“ მეც ქე გამოვეხმარე. ხან მოდელი, ხან პარლამენტარი, ხან მომღერალი, ხან სტიუარდესა... შენი ამბავი რომ ვიცე, იმფერი ნიჭიერი, მოუსვენარი და მიზანდასახული გოგო ხარ, მალე კოსმოსშიც შეიჭრები და ვალენტინა ტერეშკოვასაც ქე გაგვაცნობ. მერე არც ამით დაკმაყოფილდები და უცხოპლანეტელ ლამაზმანებსაც ქე მიეწვევ, აბა! გისურვებ წარმატებებს. შენ „მის სამყაროს ხანუმა“ ხარ!“ ხედავთ? სწორედ ჩემზეა ნათქვამი — „დოუფასდა“ ამავიო. ეს „ტიტული“ კი, მეტ პასუხისმგებლობასაც მაკისრებს და სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით გავისარჯე და „საპატარძლოდ“ იმ უზარულამას წარმოგიდგენთ.

„მეცმეგ თეთრი კაბა...“

იმნებ პირი უჩინარი და კლხე დიდი ხეივანს...“

მარი ჯაფარიძე

— ია, გაგვაცანი შენ ოჯახი.

— მე ვცხოვრობ მარტო, ჩემს ფისუნია გუნდასთან ერთად. მყავს დედა, ძმა — დათო, რომელიც დაოჯახებულია, ჰყავს ორი შვილი და ცხოვრობს ცალკე, თავის ოჯახთან ერთად. მყავს ნახევარდა მამის მხრიდან, მომღერალი მარინე ფარულავა, და ნახევარძმა დელის მხრიდან, კოკა იმედაძე, რომელიც მომღერალ ქრისტინე იმედაძის მამა და ამერიკაში ცხოვრობს. ყველა მათგანთან საუკეთესო ურთიერთობა მაქვს.

— ზოდიაქოთი ვინ ხარ?

— ასტროლოგიით ბავშვობიდან ვარ გატაცებული. ეს გაცლებით რთული მეცნიერებაა, ვიდრე ჩვენ წარმოვიდგენია. მყავს ასტროლოგი, რომელმაც შემიდგინა ასტროლოგიური რუკა. ჰოროსკოპით მერყეული ვარ, მაგრამ ჩემში ყველა დანარჩენი ნიშნის თვისებებია თავმოყრილი.

— დაგვიხსიათუ საკუთარი თავი.

— მაქვს ძალზე დიდი წარმოსახვისა და ფანტაზიის უნარი. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ უფრო მეტად „მომავალში ვცხოვრობ“. წესიერი ადამიანი ვარ, არ მიყვარს ტყუილი, გამოვიჩინე ერთგულებით. ძალზე მიყვარს მეგობრები. სულ 3-4 მეგობარი მყავს და ყველას ძალიან დიდ პატივს ვცემ. ასევე ძალზე პირდაპირი ადამიანი ვარ. შესაძლოა, ეს ცუდ თვისებადაც ჩათვალოთ. რასაც ვფიქრობ, იმას ვამბობ ხოლმე და არ მასხაიათებს დიპლომატიური მიდგომა. ერთი მხრივ, ეს კარგია, რადგან არ ვპირფერობ. ვფიქრობ, რომ კეთილი ვარ, ჩემ გარშემოყოფ ადამიანებს კი მიანჩნათ, რომ მხიარული და მკაცრი ვარ. არასოდეს ვკამყოფილდები მიღწეუ-

ლით. ძალზე მომთხონი ვარ საკუთარი თავის მიმართ, გაცილებით მომთხონი, ვიდრე სხვების მიმართ. ყოველთვის კრიტიკის ქარცეცხლში ვატარებ საკუთარ თავს, მაგრამ როცა საჭიროა, თავის შექებაც მიყვარს, თუმცა ასეთი ქებით ხშირად არ ვანებებურებ საკუთარ „მეს“.

— ხშირად ტირი?

— სამწუხაროდ, არა. ძალზე მიჭირს ცრემლების გადმოფრქვევა. მსახიობისთვის ეს ძალზე ცუდია, რადგან რეჟისორი რომ მიგითითებს, უნდა იტირო. მე ეს ტექნიკა რაღაც ვერ „დავამსხვე“. არასოდეს მიტირია ფილმზე ან წიგნის კითხვის დროს, მაგრამ შესაძლოა, ვიტრო იმ სიმღერის მოსმენისას, რომელიც რაღაც ამბავს მახსენებს... თუმცა, ეს ძალზე იშვიათად ხდება. საერთოდ, ტირილი ძალზე კარგი თერაპიაა, რადგან ცრემლის ღვრისას ადამიანი უარყოფითი ემოციებისგან იცლება და შვებს გრძობს.

— წყნას იოლად იგონებ?

— კი, უცებ მაიწყდება წყნა. გულში არასოდეს ჩავიხვევ. მიჩვენია, იმ წუთშივე გავარკვიო ურთიერთობა და არც მე დავრჩე გულნაკლული, არც სხვას ვატკინო გული.

— ბუზლუნა თუ გჩვენია?

— არა, ბუზლუნა არა ვარ, მაგრამ არც მთლად უმეცისობაა... თუმცა, როცა ბუზლუნის დრო ღვება, უმეტესად ვჩხუბობ ხოლმე. ისე, ჩხუბი კი მიყვარს...

— ქირვეული ხარ?

— არც ქირვეული ვარ. ძალზე „იოლი“ ვარ. ადვილად ვეგუებ ნებისმიერ გარემოს, შემიძლია გავიჭიროო და სიტუაციას მაინც მოვერგო.

— ვიცე, რომ ფარულავების გვარს საინტერესო წარმოშობა აქვს...

— მე მეგონა, მათხოვბი და გვარის

წარმოშობით დაინტერესდი?..

— ხომ იცი, საქართველოში ასეთი წესია: სასიძოს ოჯახის წევრები ყოველთვის ინტერესდებიან საპატარძლოს გვარით და მისი წარმოშობის შესახებ ინფორმაციას აგროვებენ...

— მამაჩემი ძალზე დაინტერესებული გახლდათ გვარის გამოკვლევით და აღმოაჩინა წიგნი, სადაც ეწერა, რომ ფარულავები ანუ ფრულავები წამოსულები არიან რომის ახლოს მდებარე დაბა ფარულადან და დაფუძნდნენ „ილიშა შიგან და მუნ იწოდებიან ფარულავებად“. მამამ დაგვაზებირებინა ეს ყველაფერი და სულ სიტყვასიტყვით მასწავლა... ჩვენი გვარი ცხოვრობდა მარტვილის რაიონის სოფელ ხუნწში, მაგრამ მე იქ ნამყოფი არა ვარ.

— მეგრული თუ იცი?

— არა, არ ვიცე. ნუ ეწყინებათ ჩემს მეგრულ მკითხველებს, მაგრამ ვერ შევძელი ქალაქში გაზრდილმა გოგომ „მშობლიური“ ენის შესწავლა.

— როგორი მამაკაცები მოგწონს?

— მამაკაცი აუცილებლად უნდა იყოს მამაკაციური და ეს ძალზე ბევრ კრიტერიუმს შეიცავს. პირველ რიგში, ის უნდა იყოს ყურადღებანი, თბილი, უნდა გრძობდეს ქალის ბუნებასა და სურვილს. უნდა შეძლოს, რომ შემოვიდეს შენს შინაგან სამყაროში და მიხვდეს, რა გინდა, რა გაწუხებს, რადგან ჩვენ, ქალები ბევრ რამეს ვმალავთ, ნიღაბს ვიფარებთ და მიმანჩნია, რომ მამაკაცთან არ უნდა გჭირდებოდეს ეს ნიღაბი. უნდა იყოს კეთილშობილი, რაინდული, ჰქონდეს დახვეწილი მანერები. რა თქმა უნდა, გარეგნულადაც სიმპათიური უნდა იყოს... ნუ იქნება მთლად გადასარევი, მა-

გრამ რაღაც შარმი უნდა ჰქონდეს. არ უნდა იყოს ჩასუქებული და ღიპიანი. მაგრამ რაც ჩამოვთვალე, ასეთი თვისებების მქონე მამაკაცი ძალზე იშვიათია.

— მელოტი მამაკაცები მოგონს?

— მელოტი?... ბოლოს და ბოლოს, ვეცდები არ არის ღიდი პრობლემა, თუ ვაჟკაცია და კაი ტიპი. ხანდახან სიტყვა ან საქციელი იმდენად შლის მამაკაცის გარეგნულ სილამაზეს, რომ მასთან ურთიერთობა აღარც მოეხინდება. სიტყვას ძალზე ღიდი მნიშვნელობა აქვს. ქალს ადვილად შეაყვარებ თავს სიტყვით. მამაკაცი უნდა იყოს ტკვიანი და ბრძენი. ეჰ! სად არიან ასეთი მამაკაცები?..

— წესით, თავყვანისმცემლების სიმცირეს არ უნდა უჩიოდე...

— გაგვიტყვი, რომ გითხრა — არაფერია „თავყვანისმცემლება“—მეთქი. აი, გინდ ღაიჯერე, გინდ — არა: ია ფარულავას არ ჰყავს სერიოზული თავყვანისმცემელი. შესაძლოა, ბევრ მამაკაცს მოეწონვარ, სურვილიც აქვს, რომ ღამიანობა დატოვოს, მაგრამ რატომღაც ჰგონიათ, რომ ჩემ გარშემო არის ძალადი კედელი, რომელსაც ვერ გადმოაბიჯებენ... პრინციპში, ეს ბარიერი არ არსებობს. ეს მხოლოდ ჩემ მიერ შექმნილი იმიჯია. შესაძლოა, მე თვითონ ვქმნი უამრავ ბარიერს და სწორედ ამიტომ, ამ სიბნელების გადალახვის შემდეგ ჩემამდე თითო-ორი თავყვანისმცემელი თუ აღწევს და ისინიც ძალიან „ნაგლები“ არიან, ისეთები, რომლებსაც შუბლის ძარღვი აქვთ გაწყვეტილი და ფიქრობენ — რომ ღამე-ღამეობაზე მათ კოჭს გაგუგოვებ, მაგრამ მასე სად არის?!.

— ჩამოვთვალე შენი მზითვი...

— მამჩემმა ღამილოვა მილიონები... რა თქმა უნდა, ვიტყუები... მაქვს ბინა, სადაც



ასე რომ, თუ უნდა მიღალავოს... ქართველი ცოლების გამოთქმას ვიხმარ — წავიღეს „ერთჯერად“ ქალებში, ოღონდ, საყვარელი არ გაიჩინოს

ასლა ვიმყოფებით, მეორე ბინა, სადაც ღელა ცხოვრობს. მაქვს მიწა თბილისის ძველ უბანში, სადაც ვაპირებ სახლის აშენებას და ჯობს, ფულადი ქმარი შემხვდეს, რომ სახლი ააშენოს... მზითვად წავიყვან ჩემს კატა გუნდას და კიდევ — ჩემს თავს. ამაზე მეტი რაღა უნდათ?!

— მეგობრებთან ერთად გართობა გიყვარს?

— კი, ღიდი საიმოვნებით მოვილხენ ხოლმე, მაგრამ — მხოლოდ ვიწრო წრეში. ჩემი ძმა აწყობს ხოლმე „ტუსოვკებს“. ვიკრიბებით ხოლმე, ნატურალურ — სოფლის ღვინოს მივრთმევთ, ვცეკვავთ დღე-ამდე, დიჯეის კქირაობთ და მაგარ დროს ვატარებთ. ძალიან მიყვარს ცეკვა, განსაკუთრებით — რიტუალური ცეკვები, დოლის ხმაზე. როცა ვცეკვავ, ბედნიერი ვარ, რადგან საკუთარ თავს გამოვხატავ. არ მიყვარს ღამის კლუბებში სიარული, რადგან უძინარი ვრჩები: ღილით ადრე ადგომა მიყვარს.

— საყვარელ მამაკაცს ღალატს აპატიებ?

— ვერ ვაპატიებ. მაგრამ უღალატო კაცი არ არსებობს. რაგინდ კარგი ცოლიც არ უნდა ჰყავდეს, მაინც სხვა ქალისკენ იყურება. თუ ცოლს არ ღალატობს, ქართული კრიტიციზმებით ეს უკვე კაცობა აღარ არის. ასე რომ, თუ უნდა მიღალატოს... ქართველი ცოლების გამოთქმას ვიხმარ — წავიღეს „ერთჯერად“ ქალებში, ოღონდ, საყვარელი არ გაიჩინოს.

— გაიხსენე ყველაზე ორიგინალური თავყვანისმცემელი.

— პირველი, ვინც გამახსენდა, ჩემი ამერიკელი საქმრო გახლავთ, რომელსაც დაგმორდი. ის ძალზე მდიდარი კაცი იყო, კარგი ხასიათისა და გარეგნობის. რესტორანში ღამატიყა, შემდეგ მითხრა, რომ შინ ჩემთვის სიურპრიზი ჰქონდა მომზადებული. რომ მივედი, მართლაც, საუცხოო სიურპრიზი დამხვედრა — ქართული ფილმის კასეტა; ტილოზე დაუწერია ქართული ასოებით: ყველაზე ღამაში ქალი მსოფლიოში; ამაში თურმე, ქართველი კაცი დაიხმარა, რომლისთვისაც ქართულ რესტორანში მიუგნია. ძალზე ადფრთოვანებული დავჩი, რადგან საქართველო ძალზე მენატრებოდა. ის კი ძალზე ფრთხილად შეეხი ჩემს სულს...

— ეროტიკულ ფილმში რომ გითამაზია, ვიცით. ეროტიკულ სიზმრებს თუ ნახულობ?

— ასეთ სიზმრებს ყველა ნახულობს, მიუხედავად ასაკისა და სოციალური მდგომარეობისა. ისე, წინათ უფრო ხშირად ვნახულობდი, ახლა — უფრო იშვიათად. სიზმრებს ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ და ხშირად, სიზმრის დახმარებით პრობლემის გადაჭრაც კი მო-



ვაიმე, ისე ღამაზად აღვწერე ეს ყველაფერი, რომ მართლა მომინდა გათხოვება

მიხერხებია; ამ შემთხვევაში, სულიერ პრობლემებზე მაქვს საუბარი და არა ყოფითზე.

— ეშმაკობა თუ გეხერხება?

— საერთოდ, როდესაც ღმერთმა ქალი შექმნა, ერთ-ერთი ღეგენდის თანახმად, მას სხვადასხვა ცხოველისათვის დამახასიათებელი თვისებები უბოდა. ქალი ძლიერი და ეშმაკი არსება და რადგან მეც ქალი ვარ, მეტ-ნაკლებად მახასიათებს ეს თვისებები.

— დიეტას ხშირად იცავ?

— არა, დიეტა არ მჭირდება. ისე, ძალიან მიყვარს ნამცხვრებისა და ტორტების ჭამა, მაგრამ ხანდახან თავის შეკავება მიწევს.

— თუ შენი მოსაზრონე მამაკაცი შეგცნა, გათხოვდები?

— რა თქმა უნდა. ორ ქორწინებაში თავი ვერ წარმოვანიხე, როგორც ქალმა, რადგან ქალის პირველი მოვალეობაა, ჰყავდეს შვილი და ჰქონდეს ოჯახი. ახლა კი... თუ სასურველი მამაკაცი გამოჩნდება, რაღა თქმა უნდა, ვავთხოვებ.

— შენი ქორწილი თუ გაქვს წარმოდგენილი?

— ამაზე არასოდეს მიფიქრია, მაგრამ ახლა თვალწინ წარმომიდგა ღიდი გემი, რომელზეც ჩემი უამრავი სტუმრიანად ვიქნები. შენც აუცილებლად დაგაპატიებ და ყველას ერთი კვირით მივითტაცებ... მეცმება თეთრი კაბა. იქნება ბუერი ყვავილი და ბუშტი, ფეიერვერკი და ძალზე ღიდი წვეულება... გემზანზე უამრავი სტუმარი იქნება და ძალზე კარგი განწყობა... ვაიმე, ისე ღამაზად აღვწერე ეს ყველაფერი, რომ მართლა მომინდა გათხოვება და ასეთი ღამაში ქორწილი.

— საქორწინო თაიგულის დაჭერას ვის „ჩაუნყო“?

— ვფიქრობ, ჩემს ძმისშვილს — ქრისტინე იმედაძეს...

ღამეთანხმებით, რომ მართლაც, მშვენიერი „საპატარძლო“ გეყავს. ასთან დაკავშირების მსურველებს შეგიძლიათ დამირეკოთ ან დამიმესიჯოთ ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. თქვენ შესახებ ინფორმაციას „საპატარძლოს“ გადაცემე, დანარჩენი კი თქვენზე და ცოტა იღბალზეც იქნება დამოკიდებული.



ცნობილმა მომღერალმა ითირ კაპულიბმ როცა შეიტყო, რომ პირველი პაემნის გასახსენებლად უნდა ვნეოდით, მითხრა — აღარც მასსოვს, მგონი, პირველად პაემანზე, რუსეთ-იაპონიის ომი რომ დამთავრდა, მაშინ ვიყავიო. თუმცა ბოლოს, ასეთ „შორეულ წარსულში“ მომხდარი ამბის გახსენება მაინც მოახერხა. ქალბატონ ეთერს თურმე განსაკუთრებით მოსწონს გრძელთითებიანი მამაკაცები: მათ პაპიროსი სხვანაირად უჭირავთო... — ამბობს მომღერალი. თან გაგვიმხილა, რომ ყველაზე ხშირად კომპლიმენტს თვალების გამო იღებდა. მისთვის მიძღვნილ ლექსებშიც აქცენტი ძირითადად თვალებზე იყო გადატანილი...

მქვსი წყვილის „ხანუგაჲ“

საკუთარ თავს მერ უმეჭანკლა



მერი კობიაშვილი

— 55-ე სკოლაში ვსწავლობდი. თავიდან ის ქალთა გიმნაზია იყო. სანამ ბიჭებს და გოგონებს შეგვკავრებდნენ, უნდა გენახათ, როგორი ინტერესი ჰქონდათ ბიჭებს ჩვენ მიმართ. ვაჟთა მეორე გიმნაზიიდან ღურბინდებით გვიყურებდნენ ხოლმე. ჩემი აზრით, განათლების ასეთი სისტემა უმჯობესი იყო. ბიჭი თუ გოგო შენ გვერდით რომ ზის, მის მიმართ უფრო ნათესაური გრძნობები გიჩნდება და სხვანაირი ინტერესი გეკარგება. გოგონები რაღაცნაირად ბიჭურ ყაიდაზე გადადიან, მიუხედავად იმისა, რომ კახა ლომია მეგრელია, ვიცი, ჩემს აზრს არ გაიზიარებს და მარტო გოგონების და მარტო ბიჭების გიმნაზიებს არ გახსნის (აცინის)... 8-9 წლის რომ ვიყავი, სკოლაში ოთხი ბაფთით დავდიოდი. სხვანაირად სკოლაში არ გვიშვებდნენ. მართალია, დედაჩემს ვეწინააღმდეგებოდი და ვეწუწუნებოდი — თმა მტკიავა მეთქი, — მაგრამ სკოლაში მაინც პეპელასავით მისვლა მიწევდა. რამდენჯერმე იმ ბიჭებმა, რომლებსაც მოვწონდი, ბაფთები მომაძვრეს. ალბათ ეს ინტერესის ბავშვურად გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა იყო. ისედაც, ცოტა სიმპათიური გოგო ვიყავი. ერთდროულად რამდენიმე ბიჭს, ბევრჯერ მოვწონდი. თავყვანისმცემლები ყვაილებს და წიგნებს მიძღვნიდნენ. ჩემ გამო ჩხუბიც ბევრჯერ ატეხილა. მე, რასაკვირველია, გამარჯვებული მომწონდა. ბიჭების ყურადღების გამო ცოტა გამეტიჩრებულიც კი ვიყავი.

— თქვენს ახალგაზრდობაში პაემნებისთვის ყველაზე მოდურ

ადგილებად რომლები ითვლებოდა?

— ძველად სულ სხვა თბილისი იყო. შეყვარებულები კინოში წყვილ-წყვილად დავდიოდით, რუსთაველზე ვსერირობდით... ჩვენი საყვარელი ადგილი იყო კაფე მეტრო“ (სასტუმრო „ივერიის“ გვერდით. — ავტ.) ზემელზე, სადაც ჯუნა დავითაშვილი მიმტანდა მუშაობდა. მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ ჯუნა აკადემიკოსი გახდებოდა?! პირველი სერიოზული პაემანი სტუდენტობის დროს მქონდა. ის ბიჭი არ მიყვარდა, უბრალოდ მომწონდა და მისი ახლოს გაცნობა მინდოდა. ერთმანეთს რესტორან „თბილისში“ შევხვდით. კარგად მახსოვს, მუსიკა მარტო ჩვენთვის უკრავდა. მაისი იყო და სუფრას მარწყვის ტორტიც კი ამშვენებდა. ბრუდერმაფტს, რაღა თქმა უნდა, ლოყაზე ნაზი ამბორიც მოჰყვა... თქვენ წარმოიდგინეთ, ამ პაემანს გაგრძელება არ მოჰყოლია. იმ ბიჭში, რაღაც არ მომეწონა. მივხვდი, ურთიერთობა რომ გაგრძელებულიყო, მალე მომხერხდებოდა ის ბიჭი და ვარჩიე, ყველაფერი რესტორან „თბილისში“ გატარებული ლამაზი საღამოთი დამთავრებულიყო... თავყვანისმცემლები არც მოგვიანებით მაკლდა. უნგრეთში ბალატონის ტბაზე ვისვენებდი. ერთი ბიჭი გავიცანი. სერიოზულად მომეწონა. 10 დღე ერთმანეთს კაფეში ვხვდებოდით ხოლმე. მეთერთმეტე დღეს მშობლებთან ერთად მოვიდა ჩემთან (კარგად მახსოვს, დიდულვაშიანი მამა ჰყავდა), წარმოგიდგენიათ?.. უნდოდა, ოფიციალურად, ეთხოვა ჩემი ხელი. გოგონებულ დავრ-

ჩი. მართალია, ის ბიჭი მომწონდა, მაგრამ კომუნისტური წყობის დროს სახლ-ვარგარეთ გათხოვებას ისეთი აჟიოტაჟი მოჰყვებოდა ხოლმე, რომ უარი ვთქვი მის ცოლობაზე... ხელისმთხოვნელები თბილისშიც მოდიოდნენ სახლში. ჩემი მშობლების ახლობლებს მოვწონდი სარძლოდ, მე კი მათი ბიჭი არ მომწონდა. ბევრი ვიფიქრე, როგორ დამეძვრინა თავი. ხელის სათხოვნელად ჩემთან სახლში რომ მოვიდნენ, გაშლილ სუფრასთან იმ ბიჭს ვუთხარი — შენთვის ერთი კარგი გოგო მყავს და გაგაცნობ-მეთქი... თქვენ წარმოიდგინეთ, ისინი მართლაც, დაქორწინდნენ. ამ წყვილის დაქორწინებით დაიწყო ჩემი „ხანუგაჲ“. როგორც ჩანს, „ხანუგაჲს“ არაჩვეულებრივი ნიჭი მაქვს: ექვსი გოგო გავათხოვე! ადრე „ჰონორარს“ არ ვიღებდი. ახლა კაპიტალისტური წყობა და „ჰონორარზე“ უარს აღარ ვიტყვი.

— ბიჭებს თავს როგორ აწონებდით ხოლმე?

— შეყვარებული საოცრად ტონუსაწეული ვიყავი. თვალებიდან უჩვეულო სხივს ვაშუქებდი. სარკეში რომ ვიხედებოდი, ამას მეც ვგრძნობდი. ახლა, შთაბეჭდილება რომ მოახდინო, ჯიპით ან „მერსედესით“ უნდა მიხვიდე პაემანზე. ჩემს ახალგაზრდობაში, ტროლეი-



მეთერთმეტე დღეს მშობლებთან ერთად მოვიდა ჩემთან (კარგად მახსოვს, დიდულვაშიანი მამა ჰყავდა), წარმოგიდგენიათ?..



ძნელია, ოჯახისთვის საჭირო ფინანსებზე შენ იმერუნო და შეილსაც შენ მიხედო... ახლა ძალიან დავიღალე

ბუსით ან ტრამპაით მიდიოდნენ. დაახლოებით 25 წლის წინ „06“-ის მარკის „ჟიგული“ ვიყიდე. ქალაქში სუთი თუ ექვსი ქალი იჯდა საჭესთან. აღფრთოვანებული ვფიქრობდი – რამდენი თაყვანიშცემელი გამოძინდება-მეთქი!.. მართლაც ასე მოხდა. ალბათ ახლაც ასეა: გოგო კარგ მანქანაზე რომ ზის, თავად ის აღარ აინტერესებთ – ბიჭებს მანქანაზე აქვთ აქცენტი გადატანილი...

— თქვენი გათხოვების ამბავიც მოგვიყვით.

— მე და ჩემს მომავალ მეუღლეს ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა, მაგრამ მას ჰყავდა ცოლი და შვილი და ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ გავაპარულიყავით... ასეთი სიყვარულის მიუხედავად, ერთმანეთს მაინც დავშორდით. არასდროს მიფიქრია, რომ მეორედ გავთხოვილიყავი. დამოუკიდებელი ცხოვრება მომეწონა. ძნელია, ოჯახისთვის საჭირო ფინანსებზე შენ იმერუნო და შეილსაც შენ მიხედო... ახლა ძალიან დავიღალე და ვფიქრობ, რომ ქალისთვის აუცილებელია, გვერდით ქმარი ჰყავდეს.

— სინანულის გრძნობა თუ გაგჩენიათ თქვენი რომელიმე თაყვანისმცემლის მიმართ? თუ გიფიქრიათ — ცოლად მას რომ გავყოლოდი, ახლა ბედნიერი ვიქნებოდით?

— რასაკვირველია, ახლა ამაზე ვფიქრობ ხოლმე, მაგრამ დროს ხომ ვერ დავაბრუნებ?! ბუნებით მეტიარა არ ვიყავი, მაგრამ მამაკაცებთან ურთიერთობისას ვხვდებოდი ხოლმე მეტიარა და ეს მღუპავდა კიდევ. ერთხელ სერიოზული თაყვანისმცემელი მყავდა. ცოლად გაყოლასაც კი ვაპირებდი. ფილარმონიაში რომელიღაც კონცერტზე დამპატიჟა. მოქცევის წესი შეეშალა. მეორე დღეს რომ დარეკა, შეხვედრას უარი ვუთხარი. მასთან ურთიერთობა აღარ მომინდა...

თუ ადამიანს ფანტაზია და მარჯვე ხელები აქვს, ის არაერთხელ გააოცებს საკუთარი ნამუშევრით გარშემომყოფებს. სწორედ ამგვარი რეაქცია ჰქონდათ თბილისელებს, როდესაც რამდენიმე თვის წინ **ვალერი ბრიგორიანმა** თვითნაკეთი ლიმუზინით ქუჩებში გაისეირნა... „ჟიგულის“ ლიმუზინის შექმნას ბატონმა ვალერიმ 2 წელი მოანდომა, უახლოეს მომავალში კი თურმე „ჟიგული-21099“-ისგან ლიმუზინს ანყობასაც აპირებს.

ვალერი ბრიგორიანი „ჟიგული“ სართიანი ზიზნესის დასაწყისი

ამა ტუხიაშვილი

— როგორ დაგებადათ „ჟიგულისგან“ ლიმუზინის შექმნის იდეა?
— თორმეტი წლის ვიყავი, როდესაც საკუთარი ხელით მოპედი ავაწყვე. საოცარი რამე იყო, ხალხი ქუჩაში ჩერდებოდა და გაოცებული მიყურებდა. ყველას მოტოციკლი ეგონა, რადგან სხვადასხვა მოტოციკლის ნაწილებისგან იყო აწყობილი. მეც მეტი რა მიხდოდა?... თანატოლებს სიამაყით ვაწონებდი თავს. შემდეგ გადავწყვიტე, საკუთარი ხელით ნამდვილი მოტოციკლი ამეწყო. რამდენიმე თვის განმავლობაში ვაგროვებდი მისთვის სათანადო ნაწილებს და ეს მცდელობაც წარმატებით დავაგვირგვინე. ისეთი საოცარი ჰიბრიდი, როგორიც ჩემი მოტოციკლი იყო, ქალაქში მეორე არ დადიოდა. შემდეგ ამკვირებდა იდეა, ისეთი სერიოზული რამე შემექმნა, რომ ხალხს აღტაცებისგან ეთქვა: ნეტავ, ეს რა ხელმა შექმნა, — მაგრამ ეს ოცნება მთელი 10 წლის განმავლობაში ვერ განვახორციელე. უკვე 24 წელია, „ვაზ-21011“-მ მყავს. ავტომობილის აწყობა და შეკეთება, სწორედ ამ მანქანაზე ვისწავლე. წარმოვიდგენიათ, მთელი ამ ხნის განმავლობაში, ერთგულად მემსახურება და ახლაც არ ვაპირებ, რომ შევვლიო. ყოველთვის მიყვარდა საავტომობილო ჟურნალების კითხვა. სახლში ათასობით ასეთი ჟურნალი მაქვს. ერთხელ საპრეზიდენტო „მერსედესს“ წავაწყდი ჟურნალში, საოცარი რამე იყო — ლიმუზინი, რომლის შუა კარებს სახე-

ლურები მხოლოდ შიგნიდან ჰქონდა. ნამდვილი გემი იყო — საუცხოო, დიდი სალონით და საოცარი კომფორტით!.. მაშინ გადავწყვიტე, რომ ჩემი ოცნების მანქანა ლიმუზინი იქნებოდა, ოღონდ — ქართული. ჩემი მეგობრების, სხვადასხვა პროფილის ხელოსნების დახმარებით შევუდექი საქმეს. მინდა ვითხრათ, რომ მათი თანადგომის გარეშე ვერაფერს გავხვდებოდი. სამი მანქანის ნაწილებისგან ერთი „ჟიგულის“ ლიმუზინი გააკეთეთ. არანაირი ნახაზები არ გვქონია, ყველაფერს თავალი ვზომავედით. დაახლოებით ერთი მეტრით დავაგრძელებთ და ახლა ის 5 მეტრი სიგრძისაა. მანქანა მთელი 300 კილოგრამით დაძვი-

თქვენი მზებრწყობილი ყოფილი ახალი ომოსი

ცარილითონ ომოსი, ახალი ომოსი

ომოსი — ახალი მზებრწყობილი საშუალებაა, რომელიც კაპიტალს, ფართოს, ასევე მატერიალურ და სულიერ ცხოვრებაში და აზროვნებაში საწინააღმდეგოდ მოქმედებს. იგი წარმოადგენს მისი მზებრწყობილი პროცესორის, რომელიც დაგეხმარებათ გაეკეთდეთ ანგარიშს, ტრანსპორტის, ზამთის ამოცანას, ფართოს, კონსტრუქციას, განსაკუთრებით ჩამწვევებსა ხახისა და ველის ქრონიკლული დაავადებებისას, რისთვისაც იმს ახალი იდეა — საშუალებაა დაფორმება გარსის ატროფია

ომოსი ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ, ომოსი ასევე ტკბოლად დაგეხმარებათ

მოსის მზებრწყობილი პროცესორი დაგეხმარება მზებრწყობილი პროცესორის დაგეხმარებათ ომოსის დაგეხმარებათ ომოსის დაგეხმარებათ ომოსის დაგეხმარებათ ომოსის დაგეხმარებათ



ომოსი

ომოსი დაგეხმარებათ ომოსის დაგეხმარებათ ომოსის დაგეხმარებათ ომოსის დაგეხმარებათ

და (სულ 1400 კილოგრამს იწონის), ამიტომ ჩვეულებრივი ზამბარები ვერ გაუძლებდა. ვერ დაიჯერებო, მაგრამ ერთი 30-ჯერ მომიხდა ზამბარების ხან წინ, ხან უკან გადატანა. ბოლოს გადავწყვიტე, რომ მანქანის წინა სავალ ნაწილში „მერსედისის“ ზამბარები დამეყენებინა, უკან კი დაჯავშნული „ნივის“ – აი, ისეთის, ბანკები ფულის გადაზიდვებისთვის რომ იყენებენ.

— სიჩქარეს რამდენს ავითარებ?

— ჯერ მინდა გითხრა, რომ თბილისის გზები ჩემს მანქანას პრობლემას სულაც არ უქმნის. ისე დადის თბილისის ოღრო-ჩოღრობებში, როგორც გემი ტალღებზე. სიჩქარეს რაც შეეხება, აეროდინამიკურ მიმავალ გზაზე, ერთხელ საცდელად 180 კმ/სთ განვაგვითარე. ახალი „ნივის“ ძრავა უყენია და არც გზების პრობლემა გვაქვს და არც სწრაფად სიარულის.

— მსგავსი თვითნაკეთი მანქანა სხვა თუ გინახავთ საქართველოში?

— საქართველოში არ ვიცი, მაგრამ ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთ რუსულ ტელეარხზე სიუჟეტი ვნახე – ვიღაც კაცს, ქალაქ როსტოვში მსგავსი მანქანა „ვაზ-21011“-ისგან აუწყვია. მაგრამ მისი ლიბუზინის სალონი, ჩემი მანქანის სალონზე გაცილებით უკეთესი იყო. თუმცა, ჩემს მანქანაზე მუშაობა ჯერ არ დამითავრებია, ჩვეულებრივი სავარძლების მაგივრად, აუცილებლად შავი ტყავისგან დამზადებული სავარძლები მექნება. მართალია, მცირე ზომის მაცივარი მანქანის სალონში უკვე მაქვს დამონტაჟებული, სადაც სხვადასხვა სახის სასმელს ვაცივებ ხოლმე და მეგობრებთან ერთად კარგ პურმარილს ვშლი. მაგიდის მაგივრობასაც მაცივარი გვიწევს. მომავალში კი მცირე ზომის ბარს გავაკეთებ, რომ იტყვიან – ვეროპულად, რა... მაგარი მაგნიტოფონი და ხმის გამძლიერებლები უკვე დამონტაჟებული მაქვს, მაგრამ როგორც მინიმუმ, კიდევ, ორი ტელევიზორი მექნება: ერთი წინა სალონში, მძღოლთან, მეორეც – მგზავრების სალონში, ჭერზე დამონტაჟებული. მართალია, მანქანას მუქი ფერის მინები აქვს, მაგრამ აუცილებელია, რომ მინები ლისტანტიური მართვის სისტემაზე გადავიყვანო. ძალიან მაგარი საღებავით

ისე დადის თბილისის ოღრო-ჩოღრობებში, როგორც გემი ტალღებზე. სიჩქარეს რაც შეეხება, აეროდინამიკურ მიმავალ გზაზე, ერთხელ საცდელად 180 კმ/სთ განვაგვითარე

მაქვს შეღებილი მანქანა; ჩრდილში ჩვეულებრივ თეთრი ფერისაა, საღამოს – ვერცხლისფერია, მზეზე კი ისე ბრწყინავს, როგორც ბრილიანტის ქვა და ოქროსფერშიც გადადის.

— თუ დაიანგარიშეთ, რამდენია ამ მანქანის ლირებულება?

— ახლანდელი მდგომარეობით, ჩემი ლიბუზინი 4.500 დოლარი დამიჯდა, მაგრამ ხომ გითხარით, რომ ჯერ მასზე მუშაობა დასრულებული არ არის. სხვათა შორის, ყოფილა შემთხვევები, როდესაც ჩემთან სახელოსნოში „ბე-ემ-ვის“ მარკის ახალი ავტომობილით მოსულან და სრული სერიოზულობით მიხვდნენ, რომ ჩემი მანქანა იმ მანქანაში გამეცვალა... ერთხელ მამაკაცი ე.წ. მრგვალფარიან „მერსედისს“ მიცვლიდა ჩემს ლიბუზინში, მაგრამ ერთი წამითაც არ დაფიქრებულვარ, უარი ისე ვუთხარი.

— რატომ? ნუთუ თქვენი მანქანა მეტ ღირს?

— ჩემთვის ეს მანქანა მართლაც, ძალიან ძვირფასია. როდესაც მასზე მუშაობას დაეასრულებ, შეიძლება, სარფიანად გაყიდვაზე ნამდვილად ვიფიქრო, რადგან ამაზე გაჩერებას არ ვაპირებ და მინდა „ჟიგული-21099“-ისგან გავაკეთო უფრო გრძელი ლიბუზინი. ამისათვის საკარგად 6 მანქანა მაინც დამჭირდება. მეორე მიზეზი იმისა, თუ რატომ არ ვქარობ მანქანის გაყიდვას, გახლავთ ის, რომ მეუღლეს დავპირდი, ქორწინების 20 წლისთავზე, საპატარძლო, თეთრი კაბა უნდა ჩავაცვა, ჩემს ლიბუზინში ჩავსვა და თბილისი შემოვტარო.

— ქორწილებში არ გეპატივებიათ ხოლმე თქვენი მანქანით?

— უკვე ორჯერ იმგზავრეს ჩემი მანქანით ნეფე-დელოფალმა. მანქანას ორი ლიუკი აქვს, ამიტომ, როდესაც ერთიდან სიძე-პატარძალი იფურება, მეორედან ოპერატორი



ვიდეოკამერით მათ ბედნიერ სახეებს აფიქსირებს...

— ავტონისპექტორები თუ გაჩერებენ ხოლმე და განსაკუთრებული ნებართვა ხომ არ დაგჭირდებათ ამ მანქანის ასანყობად?

— ქუჩაში მოძრაობის წესებს არ ვარღვევ ხოლმე. ამიტომ ავტონისპექტორებს ჩემი მანქანის გაჩერების საბაბს არ ვაძლევ. ისე კი, ცნობისმოყვარე მძღოლები მიქმნიან ხოლმე საფრთხეს: ზოგი, უკეთ შესათვალთვინებლად, ძალიან მიახლოვდება თავისი მანქანით, ზოგი ცდილობს, რომ გამისწროს და წინიდანაც შეათვალთვიოს ჩემი ლიბუზინი. მანქანით თუ სადმე გაჩერდი ხომ, მომენტალურად შემომეხვევა ხალხი გარს. ყველა მეკითხება – შეკვეთით გავიკეთეს ტოლიატიში? – თან მეუბნებიან: – მინიმუმ, 25.000 დოლარი მაინც დაგიჯდება. ერთხელ ერთი აბეზარი კაცი ჩამაცივდა: მითხარი, სად გააკეთებინე? არაფრით არ დამიჯერა, რომ მანქანა ჩემი ხელით იყო აწყობილი. მატყუებო, მითხრა და გამშორდა. ნებართვას რაც შეეხება – ტრანსპორტის უსაფრთხოების ლაბორატორიაში სპეციალური შემოწმება გავიარე. მანქანა საბუთებში „ჟიგული-ლიბუზინის“ სახელითაა რეგისტრირებული. გარწმუნებთ, რომ ასოლოტურად უსაფრთხოა.

— კურორტული შემთხვევები თუ გქონიათ მანქანასთან დაკავშირებით?

— არასოდეს დამავიწყდება ერთი შემთხვევა, როდესაც ჩემს ლიბუზინს ერთი დაჯავშნული ზორბა მამაკაცი მოუახლოვდა, მანქანას მიამტერდა და მეკითხება: მართალია, ახლა ნაბახუსევი ვარ, მაგრამ ეს მანქანა მართლა გრძელია თუ მეჩვენებთ?... ვუბახუსე – „პახმელია“ არაფერ შუაშია, ლიბუზინია-მეთქი. კარგა ხანს მიმტერებოდა. ალბათ მაინც ფიქრობდა, თვალის მატყუებსო.

— მომავალში მხოლოდ „099“-ს ლიბუზინის აწყობას აპირებთ თუ კიდევ გაქვთ მსგავსი გეგმები?

— საკუთარ სახელოსნოს გავხსნი, ჩემს ნამუშევრებს დავაპატენტებ და ბიზნესს გავაფართოებ...



„აფხაზეთის ომის დასრულების შედეგ, იარაღი და საბრძოლო პანაშენი სახლი ნაჟილ“

ომის მონაწილეს უკვე მისთვის დასაბრუნებელი

აფხაზეთის ომის მონაწილე, თუმცა, ამასთანავე სხვადასხვა მიმე დაწინაურებისთვის ოთხჯერ ნასამართლევია, 43 წლის სპარტაკ შეროზია ამ დღეებში უკვე მესამედ ნარდგა სამსჯავროს წინაშე (ოფიციალური ცნობების თანახმად, სპარტაკ შეროზია პირველად პასუხისმგებლობაში 19 წლის ასაკში მისცეს). ამჯერად, პროკურატურა მას სამი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში სდებს ბრალს, მათ შორის — განზრახვას, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის მცდელობაში. შეროზია, რომელიც წარმოშობით სენაკელია (ცოლშვილიანია), კატეგორიულად უარყოფს პროკურატურის ბრალდებას და აცხადებს, რომ მის წინააღმდეგ აღძრული, სისხლის სამართლის საქმე შეითინილი მტკიცებულებების საფუძველზე უკანონოდ „შეკერეს“. პროკურატურა, პირიქით, განსასჯელის სიტყვებს უარყოფს და ირწმუნება, რომ საქმეში შეროზიას ბრალის დამადასტურებელი უტყუარი საბუთებია წარმოდგენილი.

საქმე, განზრახვას მკვლელობის მცდელობის გარდა, ტაქსის მძღოლზე ყაჩაღურ თავდასხმასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას ეხება. ბრალდების თანახმად, შეროზია ტაქსის მძღოლს ავტომანქანის გატაცების მიზნით დაესხა თავს. განზრახვა იარაღის მუქარით განახორციელა და რამდენიმე საათში, მორიგი დანაშაული ჩაიდინა: ურთიერთშელაპარაკების შედეგ, სენაკის რაიონის მკვიდრს, ავტოგასამართი სადგურის მფლობელს, რომლის გვერდით კიდევ ორი პიროვნება იდგა, ავტომობილიდან ტყვიები დაუკნია.

მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე რაიონულ პროკურატურაში აღიძრა. დაზარალებულებმა სამართალდამცავებს ასეთი ჩვენებები მისცეს:

გურიელ ზაქარაძე, დაზარალებული:

„ვაზ 2102“ მარკის ავტომანქანა მყავს. ამ მანქანით ვმუშაობდი და როგორც კერძო ტაქსი, ისე ვმსახურებოდი კლიენტებს. 2003 წლის 21 ოქტომბერს, დაახლოებით საღამოს 5 საათისთვის, სენაკის აგარული ბაზრის ტერიტორიაზე ვიდექი საკუთარი მანქანით. უცნობი მამაკაცი მომხსლოვდა და მოხოვა, სენაკის რაიონის სოფელ მენჯის მიმართულებით წამყვანა. დავთანხმდი. გზაში, ერთ-ერთ შესხვევთან გამაჩერებინა მეზარმა მანქანა. მითხრა, დამიცადეო და თავად საცხოვრებელი კორპუსისკენ წავიდა. უკან როცა დაბრუნდა, ხელში სპორტული ჩანთა ეჭირა. გზა კვლავ კურორტ მენჯის მიმართულებით განაგრძეთ. მოულოდნელად, თავთან იარაღი — რევოლვერი მომადო და მიბრძანა, მანქანა გამაჩერებინა და გადავსულიყავი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოკვლით მეტყუებოდა. მაშინვე მანქანის გასაღებს ვტაცე ხელი, აღუბა მოვასწარი, გადავხტე და შემინებული გავიქეცი, მაგრამ მეზარმა უკნიდან მომძახა —

დაბრუნდი და გასაღები მომეცი, თორემ გესვრიო. შემეშინდა, მართლაც არ შეასრულოს მუქარა-მეთქი და გასაღები მივეცი. მეზარმა ავტომანქანა გაიტაცა და წავიდა.“

სამარტაკ შეროზია, დაზარალებული:

„ინდივიდუალური მეწარმე ვახლავართ. ქალაქ სენაკში, ელიავას ქუჩაზე, კერძო ავტოგასამართი სადგური მაქვს გახსნილი. 2003 წლის 21 ოქტომბერს, დაახლოებით საღამოს ხუთის ნახევარი იქნებოდა, როცა ავტოგასამართი სადგურის წინ თეთრი „ვაზ 2106“ გაჩერდა. მანქანაში დაახლოებით 5-6 პირი იჯდა — მამაკაცები. საწვავის ჩასხმის პროცესში აღნიშნული ავტომანქანის სალონიდან ვიდექი მამაკაცმა შეურაცხყოფელი სიტყვებით მომმართა. ვკითხე — ვინა ხარ-მეთქი? პასუხად ვინება მივიღე. ერთ-ერთი გადმოვიდა მანქანიდან და უცნობურ სიტყვებით დამიწყო ლანძღვა-ვინება. მძღოლი და დანარჩენი მეზარეები აწყენარებდნენ მას, მაგრამ არ ჩერდებოდა. ავტომანქანა დაქოქეს, ეს პიროვნება დატოვეს, დანარჩენები კი წავიდნენ. უცნობი მგინებდა და და მოკვლით მეტყუებოდა. იძულებული ვავხდი, თავდაცვის მიზნით, რკინის კეტი აძეო. ამასობაში თანაშრომელი — მურთაზ ხარბაგაძე მოვიდა. მან შეძლო იმ პიროვნების იქიდან გაყვანა და სიტუაციის განმუხტვა. თუმცა, წასვლიდან დაახლოებით 1 საათში ის ისევ დაბრუნდა, ამჯერად, მწვანე „ვაზ 2102“-ით. იმ მომენტში სხვა მოქალაქის ავტომანქანაში ვისხამდი ბენზინს, ჩემ გვერდით სენაკელი ნუგზარ ქვარცხავა იჯდა. იმ პიროვნებამ პირდაპირ ავტომანქანიდან დაიწყო ჩემს მხარეს დამიხნებით სროლა, დაახლოებით 9-10 მეტრის მოშორებით იდგა ჩვენგან. მე მაშინვე იმ მანქანას ამოვეყარე, რომელშიც საწვავს ვასხამდი, მაგრამ მანამდე ტყვია მაინც მომხვდა და

მხრის არეში დავიჭერი. რაღაც მომენტში სროლა შეწყდა, ვიფიქრე, რომ თავდამსხმელი უკვე წავიდა. მაგრამ — არა, გავიხდე და ისევ იქ იყო. თორემ, ჩემს გამოჩენას ელოდებოდა. დამინახა თუ არა, მაშინვე ატეხა სროლა. მე, ნუგზარ ქვარცხავა და ავტომანქანის მძღოლიც ამ უკანასკნელის მანქანას ეჭვარებოდით. ქვარცხავამ მითხრა — უფრო საიმედო ადგილს შევაფაროთ თავი, თორემ, ყველას ამოგვხვოცავსო. ასეც ვაპირებდით მოქცევას, მაგრამ ამასობაში თავდამსხმელმა იქსურობა დატოვა...“

ავტომანქანის გატაცების თაობაზე დაზარალებულის — ბუკალავას განცხადების შემდეგ, სამართალდამცავებმა მოკვლევა დაიწყეს. გატაცებულ „ვაზ 2102“-ს მათ სენაკის რაიონის სოფელ თეკლათში იმავე დღეს მიაგნეს. მანქანა დაზარალებულს დაუბრუნეს, დამნაშავე კი არსად ჩანდა. 21 დეკემბერს, საღამოს 11 საათისთვის, პოლიციამ სენაკში სპარტაკ შეროზია დააკავა. სამართალდამცავებმა განაცხადეს, რომ ბუკალავას ავტომანქანის გამტაცებელი, ისევე როგორც გარუჩავას მკვლელობის მცდელობაში ეჭვმიტანილი, სწორედ ის ვახლდათ. პროკურატურამ ამ განცხადების საფუძველად, შეგროვილი მტკიცებულებები და დაზარალებულთა მიერ დამნაშავის ამოცნობა დაასახელა.

ბრალდების თანახმად, შეროზიამ ცეცხლსასროლი იარაღი 1992 წელს, აფხაზეთში ყოფნისას შეიძინა. როგორც სამართალდამცავები აღნიშნავენ, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი 2 მჭიდითა და 60 ვაზით, ასევე 1 ხელყუმბარა შეროზიამ ქალაქ ოჩამჩირეში იყიდა, იქიდან კი ქალაქ სენაკში გადაიტანა. პირადი ჩხრეკისას პოლიციამ მისგან დასახელებული იარაღი ამოიღო. საბრალდებო დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ ბუკალავას ავტომანქანის გატაცებისას, შეროზიას სპორტულ ჩანთაში სწორედ ზემოთ აღნიშნული ავტომატური იარაღი ელო, თუმცა დაზარალებული თავის ჩვენებაში იმასაც აფიქსირებს, რომ თავდამსხმელს ხელში „ნაგანის“ რევოლვერიც ეჭირა.

დაკავებულმა შეროზიამ სამართალდამცავების წინაშე ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა, შენახვა, ტარება და გადახიდა აღიარა, მაგრამ ყაჩაღური თავდასხმა და მკვლელობის მცდელობა კატეგორიულად უარყო. ბრალის წარდგენისას მან პროკურატურას ჩვენება არ მისცა და დუმილის უფლება გამოიყენა. საქმის

მასალებში შეროზიას, როგორც ევკვიტა-ნილის დაკითხვისას მიცემული ჩვენება დევს, სადაც ის აღნიშნავს:

„მშობლებთან და ცოლ-შვილთან ერთად სენაკში ვცხოვრობ. 1992 წლიდან, ოჩამჩირის მე-7 ბატალიონის შემადგენლობაში ვიბრძოდი აფხაზ სეპარატისტთა წინააღმდეგ. ავტომატი, რომელიც პოლიციამ ამიიღო ჩემგან, საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ ჩავიტანე აფხაზეთიდან სენაკში. იარაღს ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის სარდაფში ვინახავდი. 2003 წლის დეკემბერში, საღამოს 11 საათისთვის, სარდაფიდან ავტომატი წამოვიღე, ქურთუკის უბეში ჩავმალე, მიხვდით, სახლში მიმეტანა. სწორედ ამ დროს, პოლიციის თანამშრომლებს დამკავეს.

მანამდე, ოქტომბრის ბოლო რიცხვებში, ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე დღის 3 საათისთვის ტაქსი – „ვაზ 2102“ ავიყვანე. იარაღი თან მქონდა. იარაღის მუქარით მძღოლი მანქანიდან გადავსვი, მანქანა კი გავიტაცე. ვზაში ავტოგასამართი სადგურთან შევჩერდი... გარუჟავასთან შელაპარაკება მომიხდა, მან რკინის კეტი აიღო ხელში. შემეჩინდა და მისი დამინების მიზნით, ავტომატიდან რამდენჯერმე ვავისროლე...“

განსასჯელის ადვოკატი – ლევან ბერიძე ამჟამად, ზემოთ აღნიშნული ჩვენების სისწორეს უარყოფს და სამართალდამცავთა მხრიდან შეროზიაზე განხორციელებულ ზეწოლასა და გაყალბებულ მტკიცებულებებზე საუბრობს. რაც შეეხება დაზარალებულთა მიერ დანაშაულის ამოცნობის ფაქტს, ადვოკატი აცხადებს, რომ ამოცნობა პროცესუალური დარღვევებით იქნა ჩატარე-

ბული. მისივე თქმით, შეროზიას პროკურატურამ ის დანაშაულები მიაწერა, რომელიც მას არ ჩაუდენია. „განსასჯელი ამჟამად მხოლოდ ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებით ცნობს თავს დანაშაულს. რაც შეეხება ყაჩაღობასა და მკვლელობის მცდელობის ფაქტებს, აცხადებს, რომ არც ერთ დანაშაულში მონაწილეობა არ მიუღია. აქედან გამომდინარე, ბრალდების ამ ნაწილში სასამართლოსგან გამართლებას მოითხოვთ“, – აცხადებს ადვოკატი.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო პროცესზე დაზარალებულები – ბუჯაღა და გარუჟავა არ ცხადდებიან და სწორედ ამ მიზეზით, სხდომები ზედიზედ გადაიღო. „ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები, არ ცხადდებიან მოწმეები და არც დაზარალებულები. ყოველივე ეს ბრალდების უკანონოზე მეტყველებს. მომავალ სხდომაზე სასამართლოს მიემართეთ შუამდგომლობით, შეროზიას წინააღმდეგ საქმის შეწყვეტის თაობაზე“, – აცხადებს განსასჯელის ადვოკატი.

პროკურატურის ინფორმაციით, სპარტაკ შეროზია პირველად 1980 წელს განმეორებით ჩადენილი ქურდობისთვის გაასამართლეს და 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მორიგი დანაშაულისთვის – ძარცვისთვის სასჯელის ზომად მას 5 წლით პატიმრობა განუსაზღვრეს, 1991 და 1995 წლებში კი შეროზია ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შექმნა-შენახვისათვის გაასამართლეს, თუმცა სასჯელის მოხდისგან აწმისტიის საფუძველზე გაათავისუფლეს.

წარსულში ყაჩაღობისა და ქურდობისთვის ნასამართლევი, 37 წლის რუსთაველი მალხაზ შათირიშვილი რამდენიმე დღის წინ უზენაესმა სასამართლომ გაასამართლა და 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. შათირიშვილი ამჯერად მებობლის, 54 წლის ფარნაოზ მენთეშაშვილის განზრახ მკვლელობისთვის აგებს პასუხს. აღნიშნული დანაშაული ცხრა წლის წინ მოხდა, მაგრამ სამართალდამცავებს მხოლოდ წლეულს მიეცათ საქმის განხილვის საშუალება. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ შათირიშვილი წლების მანძილზე რუსეთში იმალებოდა, შემდეგ კი, კრასნოდარის მხარეში ჩადენილი დანაშაულისთვის იხდიდა სასჯელს.

1995 წლის 18 აპრილს ქარელის რაიონის სოფელ ქვენატკოცის მიმდებარე ტერიტორიაზე, დაუსახლებელ ადგილზე მამაკაცის დამწვარი გვამი იპოვეს. გარდაცვლილი, რუსთაველი ფარნაოზ მენთეშაშვილი აღმოჩნდა. რაიონულ პროკურატურაში იმავე დღეს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. თუმცა იმ დროისთვის სამართალდამცავებმა დანაშაულის ვინაობის შესახებ არაფერი იცოდნენ. ვარაუდობდნენ, რომ მკვლელობასა და შემდგომ, კვალის დაფარვის მცდელობასთან ჰქონდათ საქმე. სამართალდამცავთა ვერსიით, დანაშაული ავტომანქანის გატაცების მიზნით იყო ჩადენილი, რადგან პირველსავე დღეს გაირკვა, რომ მენთეშაშვილს სატვირთო ავტომანქანა „კამაზი“ ჰყავდა. სწორედ შემთხვევის დღეს, იგი ტვირთის გადასაზიდად დაუქირავებიათ, იქ კი, სადაც გვამი იპოვეს, ავტომანქანა არსად ჩანდა. ძიების შედეგად გაირკვა, რომ მენთეშაშვილი მის მეზობლად მცხოვრებმა მალხაზ შათირიშვილმა დაიქირავა, თითქოსდა ვაშლის წასადებად. როცა სამართალდამცავებმა შათირიშვილის ადგილსამყოფელი მოიკითხეს, იგი შინ არ აღმოჩნდა. კვალმა პოლიცია ქარელის რაიონის სოფელ ავლეკში, შათირიშვილების ნათესავების – მესხიძეების ოჯახში მიიყვანა. გატაცე-

რუსთავის №1 ციხის დირექტორს კაბინეტში პარიხუნა უპოვნს

5 ივლისს, დღით, დააკავეს რუსთავის №1 სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორი რევაზ ვარდოსანიძე. ამის მიზეზი, როგორც სამართალდამცავები აცხადებენ, 50 გრამი მარიხუნანაა, რომელიც ციხის დირექტორის კაბინეტში ჩხრეკისას აღმოაჩინეს. ჩხრეკა იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარდა. ვარდოსანიძის კაბინეტი უშიშროების სამინისტროსა და ქვემო ქართლის უშიშროების სამხარეო სამსახურის თანამშრომლებმა დღლის 5-ის ნახევარისთვის გაჩხრიკეს და მარიხუნა და თეთრი ფხენილი ამოიღეს. ფხენილზე ექსპერტიზა ჩატარდება. თავად ვარდოსანიძე უშიშროების დროებითი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს.

საქსოპერატივის შედეგად ყულევში განდა იყვანეს

3 ივლისს გამთენიისას, სობის რაიონის სოფელ ყულევში სპეცოპერაციის შედეგად, სამართალდამცავებმა შეიარაღებული ბანდიტური ჯგუფის წევრები დააკავეს. წარსულში სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი ოთხ პირს ჩხრეკისას ნიღბები, ასაფეთქებელი ნივთიერება, „ფ-1“ ტიპი ხელყუმბარები, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, გადაჭრილი სანადირო თოფები და ტყვიამფრქვევის საბრძოლო ვაზნები აღმოუჩინეს.

დაკავებულთა ვინაობას პოლიცია ვერჯერობით არ ანმაურებს, რადგან ბანდლის დანარჩენი წევრები დაკავებულები არ არიან. თუმცა აცხადებენ, რომ მათ სპეცოპერაციისას წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. სამართალდამცავთა ცნობით, ისინი მორიგი ყაჩაღობის განსახორციელებლად გასვლას აპირებდნენ.

სხრა წლის წინ ჩადენილი დანაშაულისთვის განსასჯელს 15 წელი მიუსაჯეს

განაჩენის თანახმად, მან მეზობელი მოკლა და გვამს ცეცხლი წაუკიდა

ბული „კამაზი“ პოლიციელებს იქ დახვდათ, თავად შათირიშვილი კი, გაიქცა. პროკურატურამ მასზე ძებნა გამოაცხადა, მოგვიანებით კი ცნობილი გახდა, რომ მან რუსეთს შეაფარა თავი.

რუსეთში შათირიშვილმა მორიგი დანაშაული ჩაიდინა. ქურდობისა და ყალბი დოკუმენტის გამოყენებისთვის იგი კრასნოდარის ოლქის სასამართლომ გაასამართლა და 2001 წლის აპრილის განაჩენით, სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ის 2003 წლის 11 ივნისს გათავისუფლდა, იმავე წლის 27 დეკემბერს კი, საქართველოში იქნა ექსტრადირებული.

განაჩენის თანახმად, 1995 წლის 18 აპრილს მალხაზ შათირიშვილმა გამოძიებით დაუდგენელ პირთან ერთად სატვირთო ავტომანქანის გატაცება განიზრახა. მოილაპარაკეს, რომ მის რეალიზაციას ოსეთში მოახდენდნენ და აღებულ თანხას გაინაწილებდნენ. ამ მიზნით იგი ფარნაოზ მენთემაშვილს დაუკავშირდა, რადგანაც იცოდა, რომ მას „კამაზი“ ჰყავდა და თანაც, რადგან ნაცნობი იყო, მის მოტყუებასაც ადვილად მოახერხებდა. მენთემაშვილს უთხრა, თითქოს რუსეთში ვაშლი უნდა გაეტანა გასაყიდად და ამისთვის სურდა მისი დაქირავება. მენთემაშვილი დათანხმდა. შათირიშვილი გამოძიებით დაუდგენელ პირთან ერთად ჩაუჯდა მას ავტომანქანაში და მეტი დამაჯერებლობისთვის, გზად თითქოსდა ფულის სასესებლად, ნათესავის ოჯახში შეიარა. ამის შემდეგ მძღოლს მანქანა სოფელ ქვენატკოცის მიმდებარე ტერიტორიაზე, მინდორთან შეაჩერებინეს. დაახლოებით დილის 9 საათი იყო. მენთემაშვილი ძალით გადაათრეხ მანქანიდან, შემდეგ თავში მკვრივი საგანი ძლიერად ჩაართყვეს და მოკლეს. კვლის დაფარვის მიზნით, გვამს ცეცხლი წაუკიდეს, რათა მისი აღმოჩენის შემთხვევაში, ამოცნობა ვერ მოეხერხებინათ. ამის შემდეგ, შათირიშვილი თავად მიუჯდა საჭეს და თანამონაწილესთან ერთად იქაურობას

გაეცალა. ისინი პირდაპირ სოფელ ავლეკში, მესხიძეების ოჯახში ჩავიდნენ, მაგრამ როგორც კი შეიტყვეს, რომ მათ კვალს პოლიცია დაადგა, ავტომანქანა იქვე მიატოვეს, თავად კი გაიქცნენ...


რუსეთიდან ექსტრადიციის შემდეგ, შათირიშვილმა წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნო. მან არც სასამართლოს წინაშე აღიარა მენთემაშვილის მკვლელობა და განაცხადა, რომ მართალია, გატაცებული ავტომანქანის რეალიზაციას აპირებდა, მაგრამ არც ყაჩაღობა და არც მკვლელობა მას არ ჩაუდენია. შათირიშვილი ირწმუნება, რომ მენთემაშვილს ადრე არ იცნობდა, შემთხვევის დღეს პირველად ნახა.

ბალხაზ შათირიშვილი:

„1992-93 წლებში რუსთავში, „მხედრიონელმა“ თემურ ტალახაძემ გალიდან ლტოლვილი, ასევე „მხედრიონელი“ კახა გამახარია გამაცნო. სწორედ გამახარიამ შემომთავაზა 1995 წლის აპრილში, ვაშლი წაყიდა რუსეთში გასაყიდად, რაზეც დავთანხმდი. რუსთავი-თბილისის ავტობუსის გაჩერებასთან ველოდებოდი. გამახარია თეთრი, უნომრო „ჟიგულიდან“ გადმოვიდა. თან ახალგაზრდა კაცი ახლდა, ვია ერქვა. გვარი არ ვიცი. გორში ავტომანქანების ბირჟაზე ერთ-ერთი „კამაზის“ მძღოლთან მივედი და შევთანხმდით, რომ მეორე დღეს შევხვდებოდით ხაშური-გორის ტრასაზე, კახამ ფულიც კი მისცა მძღოლს. მეორე დღეს დათქმულ ადგილზე შევხვდით. მანქანაში მე და კახა გამახარია ჩავსხედით და მძღოლს ვუთხარი, ქარელის რაიონის მიმართულებით წასულიყო. ჩვენ წინ მიდიოდა თეთრი „ჟიგული“. შემდეგ, გამახარიას მითითებით, მძღოლმა მანქანა გააჩერა. გამახარიამ მითხრა, შენ აქ ჩამოდი, დაველოდე, ვაშლს დავტვირთავთ და მალე დაგბრუნდებითო. მათ მისი ნაცნობი ვია გაჰყვა. იგი თეთრ „ჟიგულიში“ იჯდა. დაახლოებით საათ-ნახევ-

ვარში გამახარია და ვია მარტონი დაბრუნდნენ, მძღოლი არსად ჩანდა. მითხრეს, მანქანა წავართვით, მძღოლი კი მინდორში გაკოჭილი დავტოვეთო. შემომთავაზეს, მანქანის გაყიდვაში დაგვეხმარე, ფულს კი ერთმანეთში გავინაწილებთო. დავთანხმდი. იქიდან ნათესავების ოჯახში წავედი, სოფელ ავლეკში. ვაპირებდით, საღამომდე იქ დავჩენილიყავით და შემდეგ გაგვეგრძელებინა გზა ოსეთისკენ. იქ რომ მივედით, რამდენიმე საათში სახლთან რამდენიმე მამაკაცი მოვიდა, ოჯახის უფროსს კითხულობდნენ. მაშინ გამახარიამ მითხრა – გავიქცეთო. როცა გავბრბოდით, მაშინ მითხრა კახამ, მძღოლი შემოგვაკვდაო. ეს რომ მითხრა, შემეშინდა და დავცილდი. მე რუსეთში წავედი. მას შემდეგ კახა არ მინახავს“.

განსასჯელის ვერსია, რომლის თანახმადაც, ის მხოლოდ გატაცებული „კამაზის“ გაყიდვაში აპირებდა დახმარებოდა ბოროტმოქმედებს, სასამართლო კოლეგიამ სარწმუნოდ არ მიიჩნია. მისი ჩვენება ნაკლებად დამაჯერებლად ჩათვალეს, გამოძიებამ ვერც განსასჯელის მიერ დასახელებულ ბოროტმოქმედთა კვალს მიაგნო და შათირიშვილს საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე ბრალი დაუდასტურეს.



კომპიუტორ ჯემალ სეფიაშვილს გემოვნებასა და სხვა საინტერესო საკითხებზე სასაუბროდ შინ ვესტუმრეთ. ბინაში შესვალთ თუ არა, ხელმარცხნივ თვალში საძინებელი მოგხვდებათ, ხოლო პირდაპირ, სამზარეულო და მის პარალელურად, დიდი მისაღები ოთახი, რომელიდანაც ლამაზი თალით გამოყოფილ ლოჯიაში გადისართ. მისაღები ოთახში ხელმარჯვნივ ბატონი ჯემალის სამუშაო კუთხეა, სადაც ყავისფერი როიალი დგას. მის გვერდით — კომპიუტერი, რომელზეც შვილიშვილის — დადას ფოტოა აღბეჭდილი. იქვეა სინთეზატორიც. მთელი მარჯვენა კედელი ბატონი ჯემალისა და მისი ქალიშვილის — ცისანას, სხვადასხვა ჟურნალის გარეკანზე დაბეჭდილი ფოტოსურათებითაა განწყობილი. როიალის თავზე კომპიუტორის მეუღლის — ქალბატონი მანანას მოზრდილი პორტრეტი კიდია, მის მოპირდაპირე კედელს კი იმავე ფორმის, ოღონდ შავ ფანქარში შესრულებული, ბატონი ჯემალის პორტრეტი ამშვენებს. როიალზე სეფიაშვილების ოჯახის სხვადასხვა ღირსშესანიშნავი ფოტოა განთავსებული.



გემოვნებით გემოვნებით დაჯილდოებულ სეფიაშვილებს დახურული კარადაგი მოსწონთ



თქვენ ოდესმე გაგიგონიათ — ჯემალს რა უგემოვნოდ ეცნობა?..

ნათია ქივიძე

— ძალიან მიყვარს სურათების გადაღება. ოჯახში უამრავი ფოტო გვაქვს. როიალზე რაც არის, თვეში ერთხელ ვცვლი ხოლმე, რათა მრავალფეროვნება შევძინო. თითოეული ფოტო ჩემს კარგ მოგონებებთან არის დაკავშირებული. სხვათა შორის, ინტერნეტში ჩემი საიტიც არსებობს: www.jemalsepiashvili.ge, რომელიც კომპანია — Mdsoft — გააკეთა. ძალიან კარგი ბიჭები არიან. ალბათ თქვენც დამეთანხმებით, რომ იქ ყველაფერი გემოვნებიანად არის შესრულებული.

— ბატონო ჯემალ, საქართველოში ყველამ იცის, რომ კარგი გემოვნება გაქვთ. როგორ ფიქრობთ — ადამიანის გემოვნება თანდაყოლილი ნიჭია თუ შექმნილი თვისება?

— ცხოვრების მანძილზე ისევეა ადამიანი და შეიძლება, გემოვნებაც შეეცვალოს. მაგრამ მაინც მგონია, რომ ადამიანი ან გემოვნებიანი იბადება, ან — უგემოვნო.

— ის აზრი თუ მიგაჩნიათ სწორად, გემოვნებაზე არ დაობნო?

— რა თქმა უნდა, მართალია. მაგალითად, ახლა ეს მისიური რომ მაცვია, ვილაცამ

შეიძლება მითხრას — ასეთი ჩაცმულობა შესაძლებელი არაა... თუ მე მომწონს ეს მისიური და მასში თავს კომფორტულად ვგრძნობ, რატომ არ უნდა ჩავიცვა? მისიურს ზედ ხომ არ ეწერება — ჩაიცვით 20-დან 25 წლამდე?! ვისაც რა და როგორ მოსწონს, ისე აცვია. თქვენ ოდესმე გაგიგონიათ — ჯემალს რა უგემოვნოდ ეცნობა?.. არ გაგიგონიათ, რადგან ვიცი, სად რა უნდა ჩავიცვა... მართალია, ახლა თმა მაქვს შესაჭრელი და ეს ჩემს გემოვნებაში არ ჯდება, მაგრამ ამ დღეებში სალონში მისვლა ვერ მოვახერხებ. ხვალ უკვე ასე აღარ იქნება.

— რაც შეეხება თქვენს ლიტერატურულ გემოვნებას: თუ გახსოვთ, პირველად რომელი წიგნი წაიკითხეთ და ახლა რას კითხულობთ ხოლმე?

— (ცინის) მეოთხე კლასში ვიყავი, „ჩოჩარა“ რომ წავიკითხე. მაშინ ეს ეროტიკულ წიგნად ითვლებოდა. მეგობრებმა ძლივს ვიშოვეთ და ხელიდან ხელში გადადიოდა, სულ გაცვდა. მერე რომელიღაც „ჰკვიანამ“ მოიფიქრა და წიგნი ნაწილებად დაყო: ერთ

ნაწილს მე რომ წავიკითხავდი, იმას სხვას მივცემდი, მეორე მეგობარი კი, შემდეგ ნაწილს მომცემდა და ასე ვაბრუნებდით. საერთოდ კი, ძალიან მიყვარს დოსტოევსკის, შტეფან ცვაიგის შემოქმედება და ვინ მოთვლის კიდევ, რამდენის?.. იქითა ოთახი სავსე მაქვს წიგნებით და არ არსებობს, რომელიმე მათგანი წაკითხული რომ არ მქონდეს. ახალგაზრდობაში ძალიან ბევრს ვკითხულობდი. არ გეწყინოთ, მაგრამ დღეს ახალგაზრდობას წიგნის წაკითხვა ეზარება. ინტერნეტშიც კი, ხშირ შემთხვევაში, გასართობად შედიან. ეს ფაქტი აღმაშფოთებელია. პროფესიონალი ცოტაა, უფრო უსაქმურები არიან...

— როგორ მუსიკას უსმენთ?

— ყველა ჟანრის მუსიკას! კომპიუტერშიც ბევრი მაქვს ჩაწერილი. ნებისმიერი დამისახველეთ და მოგასმენინებთ... ალბათ გაგიკვირდებათ, მაგრამ მომწონს ლექს-სენი. ვინც რა უნდა, ის თქვას, ამ ბიჭმა ქართულ ესტრადაზე ის ცარიელი ნიშა დაიკავა, რომელსაც მელოდიური რეპი ჰქვია. ვერ ვიტყვი, რომ საათობით შემოძლია მისი სიმღერების მოსმენა, მაგრამ ფაქტია, რომ მომწონს, თუმცა ლექსის საერთოდ არ ვიცნობ.



კომპიუტორი ქალიშვილთან, ცისანასთან (მარცხნივ) და მეუღლესთან, მანანასთან ერთად

დადას სისუფთავე და სილამაზე უყვარს...
ჯემალ სეფიაშვილის შვილიშვილები

— თქვენს სიმღერებს თუ უსმენთ ხოლმე?

— მანქანაში როცა ვარ, თუ რადიოში იქნება ჩემი სიმღერა, რატომაც არა? — სიამოვნებით ვუსმენ. მაგრამ სპეციალურად რომ ჩავრთო და მთელი დღის განმავლობაში ვატრიალო, არ შემიძლია.

— ფილმებს თუ უყურებთ ხოლმე?

— საოცარია, მაგრამ ტელევიზორი საერთოდ არ მიყვარს და მისთვის არც მცალია. მიჩვენა, ეს დრო სხვა, უფრო სასარგებლო საქმეს დაუთმო. შეიძლება, საინფორმაციო გამოშვებებს ვუყურო, რომ ვიცოდე, ჩემს ქვეყანაში რა ხდება, მაგრამ ესეც მიჩვენა, რადიოს მეშვეობით შევიტყო. ჩემი ეს სიყვარული იმის გამოა, რომ რადიოში წლების განმავლობაში ვმუშაობდი... ვთვლი, რომ დღეს საქართველოში ძალიან კარგი რადიოსადგურები გვაქვს. რაც შეეხება ფილმებს — აუცილებლად კინოთეატრში უნდა ვნახო, ისიც, თუ თავისუფალი დრო მაქვს, მაშინ. კინოში რომ შევალ და ფილმი დაიწყება, შეიძლება, 5 წუთში ავდე და წავიდე, რადგან ეს დრო ჩემთვის აბსოლუტურად საკმარისია, რომ გავიგო — კარგია ფილმი თუ არა. ფილმის, სპექტაკლის წერების დროს, მის შინაარსს კი არ ვაქცევ ყურადღებას — ვაკვირდები, თუ როგორი ტექნიკა გამოყენებული, რეჟისურა როგორია, მუსიკალური გაფორმება თუ ერწყმის შინაარსს და ა.შ. შარშან, „ჩიკაგო“ მიმოტანეს, DVD-ზე ჩაწერილი. ექვსი საათის განმავლობაში ვუყურებდი სათინახვერიან ფილმს: რაღაც რომ მომეწონებოდა, უკან ვახვევდი და ყველაფერს ვაკვირდებოდი. გავიჟდა ჩემი მეუღლე — შენს ცხოვრებაში ამდენ ხანს ტელევიზორთან არ მჯდარხარო!..

— თქვენი და თქვენი მეუღლის გამოცემა ერთმანეთისას თუ ემთხვევა?

— რა თქმა უნდა. სხვა შემთხვევაში, მანანა ჩემი მეუღლეც არ იქნებოდა. ზმირად ვენმარები ტანსაცმლის შერჩევაში. თუ ოჯახისთვის რაიმე ნივთს შევიძინებ, ვკამათობთ ხოლმე, თუ სად დავდგათ. მერე მანანას ვთხოვ — ჯერ მე შევურჩევ ადგილს და თუ არ მომეწონება, მერე შევცვალოთ-მეთქი. მეტყვის ხოლმე — ეს შენ უფრო კარგად გესმის, ამიტომ მე აღარ ჩავერევი. ასე რომ, ოჯახის წევრები ჩემს გამოცემას ენდობან.

— როგორც ვხედავ ბევრი ფაიფურის სამშენისი გაქვთ.

— მთელ ჩემს ოჯახს ძალიან უყვარს ფაიფური. ზოგიერთი მათგანი გვაჩუქეს, მაგრამ უმეტესი ჩვენ შევიძინეთ სხვადასხვა



ქალაქსა თუ ქვეყანაში. ვერ ვიტან, საოჯახო სერვიზებს რომ გამოფენენ ხოლმე. ჭურჭელი იმისთვის არის, რომ ჩაი დალიო, ისაღილო და არა იმისთვის, რომ ხალხს აჩვენო — ნახეთ, რა მაგარი სერვიზები მაქვსო. ჩვენი ჭურჭლის კარადები დახურულია. სპეციალურად ვიყიდეთ ასეთები.

— რაც შეეხება ცისანას გამოცემას — მამისგან ხომ არ გამოჰყვია მემკვიდრეობად?

— (იკინის) კი, ნამდვილად ასეა. ცისანა ხომ კარგი გოგოა?.. გმირ დედას ვეძახი. ის ძალიან ნაზი, დახვეწილი და გემოვნებიანია. მისი გემოვნებით უკმაყოფილო არასოდეს ვყოფილვარ. ყოველთვის იცის, სად რა უნდა ჩაიცვას, როგორი მაკაიო თუ თმის ვარცხნილობა გაიკეთოს და ა.შ. როგორც იქნა, ცისანას მტანჯველი კონტრაქტი „არტ-იმედთან“ დასრულდა...

— გავიგეთ, რომ „არტ-იმედი“ იშლება...

— ამ კომპანიაზე საუბარი არ მსურს...

— ცისანას უფროს ვაჟს, დადას როგორი გამოცემა აქვს?

— საოცრად ესთეტიკური. დადას სისუფთავე და სილამაზე უყვარს. თუ მისთვის ნაყიდი ტანსაცმელი არ მოეწონება, არც ჩაიცვამს და ჩვენც იძულებული ვხდებით, ვინმეს ვარუქოთ. ახლა თუ მისთვის რამეს ვყიდულობთ, ან დადა მიგვყავს, ან გამყიდველს ვაფრთხილებთ, რომ შეიძლება, ნაყიდი უკან დაუბრუნოთ... ძალიან კარგი ბიჭია. მოკლედ, ჩემს ოჯახში გემოვნება მემკვიდრეობითია... ■



კომპოზიტორი, ინგერნესაიგის შემქმნელებთან ერთად

ბესტი პრუდენსიაზე

1. რომელ სფეროში არ ბაიცივამ ნოვალის პრემია?



- ა) მათემატიკაში;
- ბ) ფიზიკაში;
- გ) ქიმიკაში.

2. ჩამოთვლილთაგან რომელი ქალაქი მდებარეობს თბილისთან და რომთან ერთად ერთ ბრძანებაზე?




- ა) ერევანი;
- ბ) სტოკჰოლმი;
- გ) ბალდადი.

3. ვინი რქვა უფრო ცხინვიანი?



- ა) კამეჩის;
- ბ) სელაპის;
- გ) ჩრდილოეთის ირმის.

4. რომელ ქართულ ფილმში გადაიღეს ცნობილი ფრანგი მსახიობი პიერ რიშარი?



- ა) „რობინზონიდა ანუ ჩემი ინგლისელი პაპა“;
- ბ) „სიყვარული ვენახში“;
- გ) „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი“.

მრავალშვილიანობა საქართველოში მუდამ პოპულარულ თემას წარმოადგენდა. წინათ, მრავალი შვილის ყოლას ბევრი ქართველი ცდილობდა და ამით ადასტურებდა, რომ კარგად უწყობდა დემოგრაფიული პრობლემის მნიშვნელობა. XXI საუკუნეში ჩვენს თანამემამულეთა უმეტესობას ერის გამრავლება, ასე ვთქვათ, სხვის ხარჯზე უნდა: პკითხეთ და ნებისმიერი ქართველი გეტყვით, რომ საფსებით ეთანხმება ჩვენი წინაპრების ანდაზას — ერთი შვილი, არაშვილიო — მაგრამ თავად, სწორედ ამ „არაშვილს“ — ეი. ერთს ან საუკეთესო შემთხვევაში — ორ შვილს სჯერდება და ამის უამრავ მიზეზსაც ჩამოგიტოვლით.

მიზეზი მართლაც, უამრავია: ჯერ იყო და, „ძმურ საბჭოთა ოჯახში“ ვცხოვრობდით და მრავალი შვილის ყოლა „მუშურ-გლეხური სახელმწიფოს“ ხელმოკლე პირობებისთვის ზედმეტ ფუფუნებად გვეჩვენებოდა... დადგა ნანატრი დამოუკიდებლობა და ვისლა ეცალა გმირი დედებისთვის?_ არადა, როგორ უნდა მოუაროს ხუთ ან თუგინდ სამ შვილს ცოლ-ქმარმა, რომელსაც ვერც სამსახური უშოვია და არც სახელმწიფოსგან იღებს რაიმე დახმარებას?... ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ხუთი კი არა — თორმეტი შვილი ჰყავს მოსავლელი. დღეს სწორედ ორ ასეთ ოჯახზე გვინდა მოგიტონოთ.

მოკლე შვილიანი ოჯახები

„ამდენი შვილი იმიტომ გვაჩინე, რომ ჩემი ქვეყანა სხვაზე ცოცხა მეცხად მიყვარს...“

ლელა ჭანკობაძე სოფო ჭონიშვილი

თეთრხევში თორმეტშვილიანი ოჯახის მოძებნა არ გაგვიჭირებია: დიდმა თუ პატარამ, ყველამ იცოდა, თუ სად ცხოვრობდნენ ფანქველაშვილები. ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ალაყაფის კარი შევალეთ და დიდი სამოსახლოს მაგივრად პაწაწინა სახლი შეგვჩინა ხელში. წარმოუდგენელია, როგორ თავსდება სამ ოთახში ცოლ-ქმარი თავისი თორმეტი შვილით, სამი რძლითა და ოთხი შვილიშვილით... სამწუხაროდ, ოჯახის დიასახლისის გაცნობა ვერ მოხერხდა, შინ არ დაგვხვდა. სოფელშია წასული, ბალებს აბუშავებსო, — გაგვიხილა ჩვენი

სტუმრობით დაბნეულმა ოჯახის უფროსმა, რომელსაც თურმე ჟურნალისტები უკვე აღიზიანებენ, რადგან მათგან ბევრი უსიამოვნება ახსოვს, მაგრამ ამაზე მოვივიანებთ ვიამბობთ...

თეთრხევში ჩვენი სტუმრობიდან ორი კვირის შემდეგ, რედაქციაში საშუალო ტანის, მოხდენილი, მხიარული და თვალეზგაბრწყინებული ახალგაზრდა ქალი მესტუმრა. ცოტა არ იყოს, გამიჭირდა იმის დაჯერება, რომ ის ქეთო ფანქველაშვილი იყო: მეგონა, ნაადრევად დაბერებული, ჭადარაშერეული და სახედანაოჭებული იქნებოდა ქალი, რომელმაც თორმეტი შვილი გააჩინა. თურმე მცდარი ყოფილა გაურცელებული აზრი, თითქოს ბევრი მშობ-

ბიარობა ქალს აბერებს... ქალბატონმა ქეთომ არა მარტო თავისი გარეგნობით, არამედ ნაამბობითაც გამოცა.

ქეთო ფანქველაშვილი:

— ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბასილეთში დავიბადე და გავიზარდე. ჩემი მშობლები ყოველთვის ხელმოკლე ცხოვრობდნენ, მაგრამ ოთხი შვილის ღირსეულად აღზრდა მინც შეძლეს. რვა კლასის დამთავრების შემდეგ, მცხეთაში ბიბასთან ჩავუდი. სწავლის გაგრძელება მინდოდა. სწორედ მაშინ გავიცანი ვასიკო ფანქველაშვილი. თბილისის საავიაციო ქარხანაში მუშაობდა. ერთმანეთი შეგვიყვარდა. ცოლად რომ გავყვი, 16 წლის ვიყვი, ვასიკო — 23-ის.

— სად დასახლდით?

— ჩემი მეუღლე თეთრხევის დასახლებაში (სამგორის რაიონი) ცხოვრობდა. ბუდეც იქ მოვიწყვეთ... პირველი შვილი 1976 წელს შეგვიძინა. ბადრი დავარქვით. ის ახლა ორთაჭალის ციხეში ზღაძმედეველად მუშაობს. მეორე ვაჟი, ვია, ერთი წლის შემდეგ გავაჩინე. დელამთილს არ უნდოდა, რომ ორ შვილზე მეტი გვყოლოდა. „საიდუმლოდ“ უნდა გაგიმხილოთ, რომ მესამე შვილი მის ჯიბრზე გავაჩინე. 1979 წელს შოთა შეგვიძინა, 1980 წელს — გონა, 1982-ში — ხეჩა, 1985-ში — თამარი, 1987-ში — თამაზი, 1989-ში — კახი, 1990-ში — გურამი, 1991-ში — ზვიადი, 1993-ში კლარა, 1994-ში — მარიამი. ახლა 47 წლის ვარ. ჩვენი ვაჟები უკვე დაოჯახდნენ, ბადრი, ვია და გონა ცოლიანები არიან... ხშირად მივიქრია: ჩემი რომელიმე შვილი მოისურვებს ბევრი ბავშვის ყოლას-მეთქი? ეჭვი მეპარება, რომელიმემ თორმეტი შვილის აღზრდა შეძლოს. ბედნიერი ვიქნები, ერთ-ერთი მათგანი მაინც თუ გააჩენს ხუთ შვილს.

— რა ხდება იმ ბინაში, რომელშიც იდგა სანოლები თორმეტი ბავშვისთვის და როგორ ახერხებდით თუნდაც, თორმეტი წველი ფეხსაცმლის შექმნას?



ცოლ-ქმარი ფანქველაშვილები, შვილები — ხეჩა, კახი, ვიადი, კლარა, შვილიშვილი ლუკა



ამ სურათზე შვილებს შორის ვია და ხეჩა არ არიან აღბეჭდილნი




შემოდო, ბავშვებიანად ბაზარში წავსულიყავი, ყველანი ერთად წამეყვანა სასეირნოდ... თუმცა, გყუილი იქნება, რომ ვთქვა, არ ცელქობდნენ-მეთქი



თამარი



კლარა



ჩვენთვის ყოველი ახალშობილი, დიდ ბედნიერებასთან ერთად, დიდ პასუხისმგებლობასაც ნიშნავდა. ჩემი მეუღლე მუხლჩაუხრელად შრომობდა. ვერც მე დავვადებოდი და მხოლოდ შვილების მოვლით დავკავდებოდი. ამიტომ მატყლის პირველადი დამუშავების ფაბრიკაში მოვეწყვე მუშად. ისეთი მონდობით ვმშრომობდი, რომ ორჯერ გავხდი დეპუტატი... ახლა პარლამენტის წევრობა წარმოუდგენლად მეჩვენება ჩემნაირი უბრალო ქალისთვის, მაშინ კი შრომაც დამიფასეს და სამშობლოს წინაშე დამსახურებად ჩამითვალეს მრავალშვილიანი დელობა. ასე რომ, მე და ვასიოს გვქონდა შვილების გამოკვების საშუალება. კვება ოჯახში პრობლემას არ წარმოადგენდა. პირიქით, სხვებსაც ვეხმარებოდი... მუშაობა და ღამის თევა ჩემთვის ჩვეულებრივი რამ განხლდათ. ბავშვები ერთმანეთს უკლიდნენ. ძალიან მეხმარებოდნენ. როცა ვინმე გვესტუმრებოდა, ცხრა ბიჭი ისეთ სუფრას შლიდა, ცხრა ქალს რომ გაუჭირდება... თვინიერი, ჭკვიანი ბავშვები იყვნენ. ჩემს შრომას აფასებდნენ. სახლს დალაგებულს მახვედრებდნენ. დამოუკიდებლად მეცადინებდნენ. ყოჩაღიცი ვიყავი: შემოდო, ბავშვებიანად ბაზარში წავსულიყავი, ყველანი ერთად წამეყვანა სასეირნოდ... თუმცა, ტყუილი იქნება, რომ ვთქვა, არ ცელქობდნენ-მეთქი, მაგრამ ამაყად შემოდო ვითხრა, რომ არ ავადმყოფობდნენ. ჯანმრთელობის მხრივ არც ერთს პრობლემა არ შექმნია, თუ არ ჩავთვლით სურდოს, სიცხეს, კბილის ტკივილს ან მუხლების გადატყავებას... არც ტანსაცმლის შექმნა ყოფილა ჩვენთვის პრობლემა. ძირითადად, ერთმანეთის გამონაცვლებში იზრდებოდნენ. თორემ, თორმეტი წყვილი ფეხსაცმლის ყიდვა, ნამდვილად არ იყო იოლი.

— არავინ გეხმარებოდათ?

— კლარა სვანძი აღმასკომის მდივანი იყო. ვერ წარმოიდგენი, როგორ გვეხმარებოდა. ბინის მიღებაში დაგვეხმარა და ბევრჯერ მატერიალური თანადგომაც გავვიწია. ხშირად ჩუქნიდა ბავშვებს სასკოლო ნივთებს. მატყლის პირველადი დამუშავების ფაბრიკას ჩვენთვის „მარშრუტკა“ (ე.ი. მიკროავტობუსი. — ავტ.) უნდა მოეცა, მაგრამ სანამ 1.400 დოლარი არ

გადავიხადეთ, არ მოგვეცეს. ვაზეთში დაიწერა, თითქოს გვარუქეს... ერთხელ, ქალაქის მერის მისაღებში მივედი. ვანო ზოდელავასთან მიხლოდა შეხვედრა, ვერ მოხერხდა. მისი მისაღებიდან ერთი კაცი მომიახლოვდა და მკითხა: მითხარით, რამდენი კაცისგან გაყო შვილები?... საშინლად შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი...

— თქვენთვის არასდროს უკითხავთ, რატომ აჩენთ ამდენ შვილსო?

— ერთხელ ჩემს უფროს ვაჟს ჰკითხეს: რად გინდა ამდენი დედამიშვილი? მან უპასუხა: თერთმეტი ვაჟი რომ ვიყოთ, ფეხურთის გუნდს შევქმნიდით... უფრო მეტი შვილიც რომ გამჩინა, უკეთესი იქნებოდა. ჩვენ ისე ვცხოვრობთ, რომ ერთმანეთს ხელს არ ვუშლით, პირიქით — ერთმანეთის იმედად და ხილად ვართ. არ

თამარი მალე სკოლას დაასრულეს. კონსერვატორიაში უნდა სწავლის გაგრძელება.

— რა არის თქვენთვის ყველაზე დიდი პრობლემა?

— უბინაობა. უფროსი ბიჭები იძულებული გახდნენ, ოჯახიდან წასულიყვნენ. ორივე თავიანთი ცოლ-შვილით, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს. მაგრამ ბინაზე მეტად, სახელმწიფოსგან მრავალშვილიან დედებს დაცვა გვჭირდება. სულ ერთი და იგივე ქალები იღებენ დახმარებებს. სოციალური უზრუნველყოფის ფონდში რამდენჯერმე შევიტანე განცხადება, ერთჯერადი დახმარება რომ მოეცათ, მაგრამ ამაოდ. სულზე 20 ლარია დახმარება. 200 ლარის აღება პრობლემა გახდა. არ ვიცი, ვინ არიან ის დედები, რომლებიც წელიწადში რამდენჯერმე იღებენ დახმარებას. მე მხოლოდ 5 ლარს ვიღებ არასრულწლოვან ბავშვებზე — ეს არის და ეს. არ შემოდო, მიტინგი მოვაწყვი და დახმარება მოვითხოვე... საერთოდ, მიკვირს, სად აქეთ მრავალშვილიან ქალებს მისი დრო, რომ ამა თუ იმ პარტიის მხარდასაჭერ მიტინგებზე დაადამონ და გაათენონ. მე მიჭირს თუ მიღხინს, არავის ვაწუხებ და ჩემი შვილები გამოკვებეთ-მეთქი, არ ვითხოვ.

— გაჭირვება თუ უგრძობი თქვენს შვილებს?

— ძალიან რთული პერიოდი გვქონდა, მაგრამ არავისთვის მითქვამს: მიშველეთ-მეთქი. ჩემი მეუღლე სახურავიდან გადმოვარდა და დაიმტვრა. მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. მაშინ ვიგრძენი, რა ბედნიერებაა ბევრი შვილი: მხარში ამომიდგნენ და ყველამ ერთმანეთს ეს პრობლემა დაგადლევიან... ხუთოთახიანი ბინა გვქონდა მუხიანში. გავეციდეთ და იმ ფულით ოჯახის მამა ფეხზე დავაყენეთ. მაგრამ ამას წლები დასჭირდა. იცით, როგორ გვიჭირდა?... არც საჭმელ-სასმელი გვქონდა და არც იმის იმედი, რომ ეს სამინელება

ჩვენ შესახებ ბევრი იწერებოდა. მაგალითად, დაიწერა, თითქოს მანქანა გვარუქეს. მაგრამ ეს ინფორმაციები ყოველთვის გაბუქებული იყო

მესმის იმ დედების, რომლებიც შვილებს იმ მიზეზით არ აჩენენ — აქაოდა, კარგ განათლებას ვერ მივალენებთო. მხოლოდ განათლება, ჩაცმა და გართობა არ არის ბავშვისთვის აუცილებელი. მრავალშვილიანი ოჯახი ერთგვარი აკადემიაა, სადაც ურთიერთგაუგებანს, ერთმანეთის სიყვარულს და კაცთმოყვარეობას სწავლობენ!.. არ ვიცი, რატომ გაეაჩინე ამდენი შვილი, ალბათ იმიტომ, რომ ჩემი ქვეყანა სხვაზე ცოტა მეტად მიყვარს: მე იმით ვემსახურე ჩემს სამშობლოს, რითიც შევძელი. თუ ვიღაცამ შვილი სასწავლებლად უცხოეთში გაუშვა და გენერალი აღზარდა, მე იმ გენერალს ცხრა ჯარისკაცი გაუუჩინე და აღვუზარდე...

— ბავშვები როგორ სწავლობენ?

— უფროსები მუშაობენ და მატერიალურად გვეხმარებიან. უმცროსები კი XIX საუკუნის სკოლაში სწავლობენ. მუსიკალური ბავშვები არიან. მარი და თამარი ფლეიტაზე უკრავენ, კახა და ზვიადი — ვალტორნაზე, თამაზი — კონტრაბასზე უკრავს, გურამი — ტრომბონზე.

მალე დამთავრდებოდა. სწორედ იმ პერიოდში, კლარა სვანიძემ ჩვენთვის დახმარება ითხოვა და განცხადებები გამოაქვეყნა. განცხადებას ვლდანის მაშინდელი გამგებელი სოსო ვაშაყიძე გამოეხმაურა. ყველა გაზეთმა დაწერა, თითქოს ბატონი სოსო თითოეულ ბავშვს ათასათას ლარს გადაურიცხავდა, მაგრამ პირობა პირობად დარჩა... ჩვენ შესახებ ბევრი იწერებოდა. მაგალითად, დაიწერა, თითქოს მანქანა გვაჩუქეს. მაგრამ ეს ინფორმაციები ყოველთვის გაბუქებული იყო. ამიტომ აღარ სჯერა ჩემს მეუღლეს ჟურნალისტების. გაჭირვების წლებში სახლიდან ნივთები გამქონდა. ბაზარში დადგომა ვერ შეგძელი. ამიტომ ვაჭრებს ვაძლევდი გასაყიდად. თითქმის ყველაფერი გავყიდე, ბავშვები შიმშილისგან რომ მეხსნა. მაგრამ ჩვენს ცხოვრებაში სასიხარულო უფრო

წიფილ „გმირი დედის“ ოქროს მედლით დაჯილდოვდა.

– ბაღდათის რაიონში, სოფელ საკრაულაში დავიბადეთ. მშობლები ჩვეულებრივი მშრომელი ადამიანები იყვნენ. მიუხედავად მაშინდელი გაჭირვებული პერიოდისა, ჩვენს ოჯახს არასოდეს უჭირდა. ძირითადად, სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვსაზრდობდით. მამა დიდი სამუშაო ომის მონაწილე გახლდათ, მეორე ვაგუფის ინვალიდი იყო და სახელმწიფო პენსიას – 80 საბჭოთა მანეთს უხდიდა. დედა კი მოწინავე კოლმეურნედ ითვლებოდა და გასამრჯელოდ 40 მანეთს იღებდა ყოველთვიურად. ასე რომ, მთელი ჩვენი ოჯახის ბიუჯეტი თვეში 120 მანეთი იყო.



რემო კელენჯერიძე დედასთან ერთად

რადგან თვითონ მამაჩემი დედამიშვილური სიყვარულის ნაკლებობას განიცდიდა, უთქვამს: ცოლს რომ მოგიყვან, ღმერთი რამდენსაც მაჩუქებს, იმდენს გაგაჩენო

მეტი იყო. მახსოვს, მეცხრე ბავშვი რომ გავაჩინე, ჩაჩაყავს სამშობიარო სახლში ნამდვილი დღესასწაული მოგვიწვევს. ექიმები ფულითაც კი დაგვეხმარნენ. ჩემს ვაჟს ექიმ გურამ გოცაძის პატივსაცემად დავარქვი გურამი. ერთი სამარშრუტო ტაქსი საჩუქრებით და ტანსაცმლით გაავსეს ექიმებმა და შინ ისე გამოგვიშვეს. ასე რომ, პრობლემები რა სახისნებელია, როცა ღმერთმა ცხრა ვაჟისა და სამი გოგონას დაბადების სიხარული მარგუანა?!. თორმეტი შვილის დედა ხომ, პირველ რიგში, ბუნებრივია. თანაც, არც ერთი ჩემი შვილი არ არის გზასაცდენილი, უწყესო, უზნეო... ყველანი კეთილშობილები არიან, უფროსმა ბიჭებმა სავალდებულო სამხედრო სამსახური უკვე მოიხადეს. ახლა უმცროსების ჯერია. უბრალო ამბავი ხომ არ არის? – ერთი ოჯახიდან ცხრა ვაჟს შეეძლოს სამშობლოს დაცვა!..

კელენჯერიძეების მრავალრიცხოვანი ოჯახის დიედა ქალბატონი ვოგუცა 18 წლის ასაკში 34 წლის მიკიტო კელენჯერიძეს მისთხოვდა. ახლა ის 12 შვილის დედა, 18 შვილიშვილისა და 12 შვილთაშვილის ბებიაა. მათ მრავალსულიან ოჯახს განუზომელი სითბო და სიყვარული ასაზრდოებს. ჩვენი რესპონდენტი რემო კელენჯერიძე ქალბატონი ვოგუცას მეთუე შვილია, რომლის დაბადების შემდეგ, ქალბატონი ვოგუცა სახელმ-

— 120 მანეთით როგორ ახერხებდნენ მშობლები 11 შვილის რჩენას?

– სულ 12 დედამიშვილი ვიყავით, მაგრამ ერთი წითელა ბატონებით დაიღუპა და 11-ნი დავრჩით. რაც შეეხება რჩენას – არასოდეს გვიჭირდა. მამაჩემი დიდ ადგილ-მამულს ფლობდა, ჩვენც ვეხმარებოდით – ვბარავდით, ვთესდით, მოსავალს ვიღებდით. შემდეგ, მშობლებს აღებული მოსავალი რაიონის ბაზარში გაჰქონდათ გასაყიდად და ნორმალური შემოსავალი გვქონდა.

— რამდენი და და რამდენი ძმა ხართ?

– ექვსი ძმა და ხუთი და. დედაჩემიც მრავალწევრიანი ოჯახიდან იყო, მამა კი

დელისერთაა, ამიტომ ბევრი შვილის გაჩენის სურვილი უფრო მეტად მამას ჰქონდა. მის მშობლებს თურმე, წლების მანძილზე არ უნდებოდათ შვილი. გაუგიათ, რომ ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობდა ქალი, რომელიც ლოცვებით კურნავდა უშვილობას. ბებია და ბაბუაც, რა თქმა უნდა, წასულან. მლოცველ ქალს „შელოცვილი“ ვაშლი შუაზე გაუჭრია, ნახევარ-ნახევარი ცოლ-ქმრისთვის მიუცია და უთქვამს: ბავშვი აუცილებლად გეყოლებათ და თუ ბიჭი იქნება, მიკიტო დაარქვით: მიკიტო მაგარს ნიშნავს და ჯანმრთელი და ძლიერი ბავშვი გაიზრდებაო... მართლაც, 9 თვის შემდეგ, მამაჩემი – მიკიტოც დაბადებულა. მაგრამ მეტი შვილი მშობლებს აღარ გასჩენიათ. რადგან თვითონ მამაჩემი დედამიშვილური სიყვარულის ნაკლებობას განიცდიდა, უთქვამს: ცოლს რომ მოგიყვან, ღმერთი რამდენსაც მაჩუქებს, იმდენს გაგაჩენო, – და შეასრულა კიდევაც პირობა.

— რამდენია ასაკობრივი სხვაობა და-ძმებს შორის?

– განსხვავება 2-3 წელია, მეტი არა. ყველაზე უფროსსა და ყველაზე უმცროსს შორის სხვაობა 18 წელია.

— დედას არ უჭირდა 11 შვილის აღზრდა? უფროსები აქტიურად მონაწილეობდით პატარა და-ძმების მოვლა-პატრონობაში?

– დედას, რა თქმა უნდა, უჭირდა, 11 შვილის აღზრდა იოლი ნამდვილად არ არის. მას ბებიაც ეხმარებოდა, მამაჩემის დედა. ჩვენც, უფროსები, როცა დედა ნაკვეთში საშუალო მიდიოდა, პატარებთან ვრჩებოდით და ვცდილობდით, სამსახურიდან შინ დაბრუნებული დედისთვის ყველაფერი წესრიგში დაგვევადრებინა.

— სახელმწიფო თუ გენმარებოდათ, როგორც მრავალშვილიან ოჯახს?

– მახსოვს, იყო ისეთი ოჯახები, რომლებიც შვილებს იმის გამო აჩენდნენ, რომ სახელმწიფოსგან დახ-



კელენჯერიძეების კარ-მიღამო

მარეები მიეღოთ. ჩვენ კი... ერთადერთი, რაც მასსოვს, სახელმწიფომ დღე-მამას „ოქროს ქორწილი“ — ქორწინების 50 წლისთავი გადაუხადა. ამ დროს, ჩვენ უკვე დიდები ვიყავით. ნაწილი ზესტაფონში ცხოვრობდა, ნაწილი — თბილისში; ყველანი მიგვიწვიეს ჩვენი შვილებიანად, რამდენიმეს შვილიშვილებიც ჰყავდა უკვე. დიდი სუფრაც გაიშალა. ორგანიზატორებს კინოოპერატორიც ჰყავდათ მოყვანილი, რომელმაც 15-წუთიანი დოკუმენტური ფილმი გადაიღო. ეს ფილმი სახელმწიფო ტელევიზიის ეთერში გავიდა, სახელწოდებით — „ვაშა ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას!“ ეს იყო 1980 წლის 25 ოქტომბერს.

— ოჯახს თუ ჰქონდა საშუალება, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ, უმაღლეს სასწავლებლებში გაგვერძელებინათ სწავლა?

— დედაჩემი იმდენად ყოჩაღი და მარჯვე ქალი იყო და არის, რომ ყველა შვილი გზაზე დაგვაყენა, ჩვენ-ჩვენი პროფესია აგვარჩევინა და არც ერთი არ მიგვაჯაჭვა სოფელს. გვეუბნებოდა: უნდა ისწავლოთ და თქვენი ცოდნითა და შრომით არჩინოთ ოჯახები!.. ერთ-ერთი ჩვენი და, გურიის ჯიხეთის ეკლესიის მონაზონია, უკვე დიდი ხანია, ღვთის სამსახურშია.

ძრავალშვილიანი დედა, ქალბატონი გოგუცა ახლა 86 წლისაა და ისევ ამაყად დასტრიალებს საკუთარ ოჯახს. ერთადერთი შვილი ჰყავდა დაუქორწინებელი, რაზეც თურმე ძალიან ნერვიულობდა და წელს ისიც დაუნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ შვილები ეხვეწებოდნენ მას, ჩამოვიდეს მათთან ქალაქში, თუნდაც ცოტა ხნით, მაინც არ ადგამს ფეხს ქმრის დანატოვარი სახლიდან, რომელიც უკვე 100 წლისაა და ზაფხულობით იქ ელოდება ხოლმე შვილებს, შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს.



გოგუცა კელენჯერიძე ძმებთან ერთად

„შუშის ბავშვები“ — ქართველი ექიმებისთვის ნაკლებად სწავლილი სანი

ოსტოგენეზის ინფერფექტა ანუ დაუსრულებელი ოსტოგენეზი საქართველოში იშვიათი დაავადებაა. „შუშის ბავშვები“ — ასე მოიხსენიებენ ამ დაავადებით შეპყრობილ პატარებს, რომელთაც ძვლების სიმყიდის გამო, ხშირი მოტეხილობა აწუხებთ. მოტეხილობების რაოდენობა — რომელიც ზოგჯერ, ასამდეც კი აღწევს(!), დამოკიდებულია დაავადების სიმძიმის ფორმაზე.

ირინა უბარაშვილი

საქართველოში სულ ორიოდე წელია, რაც ტრავმატოლოგიურ-ორთოპედიულ კლინიკაში შემუშავდა ამ სენით დაავადებული ბავშვების მკურნალობის პროგრამა, რომელიც საქართველოს ერთიანი სახელმწიფო სადაზღვევო ფონდის მიერ ფინანსდება. კლინიკაში 28 ბავშვია აღრიცხული, თითოეული მათგანის მკურნალობის კურსის ღირებულება, როგორც კლინიკის დირექტორმა მირაზ ჩხატარაშვილმა გვითხრა, 2.000 ლარს შეადგენს.

— ბატონო მერაბ, რამდენად ცნობილია ეს დაავადება და როდის დაიწყეს ამ ბავშვების მკურნალობა თქვენს კლინიკაში?

— ეს საკმაოდ იშვიათი დაავადებაა და აქედან გამომდინარე, არა მარტო



დიატრების დამსახურებაა ის, რომ მათ მოიპოვეს სრული ინფორმაცია ამ დაავადებისა და მისი მკურნალობის შესახებ, რის შემდეგაც დააარსეს ასოციაცია — „შუშის ბავშვები“.

— როგორი დაფინანსება აქვს ამ დაავადების სამკურნალო პროგრამას?

— საქართველოს ერთიანი სახელმწიფო სადაზღვევო ფონდი ამ სენით

ბავშვისთვის ხელის მოკიდებაც კი საშიში იყო, ისე სწრაფად უვითარდებოდა მოტეხილობა...

ფართო მასებისთვის, არამედ ექიმებისთვისაც კი ნაკლებად ცნობილია. ამ დაავადებით შეპყრობილ ბავშვთა მკურნალობა ჩვენს კლინიკაში XX საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო. ვინაიდან ჩვენი ტექნიკური ბაზა არასრულფასოვანი იყო, საგრძნობლად იკლო იმ ავადმყოფთა რაოდენობამ, რომლებიც ექიმებს მიმართავდნენ... სწორედ ჩვენს კლინიკაში მომუშავე ასალგაზრდა პე-

დაავადებულ ბავშვებს ყოველგვარი პრობლემების გარეშე აფინანსებს. სახელმწიფო სადაზღვევო ფონდის მესვეურების — ვახტანგ სურგულაძის და არჩილ მორჩილაძის მხარდაჭერით შექმელით, ეს პროგრამა ჩამოგვეყალიბებინა და განგვეხორციელებინა. ჩატარებული მკურნალობის ერთი კურსის შემდეგ, რამდენიმე ბავშვი კარგ მდგომარეობაში წავიდა ჩვენთან, მაგრამ ეს მკურნალო-

ბის სრული კურსი ნამდვილად არ არის: 3-4 თვეში ერთხელ, კურსი უნდა გამეორდეს. მართალია, ამისთვის, საკმაოდ ძვირად ღირებული პრეპარატებია საჭირო, მაგრამ სახელმწიფო კისრულობს ამ დიდ ხარჯებს, იმისთვის, რათა დასწეული ბავშვები არ დაინვალიდნენ. თითო ამპულა 122 დოლარი ღირს, ხოლო მკურნალობის თითო კურსი – 2.000 ლარი ჯდება. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მუნიციპალიტეტის ახალი ხელმძღვანელობა მხარს დაგვიჭერს ამ კეთილშობილურ საქმიანობაში.

დაავადების მიზეზებზე, დიაგნოსტიკების მეთოდებსა და მკურნალობის შედეგებზე „შუშის ბავშვთა“ ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელს **ხათუნა საბანელიძეს** ვესაუბრეთ.

— რა ინვესს ამ დაავადებას და გენეტიკურია თუ არა იგი?

— საერთოდ, ეს დაავადება გენეტიკურია, მემკვიდრეობით გადაიცემა, 50 პროცენტის ალბათობით. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც მუცლადყოფნის პერიოდში მოქმედი სხვადასხვა ფაქტორი – რადიაცია, ვირუსული ინფექცია და სხვა – იწვევს იმ გენის ცვლილებას, რომელიც ძვლის შემადგენლობას განსაზღვრავს. შედეგად ძვალი არასრულფასოვანი ხდება, რაც მას იოლად მტვრევადს ხდის.

— ამ დაავადების დიაგნოსტიკა მუცლადყოფნის პერიოდში თუ არის შესაძლებელი?

— სამწუხაროდ, ჩვენში ჯერჯერობით ამის გამოცდილება არ არის. საქართველოში გენეტიკური ანალიზი ვერ კეთდება. გერმანიაში კი მისი ღირებულება 10.000 ევროს აღწევს.

— რა ასაკში და როგორ ვლინდება ეს დაავადება?

— ამ დაავადების გამოვლინება იწყება 2-3 წლის ასაკში – ე.ი. 2 წლამდე ბავშვი სრულიად ჯანმრთელია. მშობელი პირველსავე შემთხვევას, პირველსავე მოტენილობას ყურადღებას არ

აქცევს, ხოლო მეორე მოტენილობაზე უკვე ეჭვი უჩნდება. მაგრამ ამის მიზეზად ექიმები ხშირ შემთხვევაში, კალციუმის ნაკლებობას მიიჩნევენ... რაც უფრო მეტ ცოდნას შევიძენთ ამ დაავადებაზე, მით უფრო ყურადღებით იქნებიან ჩვენი ექიმები – პედიატრებიც

და გინეკოლოგებიც. ამ ბავშვებისთვის დამახასიათებელია ხშირი მოტენილობა, ცისფერი სკლერა და კბილების პათოლოგიური ცვეთა. კბილის ცვეთა კი უკვე ეჭვს უნდა ბადებდეს...

— როგორია ამ დაავადების მკურნალობის შედეგი?

— პირველი მკურნალობის კურსი – რაც ჩვენს პაციენტებს უკვე ჩაუტარდათ, – საკმაოდ შედეგიანი აღმოჩნდა. ამათგან ყველაზე მძიმე, ილია კობაძე (გვარ-სახელი შეცვლილია. – რედ.) გვყავდა: მას ასამდე მოტენილობა ჰქონ-



— ლეტალობის შემთხვევა რამდენად ხშირია ამ ბავშვებში?

— საერთოდ, ამ დაავადების 4 ტიპი არსებობს. მათგან მეორე ტიპი ლეტალურ ფორმას წარმოადგენს – ე.ი. ბავშვი დაავადების გამოვლენიდან სამ თვემდე ცოცხლობს, ხოლო შემდეგ იღუპება. ჩვენ ჯერჯერობით ასეთი შემთხვევა ნამდვილად არ გვქონია.

— ძირითადად, რას ისახავს მიზნად თქვენი ასოციაცია?

— ჩვენი მიზანია, მეტი ინფორმაცია გავავრცელოთ ამ დაავადების

საჭიროა, მკურნალობით მივიყვანოთ ეს ბავშვები გარდატეხის ასაკამდე, რის შემდეგაც დაავადება საშიში აღარ იქნება

და და ფაქტობრივად, განძრევაც კი არ შეეძლო. ეს ამ დაავადების ერთ-ერთი უმძიმესი ფორმაა. ბავშვისთვის ხელის მოკიდებაც კი საშიში იყო, ისე სწრაფად უვითარდებოდა მოტენილობა... ახლა კი, მკურნალობის პირველი კურსის შემდეგ, მას უკვე აბსოლუტურად მოეხსნა ტკივილები და მოძრაობაც კი შეუძლია, რასაც ადრე საერთოდ ვერ ახერხებდა.

შესახებ ექიმებს შორის, რათა დროულად მოხდეს დიაგნოსტიკა და მკურნალობის დაწყება, რაც შეამცირებს ამ ბავშვების დაინვალიდების რისკს. აგრეთვე საჭიროა, მკურნალობით მივიყვანოთ ეს ბავშვები გარდატეხის ასაკამდე, რის შემდეგაც დაავადება საშიში აღარ იქნება.



ილია კობაძე და ექიმი თამარ ჭილაძე



არა შეჯდა მეყერი ხესა



ზოგიერთი ადამიანი იღბლისა თუ მოხერხებულობის წყალობით, უცებ ამოტივტივდება სოღმე ცხოვრების ზედაპირზე. ზოგი მშვენივრად შეიშნობს ბედის საჩუქარს, ზოგიერთი კი — ვერა. დღევანდელი „გზაჯინების“ მთავარი პერსონაჟები სწორედ ის ადამიანები არიან, რომლებმაც ვერ შეიშნეს ესა თუ ის მდგომარეობა და დღეს, წარსულს მისტირიან...

მარი ჯაშარიძე

„ანგელოზით გოგომ შემეყვარა ბოროტმოქმედი, მე კი...“

ვიდრე მკითხველთა მესიჯებს გაგაცნობთ, მინდა, ერთ ისტორიულ ფაქტზე შევაჩერო თქვენი ყურადღება: XVII საუკუნის პირველ ნახევარში, ოდიშის მთავარი გახლდათ ლევან დადიანი. მან ობოლი ბიჭი, პაპუნა შეიფარა, გაზარდა და შემდეგ, თავის კარზე ვეზირად დანიშნა. აღსანიშნავია, რომ ლევანი სისასტიკით გამოირჩეოდა, მაგრამ პაპუნა მეტისმეტად უყვარდა და მის მიმართ ძალზე ლობობიერი გახლდათ. ლევანს ცოლად ჰყავდა აფხაზეთის მთავრის, შერვაშიძის ასული — მშვენიერი თამუნა. ლევანს ძალზე უყვარდა მეუღლე, მაგრამ საკუთარ ბიცოლას — გიორგი ლიპარტიანის ცოლს, ახლგაზრდა ჭილაძის ქალს, დარეჯანს დაადგა თვალი. მის ცოლს კი — დედოფალ თამუნას, მისივე ვეზირი, პაპუნა ეტროფოდა. პაპუნასა და თამუნას ფარული სიყვარულის ამბავი მთავრის ყურამდე მივიდა. განრისხებულმა ლევანმა ცოლი გააგდო და ბერძნების წესისამებრ, ცხვირი მოსჭრა. შემდეგ საშინლად დაარბია აფხაზეთი, მაგრამ საკუთარი ვეზირის სათანადოდ დასჯა ვერ გაბედა, რადგან პაპუნა სამეგრელოში დიდი ავტორიტეტით სარეგებლობდა და ეს შესაძლოა, შინააშლილობის მიზეზი გამხდარიყო. დატუსაღებული პაპუნა ლევანმა გურიის მთავარს გადასცა. ვეზირყოფილმა ლევან დადიანის მოკვლა განიზრახა და შეთქმულების მზადებას შეუდგა, მაგრამ მისი ჩანაფიქრი გამყვანდა. შეთქმულების მოთავე „ჯერ ღამით დაახრჩვეს და მერე დღისით ერთ დიდ ზარბაზანში ჩადეს, ცეცხლი მისცეს და ამგვარად მისი სხეული, ნაკუწ-ნაკუწ ქცეული, ჰაერში გაიბნა“. აი, ასე დამთავრდა იმ ვეზირის ცხ-

ვორება, რომელმაც ვერ შეიშნო მთავრის სიყვარული და პატივისცემა...
ახლა კი ჩვენს XXI საუკუნესა და ერთგულ მკითხველებს დაგებურნდეთ. ნუ ეცდებით, გვერდით მყოფი მხოლოდ თქვენთვის მისაღებ ადამიანად გარდაქმნათ, განსაკუთრებით, თუ ის 30-ს გადაცილებულია, თანაც გაითვალისწინეთ, რომ „მართლ წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამც არ უშველა?“ მოუესმინოთ პირველ რეზონდენტს. ის 38 წლის მამაკაცია:

„ჩემს თანამშრომელს ჰყვარობდა...“

„ეს დალაგებული ქვეყანა სწორედ მაშინ აირია, მე რომ კაცად ჩამოვყალიბდი და ოჯახს მოვეყიდე. მოვლენები ისე სწრაფად იცვლებოდა, რომ დავიბენი. ოჯახს საარსებო წყარო არ ჰქონდა. აქეთ ვეცი, იქით ვეცი და კოოპერატივი ჩამოვყალიბე (მაშინ მოღაში იყო)... ისეთ ვალებში ამოვყავი თავი, რომ გამოსავალს ვეღარ ვპოულობდი. ერთადერთი „გზა ხსნისა“ უცხოეთში წასვლა გახლდათ და მეც გეზი ამერიკისკენ ავიღე. 1993 წელი იყო. დავიწყე მუშაობა და როგორც იქნა, ვალები გავისტუმრე. შემდეგ ფულის შეგროვება დავიწყე, ოჯახსაც ვუგზავნიდი და ამასობაში 7 წელი ისე გავიდა, ვერც კი გავიგე. ბოლოს გადავწყვიტე, დაებრუნებულყავი. ოჯახი უკვე მოძლიერებული იყო, ბინაც ვიყიდე, მოვაწყვეთ კიდევ, გვარიანი თანხაც მქონდა დაგროვილი და დამშვიდებული დაგებრუნდი ოჯახს. ჩემსა და ჩემს მეუღლეს შორის პირველსავე დღეებიდან დაიწყო უსიამოვნებები. ვგრძნობდი, რომ ჩემი დან-

ახვაც აღიზანებდა, ალერსიც, საუბარიც და მგონი, რომ ვსუნთქავდი, ისიც. ვიფიქრე, უბრალოდ, გადაჩვივა ქმრის შინ ყოფნას-მეთქი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მას ჩემი არყოფნის დროს, სხვა კაცი შეჰყვარებია... ძალზე გამიჭირდა ოჯახის დანგრევა. უფროსი შვილი 11 წლის იყო, მომდევნო — 9-ის. მათთან ყოფნა ძალზე მინდოდა, მაგრამ მოღალატე ცოლის გვერდით ცხოვრება არ შემეძლო. არ იფიქროთ, რომ მაშინაც ასეთი მშვიდი ვიყავი, როგორც ახლა, მესიჯის წერის დროს. დიდი სკანდალით დავშორდი ერთმანეთს. თითქოს ყველაფერი დამთავრდა... თბილისში გაჩერება აღარ მინდოდა. ჯერ ვიფიქრე, რაიონში მშობლებთან წავალ-მეთქი. მერე გადავიფიქრე და თბილისთან ახლოს, სოფელში დასახლება გადავწყვიტე. ყველაზე მეტად მცხეთისკენ გამიწია გულმა. ბინის შესაძენად ვეწვიე უძველეს ქალაქს, გავიკითხ-გამოვიკითხე, ბევრი გასაყიდი სახლი ვნახე. ბოლოს ერთ ორსართულიან, დანგრევის პირას მისულ სახლს მივაღექე. შინ ასე, ჩემი ასაკის ქალბატონი დამხვდა. თურმე, მასაც ბევრი ვალი დაჰგროვებია და სახლს ამიტომ ყიდა. ქვრივი ქალი იყო, ერთი შვილი ჰყავდა. გადავწყვიტე, ეს სახლი შემიძინა. ვიფიქრე, იაფია, თანაც აშენებულს დავანგრევ და სასახლეს წამოვჭიმავ-მეთქი. ქალმა მიხოვა — ვიდრე სხვა ბინას ვიყიდი, ეზოში რომ ერთი ოთახი დგას, დროებით იქ ვიცხოვრებო. დავთანხმდი... დავიწყე ძალზე დიდი სახლის აშენება, მუშებს ყოველდღე ვაკითხავდი, ამ ქალსაც ვნახულობდი და ერთ დღესაც გადავწყვიტე — მოდი, დაქორწინდები, სოფელში გაზრდილი ქალია, ერთგული იქნება, სახლ-

კარსაც მოუვლის და მეც ყურადღებით მომეკცევა-მეთქი. თანაც, გარეგნობაც არ ჰქონდა ცუდი. ჰოდა, სწორედ ასე მოვიქეცი. ამ დროისთვის, უკვე კარგი სამსახურიც ვიმოვე, უფრო სწორად – ვიყიდე. საკმაოდ კარგ წრეში მოვხვდი და დავიწყე ამ ქალის „გამოჩორკნა“, ჩემ გვერდით თამამად რომ გამოემჩინა. შევუძინე საუცხოო სამოსი და კოსმეტიკა, წაიყვანე სალონში, დავაწყებინე უცხო ენის შესწავლა. ერთადერთი, რაც ვერ გამოვუსწორე, მეტყველება და სიარული გახლდათ. რაღაცნაირი კილო ჰქონდა და დედაკაცური მიხრა-მოხრა. თუ ერთ ადგილზე იდგა და არ ლაპარაკობდა, მაგარი ქალი იყო, როგორც კი პირს გააღებდა და ნაბიჯს გადადგამდა, მისი სილამაზე უცებ ქრებოდა. ხშირად დამყავდა წვეულებასა თუ რესტორანში, თეატრში, კინოში... ბოლოს და ბოლოს, ხალხში გამოვიყვანე და... ამ ერთი წლის წინ აღმოვაჩინე, რომ ჩემს თანამშრომელთან რომანი აქვს გახურებული... აი, ასეა – არა შეგდა მწყერი ხესა... მე კი შინიდან გავაგდე ჩემი მეორე ცოლი, მაგრამ ამის მერე მაინც თუ შეგდება ხეზე, ვნახოთ...“

„კაცის გული ისეთია, ვით მორევი შავი ზღვისა, რაინდ კარგი ცოლი ჰყავდეს, მაინც ენატრება სხვისა...“ შეიშოეთ ის, რაც გაქვთ, თორემ, ისეთ დღეში ჩაყარდებით, როგორმაც ჩვენი მოძღვენი რესპონდენტები. გვიამბობს 30 წლის გიორგი:

„სთხოვეთ, შემირიგდეს...“

„პირველი ქალი 15 წლის ასაკში „ვიგემე“ და იმის შემდეგ, ჩემი ცხოვრება ამ მშვენიერი არსებების გარეშე წარმოუდგენელი გახდა. მიუხედავად ამინდისა, წელიწადის დროისა თუ მოქმედების ადგილისა, სულ იმის ფიქრში ვიყავი, ვინ „დაამეორია“, როგორ „დაამეორია“, სად „დაამეორია“. მძაკეები „ახაბოჩინის“ მეძახდნენ... ერთხელ ავარიამი მოვეყვი და ფეხი მოვიტყეხე. საავადმყოფოში მთელი თვე ნახევარი ვიწვი, ცალ ფეხზე გირი მქონდა დაკიდებული. ისეთ დღეში ჩავვარდი, ლამის გავვიფიქრე. დღეღამე ქალი მელანდებოდა. ექთანი ან ექიმი ხელს რომ მკიდებდა ან ნემსს მიკეთებდა, მე თვალებით უბეში „გუბტერბოდი“ და რომ გავიდიოდა, ოხვრით მივესვენებოდი ხოლმე ბალიშზე... მეგობრები ჩემს სანახავად რომ მოდიოდნენ, დამციხოდნენ: როგორ ძლებ ახლა უქალოდო?... ბოლოს, გამიწყდა მოთმინების ძაფი და ერთ მძაკეს შევევადრე: ქალი მომიყვანეთ, თორემ, დილით ექთანი რომ შემოვა, ჩემს საქციელზე პასუხს არ ვაგებ-მეთქი. იმდენი ვეხვეწე და ვეუბნარე, რომ დავითანხმე და ვიღაც თავისი ნაცნობი გოგო მომიყვანა. ეს გოგო ჯერ უარობდა, ასე ფეხგაფშეკილი

რომ დამინახა, მაგრამ მერე დამთანხმდა... 25 წლის რომ გავხდი, ცოლი მოვიყვანე, მაგრამ ხომ ხვდებით, რომ მისი ერთგული ვერაფრით ვიქნებოდი?... ძალიან კარგი გოგო იყო დიდი, ძალიან, შხვართი, ლამაზი, დიდი მკერდით... გარეგნულ მშვენიერებასთან ერთად, ხასიათიც კარგი ჰქონდა, განათლებაც, კარგი ოჯახის შვილიც იყო, მზრუნველი მუშაობდა და „ვიგი“ დედა... ცოლად იმდენი მოვიყვანე, რომ დიდი უზომოდ მომეწონა, მისი ხელში ჩაგდება კი, სხვაგვარად ვერ მოვანერხე; თითისაც არ მაკარებინებდა... ამასობაში შემიყვარდა და დავქორწინდი. ქორწილის მერე ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ ძველმა ნაშამ დამირეკა და თავპირის მტკრევით გავიქეცი მასთან შესახვედრად. მალე დიდი ექვანიობა დაიწყო, მაგრამ სკანდალი არასოდეს მომეწვია. მეც „გავვეჯვარიდი“ და ხანდახან დამითაც აღარ მოვიდიოდი შინ. რამდენჯერმე წყნარად მითხრა: იცოდე, ვინს მოდი, თორემ, მიგატოვებო... – მე კი დარწმუნებული ვიყავი, რომ უზომოდ ვუყვარდი და არ მიმატოვებდა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მართლა მიმატოვა. ბავშვიც თან წაიყვანა, მამამისის მიერ ნაშოვნი სამსახურიდანაც გამომაგდეს და დავრჩი ასე... ახლა კი მიგტირი ჩემს ცოლ-შვილს, მაგრამ დიდი არ აპირებს ჩემთან დაბრუნებას. მარი, იქნებ თქვენ მაინც მიწავლინოთ ხმა? ხატზე დავიფიცებ, რომ თუ დიდი შემირიგდება, სხვა ქალისკენ აღარც გავხედავ. მივხვდი, რომ მას ვერავინ შეეღრება. სთხოვეთ, შემირიგდეს. ის „გზას“ ყოველთვის კითხულობს“.

ვფიქრობ, ჩვენი მკითხველი გულწრფელია, მაგრამ ჩვეულება რომ რჯულზე უმტკიცესია?..

ახლა კი, პატიმრის მესიჯებს გავეცნოთ. ძალზე ხშირია შემთხვევა, როდესაც პატიმრები მობილური ტელეფონის საშუალებით გოგონებს ეკონტაქტებიან, სიყვარულს ეფიცებიან; ზოგჯერ ასეთი ურთიერთობა სავალალოდ მთავრდება და ამის შესახებ ბევრი მესიჯი დაგვებუჭვავს. მაგრამ შესაძლოა, მესიჯებით დაწყებული ფლირტი სერიოზულ გრძობაშიც გადაიზარდოს.

„ქალს მეგი რა უნდა?...“

„პატიმარი ბიჭი ვარ, 28 წლის. აქ მეტი საქმე რომ არაფერი გვაქვს, ჟურნალებს ვკითხულობთ და ქალებს ვაბამთ: ზარს გაუშვებ სხვადასხვა ნომერზე და თუ ქალი მიპასუხებს, მერე ვიმასხვრებ და დავიწყებ ხოლმე მესიჯების წერას... ბევრი ქალი შევაბი ორ წელიწადში. სულ 7 წელია ვზივარ, კიდევ 4 უნდა ვიჯდე, მაგრამ მობილური ორი წელია მაქვს. ხომ იცით, ქალს მეტი რა უნდა?... თბილ სიტყვებს დავუწერ, მიყვარხარ-მეთქი, – ვიტყვი და ისიც უკვე დაბეზულია. მერე

იმდენს შევუწინებ, რომ პაემანზე მოვიყვან. ზოგი მაშინვე მთანხმდება, რომ ღამე დარჩეს, ზოგი – მეორე ან მესამე მოსვლაზე. მეც მეტი რა მინდა?... გადავიხდი ფულს და პრობლემა არ არის – თუ გინდა, ათი ქალი ერთად დატოვე. ისეც ყოფილა, რომ რაიონიდან ჩამოსულია ქალი – ან ქუთაისიდან, ან ბათუმიდან. შარშან ასე გავიცანი ერთი გოგო. მთელი 5-6 თვე ვერ დავითანხმე, რომ ჩემთან მოსულიყო. გორში ცხოვრობდა. ეტყობოდა, პატიოსანი და კარგი ადამიანი იყო, ამ ცხოვრებისას არაფერი გაეგებოდა. შევუყვარდი. სულ ისეთ ტექსტს მწერდა... უშენოდ ვვარ ვძლებო. ავდექი და ვუთხარი – ცოლად მოვიყვან-მეთქი. ერთ კვირაში ჩამოვიდა გორიდან ჩემს სანახავად. ისეთი მშვენიერი გოგო მოვიდა, რომ კინაღამ გავგიჟდი. ძალიან მომეწონა. არც მითქვამს, დარჩი-მეთქი. რომ წავიდა, სულ იმაზე ვფიქრობდი. მართლა მენატრებოდა. რაღაცნაირად შემიტოკა გული. სხვანაირად დამაფიქრა ცხოვრებაზე. მერე კიდევ მოვიდა პაემანზე. სულ მენატრებოდა. პაემანზე როცა მოვიდიოდა, ჩემი ტანსაცმელი და თეთრეული მიჰქონდა გასარეცხად, ხელცარიელიც არასოდეს მოდიოდა, არც ერთ „პრანზნიკს“ არ ტოვებდა, ნამცხვრებითა და შემწვარ-მოხრაკულით მოდიოდა. მართლა გულით შემეყვარდა. მერე ჩემთან ღამე დარჩა. გვეიცებით – პირველი კაცი მისთვის მე ვიყავი. ბედნიერი ვიყავი ძალიან. გადაწყვეტილი გვქონდა, რომ ჯვარი დაგვეწერა. მერე გავაბრაზე ჩემი სიცოცხლე და გამებუტა. უკვე 4 თვეა, აღარ მინახავს. მობილურიც სულ გამორთული აქვს. მე კი აქ ჩაკეტილი ვარ და ვერაფერს ვაკეთებ. ჩემზე ნათქვამი – არა შეგდა მწყერი ხესაო. ამ ანგელოზივით გოგომ შემეყვარა ბოროტ-მოქმედი, თან გადამეფა, მე კი...“

მოძღვენი რესპონდენტები საკმაოდ ასაკოვანი ქალი ვახლავთ, მარტოხელაა და გადაწყვიტა, 22 წლის გოგონა აეყვანა შეიღად... რა მოხდა შემდეგ, ამას მისი მესიჯებიდან შეიტყობთ.

„სახლი პირწმინდად გაძარცული დაგვხვდა...“

„მარტოხელა ქალი ვარ, 65 წლის. ვცხოვრობ ვერაზე. საკმაოდ მდიდარი ოჯახი მქონდა, კარგი სახლიც მაქვს – სულ ძვირფასი ავეჯითა და ნივთებით გამოტყვევდი. რადგან უკვე ასაკში შევედი, ვვლარ ვანერხებდი, რომ ეს უზარმაზარი სახლი დამელაგებინა და ახლობელმა ახალგაზრდა გოგონა მომიყვანა. ცოცხალი, ხალისიანი გოგო იყო, მრავალშვილიანი ოჯახიდან გახლდათ და ძალზე უჭირდათ. პირველად რომ მამბო თავისი გასაჭირის შესახებ, ძალიან შემეცო-

და. ყოველთვის იმაზე მეტს უუნდელი, ვიდრე შეთანხმებული ვიყავით. მერე ხანდახან დამითაც ვტოვებდი ჩემთან, ტანისამოსს ვყიდულობდი მისთვის და ისე ვეფერებოდი, როგორც შვილს. ვთხოვე, ჩემთან გადმოდი საცხოვრებლად-მეთქი. ვფიქრობდი – მაინც არავინ მყავს, ამ მშვენიერ გოგონას ვიშვილებ, მეც იმედინად ვიქნები და თვითონაც-მეთქი... ერთ მშვენიერ დღეს, მე და ნატო სასეირნოდ წავედით, მერე „თეატრალურ სარდაფში“ სპექტაკლს დავესწარი, შინ საკმაოდ გვიან დავბრუნდით და რომ მივედით, სახლი პირწმინდად გაძარცვული დაგვხვდა. კარგა ხანს, ვერაფერი გავიგეთ. მერე პოლიციელებმა დამნაშავეს კვალს მიაგნეს და აღმოჩნდა, რომ მათთვის ნატოს „მიუცია საქმე“!.. აი, ასე გადამიხდა სიკეთე. როგორც ჩანს, მოვუხედი, მაგრამ ადამიანების ამოცნობა მაინც ვერ ვისწავლე...“

ახლა კი, მოკლე მესიჯებს გადავხედი.

**„მიშველეთ რამე...
სიყვარულს არ მისხნის...“**

„ჩემს ქმარს თან გადავყვე, არაფერს ვაკლებდი, მაგრამ რად გინდა? არა შეგვდა მწვერი ხესა... ვერ შეირგო ჩემი სიკეთე. ნუნუ“.

„ორი ბიჭის დედა ვარ. მთელი ცხოვრების განმავლობაში ვცდილობდი, საუკეთესო განათლება მიმეცა მათთვის, ქცევის წესები მესწავლებინა, ზრდილობა და კულტურა, მაგრამ რად გინდა? წავიდნენ მამის ჯიშზე და ვერ შევვლენ ხეზე ჩემი მწვერები...“

„ერთი მახინჯი ბიჭი შემეყვარდა. ახლაც არ ვიცი, რა დავინახე მასში ისეთი, რომ ჭკუის დაკარგვამდე მიყვარდა. მერე ის სხვა გოგოს გაეკიდა. ზომ ვიყავი ღირსი?...“

„გია მართლაც, სიგიჟემდე მიყვარს. არ ვიცი, რა მოხდა – 24 მაისის მერე არც კი დაურეკავს, ნახვაზე ზომ ლაპარაკიც ზედმეტია. მიყვარდა, მაგრამ ვერ ვებღავდი ჩემი გრძნობის გამომჟღავნებას. მეშინოდა მისი დაკარგვის და იმიტომაც „ვძმკაცობდი“, მაგრამ მე ისევ ისე მიყვარს... გია, მოდი და გამაგებინე, რა მოხდა. ფიქრით გადავიღალე. მე ზომ ძალზე მჯეროდა შენი!.. – „ნინო, მიყვარხარ, უშენოდ სიცოცხლე არ მინდა, არა!“ – რომ ამბობდი, სად გაქრა ეს სიტყვები? სად გაქრა სიყვარული? რატომ გამიმეტე აუტანელი ტკივილისთვის?...“

„მიშველეთ რამე. ერთ მაგარ ბიჭს ვუყვარვარ, მეც ძალიან მომწონს, თან იდეალური ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ სიყვარულს არაფრის ღირებით არ მისხნის“.

„ეჰ, ჩემმა შეყვარებულმა ვერ შეიშნო

ჩემი თავდავიწყებული გრძნობა და უნდა დაეშორდე, თუნდაც ფეხები გააფშოკო ამის შემდეგ. იმედია, გაიგებს ჩემს ფასს. ნინი“.

„გია ლ-ძე, ცხოვრება სიურპრიზებით გაგილამაზე, ჩემი შენდამი სიყვარული ზღაპრული ფერებით გავაფერადე, ლექსის მუხად გაქციე, მაგრამ ისევ მარტო ხარ. ვიცი, რომ სიყვარული გრძნობაა და არა თანაგრძნობა, თუმცა, არ თუ ვერ დაინახე ჩემი უჩვეულო სიყვარული. ყველაფერი გავაკეთე, რაც ქალის ზნეობისთვის მისაღებია, მაგრამ – არა შეგვდა მწვერი ხესაო...“

„ეს გამოთქმა სწორედ რომ ჩემს ქმარზეა ზედამოჭრილი. ჰოდა, ეგლოს ახლა მარტო და ნურც ხეზე შეგვდება, ნურც ვირზე“.

„გურამ, ჩემი სიყვარული ვერ შეიშენე და დამივიწყე. იცი, მე დღემდე მენატრები და გელოდები. შენ უახრო ახირებებს ვერ გავუძელი და შენზე უარი ვთქვი, მაგრამ ვერ გივიწყებ. შენს მერე ბევრი ბიჭი გავიცანი, ბევრსაც ვუყვარვარ, მაგრამ იცი, ყველას შენს სახელს ვეძახი და ყველგან შენ მელანდები. რატომ დამივიწყე? ჩემი სიყვარული რად უარყავი? თიკო...“

„მე და ლიკა 10 წელია ვმეგობრობთ. შარშან ზღვაზე გიგი გავიცანით და მალე დავეუახლოვდით. თავიდან გიგი სიყვარულს მისხნიდა, მაგრამ ერთხელ მოვიდა და მითხრა: ლიკამ ჩემი თავი დაგაწერა და შეეგუეო... მალე ლიკამ პატიება მოთხოვა და მეც შევეურიგდი. წელს ივინსი ერთად გავატარეთ და კვლავ ახალი მეგობრები შევიძინეთ. დათო მეუბნება, რომ მოვწონვარ... მე კი მიყვარს... ლიკა კი ისევ ცდილობს, დათოს თავი მოაწინოს. აღარ ვიცი, რა ვქნა...“

„საოცარია ეს ცხოვრება. შეძლებული მამაკაცი ვარ. ერთი ქალი შემეყვარდა. არაფერი დამიკლია მისთვის, ის კი ადგა, ღარიბ-ღატაკს გაეკიდა და მე მიმატოვა...“

„ერთი ფირმის ღირექტორი ვარ. სამსახურში ისეთი ბიჭი მივიღე, რომელმაც საქმის კეთებაც არ იცოდა. შემეცოდა და ამიტომ ავიყვანე სამსახურში. მერე დავაწინაურე. მერე ისე გაფლანგა ფირმის ფული, რომ ყელამდე ვალში ამოვყავი თავი. თურმე, სიკეთე არ უნდა გააკეთო, თორემ, ავად გადაგვხდება“.

დღევანდელ „გზაჯინილებს“ ამით ვასრულებთ. მოძვენო კვირის თემად კი გთავაზობთ: როდესაც გულის ხმას აყვები... გამოეზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. გვიამბეთ, რა სიკეთე ან რა ზიანი მოგიტანათ გულის კარნახით გადადგმულმა ნაბიჯმა. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

**ქაჩი – ბენეხიცი
სამხობი**

მარტივი მეთოდი გამოიგონა ახალგაზრდა მანქანის გასაშრობად ახალ ზელანდიელმა 37 წლის დენიელ როჯერ ედვარდმა: რა საჭიროა დამღლევი მანიპულაციების ჩატარება, როცა შეიძლება გაზის პედალს ფეხი მიაკტირო და ავტომობილი ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით გააქროლო. თუმცა თავისი უბრალეობით გენიალური მეთოდი ავტორს – ისე, რომ მისი დაპატენტებაც ვერ მოასწრო – საკმაოდ ძვირი დაუჯდა: ის სინქარის გადაჭარბებისთვის დააჯარიმეს.

როცა სამართალდამცავებმა დენიელის ავტომანქანა გააჩერეს, აღმოჩნდა, რომ მან დასაშვებ სინქარეს – 60 კმ-სთ-ს ორჯერ გადააჭარბა. მძღოლმა პოლიციელებს აუხსნა, რომ ის მხოლოდ ახალგაზრდა მანქანის გაშრობას ლაშობდა და ქარს, როგორც ბუნებრივ ფენს, ისე იყენებდა – ვინაიდან ზურგის არეში გამუდმებული ტკივილების გამო მანქანის ხელით გამშრობება არ ძალუძს. „ვერც კი შევამჩნიე, რამდენად სწრაფად მიექროდი, რადგან სპიდომეტრის ნაცვლად კაპოტს ვაკვირდებოდი – მაინტერესებდა, რამდენ ხანში გაშრებოდა. სპიდომეტრისთვის ერთხელ მაინც რომ შემეხედა, სინქარეს მაშინვე მოვუკლებდი“, – თქვა მან და თან დასძინა, რომ იმ დროს ქუჩაში არც სხვა სატრანსპორტო საშუალება მოძრაობდა და არც ფეხით მოსიარულენი ჩანდნენ სადმე.

სასამართლომ დენიელის არგუმენტები არ გაიზიარა და მას 300 დოლარის ჯარიმის გადახდა დააკისრა, ამასთანავე, ნახევარი წლით მართვის უფლებაც ჩამოართვა.



მსახიობ მარკა ჭიჭინაძეს ფრიადზე შეუსწავლია ხანდრავების ოჯახის წარსული და ამ თემას გვერდს ვერ ავუქცევო — ალიარა... რუსთაველის თეატრის მსახიობს სხვა სცენაზე თამაში ვერ წარმოუდგენია. ამის ეშინია კიდევ და მიუხედავად იმისა, რომ შეგებას მხოლოდ შემოქმედებაში პოულობს, მაინც „გმირულად“ ელის რუსთაველის თეატრის შენობის რემონტის დასრულებას. მანამდე კი, დადის არეულ-დარეული, როგორც ამას თავად ამბობს. ქალაქის სიციხისაგან თავის დაღწევას, მაღალჩინოსან მეუღლეზე დამოკიდებული მსახიობი ჯერ ვერ ახერხებს. სიამოვნებით ნაფიქროდა შავ ზღვაზე, სადაც მთელი ბავშვობა გაატარა.



ჯეოსიონისა და მარიკოსი კანონი ჩიჭინაძის თეატრში ქალის როლი სულაც არ ახარის

ლიკა ქაჯაია

— არდადეგებზე სოფელში რომ მაგზავნიდნენ, ეს ჩემთვის დღესასწაული იყო. შევიკრიბებოდით ბავშვები და „თეატრობანას“ ვთამაშობდით. ერთხელ, ვითომ ფილმს ვიღებდით — „შეხვედრა მთაში“; ლეილა აბაშიძეს ვბაძავდი, მინდოდა, ისევე მეთამაშა, როგორც ამას ქალბატონი ლეილა აკეთებდა... თეატრი ყოველთვის ძალიან მიყვარდა, სპექტაკლებსა და რეპეტიციებზე სიარულს ხომ არაფერი მერჩივნა.

— როგორც ვიცი, ცუდად იყო კიდევ—

— დიას, ვცეკვავდი და მგონი, კარგადაც გამოძლიოდა. ჩემი ცეკვის პედაგოგი არაჩვეულებრივი ადამიანი, სუნიშვილების ანსამბლის წევრი ფრიდონ სულაბერიძე გახლდათ.

— მშობლები როგორ შეხედნენ თქვენს არჩევანს?

— მამაჩემი (პოეტი და მსახიობი გივი ჭიჭინაძე. — ავტ.) მეწინააღმდეგებოდა — მსახიობობაზე არც იოცნებო. ბოლო წუთამდე ვატყუებდი — თეატრმცოდნეობაზე ჩავაბარებ-მეთქი, — მაგრამ როცა გაიგო, ცხოვრებაში პირველად აუწია წნევამ... მაინც ვერაფერს გახდა. ბოლოს, ხელი ჩაიქნია და პროფესორი, მსახიობის ოსტატობის პედაგოგი — საშა მიქაძეც კი შეაწუხა: ჩემმა ქალიშვილმა მსახიობობა გადაწყვიტა. გთხოვ, ჩვენთან მოდი, რაღაცას წაიკითხავს, ნახე, გამოვა თუ არა მისგან მსახიობი. იმ დღისთვის

დიდი ამბით ვემზადებოდი და ბატონი საშას შექება დავიმსახურე. მამას აღარაფერი უთქვამს. ასე აღმოჩნდი თეატრალურ ინსტიტუტში. მამაჩემი ფიქრობდა: მსახიობობა ისეთი პროფესიაა, სადაც ბევრი წინააღმდეგობა შეხვდება და ვერ გაუძლებსო... კონკურენცია ხომ ყველა სფეროშია! სათიკენაც არ უნდა გაიხელო, ამას შეამჩნევ. თვით ცხოვრება ინტრიგებით სავსე და წინააღმდეგობისთვის გვერდის ავლა შეუძლებელია.

— როგორ მოხვდით რუსთაველის თეატრში?

— თეატრალურ ინსტიტუტში მოხვედრი საინტერესო პედაგოგის — ლილი იოსელიანის ჯგუფში, მაგრამ თითქმის მთელი ჯგუფი მიმა თუმანიშვილთან გადავიდა — გოგა პაპინაშვილი, ნინო ბურდული, რუსუდან ბოლქვაძე და სხვები. ძალიან ცოტანი დავრჩით ქალბატონ ლილისთან.

— თქვენ რატომ არ გააწყვეით სხვებს?

— დარჩენა იმის შანსს მაძლეოდა, რომ რუსთაველის თეატრში მოვხვედრილიყავი. თქვენი აზრით, სად წავიდოდი?... ჩემთვის ეს თეატრი იყო და ახლაც არის ერთადერთი სახლი, სადაც არაჩვეულებრივი სპექტაკლები იქმნება. შეიძლება ითქვას, თეატრის ეტალონი.

— სხვა თეატრებთან არ თან-

როცა არ ვმუშაობ, რაღაც საინტერესო თუ არ ხდება ჩემს ცხოვრებაში, თავს ცუდად ვგრძნობ

ამშრომლობთ. შემოთავაზება არ გქონათ თუ რუსთაველის თეატრის ვერ უღალატეთ?

— რამდენიმე რეჟისორისაგან მქონდა შემოთავაზება, მაგრამ რომ დაფიქრდი, შემეშინდა. რუსთაველის თეატრის მიღმა მყოფ რეჟისორებს ვერ ვენდობი. ალბათ, კონსერვატიული აზროვნება მაქვს, მაგრამ ასეა.

— თეატრის მსახიობები ხშირად მიმართავენ იმპროვიზაციას. ყოფილა თუ არა შემთხვევა, რომ სხვისმა „ფანტაზიორობამ“ ცუდ დღეში ჩაგაგდოთ?

— თეატრი კინოსაგან სწორედ იმპროვიზაციით განსხვავდება. მის გარეშე სპექტაკლები მომბავშვებელი, უინტერესო ხდება. როცა კარგი პარტიოერი გყავს, მის იმპროვიზაციას გრძნობ და შენც აწყვები. თუ მარტო საკუთარ თავზე ფიქრობ, ურთიერთობები იმდენად საინტერესო აღარ იქნება.

— რეჟისორებისთვის თუ გაგიწევიათ წინააღმდეგობა?

— მე ამბიციური არ ვარ. ამბობენ, რომ ეს ჩემი მინუსია. შეიძლება, რაღაც განვიცადო, მაგრამ არ ვიტყვი, არ გამოვხატავ. ბევრი როლის თამაში შემეძლო, რომელიც არ მითამაშია. თუმცა, ბედს არ ვუჩივი. იყო შემთხვევები, როცა ამა თუ იმ გმირის განსახიერება მინდოდა, მაგრამ ის როლი სხვას მისცეს. უეცრად აღმოჩნდებოდა, რომ ის ან ფეხმძიმე იყო, ან რაღაც სჭირდა და ბოლოს, როლზე მე მამტკიცებდნენ.

— როდის უფრო იღლებით — როცა მუშაობთ თუ როცა ისვენებთ?

— როცა არ ვმუშაობ, რაღაც საინტერესო თუ არ ხდება ჩემს ცხოვრებაში.





კარგ მაყურებელს ყოველთვის ვგვრძნობდი...

ტერესო თუ არ ხდება ჩემს ცხოვრებაში, თავს ცუდად ვგრძნობ. თითქოს ყველაფერი მტკივა, ოჯახში ვერაფრის გაკეთებას ვერ ვასწრებ, არეულ-დარეული და ვდივარ. მუშაობის პროცესში, განტვირთვა ხდება და ამ დროს ყველაფერს ხალისიანად ვაკეთებ. თუმცა, პაუზებიც საინტერესოა – კითხულობ, ქუჩაში მეტს დადიხარ, ცხოვრებას, ადამიანებს ეცნობი. ლილი იოსელიანი გვეუბნებოდა: დღიური ატარეთ და იქ ადამიანთა საინტერესო ხასიათები ჩაინიშნეთო. მისი შეგონება იმდენად გამოიმუშავდა, რომ შეიძლება, დღიურში არ ჩავიწერო, მაგრამ ჩვევად მექცა ყველაფრის დამახსოვრება, ადამიანის მოქმედების დაფიქსირება, ფოტოაპარატის მსგავსად.

— **სად გაიცანით გოგა ხაინდრავა?**

— ერთმანეთი კინოს სახლში გავიცანით. გადიოდა ფილმი „ბელურების გადაფრენა“. მე დასაჯდომი ადგილი არ მქონდა. გოგამ ჩემი მეგობარი იცნო და ადგილი დაგვითმო. ასე გავიცანი.

— **პირველ პაემანს ვერ გაიხსენებთ?**

— მაშინ მარტო მისი სახელი ვიცოდი – გოგა. შემთხვევით შევხვდი ქუჩაში. ის მანქანით იყო და შემომთავაზა: სადაც მეტყვი, იქ წაგიყვანო. შემდეგ დამირეკა – ფოტოს გადაღება მინდა და იქნებ, დამთანხმდეთო. მაშინ დოკუმენტური ფილმების სტუდიაში მუშაობდა. იქ მიმიყვანა. მართალია, სურათი კი გადამიღო, მაგრამ ის ფოტო თვალთაც არ მინახავს...

— **რას გავტყვივით თქვენს მეუღლეზე, როგორც რეჟისორზე?**

— გოგა არის ძალიან კარგი ოპერატორი, გადაღებული აქვს საოცარი ფოტოები. ძალიან უნდოდა მხატვრული ფილმის გადაღებაც. მუშაობდა კიდევ ამაზე, მაგრამ რაღაც ისე ვერ აეწყო...

— **რა შეცვალა თქვენს ოჯახში პოლიტიკამ?**

— გოგას ოჯახი პოლიტიკაში ყოველთვის იყო ჩაბმული. მას ეს გენე-

ტიკურად მოჰყვა: ბაბუამისი 17 წლის ასაკში ქუთაისის აჯანყებაში მონაწილეობდა და ამისთვის სახალისზე გადაასახლეს. იქიდან ჩინეთში მოხვდა... ჩემი მამამთილი, ლევან ხაინდრავა ჩინეთში დაიბადა. იქ დაამთავრა უნივერსიტეტი. ამ დროს, მამამისს „ქართული საზოგადოება“ ჰქონდა ჩამოყალიბებული. მასში გაერთიანებული ადამიანები საქართველოში დაბრუნებაზე ოცნებობდნენ. ასეც მოიქცა ლევან ხაინდრავა, მაგრამ აქ ხან დაიჭერდნენ, ხან გადაასახლებდნენ... ალბათ, წარსულმა უბიძგა გოგას, პოლიტიკაში რომ აქტიურად ჩაბმულიყო. ამაში ხელი ფოტოგადაღებებმაც შეუწყო. ჩემი მეუღლე, ვიღაც კორესპონდენტების თვალშია კარიერისტი, მაგრამ გარწმუნებთ, მას შეუძლია, ნებისმიერ დროს წამოვიდეს პოლიტიკიდან და ჩვენ უკეთესად ვიცხოვრებთ...

— **თქვენმა მეუღლემ გაგვიზიარა, რომ თქვენი შემოსავალი 250 დოლარს შეადგენს. რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს?**

— სახელმწიფო 100 ლარს გვიხდის, მაგრამ როგორც იცით, თეატრს ბიზნესმენი, ბიძინა ივანიშვილი ჰპატრონობს და თითქმის 2 წელია, თვეში მის მიერ დანიშნულ 200 დოლარსაც ვიღებ. შესაძლებელია, ზოგი მსახიობი მეტს იღებს, ზოგი ნაკლებს – თითოეულმა ჩვენგანმა მხოლოდ ჩვენი ხელფასი ვიცით.

— **როგორ აფასებენ თქვენს მსახიობურ ნიჭს ოჯახის წევრები?**

— ჩემს შვილებს თითქოს რაღაც პროტესტის გრძნობა აქვთ: არანაირი რეაქცია, არანაირი შექება ან დაწუნება მათგან არ იგრძნობა. გოგა კი ყოველთვის შენიშნავს ხოლმე – ეს კარგია, ეს ცუდიო.

— **რამ გამოიწვია ეს პროტესტი?**

— იცით, კარგ მაყურებელს ყოველთვის ვგრძნობდი. ქართველები ისედაც თეატრალური ხალხი ვართ და შესაბამისად, სხვისი მოსმენაც შეგვიძლია. მაგრამ ასაღვარდობა თითქოს ზედაპირული რაღაცების წარმოჩენას უფრო ცდილობს და რაღაც მოვლენაში ღრმად ჩახედვის სურვილს არ ავლენს... ერთხელ, ჩემი შვილი ტელევიზორს უყურებდა. ფილმში მეც ჩავერთე და ბოლოს, ცრემლებიც კი ვდვარე. მან გაკვირვებული სახით შემომხედა – დედა, ეს ხომ კინოაო!.. ალბათ, ჩემი თაობა უფრო

სენტიმენტალურია. თუმცა, დარწმუნებული ვარ, არიან ისეთი ასაღვარდლები, რომელთაც გრძნობა სულ თან სდევთ და არ მინდა, ეს დაიკარგოს.

— **თქვენი უფროსი შვილი — ლევანი თეატრალურ ინსტიტუტში სწავლობს. რამ განაპირობა მისი არჩევანი? ესეც გენეტიკურია?**

— ლევანი გოგასთან – სარეჟისორო-საოპერატორო ფაკულტეტზეა. მას საოცარი ფოტოები აქვს გადაღებული. თუმცა ვფიქრობ, ჩემი შვილი ჯერ არ ჩამოყალიბებულა.

— **თქვენი ოჯახი ჯერ თბილისშია. სად მიდიხართ დასასვენებლად?**

— ჯერ არ ვიცი, ეს გოგაზეა დამოკიდებული.

— **სად ისურვებდით დასვენებას?**


— ზღვაზე. შავი ზღვა ძალიან მიყვარს. ბავშვობა იქ მაქვს გატარებული...

— **აქ თუ ახერხებთ ქალაქის ყოველდღიურობისგან თავის დაღწევას?**

— თუ დასვენება, განტვირთვა მინდა, მეგობრის სახლში ან ბარში მივდივარ. ვერ ვიტან ე.წ. „ტუსოკებს“, ისეთ ადგილებს, სადაც ბევრი ხალხია. იქ ყოფნა ძალე მბეზრდება და შინ გავრბივარ...

— **დაბოლოს, მინდა გკითხოთ — როდის გინდავთ მაყურებელი სცენაზე? რუსთაველის თეატრის უახლოესი გეგმების შესახებ რისი თქმა შეგიძლიათ?**

— რუსთაველის თეატრი 15 სექტემბრიდან აპირებს, ბათუმში წარმოადგინოს თავისი სპექტაკლები. შემდეგ კიევსა და მოსკოვში მოაწყობს გასტროლებს...



ქართველები ისედაც თეატრალური ხალხი ვართ და შესაბამისად, სხვისი მოსმენაც შეგვიძლია

ოქროს უხალდის ქიზაუმი

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამასაშვილი

უკვე რამდენიმე წელია, იელის უნივერსიტეტის მედიკოსი სტუდენტები ხელოვნების ისტორიას სწავლობენ. პედაგოგთა აზრით, მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების ზედმიწევნით შესწავლა დაეხმარება მათ, გახდნენ კარგი დიაგნოსტები. კურსდამთავრებულები მშენებრად განსაზღვრავენ დაავადებებს პაციენტთა გარეგნობის მიხედვით და ეს ნოვაცია არ გახლავთ: ქართული კლასიკური სამედიცინო ლიტერატურის ფურცლებზე ხშირად შეხვდებით გარეგნულ ნიშნებზე დაყრდნობით დაავადებათა დიაგნოსტიკების მეთოდებს.

მაღალი და დაბალი

ადამიანი ქოსურად იზრდება 18-20 წლამდე, შემდეგ კი ზრდის ზონები იხურება და ჩონჩხის პროპორციები უცვლელი რჩება, მუსკულატურა და კანქვეშა ცხიმი კი შეიძლება შეიცვალოს ცხოვრების წესისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით.

დღეს ნორმალური სიმაღლის საზღვრებად 150-დან 190 სმ-მდეა მიჩნეული. მაგრამ ზოგჯერ ალტაცებული ვრჩებით მეტისმეტად ტანმაღალი, ახოვანი ახალგაზრდის დანახვისას და აზრადაც არ მოგვდის, რომ მის ორგანიზმში ჭარბად გამოუმუშავდება ზრდის ჰორმონი. ეს ჰორმონი მთელი სიცოცხლის განმავლობაში იწარმოება, კვებას და აახლებს უჯრედებს, ითვლება ახალგაზრდობის ჰორმონად, მაგრამ მისი სიჭარბე, ისევე, როგორც ნაკლებობა – პათოლოგიაა.



მსუქანი, მაღალი, გამხდარი... ეს მხოლოდ გარეგნობის დეტალები როდია. აღნაგობა ზევ მეტყველებს და იმაზეც, ბა ადამიანს მომავალში.

თუ 20 წლამდე ახალგაზრდას 2 მეტრზე მეტი სიმაღლე აქვს და კიდევ იზრდება, დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს ენდოკრინოლოგს. ასეთი სიმაღლე შესაძლოა, ჰიპოფიზის სიმსივნით გამოწვეული გიგანტიზმის შედეგი იყოს.

ასევე პათოლოგიაა ნანიზმი – მეტისმეტი სიდაბლე, რომელიც ზრდის ჰორმონის დეფიციტითაა გამოწვეული.

მსუქანი და გამხდარი

სხეულის ნორმალური პროპორციების მქონე ადამიანები ყველაზე ნაკლებად ავადმყოფობენ. მეტისმეტად გამხდარ ადამიანს კი შეიძლება აწუხებდეს ჰიპოტონია, ჰორმონული მოშლილობანი, დისბაქტერიოზი, იმუნური სისტემის შესუსტება.

სიმსუქნე კი, პირიქით, თითქმის ყოველთვის იწვევს არტერიულ ჰიპერტონიას. გარდა ამისა, მსუქნები შედიან შაქრიანი დიაბეტის, ათეროსკლეროზის, გულის იშემიური დაავადების რისკ-ჯგუფში. მათ ხშირად უვითარდებათ საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაავადებები (ოსტეოქონდროზი, პოლიართრიტი, ართროზი), სანაღველე გზების დისკინეზია, ქრონიკული ქოლესისტიტი, ნაღველ-კენჭოვანი დაავადება, აგრეთვე ფილტვების, სარძევე ჯირკვლის, საშვილოსნოსა და საკვრცხეების სიმსივნური დაავადებები. სიმსუქნის ფონზე ქალებს ხშირად ერღვევათ მენსტრუაციული ციკლი და უნაყოფობა უვითარდებათ. როგორც კი ადამიანი იკლებს წონაში, არტერიული წნევა ქვეითდება და ბევრი დაავადება ქრება.

როგორც წესი, მამაკაცებს ცხიმი მუცელზე უგროვდებათ, ქალებს – თეძოებსა და მხრებზე. თუ სხვა ადგილები გვესებათ, შესაძლოა, ჰორმონული დარღვევა გქონდეთ – გაეისინჯეთ ენდოკრინოლოგს.

მეტისმეტი სიმაღლე და თან სივამხდრე, სუსტად განვითარებულ მუსკულატურასთან ერთად, სქესობრივი განვითარებლობის შედეგია და შესაძლო სქესობრივ დარღვევებზე მეტყველებს. ასეთი აღნაგობის მქონე ქალებს ხშირად დარღვეული აქვთ მენსტრუაციული ციკლი, აღნიშნებათ საკვრცხეების პათოლოგიები, უშვილობა. მაღალ, გამხდარ ადამიანებს ხშირად აწუხებთ თავის ტკივილი,

თავბრუსხვევა, ოსტეოპოროზი (განსაკუთრებით ქალებს). დაბლებსა და მსუქნებს კი ხშირად უვითარდებათ ბრტყელტერფიანობა და ღვიძლის ცხიმოვანი გადაგვარება.

ქისერი, ფეხები და სხვა

მკერდის ძაბრისებრი ჩაღრმავება მოწმობს, რომ მუცლადყოფნის დროს, ბავშვი ვერ იღებდა საკმარის რაოდენობის კალციუმს. ასეთ ადამიანს შეიძლება განუვითარდეს ფილტვების პრობლემები (ხშირი გაცივება, ბრონქიტები, პნევმონიები) და გულ-სისხლძარღვთა დაავადებები (იშემიური დაავადება, არითმია, ექსტრასისტოლია), აგრეთვე ოსტეოპოროზი.

მოკლე კისრის მქონე ადამიანები მიღრეკილნი არიან ბრონქების დაავადებისკენ. დამცავი ფუნქციის მქონე ლორწოვანი გარსი მათ შეთხელებული აქვთ და სასუნთქი გზები სათანადოდ არ არის დაცული ბაქტერიებისაგან.

გრძელკისრიანებში ხშირია ოსტეოქონდროზი და მყესოვანი აპარატის სისუსტესთან დაკავშირებული პრობლემები (ამოვარდნილობები, დაჭიმულობები). შესაძლებელია, სმენისა და მხედველობის სიმახვილის დაქვეითება.

გრძელი ფეხები შენელებული სქესობრივი განვითარების შედეგია. ასეთი ჰორმონული დისბალანსის მქონე ქალებს ხშირად აქვთ პატარა მკერდი. მოკლე ფეხები და დიდი მკერდი კი, პირიქით, სასქესო ჰორმონების სიჭარბეზე მეტყველებს. სხვათა შორის, დიდი მკერდის მქონე ქალებს უფრო ხშირად აქვთ მასტოპათია და მკერდის ონკოლოგიური დაავადებები.

ძვალწვრილი ადამიანები მიღრეკილნი არიან შარდკენჭოვანი და ნაღველ-კენჭოვანი დაავადებებისადმი, ძვალმსხვილები – პოლიართრიტებისა და ართროზებისადმი.

დაავადებებისადმი მიღრეკილება ყველაზე ნაკლებად აქვთ გამოხატული საშუალო აღნაგობის მქონე ადამიანებს.

უნდა გვახსოვდეს, რომ უმრავლეს შემთხვევაში, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მოსალოდნელი პრობლემები შეიძლება ავიცილოთ თავიდან. ეს პროცესი ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვით უნდა ვმართოთ. ■

როსა გავში ძილი ლაპარაკობს...



უმჯობესია, იგი ექიმს აჩვენოთ. ნევროლოგი მას დაუნიშნავს ნოტროპული ან მეტაბოლური მოქმედების პრეპარატებს, რომლებიც გააუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას ტვინში, ხელს შეუწყობს ტვინის მომწიფებას და ბავშვის ძილიც მშვიდი გახდება.

მეორე მოსაზრება:

ძილში ლაპარაკი წარმოადგენს თავისებურ კომპენსატორულ რეაქციას, რომელიც ძილის

შეხვედრავს ბავშვის საძინებელში ღამით და გვიძინს, როგორ ჩურჩულებს, იცინის ან ბრაზობს იგი ძილში. რატომღაც, რომ პატარა ბავშვები ხშირად ლაპარაკობენ ძილში და საჭიროა თუ არა ასეთ შემთხვევაში მათი ექიმთან მივყავან?

მედიკოსები ძილში ლაპარაკს ლათინურ ტერმინს – „სონილიოქიას“ უწოდებენ. ამ მოვლენის ასახსნელად რამდენიმე თეორიას გამოყოფენ.

პირველი მოსაზრება:

ასეთი აქტიურობა ძილის დროს, დღის განმავლობაში განცდილი სტრესის შედეგია – აუცილებელი არ არის, იგი უარყოფითი იყოს. მაგალითად, პატარას ბევრი სასიხარულო შთაბეჭდილება, ძლიერი ემოციები ჰქონდა... ეს თეორია ხსნის, თუ რატომ ლაპარაკობენ ძილში უფრო ხშირად, ბავშვები, ვიდრე დიდები: რეალურ მოვლენებს ისინი უფრო მწვავედ აღიქვამენ და ნერვული სისტემაც ნაკლებად მდგრადი აქვთ.

პრაქტიკული რჩევა მშობლებს:

თუ ბავშვს მშოფოთვარე დღის შემდეგ მოუსვენრად სძინავს, მაშინვე ნუ დაუწყებთ დამამშვიდებელი ბალანსებისა და მიქსტურების მიცემას. სედატიური პრეპარატები ერთჯერადად კი არ ეძლევა, არამედ კურსობრივად ენიშნება და თანაც – მხოლოდ ექიმის მიერ. თუ პატარა მხოლოდ ლაპარაკობს ძილში და არანაირი სხვა ნევროზული რეაქცია არ აღენიშნება, მკურნალობა აუცილებელი არ არის, უბრალოდ ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ საღამოს, ოჯახში სიმშვიდე იყოს, გვიანობამდე ნუ გექნებათ ჩართული ტელევიზორი, ღამით ბავშვის საძინებელში გრილოდეს, დღის განმავლობაში პატარამ აუცილებლად ისეირნოს.

მაგრამ თუ თქვენი შვილი დღისითაც მეტისმეტად ემოციურია, ყველაფერზე ყვირილითა და ტირილით რეაგირებს, მაშინ

ერთი ფაზიდან მეორეში იოლად გადასვლას უწყობს ხელს. ჩვენი ძილი ერთგვაროვანი არ არის, იგი იყოფა ნელტალღოვან და სწრაფტალღოვან ფაზებად. ძილის დროს სწრაფი და ნელი ძილის ფაზები განუწყვეტლივ მონაცვლეობს და გადის მათთვის განკუთვნილ 90-120-წუთიან ციკლს. მეცნიერმა სონილოგებმა შეამჩნიეს, რომ ჩვენ ძირითადად მაშინ ვლაპარაკობთ, როცა ძილი ჯერ კიდევ ხედაპირულია (დრამა არ არის) და აგრეთვე – სწრაფი ძილის დროს, რომელსაც თან ახლავს სიზმრები, თვალის კაკლების სწრაფი მოძრაობები, ხელებისა და ფეხების მოძრაობა...

პრაქტიკული რჩევა მშობლებს:

თუ ბავშვი გამოუღვიძებლად ამბობს რამდენიმე ფრაზას, შემდეგ კი ისევ ძილში იძირება, სანერვიულო არაფერია. მონოტონური საუბრით იგი საკუთარ თავს უნაწავებს. მოეფერეთ, მოუაღერეთ მოჩურჩულე პატარას და რამდენიმე დამამშვიდებელი სიტყვა უთხარით.

მესამე მოსაზრება:

ის სულ პატარებს შეეხება, რომლებიც ახლა იწყებენ ლაპარაკს. მათ მიერ ძილში წარმოთქმული ცალკეული სიტყვები და ფრაზები შესაძლოა, ახალი გამოცდილებისა

და ცოდნის ასახვა იყოს. ცხოველებზე ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ლეკვები ყვეას ხშირად ძილში უფრო ადრე იწყებენ, ვიდრე ცხადში. ასევე აღამიანის შემთხვევაშიც – პატარა, ახალ სიტყვებს ზოგჯერ ძილში ამბობს და ამის შემდეგ, ცხადშიც წარმოთქვამს გაცნობიერებულად.

პრაქტიკული რჩევა მშობლებს:

ასეთ შემთხვევაში, შეიძლება, მხოლოდ გვიხაროდეს, რომ ბავშვი იზრდება და ახალ ინფორმაციას იღებს.

მეოთხე მოსაზრება:

ძილში ლაპარაკი შეიძლება, ნერვული სისტემის პათოლოგიის ერთ-ერთი სიმპტომი იყოს. მაგრამ ასეთ შემთხვევაში, სხვა სიმპტომებიც უნდა არსებობდეს, კერძოდ:

- ძილში ლაპარაკისას ბავშვი წითლდება, ოფლიანდება, ნერწყვი სდის;
- კომპარები ესიზმრება, ყვირის, მოგუდვის სახის შეტევებს განიცდის;
- კბილებს აღრგიალებს;
- ძილში დადის;
- იღვიძებს სველ საწოლში;
- გამოღვიძებისას დიდხანს ვერ ფხიზლდება, გონება არეული აქვს.

პრაქტიკული რჩევა მშობლებს:

ამ შემთხვევაში, ბავშვი აუცილებლად უნდა აჩვენოთ ექიმს. ნევროლოგთან ვიზიტისათვის უნდა მოემზადოთ, რაც იმას გულისხმობს, რომ უნდა დააკვირდეთ:

- რამდენად ხშირად ლაპარაკობს ბავშვი ძილში;
- სიტყვებს ამბობს, ფრაზებს თუ გრძელ ამბებს ჰყვება;
- ხომ არ იმეორებს სულ ერთსა და იმავეს;
- გარკვევით მეტყველებს თუ არა;
- ის, რაზეც ბავშვი ლაპარაკობს, მართლა მოხდა თუ მისი ფანტაზიის ნაყოფია.

თქვენი პასუხები ექიმს ზუსტი დიაგნოზის დასმამი დაეხმარება.

ნაშადი „მთაწმინდა“

- თმის დაავადებები, ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბულობრივი ცვენა (ამოდის თმა);
- ტილები, წილები, ისპობა 1 საათში;
- კანის და ფრჩხილის სოკო, ოსტეოქონდროზი, მცენარეული სახანები;
- ნატურალური მკვებავი მალამოები.

მკურნალობამდე და შემდეგ


მკურნალობა გარანტიით

მის: **ჩაჩუჩაძის ბაზ. 2/2, ჩიის სასტან, სოხაიძის ქუჩა, თბილისი**,
მიწაა მიწაღია 11-18 სმ-ზე, „მთაწმინდა“ ასევე მკურნაობს მკურნალობა PSP ზომიერად
☎ 30-94-73; 34-35-16 (საღამოს)

ჰიაზრა ჰვილოსნობის უნარს აქვეითებს

გამოკვლევა, რომელიც ბელფასტის სამედიცინო უნივერსიტეტში ჩატარეს, ადასტურებს, რომ ვიაგრა აქვეითებს სპერმატოზოიდების განაყოფიერების უნარს და მამაკაცს მამობის შანსს უკარგავს. პრეპარატის მოქმედების შედეგად, აკროსომალური რეაქციები (ბიოქიმიური რეაქციები, რომლებიც სპერმატოზოიდის კვრცხუჯრედთან შერწყმისას მიმდინარეობს) ნორმალურ რამდენჯერმე უფრო სწრაფად ხდება, რაც განაყოფიერებისა და ორსულობის ალბათობას ამცირებს.

მასაჟი — მარგეპალი თუ...



პროფესიონალურად ჩატარებული მასაჟი სტრესსა და თავის ტკივილს ხსნის, არაკვალიფიციურმა მასაჟმა კი შესაძლოა, ნერვული და კუნთოვანი ქსოვილი დააზიანოს. ზოგიერთი მონაცემით, პაციენტთა 15%-ს მასაჟის შემდეგ, აღდგენითი მკურნალობა სჭირდება. იმ შემთხვევაში, როცა ტკივილის მიზეზი კუნთოვანი ქსოვილის დაზიანება კი არა, ძვლებსა და ნერვებში მიმდინარე ცვლილებებია, მასაჟი მხოლოდ დაამძიმებს მდგომარეობას.

ის ადამიანები, რომლებსაც საკმარისი ცხიმოვანი მასა არ გააჩნიათ, ღრმა მასაჟს უნდა მოერიდონ, ვინაიდან დიდია ალბათობა, სერხემლის მიმდებარე ნერვები, კუნთები და ძვლები დაუზიანდეთ. ყოველ შემთხვევაში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მასაჟისტი კვალიფიკაციას.

სუნთქვა მოზინსნით პრობლემებს

თუ ვერ გამოიძინეთ, შეგიძლიათ, კიდევ ერთი ჭიკა ყავა დალიოთ, ცუდი განწყობისას — შოკოლადი მიირთვათ, უძილობისას კი — საძილე საშუალება მიიღოთ. მაგრამ სპორტული მედიცინის სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ დაღლილობას, ცუდ განწყობასა და გაღიზიანებულობას შეგიძლიათ უფრო ეფექტური და უვნებელი საშუალებით — სუნთქვითი ვარჯიშებით გაუმკლავდეთ.

გამოფხიზლება და ხასიათზე მოსვლაში დაგეხმარებათ მამობილიზებული სუნთქვა. თითოეული ჩასუნთქვა სულ უფრო და უფრო ხანგრძლივი უნდა გახადოთ, გაიზრდება ჩასუნთქვის შემდგომი პაუზებიც, ამოსუნთქვა კი ენერგიული უნდა იყოს.

მამობილიზებული სუნთქვის ფორმულა ასე გამოიყურება: 2(2)+2; 3(2)+4; 4(2)+5; 5(2)+6; 8(4)+5; 6(2)+6; 9(4)+5; 10(5)+5. პირველი ციფრი ჩასუნთქვის, ფრჩხილებში — პაუზის, ხოლო ციფრები „+“ ნიშნით — ამოსუნთქვის ხანგრძლივობას ნიშნავს. თვლაზე — „ერთი, ორი“ ჩავისუნთქავთ, შემდეგ თვლაზე — „ერთი, ორი“ შევიკავებთ სუნთქვას, და ბოლოს, თვლაზე — „ერთი, ორი“ ენერგიულად ამოვისუნთქავთ. ვაგრძელებთ — „ერთი, ორი სამი“ — ჩასუნთქვა, „ერთი, ორი“ — პაუზა და „ერთი, ორი, სამი, ოთხი“ — ენერგიული ამოსუნთქვა — და ასე შემდეგ, სქემის მიხედვით.

ამოსუნთქვითი ვარჯიშის გამოყენება კარგია სიარულისას, სეირნობის დროს — ამ შემთხვევაში, თვლა შეგიძლიათ ნაბიჯებს შეუსაბამოთ.

ნერვული დაძაბულობის მოხსნასა და კუნთების მოდუნებაში დაგეხმარებათ დამამშვიდებელი სუნთქვა. ამ დროს ხანგრძლივდება ამოსუნთქვა და მის შემდეგ კეთდება პაუზა. ფორმულა ასე გამოიყურება: 2+2(2); 3+3(2); 3+4(2); 3+5(2); 4+6(2); 4+7(2); 5+8(2); 5+10(3). პირველი ციფრი ჩასუნთქვის ხანგრძლივობაა, მეორე — ამოსუნთქვის, მესამე — პაუზა ამოსუნთქვის შემდეგ. ასეთი სუნთქვა სასარგებლოა დაძაბული ფიზიკური და გონებრივი მუშაობის შემდეგ, როცა ძალების სწრაფი აღდგენაა საჭირო.



სალამოს სეირნობისას გააკეთეთ მოკლე ჩასუნთქვა ორი ნაბიჯის გადადგმისთან ერთად, შემდეგ 4-6 ნაბიჯზე ხანგრძლივად ამოისუნთქეთ და ბოლოს პაუზა — ორი ნაბიჯის განმავლობაში.

განწყობას ეფექტურად გამოიყენებთ წვევტილი სუნთქვა. 3-4 მოკლე ჩასუნთქვას ენაცვლება 3-4 მოკლე ამოსუნთქვა. ამ ვარჯიშის მოქმედების მექანიზმი ჰგავს ტირილისა და სიცილის ეფექტს: სიცილი ხომ მოკლე ამოსუნთქვების სერიაა, ხოლო ტირილი — მოკლე ჩასუნთქვების სერია. სიცილისა და ტირილის დროს წონასწორდება აგზნებისა და შეკავების პროცესები, სწორედ ამიტომ ვგრძობთ ხოლმე შემდგომში შვებას.

„... და შეიდი ჯუჯა“	„საყვარლის საფლავს ვეძებდი“ (სიმღერა)	ხარების ბრძოლა	ცვარი	თანხ- მობის ფორმა	მთრიმლაფი ნივთიერება	მსოფლიოს საოცრება — როდოსის ...
ჰი ჰი (ია)	ს ს ს ო ბ ო ს ო ს ი ა	ა ნ ა	გ ი ა	ნ ი ა	შ ე ნ ი ა	კ ო ს ო დ ო ს ი
თოვლის კრისტალი	ვაჟი — ძე, ქალიშვილი — ...	გაუშლელი ყვაფილი	ცივი იარაღი	მელუქნე ძველად	ვირტუოზი მევიო- ლინე ... პაგანინი	გამაჟ

უთოს დრო წავიდა

მალე ისტორიას ჩაჰბარდება ისეთი დამღლელი და არასასიამოვნო პროცედურა, როგორცაა გაუთობა. გერმანელმა კონსტრუქტორებმა გამოიგონეს ავტომატი, რომელიც სულ რაღაც 8 წუთში აშრობს პერანგს და უზადოდ აუთობებს.

აპარატის მოქმედების მექანიზმი ასეთია: ადამიანის ზომის გასაბერ ავტომატს ახალგარეცხილ, ჯერ კიდევ სველ პერანგს ჩააცმევენ. ამის შემდეგ აპარატი ცხელი ჰაერით ივსება, პერანგი თანდათან სწორდება და გაუთობის ეფექტს იძლევა. მომდევნო ეტაპზე ქსოვილის დასაფიქსირებლად გრილი ჰაერის ნაკადი გამოდის, რათა ახალგაუთობული პერანგი მალევე არ დაიჭმუჭნოს. ეს საყოფაცხოვრებო ტექნიკა მაღაზიების დახლებზე წლის ბოლოს გამოჩნდება. აპარატი დაახლოებით 1.500 დოლარი ეღირება.

თუ ხელების გათეთრება გსურთ

ხელებს მშვენივრად ათეთრებს მაწონი. კიდევ უფრო კარგ შედეგს მიიღებთ, თუ მოხარშულ, კანგაცილილ, ცხელ კარტოფილს ცოტაოდენ მაწონში ჩაჭყლეთ და მიღებულ მასას ხელებზე წაისვამთ, 15-20 წუთს გაიჩერებთ და თბილი წყლით ჩამოიბანთ. ხელებსა და მუხლისთავებზე კანი დაგირბილდებათ, თუ შუაზე გაჭრილ ლიმონს დღეში რამდენჯერმე წაისვამთ.



ლაქები, ნაღები და მათი მოსილაგის წესი

- თუ მანგანუმის ხსნარის, ე.წ. „მარგანცოვკის“ ლაქების ამოყვანა გსურთ, დალაქავებული ადგილი მაწვნით გაუღინთეთ და 2-3 საათს გააჩერეთ.
- ახალდასხმული მელნის ლაქებს რძეში დასველებული ტილო გააქრობს. ის ასევე კარგად წმენდს პიანინოს კლავიშებს, სარკეს, სურათის ჩარჩოებს.
- კანზე თმის საღებავის ლაქები ამოჰყავს წყალბადის ზეჟანგისა და ნიშადურის სპირტის ნარევის ან ჰიდროსულფატის ხსნარს. მის დასამზადებლად ერთი ს/კ ზემოთ ხსენებული ნარევი გახსენით ერთ ჭიქა წყალში, შეათბეთ 60 გრადუსამდე და დალაქავებული კანი ბამბით გაიწმინდეთ.
- ხალიჩების ფერების აღდგენა შეიძლება ჩაის ნახარშით.
- თეთრ წინდებს რომ სიქათქათე დაუბრუნოთ, გარეცხვამდე ბორის მჟავაში უნდა ჩააგლოთ.
- ლიმონს და გრეიპფრუტს ბევრად მეტი წვენი გამოუვა, თუ გამოწურვამდე 1-2 წუთით ცხელ წყალში ჩადებთ.
- ელექტროჩაიდანაც კი, რომელიც საკმაოდ ძვირად ღირებული სიამოვნებაა, ხშირად იკეთებს ნაღებს. ამის „წყალობით“, წყალი გაცილებით გვიან დუღდება. ამიტომ გირჩევთ, მიმართოთ მამაპაპურ საშუალებას და ისე გაასუფთაოთ ელექტროჩაიდან. მაშ ასე, ჩაასხით მასში დაახლოებით 1 ლიტრამდე წყალი, დაამატეთ 2 ს/კ საჭმლის სოდა და წამოდუღებამდე მიიყვანეთ. შემდეგ გადასხით, ხელახლა ჩაასხით იქ ერთი ლიტრი წყალი, დაუმატეთ ორი ს/კ ძმრის ესენცია და ისევ წამოდუღებამდე მიიყვანეთ. ამ პროცედურების შემდეგ ხის კოვზით სულ ადვილად მოაცილებთ ჩაიდანს ნაღებს. შემდეგ საგულდაგულოდ გარეცხეთ. ასეთივე მეთოდით შეგიძლიათ რკინის ჩაიდანის გასუფთავებაც.



ღიასხლისის საიდუმლოებანი

- შებოლილი, მაგარი ძეხვი იოლად გაიფცქენება, თუ მას ცოტა ხნით საყინულეში მოათავსებთ.
- არ შეიძლება ღვინის, განსაკუთრებით კი თეთრის, მაცივარში ან საყინულეში დიდხანს გაჩერება. ღვინო მალე დაკარგავს თავის არომატს.
- თუ პურს რამდენიმე წუთით მაცივარში გააჩერებთ, ის ადვილად და თანაბარ ნაწილებად დაიჭრება.
- თხილის გული ან არაქისი ადვილად რომ გაასუფთაოთ, მარილწყალში გააჩერეთ, შემდეგ კარგად გაავლეთ, გააშრეთ და გააჩრით.
- თუ გინდათ ახალი ცოცხი დიდხანს გემსახუროთ, პირველი გამოყენების წინ 2-3 საათით ცხელ მარილწყალში გააჩერეთ (1 ს/კ მარილი 1 ლ წყალში).
- გალაქული ავეჯიდან თეთრ ლაქებს იოლად ამოიყვანთ მარილიან ზეთში დასველებული ტილოთ.
- აბაზანაში სარკე რომ არ გაბუნდოვდეს, დაწმინდეთ ფელატინიან წყალში დასველებული ჩვრით. 5 ლ წყალში უნდა გახსნათ 1 ჩ/კ ფელატინი.
- თუ ოთახის სიღრმეში მდგარ ქოთნის ყვავილებს განათება არ ყოფნის, ფანჯრის რაფაზე დადეთ სარკე და შზის სხივები ყვავილებისკენ მიმართეთ.
- მიმწვარი რძე სხვა ქვაბში უნდა გადაიღოთ, სველი ნაჭერი დააფაროთ და წამოდუღოთ. სუნი სწრაფად გაქრება.
- ზეთის საღებავებით დახატული ნახატი კარგად გაიწმინდება ნიშადურიან წყალში დასველებული ჩვრით.

ამის ოტი	ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობა			ქალაქი ... ანჯელებსი	ყვა- ვილი	დარბაისელი ქალი	...	დამის ფრინ- ველი	ზარალი, დანაკლისი
ქვემო	მუხის ნაყოფი	სიფუნაწ რომელიც აორ- მაგებს	ხასიათი	საქონლის საკვები	დაწესებულება თბილისში	ქან-კლოდ ...-დამი	მწვერვალი კავკასიონზე	ქართ. აღ- ფაბეგის პირგ. ასო	



„ერთი წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“ — ამ სიტყვებით არის დახასიათებული მართლმადიდებელი ეკლესია სარწმუნოების სიმბოლოს — „მრწამსის“ მეცხრე მუხლში. ე.ი. „მრწამსის“ მეცხრე მუხლში საუბარია ეკლესიის თვისებათა შესახებ. თვით ეკლესია არის ღმერთის მიერ დადგენილი იმ ადამიანთა საზოგადოება, რომელთაც აერთიანებს მართლმადიდებლური რწმენა. ეკლესიას განეკუთვნებიან არა მარტო ცოცხალი მართლმადიდებელი ქრისტიანები, არამედ გარდაცვლილებიც, რომლებიც ქვეშარიტ რწმენაში და სინამდვილეში იყვნენ; მოციქულთა ეპისტოლეებში ეკლესია „ღმერთის სახლად“; „ღმერთის ქალაქად“; „მორწმუნეთა დედად“ და ბოლოს უფალო იესო ქრისტეს სხეულად იწოდება.

ეკლესია განიყოფება ორ ნაწილად: ქვეყნიურ ანუ ხილულ ეკლესიად და ზეციურ ანუ უხილავ ეკლესიად. ქვეყნიურ ეკლესიას ეწოდება — მებრძოლი ეკლესია, რადგან ებრძვის სარწმუნოების მტრებს და იბრძვის თავის სულიერ შვილთა სულიერი აღზრდისა და გადარჩენისათვის; ზეციურ ეკლესიას კი ეწოდება — მოზიემე ეკლესია, რადგან თავისუფალია ბრძოლისა და განსაცდელისაგან, დღესასწაულებს ცოდვის მძლეველ ქრისტესთან.

რატომ არის მართლმადიდებელი ეკლესია ერთი წმინდა კათოლიკე და სამოციქულო?

შორენა მერკვილაძე

რატომ არის ეკლესია ერთი?

სარწმუნოების სიმბოლოში ეკლესიის პირველ თვისებაზე მითითებით — „მრწამს ერთი... ეკლესია“ — ჩვენ უპირველესად, ეკლესიის ერთობის რწმენას ვაღიარებთ — ანუ გვწამს, რომ ჭეშმარიტი ეკლესია არის ერთი, რადგანაც მას ჰყავს ერთი თავი — ქრისტე, მასში მოქმედებს ერთი სულიწმიდა და ეკლესიის ყველა წევრს აქვს ერთი სარწმუნოება. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტეს ჭეშმარიტი მიმდევრები მრავალ მხარეში არიან გაბნეულნი, ეკლესია ერთ ოჯახს წარმოადგენს და თავი მისი არის უფალი იესო ქრისტე.

როდესაც მაცხოვარი ეკლესიის შესახებ იგაგებით საუბრობდა, მას ეკლესია წარმოდგენილი ჰქონდა ერთ სამწყსოდ, ერთ ეზოდ ცხოვრათათვის, ერთ ვენახად, რაც იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად ეკლესიის წევრთა სიმრავლისა, ეკლესია არის ერთი: „ქრისტემ გამოხატა ეს ფაქტი სამწყსოსა და მწყემსის მაგალითით, რადგან მწყემსი, რომელიც ცხვარს მიუძღვის, არის ერთი და ყველა ცხვარი ქმნის ერთ სამწყსოს, ეს ნიშნავს, რომ ეკლესიის ერთობა არ ირღვევა, მისი მორწმუნეებისა

და ადგილობრივ ეკლესიათა მრავალრიცხოვნობით, რომლებიც გაერთიანებული და შეკრულები არიან ერთმანეთთან სარწმუნოებითა და ცხოვრების წესით. თითოეული ადგილობრივი ეკლესია არის არა ბევრ ეკლესიათაგან ერთ-ერთი, არამედ — ქრისტეს ეკლესია. ეს თითქმის ისევე ხდება, როგორც ტარიგის, ქრისტეს სხეულის შემთხვევაში — წმინდა ტრაპეზზე ქრისტეს სხეული არის „განტეხილი და არა დაყოფილი“ და როდესაც ჩვენ ვეზიარებით მის წმინდა ნაწილებს, ჩვენ არ ვიღებთ ქრისტეს რომელიმე ნაწილს, არამედ მთლიანად ქრისტეს, რადგან ქრისტე არის „დანაწილებული განუყოფლად“ — განმარტავს მიტროპოლიტი იეროთეოსი.

„მართლმადიდებლურ კატეხიზმში“ განმარტებულია: „სარწმუნოების სიმბოლოში იმის აღიარებით, რომ ეკლესია არის ერთი, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ეკლესიის ერთობა ხორციელდება არა ადამიანური ძალით, არამედ ჩვენთვის მონიჭებული ღმრთიერივი სიყვარულით. ეს ნიშნავს აგრეთვე იმას, რომ ეკლესია არ არის მხოლოდ ადამიანთა საზოგადოება ანდა კავშირი, არამედ ღმერთკაცობრივი ერთობა ანუ ადამიანების კავშირი ღმერთთან და ერთმანეთს შორის“.

რატომ არის ეკლესია წმინდა?

ეკლესია წმინდა იმიტომ, რომ წმინდა მისი დამუშავებული და თავი — იესო ქრისტე. მაცხოვარი ეწო და საკუთარი სისხლი დაღვარა იმისათვის, რომ ეკლესია ჰყოს წმინდად და უბიწოდ — ე.ი. ეკლესია იწოდება წმინდად იმიტომ, რომ განწმენდილია იესო ქრისტესგან, მისი ტანჯვით, მოძღვრებით, ლოცვით და საიღუმლოებებით. პავლე მოციქული ეკლესიის სიწმინდის შესახებ წერს: „ქრისტემან შეიყურა ეკლესია და თავი თვისი მისცა მისთვის, რათა იგი წმინდა-ყოს, განწმინდა იგი საბანელითა მით წყლისათა და სიტყვითა, რათა წარუდგინოს თავადმან თავსა თვისსა ღიღებულად ეკლესიას, რათა არა აქუნდეს მწიკუღვეანება, არცა ნაოჭ ბრძვილისა, არცა სხუაი რაი ესრევითარი, არამედ რათა იყოს წმიდა და უბიწო“ (ეფეს. 5, 25-27).

რადგან ეკლესია არის წმინდა, ასევე ყველა საეკლესიო მოქმედება არის განმწმენდილი. ეკლესიის მიზანია, განწმინდოს თავისი წევრები და უწინამძღვროს მათ განღმრთობისაკენ. რადგან ეკლესიის მიზანი ადამიანთა განწმენდაა, მის წევრებად ცოდვილებიც ითვლებიან, რომლებიც ინანიებენ ცოდვებს და ღმერთის მადლის ძალით მოექცვიან და განიწმინდებიან.

რაგომ იწოდება მართლმადიდებელი ეკლესია კათოლიკედ?

სიტყვა „კათოლიკე“ ნიშნავს საყოველთაოს, მთლიანს. მართლმადიდებელი ეკლესია არის კათოლიკე, რადგან ის არის მთელ მსოფლიოში. არ არსებობს ადგილი, სადაც მართლმადიდებელი ეკლესია არ არის. ამასთან დაკავშირებით წმინდა კირილე იერუსალიმელი წერს: „მას ეწოდება კათოლიკე, რადგან ის განფენილია მთელ მსოფლიოში, დღემდის ერთი ბოლოდან მეორემდე... რადგან ეკლესიები, რომლებიც ყველგან არიან განფენილნი, არიან ერთი, ისინი ქმნიან ერთ კათოლიკე მთლიანობას სულიწმიდის საკრველით“.

ქრისტეს ეკლესია კათოლიკეა იმიტომაც, რომ არ განისაზღვრება ადგილით: მოიცავს ცასა და ქვეყანას – კათოლიკე ეკლესიას ეკუთვნიან როგორც ქვეყანაზე მყოფი მორწმუნენი, ასევე მცვალებულნიც, რომლებიც მართლმადიდებლურ რწმენას აღიარებდნენ და უფლისადმი რწმენითა და სასოებით მიიცვალნენ; ამასთანავე ეკლესია არის კათოლიკე, რადგან არ განისაზღვრება დროთი. თვით ქრისტემ ალუთქვა მორწმუნეებს, მათთან ყოფნა აღსასრულამდე სოფლისა. ე.ი. მართლმადიდებლური ეკლესია არის კათოლიკე, რადგან მსოფლიო საყოველთაო და კრებითა, იგი ყველა ადგილსა და ყველა დროის მორწმუნეებს მოიცავს.

რაგომ იწოდება მართლმადიდებელი ეკლესია სამოციქულოდ?

ე.ი. გავრცელებულია მოციქულთაგან – მოციქულთა ქადაგებითა და ღვაწლით და უცვლელად და მტკიცედ იცავს მოციქულთაგან გადმოცემულ სწავლა-მოძღვრებას იმ მღვდელმთავართა საშუალებით, რომლებზეც სულიწმიდის მადლი ხელდასხმის საშუალებით გადმოდის. აქედან გამომდინარე, ჭეშმარიტ ეკლესიაში უნდა იყოს ყოველივე ის, რაც იყო მოციქულთა დროის ეკლესიაში: „სამოციქულო ეკლესია არის მხოლოდ ის, რომელსაც აქვს თვით მოციქულთა მემკვიდრეობა სულიწმიდის ნიჭთა ხელდასხმით. ე.ი. რომელშიც მემკვიდრეობა იერარქიისა შეუწყვეტად მომდინარეობს თვით მოციქულთაგან და რომელიც იცავს სამოციქულო გადმოცემას მოძღვრებასა, მღვდელმოქმედებასა და ეკლესიის წეს-წყობას“ („სახელმძღვანელო მართლმადიდებელ ეკლესიის კატეხიზმოს შესასწავლად“).

„ჩემი სახლის კარი ყოველთვის ღიაა. კოლექცია, რომელსაც ვფლობ, არ არის ოთხ კედელზე გამოკეტილი საკუთრება“ — გვეუბნება ბატონი გივი ფარასტაშვილი, რომლის კოლექციის თითოეული ექსპონატი ხელოვნების თვალსაჩინო ნიმუშია. არც ერთი სურათი იოლად არ არის მოპოვებული. ნელ-ნელა გროვდებოდა და იქმნებოდა კოლექცია. ამისთვის კი, მხოლოდ ფული და სურვილი არ ყოფილა საკმარისი.



კოლექციონერის ბინაში

ნაწული გობიკივილი

– 30 წელზე მეტია, ამ საქმეს მივლეე და თავი ვერ დამიღწევია, თუმცა არც მიცდია. როცა სახლი არ მქონდა, ვიტყვოდი ხოლმე – აი, ერთ სურათსაც შევიძენ და მერე მოვიცილი სახლისთვის-მეთქი. მაგრამ ეს „ერთი“ არ დავიღია. ამასობაში, მაინც მოვახერხე და დღეს, საკუთარი სახლი მაქვს. გამოცდილებიდან ვიცი, რომ ამ აზრტს თავს ვეღარ დავანებებ. თავის დროზე (კომუნისტური მმართველობის წლებში. – ავტ.) ეს საქმე თითქმის აკრძალული იყო და მას კრიმინალური ელფერიც კი დაჰკრავდა. საზოგადოებისთვის მე უცნაურ პიროვნებას წარმოგადგენდი. მაინც, რომ სურათების შეგროვება რაღაც ახირება იყო. როდესაც ვინმეს მაცნობდნენ, ჩემზე – მათემატიკოსიო, – კი არ ამბობდნენ, არამედ – კაცი, რომელიც სურათებს აგროვებს... მაშინ მოდაში იყო წიგნების შეგროვება. ბიბლიოფილები შაბათ-კვირას ვერის პარკში ბაზრობაზე იკრიბებოდნენ. იქ რომ გამოვჩნდებოდი, შორიდანვე ჩურჩულის ტალღა ვაღაუვლიდა ექსპონატს. მე ამას არ ვაქცევდი ყურადღებას. ჩემი მიზნის მიღწევაში ხელს ვერაფერი შემიშლიდა... კოლექციონერობა რთული იყო კიდევ იმიტომ, რომ მაშინ ნახატებს არ ყიდდნენ. მხატვრები ვაოცებულები მიყურებდნენ. ადვილი არ იყო კარგი სურათის მოძიება, მაგრამ ის, რაც მიხლოდა, მაინც

ჩემს ხელში ხვდებოდა. ეს ალბათ, დიპლომატიის შედეგად იყო, მოთმინების და კიდევ სხვა ფაქტორების. ერთი ოჯახიდან რომელიღაც სურათი მაინტერესებდა, მაგრამ მფლობელი ვერ ელყოდა. ოცზე მეტი ნამუშევარი ვიყიდე მისგან, სანამ მართლ ის არ დარჩა, რაც მიხლოდა. ყველა ნახატი თავისთავად მშვენიერია, მაგრამ ის რომ პირველად მოეცა, დანარჩენს ხომ აღარ ვიყიდდი?! ახლა კი, მსიამოვნებს, ამდენი ნახატი რომ მაქვს. ხშირად მივდიოდი სტუმრად ლადო გუდიაშვილთან, ეკატერინე ბაღდაძესთან, ელენე ახვლედიანთან. ბატონი ლადო საოცრად კეთილი და გულთბილი იყო, საათობით მესაუბრებოდა, ათას რამეს მიყვებოდა... ერთხელ, მე და ქალბატონი ეკატერინე რ საათი ვიდევით და ვლაპარაკობდით, ვერც კი ვავიგეთ, ამდენი დრო რომ ვავიდა. რუსულად ჯავრიშვილი ხანდახან კვირარობით ცხოვრობდა ჩვენთან. დღესაც ბევრი მეგობარი მყავს მხატვრებს შორის: ვიბსონ ზუნდაძე, ედმონდ კალანდაძე, ზურაბ ნიჟარაძე, თამაზ ხუციშვილი, თენგიზ მირზაშვილი და სხვები.

ვივი ფარასტაშვილი კახეთის ერთ-ერთ უღამაზეს ადგილას – ყვარელში დაიბადა. ბავშვობაში თეატრით იყო გატაცებული. თბილისში ხშირად ჩამოდიოდა თავის ნათესავებთან და ყოველთვის ესწრებოდა სპექტაკლებს. თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარება გადაწყვიტა, მაგრამ გამოცდებზე დაივიანა. წელი რომ

ინფორმაციულ-შეხვედრითი კოლაჟი

ეოზა დვალის უბის წიგნაკრძან:

- 1. ალასკა ამერიკას ალექსანდრე მეორემ მიჰყიდა.
- 2. რომაელები ეგვიპტეს საკუთარ ბელელს ეძახდნენ.
- 3. „სუენირი“ ფრანგული სიტყვაა და მოგონებას ნიშნავს.
- 4. ვოლტერი პრუსიის მეფე ფრიდრიხ მეორესთან მეგობრობდა.



- 5. ტერმიტების დელოფალი კვერცხს ყოველ 15 წამში დებს.
- 6. ჩარლზ დარვინი თაფლის ფიჭას საინჟინრო შედეგს ეძახდა.
- 7. თახვები 5 მილიონი წელია, რაც წყლის კაშხლებს აშენებენ.

- 8. მტერი ყველაზე კარგი მასწავლებელია, – ამბობენ ტიბეტელები.
- 9. ბენიტო მუსოლინი პირველ ფაშისტად იულოუს კეისარს მიიჩნევდა.
- 10. ირმა სოხაძე ოთხი წლის იყო, როცა პირველად გამოვიდა სცენაზე.
- 11. შამილ ბასაევი მთიანი ყარაბაღის ომის დროს, აზერბაიჯანის მხარეზე იბრძოდა.

- 12. მონეტის წინა მხარეს ავერსი ჰქვია, უკანა მხარეს – რევერსი, გვერდითა მხარეს – გურტი.
- 13. ტიგრან პეტროსიანი, რიგით მეცხრე მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში, 1929 წელს თბილისში დაიბადა.
- 14. ექსპერტიზის მიზნით, საფლავიდან გვამის ამოთხრას ექსპუმაცია ეწოდება.

15. ტატიანა კონიუნოვამ ფილმში – „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“ – ფაქტობრივად, საკუთარი თავი განასახიერა.

16. ამერიკის შერთებულ შტატებში 30-იან წლებში მრავალსართულიან სახლებს ვერტიკალურ ქუჩებს ეძახდნენ.

17. ერთ-ერთი ევროპული ქალაქის შესასვლელში აღმართულ სტენდზე არის წარწერა: „დაუკელით სიჩქარეს, ჩვენთან არ არის საავადმყოფოები“.

18. 10 წლის ფიდელ კასტრომ ამერიკის პრეზიდენტს მისწერა – არასოდეს მინახავს ათლოლარიანი კუპიურა და კარგი იქნებოდა, რომ მქონოდაო. მისთვის ფული არავის გაუგზავნია.

19. „ჭკუა ხანში კი არ არის, ჭკუა თავშია. რა ქნას მიშაიამ, ხომ იბრძვის, არ დაუდგეთ მხარში?“ – ამბობდა ოტია

არ გაეცდინა, უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტზე ჩააბარა, მაგრამ ხელოვნებისადმი ინტერესი არ განულებია. დადიოდა თეატრებში, გამოფენებზე, მუზეუმებში. 1973 წლის ივლისის ერთ დღესაც, მხატვარ ნათელა იანქოშვილის ნამუშევართა გამოფენაზე მივიდა. გივი დიდხანს და გულდასმით ათვალიერებდა სურათებს. იქ შეიძინა თავისი კოლექციის პირველი ნახატი. ასე დაიბადა იდეა, შეეგროვებინა საყვარელი მხატვრების ნამუშევრები. ქართული თეატრალური მხატვრობის ნიმუშებსაც გემოვნებით არჩევდა. აღსანიშნავია ირაკლი გამრეკელის ესკიზები პიესისთვის „ადამიანი სარკეში“: მხატვარი რეჟისორ ახმეტელთან ერთად მუშაობდა პიესაზე 1925 წელს. საინტერესო აღმოჩენაა ცნობილი თეატრალური მხატვრის სოლიკო ვირსალაძის 1940 წელს შესრულებული ესკიზი ბალეტისთვის „აშიყ-ქერიბი“. სპექტაკლი ლენინგრადში დაიდგა და დღეს თეატრში მისი დეკორაციის მაკეტის ასლია დაცული, ხოლო ორიგინალი გივი ფარასტაშვილს აქვს. მის კოლექციაშია აგრეთვე პეტრე ოცხელის, თამარ აბაკელიას, იოსებ სუმბათაშვილისა და სხვათა თეატრალური დეკორაციებისა და კოსტიუმების ესკიზები. ყველაზე ძველი სურათი მის კოლექციაში, გიგო გაბაშვილის მიერ 1892 წელს შექმნილი „აღმოსავლური სიძველეების დუქანია“. ნახატი თითქმის ნახევარი საუკუნე დაკარგულად ითვლებოდა და როცა ბატონმა გივიმ აღმოაჩინა, საკმაოდ შელახული იყო. მან მაშინვე გააკეთებინა რესტავრაცია. სურათი ერთ-ერთი საუკეთესოა გიგო გაბაშვილის შემოქმედებაში... მხატვარი შალვა ქიქოძე



ნიკო ფიროსმანის შედეგრი – „საადღგომ ბატკანი“ ბედნიერი შემთხვევის წყალობით მოხვდა კოლექციაში

27 წლისა გარდაიცვალა გერმანიაში. მისი ნამუშევრების დიდი ნაწილი იმ-თავითვე მოხვდა საქართველოს ხელოვნების მუზეუმში და კერძო კოლექციებში ნაკლებად შეხვდებით. გივი ფარასტაშვილს ქიქოძის რამდენიმე სურათი აქვს. კოლექციის მშვენიერს წარმოადგენს მოსეთიძის 1901 წლით დათარიღებული „თბილისელი მაჰმადიანის ოჯახი“, მისი ვაჟის ირაკლი თოიძის „ქალი თუთიყუშით“. ლაღო გუდიაშვილთან და ელენე ახვლედიანთან ურთიერთობამ კოლექცია გაამდიდრა იმ მხატვრების სურათებით, რომლებიც 20-იან წლებში დაბრუნდნენ პარიზიდან და თანამედროვე ქართულ ხელოვნებას ჩაუყარეს საფუძველი. ბოლო წლებში შეემატა მის კოლექციას ალექსანდრე ბაჟბუქ-მელიქოვის, ვალერიან სიღამონ-ერისთავის, კირილ ზდანევიჩის, კორნელი სანაძის, ედმონდ კალანაძის, ზურაბ ნიჟარაძის, ჯიბსონ ზუნდაძის, ირაკლი ფარჯანიის ნამუშევრები.

...ალექსანდრე ბაჟბუქ-მელიქოვის შედეგრი – „ჩემი სახელოსნო“ ირაკლი თოიძესთან ინახებოდა მოსკოვში. ბატონი გივის ოცნება იყო მისი შექმნა, მაგრამ მფლობელი სულაც არ აპირებდა სურათის დათმობას. 3 წელი გაგრძელდა შეხვედრები და მოლაპარაკებები. 80-იან წლებში, ირაკლი თოიძეს თბილისის საპატრიო მოქალაქეობა მიანიჭეს და „თბი-



„ბეგომორგრევი – მიგიხვდი“ – ეკატერინე ბაღდავაძე



„მაკას პორტრეტი“ – ზურაბ ნიჟარაძე

ლისობის“ ზეიმზე იგი მეუღლესთან ერთად ჩამოვიდა. მხატვარი ოჯახში დაბრუნდა გვიან ფარასტაშვილმა და მისი რამდენიმე ნამუშევარი შეიძინა. მერე თავად ჩავიდა მოსკოვში. მომდევნო „თბილისობაზე“ იგივე განმეორდა. ბოლოს, მესამედ რომ ჩავიდა მოსკოვში ბატონი გივი, ყველაფერი მის სასარგებლოდ დასრულდა.

ნიკო ფიროსმანის შედეგები — „სააღდგომო ბატკანი“ ბენდიერი შემთხვევის წყალობით მოხვდა კოლექციაში. სურათი ყოფილმა მფლობელმა ხელოვნების მუზეუმში მიიტანა, მაგრამ მას საჭირო სახსრები არ აღმოაჩნდა. ბატონი გივი მადლიერებით იხსენებს მუზეუმის თანამშრომლებს, რომლებმაც იგი სურათის მფლობელთან დააკავშირეს. ასე დაიმკვიდრა ამ განმძა ადგილი მის კოლექციაში.

ბევრი ნამუშევარი შესრულებულია თავად კოლექციონერის შეკვეთით. ეკატერინე ბაღდაძის — „ვარდი არ ჭკნება“ ერთ-ერთი მათგანია. ბატონი გივის სურვილი იყო, შექმნილიყო ჯერ ისევე ლამაზი მხატვარი ქალის ავტობორტრეტი, თუმცა სათქმელი ამ სათაურით გამოხატა. რამდენიმე დღის შემდეგ, პორტრეტი ნახა, მაგრამ ის არ იყო, რაც მას სურდა. სთხოვა ქალბატონ ეკატერინეს, ახალი შეექმნა. არც შემდეგი აღმოჩნდა კოლექციონერის ჩანაფიქრის შესატყვისი. შეექმნა პორტრეტის სანახავად რომ მივიდა, ქალბატონმა ეკატერინემ სიცილით უთხრა — ამ პორტრეტს „მივიხვდი“ ჰქვიაო. სურათზე გამოსახული იყო მხატვარი ქალი ვარდით ხელში. თურმე, უზომო გახლდათ ბატონი გივის სიხარული...

— ჩემს კოლექციაში საკმაო რაოდენობით სურათები რომ დაგროვდა, ბუნებრივია, გამიჩნდა სურვილი, გამოფენა მომეწყო. 1989 წელს, ხელოვნების მუზეუმის დირექტორი თამაზ სანიკიძე დამეხმარა და პირველ ვერნისაუზე ასამდე სურათი — ძირითადად, კლასიკოსები გამოიფინა. მე მქონდა ახალგაზრდა და თანამედროვე მხატვრების ნამუშევრებიც, მაგრამ მათი გამოფენა ვერ მოხერხდა, რადგან მუზეუმმა მხოლოდ 3 დარბაზი დაამთხო. 2001 წელს, ეროვნულ გალერეაში დიდი ვერნისაუი მოეწყო. ქართველ

მხატვართა ორასამდე სურათი წარმოვადგინე და ამავე დროს, გალერეა „ვერნისაუში“ — თეატრალური ესკიზები. სხვათა შორის, იმ წელს შემისრულდა 60 წელი. სულ 8 სხვადასხვა გამოფენა მაქვს მოწყობილი. ჩემს კოლექციაში ისეთი ნახატებიცაა, რომლებიც ჯერ არსად გამოფენილა. ზოგჯერ სურათი მხატვრის სახელოსნოდან პირდაპირ ჩემთან მოდის. ჩემი ექსპონატები ხშირად „მოძრაობენ“ თემატურ თუ საიუბილეო გამოფენებზე. ყოველი ახალი სურათის შეძენის შემდეგ, ერთი სული მაქვს, სანამ ახლობლებს და ნაცნობებს ვუჩვენებ მას. შემდეგ მიზიფულობა ნელდება და ჩნდება ახალი მიზანსწრაფვა, რომ მოვიძიო ისეთი სურათი, რომელიც დამეხმარება ჩემი ამოცანის გადაწყვეტაში — შევგროვოთ ქართველ მხატვართა ნამუშევრების შეძლებისდაგვარად სრულყოფილი კოლექცია.

წლებულს გაზაფხულზე გივი ფარასტაშვილის კოლექციაში დაცულ ნაწარმოებთა ზედიზედ 2 გამოფენა გაიმართა: ნიკო ცეცხლაძის ნამუშევართა პერსონალური და, მეორე — „მხატვრის კვირეულის“ ფარგლებში მოწყობილი ქართველ მხატვართა რეტროსპექტული გამოფენა. მეორე გამოფენაზე მხანველმა 38 მხატვრის 78 ნამუშევარი იხილა. მათი უმრავლესობა ან არასდროს ყოფილა გამოფენილი, ან იმდენად დიდი ხნის წინ გამოუტანიათ საზოგადოების სამსჯავროზე (კერძოდ, 1919 წელს), რომ აღარავის ახსოვს.

კოლექციონერი და მათემბატიკოსი გივი ფარასტაშვილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი. პროფესიის წყალობით, ფინანსურ პრობლემებს ყოველთვის აგვარებდა (ძირითადი სამსახურის გარდა, კერძო მოსწავლეებიც ჰყავდა), თუმცა დღევანდელი ყოფა ამის საშუალებას ნაკლებად იძლევა. მას საოცრად უყვარს თავისი საქმე და თითოეული სურათი, მაგრამ არ უყვარს საკუთარი პორტრეტები (პოზირება არ მოსწონს). ბატონი გივის ოცნებაა — ყვარელში გაკეთდეს მუზეუმი, სადაც ბინას დაიდებს მისი კოლექცია. 15 წელია, კონკრეტულ წინადადებებს ელის...

ინფორმაციულ-მედიისაგარეშე კოლაჟი

ეორა დვალის უბის წიგნაკედან:

იოსელიანი ერთ-ერთ ინტერვიუში.

20. მარმარილოს მოხატულობა იმდენად რთულია, რომ მისი გამეორება თანამედროვე ტექნიკის გამოყენებითაც დიდ სირთულეს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, XIX საუკუნეში მაინც ახერხებდნენ მარმარილოს ნატიფი მოხატულობისა და ნაზი ნახევარტონების შპალერზე გადატანას. ამისთვის ტრაფარეტად კომბოსტოს განივ ჭრილს იყენებდნენ.

21. ბრაზილიაში იტალიაჟს კაშხლის ასაგებად, მდინარის გვერდზე გადაგდება გახდა საჭირო საგანგებო არხით, რომელიც კლდეში გაიყვანეს. საბუშაობის დაწყება ერთ წელიწადს კიდევ ვერ მოხერხდა. მშენებლები მდინარის კალაპოტის გაშრობას უცდიდნენ.

22. 1845 წელს, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი კარლ რულე წერდა: „ეს იყო გლენური ქოხი, ქვის იატაკით, რომლის ქვეშაც რუსული ლუმელი იყო გამართული. ქოხში ამწყვდევდნენ დათვის მოზრდილ ბელს და ახურებდნენ იატაკს, რის გამოც ცხოველი ძალაუნებურად ხტუნვას იწყებდა. ამ პროცედურის შემდეგ დათვის პურსა და თაფლს აჭმევდნენ.“ ასე ასწავლიდნენ რუსეთში მოშინაურებულ დათვის ცეკვას და ბაზრობებზე გასაყვანად ამზადებდნენ.

23. „მე თუთუნისა წვეთა ვერ გადავივლი მთასაო, ეგრე რომ ბოლი მივვარდეს, ბუნხარში შევრგავ თავსაო“, — ასე უპასუხა აკაკი წერეთელმა რაჭველ მასპინძლებს, რომელთაც სივარეტი მიაართვეს.

24. „რუსს რომ უთხრა, ცაზე ადენი ვარსკვლავიაო, დაიჯერებს, მაგრამ როცა ხელავს კარზე ჩამოკიდებულ წარწერას — „ფრთხილად, შეღებია“, — აუცილებლად თითით გასინჯავს“, — ამბობს მიხაილ ზადორნოვი.

25. „როცა სახეში ქარი მირტყამს, ცრემლდენა მეწყება, — ჰყვება გელა ჩარკვიანი, — 1994 წელს ელცინს ვაცხილებდით აერობორტში, ქარი იყო და ცრემლები დაპალუპით მდიოდა. ელცინმა ყველას ჩამოართვა ხელი. ჩემამდე რომ მოვიდა, კარგად დამაკვირდა და მეუბნება: „ნიჩევი, ია ეშჩო პრიელუ!“





— თქვენს გაყრას ინგლისის საზოგადოების მხრიდან საშინელი რეაქცია მოჰყვა...

— თავისთავად გაყრა, ნებისმიერი ნორმალური ადამიანისთვის საზარელი რამ გახლავთ, მაგრამ როცა ეს ყოველივე მთელი მსოფლიოს თვალწინ ხდება, როცა შენ საქვეყნო განსჯის საგანი ხდები, გაკრიტიკებენ, ბრალს გდებენ და შენგან თავის მართლებას საჯაროდ მოითხოვენ — მიუხედავად იმისა, დამნაშავე ხარ თუ არა — ეს სრულიად აუტანელი რამ არის. მე არც მაშინ მესმოდა და არც ახლა მესმის, რა ახსნა-განმარტებას მოითხოვდნენ ჩემგან. მე ხომ იმხანად ისედაც საშინელ მდგომარეობაში ვიმყოფებოდი. მე და ჩემმა მეუღლემ კარგად ვიცოდით, რატომ გადაწყვიტეთ გაყრა, დანარჩენებს კი, ეს არ ეხებოდათ. მაშინ საზოგადოება სასტიკად მომექცა: თითქოსდა გამჭვირვალე აკვარიუმში მომათავსეს და ყოველი ჩემი ნაბიჯი, გრძნობა თუ ემოცია ანალიზისა და განსჯის საგანი ხდებოდა, ათასგვარ სისულელესა და სიბინძურეს მატარებდნენ...

მას შემდეგ, რაც 1997 წელს „ტიტანიკში“ ნათამაშებმა როლმა ახალგაზრდა ინგლისელ მსახიობს, კეიტ უინსლეთს საერთაშორისო რანგის პირველი კლასის ვარსკვლავის სახელი დაუმკვიდრა, მან ვარსკვლავური ცხოვრების წესს, კვლავაც მისთვის ჩვეული, მშვიდი ცხოვრების წესი ამჯობინა. „ჩემთვის ჩვეული ცხოვრების წესის შეცვლა არ მსურს; არც ის მინდა, რომ „ტიტანიკმა“ ჩამძიროს“, — განუცხადა იმხანად კეიტმა თავის აგენტს. მან ჰოლივუდელი რეჟისორების არაერთ ხელსაყრელ წინადადებაზე თქვა უარი და მაროკოში, მცირეობიუჯეტოანი დამოუ-

„ჩვენი კეიტი, ინგლისის ვარდი, ბრიტანელთა ეროვნული სიამაყის საგანი — ასე მომიხსენიებდნენ თავდაპირველად, შემდეგ კი, ისე დაუნდობლად მომცხეს ჩირქი, თითქოსდა უკანასკნელი ნაძირალა ვყოფილიყავი. ასეთი შეურაცხყოფის ატანა ძალზე ძნელი გახლდათ,“ — განაცხადა, ამას წინათ, კეიტ უინსლეთმა. მაინც რა ჩაიდინა ისეთი „ტიტანიკის“ ვარსკვლავმა? რით ალაშქოთა ასე თანამემამულენი? ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ქმართან გაყრა აღმოჩნდა.

კეიტ უინსლეთი:

„მთლიანდღვნივს დახანახანვს ოჯახის დახანახანვს, სახანახალი ხანა შეხანახანვს“

კიდებული კინოსურათის — „ექსპრესი მარაკეში“ — გადაღებებზე გაემგზავრა. სწორედ იქ გაიცნო თავისი მომავალი ქმარი — ჯიმი ტრიპლტონი, რომელიც ამ ფილმის რეჟისორის მესამე თანაშემწე გახლდათ. კეიტმა მის მკლავებში იპოვა ის მყუდრო სავანე, რომელსაც ასე ელტვოდა იმხანად. უინსლეთი ალტაცებული გახლდათ თავისი ახალგაზრდა მეუღლით და საქვეყნოდ აცხადებდა, რომ ოცნებობდა, მისთვის სულ ცოტა ოთხი შვილი მაინც ეჩუქებინა. პუბლიკა ზეიმობდა: კეიტი ჭკვიანი გოგონა და კარგად იცის, რომ მას ჰოლივუდური ფილმების გმირი-საყვარლის სახელის მქონე მეუღლე კი არ სჭირდება, არამედ მისტერ „ნორმალური მამაკაცი“ (სწორედ ამ სახელით მოიხსენიებდნენ პრესაში ჯიმი ტრიპლტონს) — ამბობდნენ მის შესახებ.

სამწუხაროდ, „ნორმალური მამაკაცი“, ვარსკვლავის ქმრობისათვის მზად არ აღმოჩნდა. როცა უინსლეთის უდიდეს წარმატებებს მის მოკრძალებულ მიღწევებს ადარებდნენ, ჯიმი ღიზიანდებოდა. კეიტს ესმოდა ქმრის: იოლად ასატანი სულაც არ გახლავთ, როცა ცოლი ესოდენ ცნობილია და თანაც ქმარზე ასჯერ მეტი შემოსავალი აქვს. ამიტომ ჟურნალისტების ამოჩემებულ შეკითხვას: — „თქვენს ოჯახში მაინც ვის აცვია შარვალი?“ — ის საკმაოდ მშვიდად და თავდაჯერებულად პასუხობდა: „ორივე ჩვენგანს თითო შარვალი გვაქვს!“ როცა კეიტი დაორსულდა, ჯიმი, ცოტა არ იყოს, დაწყინდა. ქალიშვილი მის დაბადების შემდეგ, ჯიმის სიმყუდროვე კვლავ დაერღვა — მისი ცოლი ისევ და ისევ საყოველთაო ყურადღების ცენტრში გახლ-

დათ მოქცეული, თვითონ კი, მისი უფასო დამატებასავით გამოიყურებოდა. ჯიმი უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა და ცოლს კატეგორიულად დაუსვა საკითხი: მას ან მსახიობობა უნდა აერჩია, ან დელობასა და ცოლობას დასჯერებოდა. საკითხის ასე კატეგორიულად დასმამ კეიტი გაანაწყენა: ის ხომ ისედაც არ მიიღებოდა ჰოლივუდისაკენ და მეორეხარისხოვან როლებს სჯერდებოდა, რათა რაც შეიძლება მეტი დრო გაეტარებინა შინ. მაგრამ მსახიობობაზე საერთოდ უარის თქმა, ეს უკვე მეტისმეტი იყო.



„ტიტანიკი“. ლეონარდო და კაპარიოსთან ერთად

მისთვის ყველაფერი ნათელი გახლდათ: ის და ჯიმი უკვე ვეღარ ანიჭებდნენ ერთმანეთს სიხარულს, მათ გართულეზულ ურთიერთობებს კი, შესაძლოა, პაწაწინა მის ფსიქიკაზე უარყოფითად ემოქმედა. 2001 წლის სექტემბერში უინსლეთმა გაყრის პროცესი წამოიწყო. ამ თემის კომენტარებზე მსახიობმა უარი განაცხადა და მხოლოდ ერთი რამ თქვა: „ჩვენ მეგობრებად დავრჩებით. ჩვენს გოგონას ყოველთვის მოსიყვარულე დედა და მამა ეყოლება“.

— მაინც რაში დაგდოთ ბრალი პუბლიკამ? იქნებ, თქვენთვისვე ყოფილიყო უმჯობესი, რომ ამ

საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გაგვეკეთებინათ?

— არა, სიცრუის კომენტირება სრულიად წარმოუდგენელი რამ არის. ოჯახის დანგრევამდე ყველამ მე დამადანაშაულა, ჯიმი კი, უმანკო მსხვერპლად გამოიყვანეს. გარდა ამისა, წერდნენ, რომ მე დაუდევარი და არაფრის მაქნისი დედა ვიყავი. რა უნდა მექნა, საქვეყნოდ გამომეცხადებინა, რომ ჩემს დედურ მოვალეობას ვასრულებდი?! ყველასათვის მომეყოლა იმის შესახებ, თუ როგორ მიყვარს საკუთარი შვილი?!. ეს ხომ სრული აბსურდია! იმასაც ამბობდნენ, რომ მე ჩემი ჭეშმარიტი სახე გამოვაჩინე — ჯიმი კარიერის გამო მივატოვე, რამეთუ მივხვდი, რომ ის შოუბიზნესის სამყაროსთვის შეუფერებელი კანდიდატურა გახლდათ... დღემოდ ჩემო, მთელ ამ სიცრუეს ჭკუიდან გადავყავდი. იცით, ამ დეენამ ბავშვობა გამახსენა. პატარაობისას საკმაოდ მსუქანი და მოუქნელი ბავშვი ვიყავი და თეატრალური სკოლის თანაკლასელები გამუდმებით აბუჩად მიგდებდნენ. მე არავის არაფერს ვუშავებდი, მაგრამ ისინი რატომღაც ღიზიანდებოდნენ — ისინი ყველანი ლამაზები და ტანადები იყვნენ, ჩემიანი ბუმტივით მრგვალ გოგონას (სწორედ ბუმტივის მეტსახელით მომიხსენიებდნენ) კი, მათსავით მსახიობობა სურდა. როგორ უნდა მებრძოლა ასეთ სიტუაციაში?

— უკანასკნელ ხანებში გადაღებულ ფილმში — „ვენების განუწყვეტელი ციალი“ თქვენ იმედგაცრუებული შეყვარებული ქალის როლს ასრულებთ, რომელიც სატრფოსთან განშორების შემდეგ გადანყვეტს, რომ ყველა მტკივნეული მოგონება ქირურგიული ჩარევის მეშვეობით „ნაშალოს“ გონებიდან ამის გაკეთება რეალურ ცხოვრებაშიც რომ ყოფილიყო შესაძლებელი, თავადაც ასე ხომ არ მოიქცევდით?



ქორწილის დღეს, პირველ ქმართან ჯიმი გრიპლგონთან ერთად, 1998 წლის ნოემბერი

— არა. რეალურ ცხოვრებაში არასოდეს არაფერს ვნანობ. რაც მოხდა, მოხდა. როგორ შეიძლება ვინანო, მაგალითად, ის რომ ჯიმის გაყვები ცოლად?! მე ხომ ამ ქორწინებიდან გოგონა მყავს, რომელიც სიცოცხლეზე მეტად მიყვარს! იმასაც გეტყვით, რომ არ მიყვარს ისეთი გმირების თამაში, რომლებიც მე მგვანან. ისეთი ხასიათებისა და გრძნობების თამაში მომწონს, რომელიც ჩემთვის სრულიად უცხოა — ეს ხომ საკუთარი თავის გამოწვევასავითაა. რაც არ უნდა ვილაპარაკოთ, მსახიობობა ხომ სხვა არაფერია, თუ არა სურვილი იმისა, რომ საკუთარი თავისა და შესაძლებლობების დემონსტრირება მოახდინო. თანაც, სხვა ადამიანის ტყავში ყოფნა ყოველთვის საინტერესოა. როცა სხვის ემოციებში იძირები, გარკვეული ხნით საკუთარი განცდები და პრობლემები გავიწყდება. გადასაღებ მოედანსა თუ სცენაზე უფრო თამაზად ამჟღავნებ სხვის ემოციებსა და გრძნობებს, რამეთუ მათი გამოქვავების არ გრცხვენია — რასაც, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, საკუთარ ემოციებთან დაკავშირებით ვერ ვახერხებთ.

— რა დაგეხმარათ ამა თუ იმ ფსიქოლოგიური განსაცდელის გადატანაში: გაყრა, პუბლიკის მხრიდან თქვენდამი დამოკიდებულების მკვეთრად ცვლილება თუ ცხოვრების სტილის შეცვლა?

— პირველ რიგში, ჩემი მშობლები, დეი, ძმა... და კიდევ, რა თქმა უნდა, სემ მენდესი — სწორედ ის მამაკაცი, რომელმაც ვითომდა საბედისწერო როლი ითამაშა ჩემი ოჯახის დანგრევაში...

კემბრიჯის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ინგლისელი რეჟისორი სემ მენდესი ათ წელზე მეტია, რაც



ლონდონის Donmar Warehouse-ის თეატრს უდგას სათავეში. ერთხელ, სტივენ სპილბერგმა მის შესახებ თქვა, რომ თანამედროვე რეჟისორებიდან სემზე უკეთესად არავის ძალუძს თეატრალური მოქმედებისათვის აუცილებელი კინემატოგრაფიული მინიჭება, ხოლო გადასაღებ მოედანზე ნამდვილი სპექტაკლის გათამაშება.

სწორედ მენდესს მიანდო სპილბერგმა ფილმის — „სილამაზე ამერიკულად“ გადაღება, რომელმაც შემდეგ ხუთი „ოსკარი“ მიიღო. სემი საუკეთესო რეჟისორისათვის დაწესებული „ოსკარის“ მფლობელი გახდა, ინგლისის დელოფალმა მას ბრიტანეთის იმპერიის ორდენის საპატიო კავალრის წოდება მიანიჭა — ხელოვნების დარგში ქვეყნის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის. შარშან კი, მენდესი ინგლისის თეატრალური სამყაროს სამი ყველაზე საპატიო პრემიის მფლობელი გახდა. მათ შორის, სერ ლოურენს ოლივიეს სახელობის პრემიის, რომელიც მიენიჭა როგორც ორი სპექტაკლის — „თიანისა“ და „მეთორმეტე ღამის“ დამღმელ რეჟისორს. პრემიების გადაცემის დროს კეიტი პირველ რიგში იჯდა და თვალზე ცრემლიც კი მოადგა, როცა სემმა განაცხადა, რომ ყველა ჯილდოს მას უძღვნიდა, რადგან ის ვერ შეძლებდა ორი შესანიშნავი სპექტაკლის დადგმას სიყვარულზე, გვერდით საყვარელი ქალი რომ არ ჰყოლოდა.

— როგორ გაიცანით ერთმანეთი?

— 2001 წლის ზაფხულში, სემმა მოლაპარაკებაზე მიმიწვია. ის სწორედ ამ ორი ზემოთ ხსენებული სპექტაკლისათვის არჩევდა მსახიობებს. მას სურ-



მეორე ქმართან, რეჟისორ სემ მენდესთან ერთად



მიასთან ერთად. ლონდონი, 2003 წ.



ჯოსთან ერთად. ნიუ-იორკი, 2004 წლის 15 აპრილი

და, რომ ორივე მათგანში მეთამაშა. მაგრამ მე უარი ვუთხარი. მაშინ მიასულ რამდენიმე თვის იყო. რომ დავთანხმებულყავი, ექვსთვიან კონტრაქტზე უნდა მომწერა ხელი, რომელიც ნიუ-იორკში გასტროლებსაც ითვალისწინებდა. იმხანად ჯერ კიდევ ოჯახის შენარჩუნებას ვცდილობდი და არ მინდოდა ბევრი მემუშავა... მერე, როცა ჯიშის გავშორდი, ჩვენ კვლავ შევხვდით ერთმანეთს. მართალი ვითხრათ, რომანის გაბმას არავისთან ვაპირებდი, თანაც ასე მალე, რადგან ძალზე ცუდად ვგრძობოდი თავს. როგორც კი ჩვენი რომანის ამბავი გახმაურდა, საწყალი სემი მაშინვე ჩემი ოჯახის „დამანგრეველის“ სახელით მონათლეს, მე კი, ქმრის ლალატში დამდეგ ბრალი. „კეიტ უინსლექტმა მდიდარი, წარმატებული და ცნობილი საყვარლის გამო მიატოვა ქმარი! ჩვენმა კეთილშობილმა, მკაცრ ინგლისურ ტრადიციებზე აღზრდილმა კეიტმა ქმართან ერთად საყვარლის ყოლა გაბედა!“ რა უნდა მექნა? ასჯერ გამემორებინა, რომ ეს სიცრუეა? იქნებ, მეტი დამაჯერებლობისათვის თარიღები მომეშველიებინა და მოწმეებისთვის მომეხმო? მახსოვს, ერთხელ შინ ვიყავი, ის-ის იყო საშხაბიდან გამოვედი, რომ ტელეფონმა დარეკა, ყურმილი ავიღე და ჩემთვის სრულიად უცნობმა ადამიანმა მკითხა: წავიკითხე თუ არა პრესაში გამოქვეყნებული სტატია, რომელიც ამ თემას ეხებოდა? — იქვე, იატაკზე ჩავიკეცე და მთელი საათის განმავლობაში გულამოსკენილი ვტიროდი. არ მესმის, როგორ შეუძლიათ ადამიანებს, ასე მტანჯონ? რისთვის? მესმის, რომ ჯიში, როგორც უიღბლო ადამიანი, ხალხში სიბრაღის გრძობას იწვევს, მა-

გრამ აქ მე არაფერ შუაში ვარ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მხოლოდ ჩვენ ორმა ვიცოდით, რატომ ვერ შევინარჩუნეთ ოჯახი.

2001 წლის დეკემბერში, კეიტი და ჯიში გაიყარნენ. გაყრის შედეგად ჯიშიმ მიიღო სახლი, გასამცლელი — 500 ათასი გირვანქა და წილი მისი და უინსლექტის საპროდიუსერო ფირმიდან... ტრიპლტონის ამ-

ჟამინდელმა მეგობარმა გოგონამ ურნალისტებს განუცხადა, რომ იმის თაობაზე გავრცელებული ხმები, თითქოსდა ჯიში ძალიან განიცდიდა ცოლთან გაყრას და ყველანაირად ცდილობდა მასთან შერიგებას, ცოტა არ იყოს, გაზვიადებულია. რა თქმა უნდა, მას უყვარდა ცოლი, მაგრამ ცნობილი ადამიანების ცხოვრების წესი, მისთვის ყოველთვის მიუღებელი და უცხო იყო... ამჟამად, როცა ტრიპლტონი შვილის მოსანახულებლად მიდის, ის დიდი სიამოვნებით სვამს ყავას კეიტისა და სემის კომპანიაში. ოდესღაც უინსლექტს მსგავსი სცენის წარმოდგენაც კი არ შეეძლო.

— ყოველივე მომხდარის შემდეგ, მეორედ გათხოვების ხომ არ გეშინოდათ?


— არა, იმიტომ, რომ ვიცოდი, სწორად ვიქცეოდი. როცა ბედის მიერ შენთვის განკუთვნილ ერთადერთ მამაკაცს ხვდები, სრულიად განსხვავებული გრძნობა გეუფლებს. ამას ინტუიციით გრძნობ, მე კი, ის ადამიანი ვარ, ვინც თითქმის ყოველთვის ენდობა საკუთარ ინტუიციას. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ მეუბნებიან, რომ ძალზე ემოციური ვარ, ყველაფერს ვარდისფერი სათვალთ ვუყურებ და გაზვიადება მჩვევია, დაბეჯითებით შემიმდია ვთქვა, რომ სემთან ურთიერთობისას ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი თავი უსახლვროდ ბედნიერად. ამბობენ, რომ ჩვენ შევეფერებით ერთმანეთს, რამეთუ ორივენი ცნობილები ვართ, მაგრამ ჩემთვის ხშირად ვფიქრობ ხოლმე, სემი ფოსტალიონი ან სუპერმარკეტის დამტარებელი რომ ყოფილიყო, მე ის მაინც ასევე მეყვარებოდა. თუმცა, შესანიშნავია ისიც, სემი მხოლოდ კარგი ქმარი და მამა კი არა,

ბრწყინვალე რეჟისორიც რომ არის. პირადად ჩემთვის ძალზე სასიამოვნოა, რომ სემს კარგ მსახიობად მივაჩნევარ.

თავდაპირველად, ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა, რომ მათი ურთიერთობა დიდხანს გასტანდა. 35 წლის სემს პლეობის რეპუტაცია ჰქონდა. მას შემდეგ, რაც მისი მშობლები გაიყარნენ, მენდეს ცოლის მოყვანაზე ფიქრიც კი აფრთხობდა, ქორწინებას კი, „აბსოლუტურ ილუზიას“ უწოდებდა. მაგრამ კეიტთან ურთიერთობისას ყველაფერი სხვაგვარად წარიმართა. მათ ლონდონში შეიძინეს სახლი და ბევრსაც მოეზაურობდნენ. ინგლისში ყველას ერთი რამ აღელვებდა: შედეგობა თუ არა ქორწილი? მაგრამ კეიტი და სემი მოვლენებს არ აჩქარებდნენ. საბოლოოდ, 2003 წლის მაისში, მათ მკაცრად გასაიდუმლოებულ სიტუაციაში, კარიბის ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე დაქორწინება გადაწყვიტეს. ოკეანის ნაპირზე მდებარე შესანიშნავი ვილა იქირავეს და მის მახლობლად მდებარე ეკლესიაში დაიწერეს ჯვარი; მერე კი, ახლოობების ვიწრო წრეში აღნიშნეს ქორწილი... საიდუმლო ცერემონიიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, კეიტმა შეიტყო, რომ ორსულად იყო. ამჟამად კი 6 თვის გახლავთ...

— როგორ ახერხებთ ოჯახისა და სამსახურის შეთავსებას?

— ძალიან იოლად. ჩემთვის ოჯახი და ბავშვები — პირველ ადგილზეა. წელიწადში მხოლოდ ერთ ფილმში ვმონაწილეობ ანუ დაახლოებით 10-12 დღე ვარ ხოლმე დაკავებული. დანარჩენ დროს ასპროცენტიანი დედიკოს



როლში ვარ. ჩემი აზრით, მსახიობ დედებს, სხვა მომუშავე დედებთან შედარებით, უამრავი პრივილეგია აქვთ. ჩვენ ზომ საკუთარი სამუშაო გრაფიკის დაგეგმვის და გადაღებებზე ბავშვების თან წაყვანის საშუალება გვაქვს. ამ ცოტა ხნის წინ, ერთი დღით ნიუ-იორკიდან ლოს-ანჯელესში უნდა წავსულიყავი. გამგზავრებამდე მის ვუთხარი: „დედიკომ ხვალ უნდა წაიბმუშაოს“. მამამ გაკვირვებულმა შემომხედა და მკითხა: „კი, მაგრამ შენ მუშაობ?“ ეს ზომ შესანიშნავია – ჩემს შვილს აქვს იმის შეგრძნება, რომ დედა ყოველთვის გვერდით ჰყავს. ის მიჩვეულია, რომ საუზმეს ყოველთვის მე ვუშვადებ, შემდეგ საბავშვო ბაღში ან სასეირნოდ მიმყავს. ერთხელ, ჩემ შესახებ ვილაცამ თქვა: „მან ჰოლივუდი დილაობით ომლეტის მომზადებაში გაცვალა“. ძალიანაც კარგი! შესაძლოა, მე უბრალოდ გამომართლა? „ტიტანიკის“ უდიდესი წარმატების შემდეგ, ფანტასტიკური შესაძლებლობები მომეცა – კინოსამყაროს ყველა კარი ჩემთვის ღია აღმოჩნდა, სადაც მე ბედმა ბრწყინვალე მსახიობებსა და რეჟისორებს შემახვედრა. ასე რომ, მე იმის საშუალება მომეცა, რათა ჩემი კარიერის შემდგომ ბედზე აღარ მენერვიულა. მაგრამ გულწრფელად უნდა ვაღიარო, ჩემთვის ყველაზე კარგია ის დღე, როცა შემოძლია ყველაფერი მივატოვო და ჩემს გოგონასთან ერთად ზოპარკში, აუზსა თუ პარკში წავიდე. ახლა უკვე ვოც მიმყავს ხოლმე თან. ზოგჯერ კი, საღამოობით, მე და სემი თეატრში წასვლასაც ვახერხებთ. ახლა ჩემზე ამბობენ: ქმრის წყალობით თავგამოდებული თეატრალი განდაო!

— რომ არა „ტიტანიკი“, ზომ შესაძლოა, თქვენ საერთოდ არ მოხვედრილიყავით კინემატოგრაფში?

— მე მსახიობთა ოჯახში გავიზარდე, მაგრამ მისი არც ერთი წევრი ვარსკვლავური ამბიციებით შეპყრობილი არ ყოფილა. ჩემმა ბებია-ბაბუამ ჩვენს მშობლიურ ქალაქში სარეპერტუარო თეატრი დააარსა; ჩემი მშობლები მთელი ცხოვრება თეატრში მოღვაწეობდნენ და ამა თუ იმ სპექტაკლში პატარა როლის თამაშიც კი, მათთვის უდიდესი ბედნიერება განხლდათ. ჩემი დებიც მსახიობები არიან. საერთოდ, ხშირ შემთხვევაში, ინგლისელი მსახიობებისთვის ოცნების ზღვარს თეატრში მუშაობა და სატელევიზიო „საანის ოპერების“ ეპიზოდებში მონაწილეობა წარმოადგენს. ასევე დავიწყე მეც. ზოგჯერ, ახლაც კი მიჭირს იმის დაჯერება, რომ კინოვარსკვლავი ვარ.




ნათიმ იცალიელი მამაკაცში გააგვიქა


სახელგანთქმულ ფოტომოდელს ნაომი კემპბელს თურმე, ძალზე გაუჭირდა დაახლოებით 3000-კაციანი ბრბოსთან თავის დაღწევა, როცა ის იტალიაში მობილური ტელეფონების სარეკლამო კამპანიის გადასაღებ მოედანზე იმყოფებოდა. ის ფოტოსესიის დროს, სარდინიის პლაჟზე შენიშნეს. სიუჟეტის მიხედვით, ნაომი საცურაო კოსტიუმის ბიკინიში მალავდა ტელეფონს და ამ მომენტმა თურმე, ფრიალ აღაგზნო გარშემოყრფი იტალიელი მამაკაცები. როცა მათი რაოდენობა სასიფათო მოეჩვენათ, კემპბელის პირადმა მცველებმა პოლიცია გამოიძახეს. სამართალდამცავებმა ბრბოს შევიწროება მოახერხეს. ფოტოსესიის დამთავრების შემდეგ კი, საკმაო ძალისხმევის შედეგად, ნაომი ავტომანქანაში იხედავდა, რომ არც ერთი უცნობი არ მიუშვეს მის სიახლოვეს.

კაილი მინტუგი საცდინოდ აცტაცდინგე

სუპერვარსკვლავის სტატუსის მიუხედავად, ავსტრალიელმა მომღერალმა ქორწილში სიმღერა იკადრა. ამ როლზე ის ინდოელმა ფოლადის მაგნატმა ლაქში მიტალამ, თავისი ქალიშვილის გაბედნიერების ზეიმზე მიიწვია. მთავარი ხმებით, 30-წუთიანი გამოსვლისთვის მომღერალს 350 ათასი დოლარი გადაუხადეს. წვეულება პარიზის მახლობლად მდებარე მამულში გაიმართა. როგორც ჟურნალისტები იუწყებიან, მთელი საქორწინო ზეიმი ბიზნესმენს სულ 70 მლნ დოლარი დაუჯდა. „საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი, – ინსენებს ერთ-ერთი სტუმარი. – კაილი კერძო წვეულებაზე გამოჩნდა!.. როცა ის, თავის შავ მინიკაბაში გამოწყობილი გამოჩნდა, ყველას, საუცხოო კერძებით გაწყობილი სუფრაც კი მიავიწყდა და თვალს ვერავინ აშორებდა!“ ინდოელმა მილიარდერმა ვარსკვლავი პარიზში საკუთარი თვითმფრინავით ჩააბრძანა. ქორწილში მისი მოწვევის იდეა კი, თურმე, თავად პატარმალს – ვანიმა მიტალას ეკუთვნოდა. ბუნებრივია, მოსიყვარულე მამამ ქალიშვილს უარი ვერ უთხრა...



მბიფნი სპიტსი: „სიყვარულით უთხუჯღმე!..“



მოცეკვავე კეკინ ფედერლინზე დანიშნული მომღერალი აცხადებს, რომ ამჯერად, სიყვარულით თხოვდება. „კეკინთან შეუღლება არის ის მოვლენა, რომელზეც ბოლო დროს ყველაზე მეტს ვფიქრობ. ეს ჩემი ცხოვრებაა და დიდად არ მანადვლებს, თუ ვინ რას იტყვის. შეყვარებული ვარ და გათხოვებას ვაპირებ“, – თქვა მომღერალმა ჟურნალისტის People მიცემულ ინტერვიუში. როგორც ცნობილია, 22 წლის ბრიტნი სპირსი წლეულს იანვარში, ლას-ვეგასის ერთ-ერთ კაზინოში გამართული წვეულების შემდეგ, ბავშვობის მეგობარს ჯეისონ ალექსანდერს გაჰყვა ცოლად, მაგრამ მეორე დღით, ახალშეუღლებულებმა გაყრა გადაწყვიტეს. ვარსკვლავის თქმით, ამჯერად ყველაფერი სხვაგვარადაა. „ბოლოს და ბოლოს, ჩემი ოცნების მამაკაცი ვიპოვე“, – დასძინა მან ინტერვიუს დროს.

(დასაწყისი
ნ. „გზა“ № 26-27)



მცაცვებლის ინსცენჟი

რუსუდან ბერიძე

ახალგაზრდა ბიზნესმენ ანდრო სვანიძეს თავისი ბიზნესპარტნიორ შალვა ოშხერელი მცხეთაში, ნარკოტიკების გამსაღებლებთან სალაპარაკოდ ჩაიტყუებს. ანდროს თავისი თანამშრომელი და საყვარელი დალი ხაჩიძე ახლავს თან. რესტორანში, სადაც ანდრო და შალვა მოდაუეებს ხედებიან, ვილაც უმისამართო სროლას ატყებს და ერთ ტყვიას კინალამ ანდროსაც მოარტყამს. პასუხად, ანდროც რამდენჯერმე გაისვრის ჰაერში. სწორედ იმწუთას, მეზობელ მაგიდასთან მჯდარი ახალგაზრდა კაცი იატაკზე უსულოდ დაეცემა. სროლის ხმაზე გასაკვირო ოპერატიულობით მოვარდნილი პოლიციელები ანდროს იარაღით ხელში დააკავებენ...

ანდრო სვანიძეს ეჭვმითანილად ცნობენ და წინასწარი დაკავებების იზოლაციაში მოათავსებენ. ანდროს ფირმის ადვოკატი მოულოდნელად ავტოკატასტროფაში მოუვება. მისი რჩევით, დალი ხაჩიძე დახმარებისთვის თავის ძველ მეგობარს მეგი ლალიძეს მიმართავს.

ანდროს საქმეს ადამიანების დაშანტაჟებაში დახელოვნებული იურისტი სულიკო ჟვანია იძიებს. ის ანდროსაც მალე გამოიყვანს წინასწარობიდან. როცა ერთ-ერთი დაკითხვის დროს ირონიულად შენიშნავს — შენს ცოლყოფილს დაკითხვაზე ხშირად ვატარებო, — გაცოფებული ანდრო გამოძიებულს ყელში სწვდება...

სუნთქვაშეკრულმა სულიკო ჟვანიამ ჯერ თვალები გადმოკარკლა, შემდეგ ხრიალიც დაიწყო. მაგრამ ანდრო მას ყელში ხელს სულ უფრო და უფრო გამეტებით უჭერდა.

— ანდრო, რას შვრები?! გაუშვი, არ მოკლა! — სასწრაფოდ მხრებში ჩააფრინდა დაფეთებული მეგი ანდროს და თავდაცვურ მიხვდა, სულ რამდენიმე წუთის წინ პირველად ნანახ მამაკაცს ასე უცბად როგორ გაუშინაურდა...

როგორც კი ანდრომ მეგის ნაზი თითების შეხება და სულ ახლოს, თითქმის ყურისსიბრში მისი გახშირებული სუნთქვაც იგრძნო, გამოძიებულს ხელი ცივად უშვა და ქალისკენ გაოცებული შებრუნდა. სწორედ იმწუთას ოთახში ბადრაგიც შემოვარდა.

— ჩქარა! — ძლივსლა ამოიხავლა სკამზე ჩვარვიით გადაკიდებულმა სულიკომ. — კინალამ გამგულა ამ...

მეგი შინ გვიან ღამით, საკმაოდ გულდამძიმებული დაბრუნდა. ტაქსის მძღოლს მანქანა პირდაპირ სადარბაზოსთან მიაყენებინა, ხელში ხუთლარიანი ჩაუკუჭა და მანქანიდან სასწრაფოდ გადავიდა.

— ხურდა გეკუთენის, ღამაზო! — მანქანის ღია ფანჯრიდან თავი გამოყოფო უტიფრად მოლიმარმა მძღოლმა.

— დაიტოვეთ... — უკანმოუხედავად მიუგლო მეგიმ და სადარბაზოში გაუჩინარდა.

მეგი ძველებური სამსართულიანი სახლის ბოლო სართულზე ცხოვრობდა და თავის ბინამდე ამაველი კიბის საფეხურების რაოდენობა უკვე კარგახნის გაზეპირებული ჰქონდა.

ამჯერად ნაცნობ კიბეს მძიმედ აუყვავა და სულ რამდენიმე საფეხურის ავლა ძლივს მოასწრო, რომ სადარბაზოში სინათლე გამოირთო.

— ჯანდაბა! — სიტყვა უცნაურად გაწელა მეგიმ და სიბნელეში ხელისცეცებით მოძებნა კიბის მოაჯირი. — დღეს ასე მაინც ვინ დამთარსა?..

ორი სართულის შემდეგ, სიბნელეს თვალი საკმაოდ შეაჩვია და მესამე სართულზე ასულმა, საკუთარი ბინის კართან ატუზული ადამიანის სილუეტიც უმაღვე შენიშნა.

— ვინ ხართ? — უკან დაიხია დამფრთხალმა მეგიმ.

— მე ვარ, არ შეგეშინდეს! — გაისმა სიბნელეში ქალის ნაცნობი ხმა და მალე სანთებელამაც გაიტკაცუნა.

სანთებლის მოლიცილიცე შექმნე მეგიმ დალი ხაჩიძის სახე გაარჩია და ძლივსლა ამოისუნთქა.

— შემაშინე და ეგ არის... ამ შუალამისას აქ რას აკეთებ?

— რას უნდა ვაკეთებდე?.. შენ გელოდები... — სანთებელა მეორე ხელში გადაიტანა დალიმ და თან, თითებზე სული შეიბერა: — მგონი, თითები დამწვა ამ ოხერმა...

— ჩაქრე, უკვე ისედაც ვარჩვე ყველაფერს... — ჩანთიდან გასაღებების ასხმულა ამოიღო მეგიმ და ერთ-ერთი, კარის საკეტს მოარგო. — ღიღი ხანია, მელოდები?

— ალბათ, საათზე მეტი... — ამოიოხრა დალიმ. — ბოდიში, რომ ასე უდროო დროს მოვადექი, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა... მთელი დღე ტელეფონზე სალაპარაკოდაც ვერ დაგვიტრე... მობილური მაინც რატომღა გქონდა გამორთული?

— პროცესზე ვიყავი და იმიტომ.

— მოიგე?..

— მოდი, ჯერ როგორმე შინ შევიდეთ და მერე ვილაპარაკოთ... — უე-

ცრად გაღიზიანდა მეგი და კარს მთელი ძალით მიაწვა...

შინ შესულმა მეგიმ სანთელი აანთო და დალის სასტუმრო ოთახში შეუძღვა.

— დაჯექი, — ნაცნობ სავარძელზე ანიშნა მან სტუმარს, — მე ახლავე მოვალ... ტანსაცმელი თუ არ გამოვიცვალე, გავვიჟღები... ძალიან ხომ არ გეჩქარება?

— ნეტავ, სად ეშმაკებში უნდა მეჩქარებოდეს?! — ამოიხრა დალიმ და სავარძელში მოწყვეტილ ჩაეშვა.

სადინებელში გასულმა მეგიმ ტანსაცმელი სწრაფად გაიხადა, ტანზე თხელი ხალათი შემოიცვა, შიშველი ფეხები ფოსტლებში წაყო და ისევ სტუმართან გაჩნდა.

— თუ გინდა, სამზარეულოში გავიდეთ, — შესთავაზა მან დალის, — დღეს პირში ლუკმა არ ჩამსვლია, ვივანშმით და თან, ვილაპარაკოთ...

— არა, მე არ მშია... — ფეხზე წამოხტა დალი. — მითხარი, როგორაა საქმე და ბარემ ახლავე წავალ...

— საქმე ძალიან ცუდადაა... — ამოიხრა მეგიმ.

— მართლა?... — ხმა ჩაუწყდა დალის. — მეც მთელი დღე გული მხოლოდ ცუდს მიგრძნობდა... ადგილს ვერ ვპოულობდი... თქვენს საადვოკატო ბიუროშიც კი ათჯერ დაფრეკე. ვილაც პატარა ვოგო მოსწავლესავით გაზეპირებული ფრაზებით თავიდან მიშორებდა: ქალბატონი მეგი პროცესზეა და მალე დაბრუნდებაო...

— თამთა იქნებოდა, — გაეღიმა მეგის, — ჩვენი ახალი თანამშრომელი. გაფრთხილებული მყავს, თავად თუ არ დაგიბარებ, ისე ჩემი ზუსტი ადგილსამყოფელი არავის უთხრა-მეთქი და სხვა რა გზა ჰქონდა?..

— მერე, მერე?... — გააწყვეტინა დალიმ. — მითხარი, დღეს რა მოხდა?... ასე ცუდად რატომაა საქმე?

— რატომ და... — ტანსტის კიდეზე ფრთხილად ჩამოჯდა მეგი. — შენმა ვაჟბატონმა დღეს მორიგი გმირობა ჩაიდინა...

— ანდრომ?... — შეცბა დალი. — რა გმირობა?

— გამომძიებელს ახრჩობდა...

— რას მეუბნები?! — ისევ სავარძელში ჩაესვენა წასასვლელად მომზადებული დალი. — სულ გაგიჟდა თუ რა მოუვიდა?

— არ ვიცი, სულ გაგიჟდა თუ ნაწილობრივ... — მხრები აიჩეჩა მეგიმ. — მაგრამ ბადრაცს რომ დროზე არ შემოესწრო, მართლა მიახრჩობდა და მერე გენახა მაგის გაჭირვება!..

— ღმერთო ჩემო! ეს რა ხდება?! — თავი ხელებში ჩარგო დალიმ. — ამ კაცს ნერვებმა საბოლოოდ უმტყუნა... სულ ვაფრთხილებდი, ამდენი მუშაობა არ შეიძლება, ერთი კვირით მაინც წადი ქალაქიდან და სული მოითქვი-მეთქი, — მაგრამ ვინ დაგიჯერა?... საქმეს ვერ მივატოვებო... ზოგიც ახლა ნუ მიატოვებს...

— საქმე ძალიან გართულდა... — წუწუნით გააწყვეტინა დალის მეგიმ. — დღეს დილით ჯერ კიდევ მქონდა იმედი, რომ მოსამართლეს თავდებით გამოვაშვებინებდი, მაგრამ ეს ამბავი რომ გაიგო, სამთვიანი პატიმრობა უცხადვე „მიარჭო“. სულიკო ჟვანია კი იმასაც იტყობოდა, კაცი არ ვიყო, თუ წინასწარ პატიმრობაში მთელი ცხრა თვე არ „ვახეზვინო“... ეგ ისეთი ოხერი კაცია, თუ მოინდომა, მართლა აუსრულებს. ისე, შენი ანდროც მაგარი ამპარტავანი ვინმე ჩანს... დიდი ამბავი, თუ ჟვანიამ ერთხელ ცოლი უხსენა!.. ეგრე უნდა გადარეულიყო?..

— ცოლი?... — თავი უცხად ასწია დალიმ. — ჟვანიას იმ დამპალი დედაკაცის ხსენება რაღაში დასჭირდა?

— არც არაფერში. უფრო სწორად — ანდროს „წამოკიდება“ უნდოდა და კიდევ „წამოკიდა“... შენი ცოლი ჩემთან დაკითხვებზე ხშირ-ხშირად უნდა ვატარო, — კრეჭვით უთხრა და...

— აუ, რა თარსი ვინმეა ეგ გველი, რა თარსი!

— ვინ? ჟვანია?

— ჟვანია კი არა, ანდროს ყოფილი ცოლი... ანდროს, მაგის გამო, ლამის ყოველდღე უსიამოვნება ხვდებოდა და ციხეშიც არ დათარსა მაგ დამპალმა?! ახლა რაღა გვეშველება?... — ცრემლიანი თვალები მიაპყრო დალიმ მეგის.

— არ ვიცი, არ ვიცი... — ჩაფიქრდა მეგი. — ახლა მთელი იმედი ბალისტიკურ ექსპერტიზაზეა. დღეს ექსპერტი უკვე ვნახე. ცუდი კაცი არ არის, მაგრამ ჟვანიას აშკარად რაღაცამ ჰყავს გამოჭერილი და ამიტომ მეშინია...

— რა?! — გააწყვეტინა დალიმ. — შეიძლება, ასე, ხელის ერთი დაკვრით ექსპერტიზის შედეგებიც შეცვალონ?

— თუ მოინდომეს, ყველაფერი შეი-

ძლება... დაწერენ, რომ მოკლულის სხეულიდან ამოღებული ტყვიისა და ანდროს პისტოლეთიდან ნასროლი ტყვიის გულები ერთმანეთს ემთხვევა და...

— რანაირად უნდა დაემთხვეს?! — გაწიწმატდა დალი. — საკუთარი თვალით ვნახე, ანდრომ ორივე ტყვია ჰაერში რომ ისროლა!..

— ეგ შენ დაინახე!.. აბა, ახლა სხვა მოწმეების ჩვენებები წაიკითხე!.. შალვა ოშხერელი რომ შალვა ოშხერელია, ისიც კი უსინდისოდ აცხადებს — არ ვიცი, ანდრომ საით ისროლა... სხვათა შორის, კახა სუთიძეც იმავეს იმეორებს...

— მართლა!.. — გააწყვეტინა დალიმ. — კინაღამ არ დამავიწყდა?... იცი, რომ კახა სუთიძე დღეს შალვასთან იყო მოსული?

— ოშხერელთან?

— ჰო.

— ერთმანეთს იცნობენ?..

— არა მგონია... ყოველ შემთხვევაში, მცხეთაში ორივემ ისე დაიჭირა თავი, თითქოს ერთმანეთს პირველად ხედავდნენ... არადა, დღეს შალიკომ თავისი კაბინეტიდან ლამის პირზე კოცნით გამოაცხილა... ისე, მე რომ დამინახეს, ორივეს პირკაბა ეცა. შალიკო იმდენად გაღიზიანდა, რომ კახას თანდასწრებით შემომიღრინა: დღეს შენ სამსახურში ხომ არ უნდა მოსულიყავიო... მერე სიტუაცია ისევ კახამ განმუხტა. ხომ იცი, რა მელაკუდაცაა?... სასწრაფოდ გულში ჩამიკრა და შინაურულად მომიკითხა. მერე შენც გახსენა...

— მე-ეც?... — სუნთქვა შეეკრა მეგის.

— ჰო... გავიგე, მეგის ანდრო სვანიძის ადვოკატობა გადაუწყვეტია და ძალიან მიხარია — ვიცი, საქმეს კარგად წაიყვანსო... რომ ნახავ, ჩემთან დიდი მოკითხვა გადაეცი, თავადაც სიამოვნებით ვნახავდი, მაგრამ აქედან პირდაპირ აეროპორტში მივდივარ, ისევ მოსკოვში ვბრუნდებიო...

— ბრუნდება და დაბრუნდეს! — ბრაზიანად ჩაილაპარაკა მეგიმ. — ჯანდაბამდეც გზა ჰქონია!.. მოდი, ისევ ანდროს საქმეს მივხედოთ.

— კი, ბატონო, მივხედოთ, მაგრამ ჩვენ რაღა შეგვიძლია?! — ამოიხრა დალიმ.

— ამ ეტაპზე, ბევრი არაფერი. ერთადერთი ახლა, ისღა გვიშველიდა, სულიკოს ასთმის სერიოზული შეტევა რომ მოსვლოდა და ამ საქმეს ცოტა ხნით მაინც ჩამოსცილებოდა...

— ჟვანიას ასთმა სჭირს?

— ჰო... ეგ ამბავი მეც დღეს გავ-

იგე... ანდროს მოყვანას ორივე ერთად ველოდებოდით და უცბად თვალები არ გადმოკარკლა?... თუმცა, მალევე მოითქვა სული და შემომჩვილა — ექიმები გამოკვლევაზე დაწოლას მირჩევენ, მაგრამ მე რომ საავადმყოფოში დავწვე, ჩემს ცოლ-შვილს ვინ არჩენსო?..

— ახლა თავისი ცოლ-შვილიც მე მადარდოს!.. — გაკაპასდა დალი. — შენ ის მითხარი, კიდევ ვის შეიძლება, დახმარების სათხოვნელად მივაღდე?

— ჯერჯერობით არავის... ერთი-ორი დღე ვაცალოთ, ვნახოთ, ჟვანია რას მოიმოქმედებს... ძიებას საით წაიყვანს...

— რას გეტყვი, იცი?... — უცბად გამოცოცხლდა დალი. — ფული რომ შეგვეძლია?

— ვისთვის? — უცბად ვერ მიუხვდა მეგი.

— ვისთვის და დამპალი ჟვანიასთვის... ცოლ-შვილი რომ შეგაცოდა, იქნებ, სწორედ ეგ „დაგინამიოკა“?

— ჟვანიას ფული და „პატივისცემა“ ძალიან უყვარს, მაგრამ მოდი, ჯერ მაინც თავი შეეკავოთ... ხვალ ანდროს პირისპირ ნახვას შევეცდები, რამდენიმე საკითხს დავაზუსტებ და მერე ვნახოთ...

— მაინც, რა საკითხებს?... იქნებ, მეც ვიცოდე!

— რა იყო?... — გაეღიმა მეგის. — ხომ არ ეჭვიანობ?... —

— რა დროს ეჭვიანობაა?! — ხმა შეეცვალა დალის. — უბრალოდ, ვიფიქრე, საქმეს გავუადვილებ-მეთქი. ხომ შეიძლება, ანდრო მარტო, ხვალაც ვერ ნახო...

— შეიძლება... მე შალვა ოშხერელის ნარკოტიკებთან კავშირი მაინტერესებს... რატომღაც მგონია, რომ ეგ კაცი ნარკოტიკების უბრალო მომხმარებელი არ უნდა იყოს...

— აბა, ვინ?

— ჯერ ზუსტად არ ვიცი... ხომ ვითხარი, ანდროსთან მინდა მაგ ამბის გარკვევა-მეთქი... ვფიქრობ, რომ ანდროს ფირმის სახელს ამოფარებული ოშხერელი ბევრ შავხელს საქმეს უნდა ატრიალებდეს, მათ შორის, ნარკობიზნესშიც უნდა იყოს ჩართული...

— არა მგონია... — უარის ნიშნად თავი რამდენჯერმე გაიქნია დალიმ. — ერთი უბრალო „ნარკუშა“ და მეტი არაფერი... თუმცა, ახლა კიდევ რა უჭირს?... კაცს დაემსგავსა. შენ ადრე უნდა გენახა!.. იცი, ანდრომ რა წუმბიდან ამოათრია?..

— რა რჯიდა?... რას ამოათრია?

— ანდროს ბავშვობის მეგობარია. სხვათა შორის, საუკეთესო ოჯახის შვილია. მთელი სავარეულო, ექიმები ჰყავს... თავადაც სამედიცინო აქვს დამთავრებული და როგორც ანდრომ მითხრა, თავის დროზე, საკმაოდ საიმედო ქირურგიც ყოფილა. მაგრამ მერე წამალზე შემჯდარა და...

— ეტყობა, ოშხერელი გამონაკლისია, — დამცინავად გაეღიმა მეგის, — ქირურგები, როგორც წესი, ლოთღებიან ხოლმე...

— ჰო, მართლა ყველაფერში გამონაკლისია ეგ უბედური! მე არ შევსწრებივარ, მაგრამ ანდრო ამბობს, დროდადრო, რაღაც საშინელი თავის ტკივილები აქვსო; შეტევა რომ ეწყება, კედლებზე გადის, ნარკოტიკებსაც ამის გამო მიეჭვია, სხვა წამალი ტკივილს საერთოდ არ უყურებსო...

— ყველაფერი გასაგებია. მაგრამ ნარკომანი საკუთარ ბიზნესში მაინც არ უნდა ჩაერთო. ბოლოს და ბოლოს, თუ ასე ებრალება, დროდადრო, წამლის ფული მიეცა...

— მეც სულ მაგას არ ვეჩინებოდი?! — მაგრამ რა არის, იცი?... თურმე, ბავშვობაში, ანდროს ოჯახს ძალიან უჭირდა: მამა ადრე გარდაცვლია, დედამისი გულით დაავადებულია, შალიკოს ბებიას კი, ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე უმკურნალია და საწყალი ქალი ფეხზე დაუყენებია... ანდრო იხსენებს — მარტო წამლებს კი არა, შალიკოს ბებია საჭმელ-სასმელსაც თავად გვიზიდავდა სახლშიო... ჰოდა, ის სიკეთე ვერ დაუვიწყა მის ოჯახს.

— სწორადაც მოქცეულა... — დაეთანხმა შეფიქრიანებული მეგი. — მაგრამ ისიც ფაქტია, რომ თავად ნარკომანის სიკეთე ჯერ არსად თქმულა. იცი, ერთმა ჩემმა ნარკომანმა კლიენტმა რა ჩაიდინა?..

— მაინც, რა?

— რა და ცოლს გულიმანკიანი შვილის საოპერაციოდ სიმწრით ნაგროვები ფული გადაუღებელი ოპერაციის წინ მოჰპარა და წამალი იყიდა...

— საწყალი ბავშვი... დაიღუპა?

— საბედნიეროდ, გადარჩა. ერთ-ერთ შეძლებულ ნათესავს შეებრალა და ოპერაციის ფული იმან ჩაურიცხა... ოპერაციის შემდეგ ცოლმა განქორწინება მოსთხოვა...

— და შენ სასამართლოში ასეთ არამზადას იცავდი?..

— მაგას კიდევ რა უჭირს?! — სვედიანად გაეღიმა მეგის. — მკვლელების დაცვა მიწვევს ხოლმე...

— მერე?

— რა მერე?... ვიცავ. ეს ხომ ჩემი მოვალეობაა!..

— მკვლელს დაცვა კი არა, შუბლში ტყვია სჭირდება!

— ნუ დაგავიწყდება, რომ თუ არ ვიმარჯვებ, შენს ანდროსაც მკვლელობის მუხლით გასამართლებენ!.. — შეახსენა მეგიმ გაკაპასებულ დალის.

— ჰო-ო... — დალიმ თავი დამნაშავესავით ჩაქინდრა. — ეგ ამბავი ჩემადღე ჯერ ვერაფრით დავიდა... სულ მგონია, რაღაც საშინელ სიზმარს ვხედავ, მალე გამელვიძება და ყველაფერი ისევე თავის ადგილას დალაგდება-მეთქი... ანდრო და მკვლელი? არა, არა! ამის წარმოდგენა ყველაზე კომმარულ სიზმარშიც კი არ შემქმნლო... მაგრამ, როგორც ჩანს, ცხოვრება მაინც ყველაზე დიდი კომმარია... — როგორც იქნა, წასასვლელად მოემზადა დალი.

მეგიმ ის კარამდე მიაცილა.

— იქნებ, დარჩენილიყავი?... — უგულოდ შესთავაზა მან დამშვიდობებისას.

— ამ სიბნელეში, სად უნდა წახვიდე?

— არა, რას ამბობ?! — შეიცხადა დალიმ. — ბავშვი გადამერევა!.. მეზობელთან მყავს დატოვებული...

— მართლა, არც კი გკითხე — ბიჭი გყავს თუ გოგო?

— გოგო... უკვე მეცხრე წელშია... იცი, რა ჰქვია?

— აბა, საიდან უნდა ვიცოდე?!

— მეგი.

— მეგი?... — თვალები გაუფართოვდა მეგის. — არ მითხრა ახლა, რომ...

— არა, მთლად ეგერეც კი არ მყვარებიხარ!.. — სვედიანად გაეღიმა დალის. — ეს სახელი ზაზამ დაარქვა: მის საყვარელ ბებიას ერქვა მეგი, დედის დედას...

— ა-ა... გასაგებია... — თავისთვის ჩაილაპარაკა მეგიმ...

— მართლა! — კარის ზღურბლთან ისევ შედგა დალი. — შენ კიდევ სადმე მუშაობ?

— რატომ მეკითხები?

— რატომ და კახამ მითხრა — მგონი, მეგი ლექციებსაც უნდა კითხულობდესო...

— კი, ერთ-ერთ კერძო კოლეჯში მართლა ვკითხულობ ლექციებს. მაგრამ კახამ ეგ ამბავი საიდან იცის?



— აბა, რა ვითხრა?... — მხრები აჩეჩა დალიმ. — ისე, ყოჩაღ! ამდენ რამეს მაინც, როგორ ასწრებ?

— რა მოსწრება უნდა?... ქმარი მე არ მაწუხებს და შვილი...

— არა უშავს. ღმერთი ერთსაც მალე მოგცემს და მეორესაც!

— იმედი მაქვს... — სევდიანად გაელიმა მეგის.

სწორედ იმწუთას, სადარბაზოში შუქი აინთო.

— ბედი გქონია! სიბნელეში აღარ მოგიწევს სიარული!.. — დაადევნა მეგიმ კიბეზე ჩამავალ დალის...

როგორც კი სადარბაზოში დალის ფეხის ხმა მიწვდა, მეგი შინ შევიდა, კარი გულმოღვინედ ჩარახა და მაშინვე სამზარეულოს მიაშურა: მაცივარში წინა დღიდან მორჩენილი სადილი ეგულეობდა, მაგრამ მაცივრის თავზე დაკიდებულ საათს რომ შეხვდა, ხელი ჩაიქნია და გახუტურაზე მხოლოდ ჩაიღ-

ანი შემოღდა. უცბად, ტელეფონი აწკრიალდა.

— დაიწყო... — უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა მეგი და შემოსასვლელში მდგარი ტელეფონისკენ გაემართა.

— გისმენთ!.. — ბრაზიანად ჩასმახა მან ყურმილში.

— შენ კი არა — მე გისმენ, საყვარელო... — გაისმა ყურმილში ერთ ღროს ნაცნობი და სასურველი მამაკაცის ხმა...

— კახა?! — ხმა გაეზარა მეგის.

— ჰო, კახა ვარ... — ხანმოკლე პაუზის შემდეგ უპასუხა მამაკაცმა. — არ მეგონა, თუ ასე უცბად მიცნობდი...

— არც მე! — სასწრაფოდ ხმა გაიმკაცრა მეგიმ. — რამ გაგახსენა ჩემი თავი?

— რატომ — გამახსენა? არც არასდროს დამეწიყებიხარ... — შეპარვით დაიწყო კახამ, მაგრამ მეგიმ გააწყვეტინა:

— სალაზღანდაროდ ნამდვილად არ მცალია. პირდაპირ მითხარი, რა გინდა?

— თავად ვერ ხვდები?

— ვერა.

— შენი ნახვა მინდა, თანაც — სასწრაფოდ!

— საინტერესოა, სასწრაფოდ როგორ უნდა მნახო? — ხმაში ირონია გაურია მეგიმ. — რამდენადაც ვიცი, უკვე მოსკოვში ბრძანდები...

— მოსკოვში?... — გაუკვირდა კახას, თუმცა, მაშინვე დაუმატა: — დალიმ „ჩამიშვა“, ხომ?

— ჰო. საერთოდაც, დალიმ მითხრა შენი გამოჩენის ამბავი.

— რა გაეწყობა?... — თეატრალურად ამოიხსრა კახამ. — უნდა ვაღიარო, ცუდ-

ად მოვიქეცი, თბილისიდან შენს უნახავად რომ წამოვედი, ბოდიშს გიხდი.

— საბოდიშო ნამდვილად არაფერი გაქვს.

— პირობას გაძლევ, რომ მეორე ჩამოსვლაზე აუცილებლად გნახავ... — მაინც თავისას განავრძობდა კახა.

— ტყუილად შეწუხდები!

— ნამდვილად არ შევწუხდები! პირიქით, ეს ჩემთვის უდიდესი სიამოვნება იქნება... მართლა, შენ და დალი ისევ ძველებურად მეგობრობთ?

— არა, ახლებურად.

— მე მართლა მაინტერესებს.

— მეც მართლა ვპასუხობ. ათი წლის შემდეგ პირველად, ორი დღის წინ ვნახეთ ერთმანეთი...

— მართლა?

— შენ წარმოიდგინე, მართლა.

— ჩემს ნახვას არ ისურვებდი?

— რამდენადაც ვიცი, ეგ საკითხი უკვე გავარკვიეთ და დღის წესრიგიდანაც მოვხსენით...

— ჰა, ახლა! მართლა ადვოკატივით ნუ გაუტეი!.. — შეუძახა კახამ მეგის.

— მოდი, რა, დაკიდე ყურმილი! იცი, როგორ მეძინება?..

— კარგი, — მაშინვე დაყაბულდა კახა. — ღამე მშვიდობისა, საყვარელო...

— ღამე მშვიდობისა.

— ხომ არ დაგავიწყდა, დაწოლამდე რა უნდა გააკეთო?

— რა?

— რა და ყველა საკეტი კარგად უნდა შეამოწმო, კარი ღია არ დაგრჩეს.

— დამშვიდდი. ახლა ჩემს ბინას რკინის კარი და ავტომატური საკეტები აქვს, ასე რომ...

— ჩემი ხატორით მაინც შეამოწმე, რა... — უცბად ბავშვივით შეეხვეწა კახა.

— კარგი, — კარის სახელური მართლა მოსინჯა მეგიმ. — შენ რომ ძილი არ დაგიფრთხეს, შევამოწმე...

— ყველა საკეტი ჩაკეტილია? — მაინც ჩაეკითხა კახა.

— კი, ყველა.

— სახელურიც მოსინჯე?

— მოვსინჯე.

— ახლა, ჩემი ხატორით, ერთხელ „გლაზოკშიც“ გაიხედე და მართლა შეეცდები...

— კი, ბატონო — ხარჯი ხარჯია!.. — საჭვრეტელშიც გაიხედა მეგიმ და გაშეშდა: კარის წინ ყურებამდე გალიმებული კახა სუთიძე იდგა...



გრიზოედოვის სახელობისა და „თავისუფალი“ თეატრების მსახიობს, პოეტ ნიკო გომელაურს, რომ დაფურცე და ვუთხარი — დასვენებაზე მინდა თქვენთან საუბარი-მეთქი, — 12 წელია, ნორმალურად არ დამისვენიაო, — მიპასუხა... ნიკოსთვის დასვენება თურმე, კომფორტთან ასოცირდება. დილაობით არ ვარჯიშობს, რადგან მისი პროფესია ფიზიკურ ვარჯიშს, თანაც — საკმაოდ მძიმე დატვირთვებს შეიცავს... მიუხედავად იმისა, რომ კარგად ცურავს, არ უყვარს ზღვა და აუზზე დასვენება ურჩევნია.

გომელაურს, ნიკოს, გომელაურს ვივს განვივსავს ნიკო გომელაურს ვლავს ნიკოსთვის, სამსახურს წყლის წვეთს უყვარს

ნათია თენიშვილი

— 12 წელია, არ დამისვენიაო, — მითხარიო. რატომ?

— იმიტომ, რომ როცა სამუშაო მაქვს, შესაბამისად არ მაქვს დასვენების დრო, როცა სამუშაო არ არის, მაშინ ფულიც არ არის იმისთვის, რომ დავისვენო.

— ხომ შეიძლება, ფული დააგროვოთ მაშინ, როცა სამუშაო გაქვთ?..

— სამწუხაროდ, დაგროვება არ შემიძლია. თუ „მოვარტყი“ ისეთი დიდი კუში, რომ ვერ დავხარჯე და ზაფხულისთვის შემომრჩა, მაშინ ალბათ დავისვენებ.

— ეი. ზაფხულს ძირითადად, თბილისში ატარებთ?

— კი, ძირითადად თბილისში ვარ. აგარაკზე ერთი კვირით ვიდაცასთან ასვლას, მე დასვენებას არ ვეძახი.

— მერე, როგორ ძლებთ? ენერჯის აღდგენა არ გჭირდებათ?

— მეც მაგას ვჩივი, რომ მჭირდება...

— ბავშვობაში სად ისვენებდით? პიონერთა ბანაკებში დადიოდით ხოლმე?

— მიუხედავად იმისა, რომ პიონერი ვიყავი და წითელი ყელსახვევი მეკეთა, ბანაკში არასდროს ვყოფილვარ. ყოველ ზაფხულს ოჯახთან ერთად ვისვენებდი. უმეტესად, დავდიოდით ესენტუეკში, ჩრდილო კავკასიაში. ფანტასტიკური ადგილია. დღემდე მაქვს იქ წასვლის სურვილი. შეიძლება ცოტა გასაკვირია, ჩემი ასაკის ადამიანს სამკურნალო წყლებზე რომ უნდა წასვლა და არ ოცნებობს რაღაც ეგზოტიკურ კუნძულებზე, მაგრამ იმდენად კარგად მასსოვს ბავშვობიდან ის მართლა საოცარი წყალი, პარკი და ა.შ., რომ მაინც იქ მინდა.

— თუ გახსოვთ, პირველად მარტო როდის წახვედით დასასვენებლად?

— 15 წლის ვიყავი, როცა მეგობრებთან ერთად ლენინგრადში წავიდი. საოცრება იყო. ძალიან კარგი დრო ვატარებ. მაშინ ახალი დაწყებული იყო ე.წ. „პერესტროიკა“ და საბჭოთა მოქალაქეს უცხოელებთან კონტაქტის უფლება მისცეს. მა-

ნამდე ეს არ შეიძლებოდა. უცხოელს თუ დაელაპარაკებოდი, ლამის საშობლოს მოალატელ გამოგაცხადებდნენ. ლენინგრადში ჩვენს ჩასვლას დაემთხვა ის, რომ იმავე სასტუმროში ჩვენთან ერთად ცხოვრობდნენ ჩვენი თანატოლი ამერიკელები. ეს იყო ჩემი პირველი თავისუფალი კონტაქტი უცხოელებთან. სწორედ მათთან ვნახე პირველად რაღაც უცნაური კბილის პასტები და წვერის საპარსი საშუალებები. ჩვენ საპონს ვაჭაფებდით და ვწვავდით, მათ კი ჰქონდათ გელი, რომელსაც, ხელს რომ გაჰკრავდი, უცებ ქაფდებოდა. საოცრება იყო! მათ შეეძლოთ „ვალუტინი“ ბარში შესვლა, ჩვენი კი, ვალუტის ქონა საერთოდ არ შეიძლებოდა. მათ შორის გოგონებიც იყვნენ და გეჰქონდა პატარა რომანტიკული თავგადასავლები.

— და მათი ხათრით, რუსი ქალები დათმეთ?

— რა თქმა უნდა, რუს ქალს ვერც ერთი სხვა ვერ შეედრება, მაგრამ მაშინ ასეთი რამ მოხდა. ჩვენ მეგობარ გოგონებთან ერთად ვიყავით წასულები. მერე ისე გამოვიდა, რომ ის ამერიკელი გოგონები ჩვენ მოგვწონდა. ამერიკელ ბიჭებს კიდევ — ჩვენი გოგონები. მოკლედ, კარგი დრო ვატარებ... დასასვენებლად კიდევ იალტაში, ყირიმში დავდიოდი. საოცარი ადგილია. ჩვენს ბავშვობაში, 1985-86 წლებში, იქაური „იალტა“ ფემინისტურ სასტუმროდ ითვლებოდა. ახლა ალბათ სასაცილო იქნება იმ სასტუმროებთან შედარებით, რაც შენდება და სადაც ცხოვრება შეგვიძლია, მაგრამ მაშინ მართლა მაღალი კლასი იყო. ყველაზე კარგი მოგონებები იალტასთან დაკავშირებით შემომრჩა...

— თევზაობა და ნადირობა თუ გიყვართ?

— თევზაობა მიყვარს. არც განსაკუთრებული ხელსაწყოები მაქვს და ვერც იმას ვიტყვი, თევზაობის გარეშე არ შემიძლია მეთქი, მაგრამ რამდენჯერმე მითევზავია და ნამდვილად დიდი საიმოვნებაა. სანადიროდ კი, ერთხელ ვიყავი. მამამ წამიყვანა და არ

მომეწონა. ჭალაში ხოხობი გვეგონა, მოვკალით. კურდღელი აღმოჩნდა. დიდი ამბით გამოგვატანეს ის კურდღელი ჩემს კანელმა ნათესაებმა — შენი ნანადირევიაო! — მაგრამ ვერ შევჭამე. ნადირობა არ მიყვარს.

— თქვენთვის იდეალური დასვენება რა არის?

— ჩემთვის იდეალური დასვენება არის იქ, სადაც კომფორტია: კარგი სასტუმრო, აუზი, რბილი სავარძლები, კარგი ბარები და ა.შ.

— ეი. მთაში დასვენება არ გიყვართ?

— არა, არ მიყვარს ბუნებაში დასვენება. სადაც ტუალეტი არ არის და წყალი არ მოდის, იქ ვერ ვჩერდები. ვყოფილვარ სვანეთშიც, რაჭაშიც, რომელიც მართლა საოცარია, მაგრამ მაინც ის რბილი სავარძლები მირჩევნია...

— ძილი გიყვართ?

— იმდენი წელია, ნორმალურად არ მიძინია, რომ მაშინაც, როცა ღილით ადრე არ ვარ ასადგომი და შემიძლია, 12 საათამდე ვიძინო, არ გამოდის. მაქსიმუმ 8 საათზე უკვე მეღვიძება. ეს ე.წ. ქართული ესტრადის ვარსკვლავები რატომ იღვიძებენ ყველანი ორი საათის შემდეგ, ვერ ვხვდები. არ ვიცი, ღამით რას აკეთებენ... იმ მსახიობს, რომელიც პირველი საათის შემდეგ იღვიძებს, გამოდის, რომ საქმე არა აქვს, ეი. არარეალიზებული მსახიობია. 10 საათზე



ნინა მე დამგოვებს მარტო? ჩემი დაგოვება როგორ შეიძლება?!



ისე, მგონი ცურვა არ იცის. ერთხელ ვიყავით აუზზე ერთად და ახლა მასხენდება, რომ ნამეტანი გივტივებდა...

უკვე გაპარსული, დაბანდილი და ნასა-უზმები უნდა იყო, რომ 11 საათზე რეპე-ტიციასზე მომზადებული მიხვიდე. ამას ეჩვევი და ცხოვრების წესად გექცევა.

ზოგი მამაკაცი ამბობს, რომ სამზარეულოში, კერძის მომზადების დროს ისვენებს. თქვენ თუ გიყვართ ეს საქმიანობა?

— ჩემი ძმა ძალიან კარგად ამზადებს კერძებს და უყვარს ეგ საქმე. ბატონი ავთო ვარსიმაშვილი მაგ საქმის დიდოსტატია. მე — არა, ძალიან შორს ვარ სამზარეულოსგან. ბავშვობიდანვე განებივრებული ვარ ბებიებით, ძიძებით, დედაჩემით. მერე უკვე — მეუღლეები... საერთოდ, განებივრებული ვარ ქალბატონების ყურადღებით და მოვლით. ეს ხანდახან ცუდია, ინერტულს გხდის...

მწვადსაც არ წვავთ ხოლმე? ხომ ამბობენ, რომ ეს მამაკაცის საქმეა?

— კი, როგორც ამბობენ, მწვადს გენი-ალურად ვწვავ. ყოველ შემთხვევაში, თუ იქ ვარ, სადაც მწვადი იწვება — ამ საქმეს მე ვაკეთებ და არც არავინ მეცი-ლებს. ჩემს შვილებს ძალიან უყვართ მწვადის შეწვის პროცესი და მამასთან ერთად ბუნებაში „გაძრომა“. თუმცა ეს, სამწუხაროდ, ისევ და ისევ მოუცლელი-ბის გამო, იშვიათად ხდება.

ნინასთან ერთად არასდროს დაგისვენიათ?

— გამოვიტყვებ, რომ 3 წლის წინ მოვანერხე და 20 დღით მე და ნინა ბავშვების გარეშე „გაგებერთ“ ესენტუკში. მას თავიდან არ უნდოდა იქ წასვლა. როგორც ყველა ქალს, მასაც ერჩევნა, რაღაც კუნძულზე ან ისეთ ადგილას დასვენება, სადაც გამოაჩენს თავის სადამოს კაბებს და მთელ გარდერობს... ესენ-ტუკში ამას ვერ მოახერხებდა. იქ ძირითადად, მოხუცი ადამიანები დადიან, მკურნალობენ, წყალს წრუპავენ და ა.შ. თუმცა, 2-3 დღეში, ნინას ძალიან შეუყვარდა იქაურობა და ბედნიერი იყო. კარგია, როცა ადამიანი ახერხებს საკუთარ ჯან-

მრთელობაზე ზრუნვას. ეს ძალიან იშვია-თად ხდება ჩემი და ნინას ცხოვრებაში...

ზაფხულში როცა თქვენ არ გცალიათ, ნინაც თბილისშია თუ უთქვენოდ მიდის დასასვენებლად?

— არა, ერთად ვართ. ნინა მე დამ-ტოვებს მარტო? ჩემი დატოვება როგორ შეიძლება?!

ამას ნინა ამბობს თუ თქვენ ფიქრობთ ასე?

— ნინა — ფიქრობს, მე — ვამბობ...

ზოგიერთი მამაკაცი სუფრასთან ისვენებს. თქვენ გიყვართ დიდი სუფრები?

— ძალიან იშვიათად ვხვდები დიდ სუფრასთან. ეს ძირითადად, გასტროლოგ-ის დროს გამართულ ბანკეტებზე ხდება. ვეღარ ვიტან ასეთ სუფრებს, მიუხედავად იმისა, რომ კარგი ხალხი გემასპინძლობს ხოლმე. იმდენად მოსაბეზრებელი ხდება ეს ერთი და იგივე საღვებოლოები, რომ მერე, აღარც ბანკეტი ვინდა კაცს და არც არაფერი... თუ ქეთი მინდა, ჩემს ცოლთან ან მეგობრებთან ერთად წავალ, კარგადაც გავერთობი და კარგადაც დავისვენებ.

ხშირად დადისხართ ნინასთან ერთად რესტორანსა თუ კაფეში?

— როცა დრო არის — კი, დავდივართ ხოლმე პატარა-პატარა კაფეებსა და რეს-ტორანებში, რომლებიც რაღაცას გვახსენებენ.

თუ გახსოვთ, ცხოვრებაში პირველად როდის დათვერით?

— ბავშვობაში სულ სპორტით ვიყავი დაკავებული — დავდიოდი ჩოგბურთზე, ფეხბურთზე, კალათბურთზე, ცურვაზე. ყმა-წვილობის ასაკში საკმაოდ სერიოზულად მოვკიდე ხელი კრივს. ამიტომ თუ ზოგიერ-თი მეხუთე კლასში უკვე გამოცდილი თამადა იყო, ჩემზე ეს არ ითქმის. პირველად, მეხუთე თუ მეექვსე კლასში დავთვერი. საახალწლო კარნავალი გვექონდა და კლა-სელმა მოიტანა სკოლაში კახური ღვინო. 3 ჭიქა დავლიე და შტერი თუ გინახავს, ზუსტად ისეთი ვიყავი. გავლანძღე გოგო, რომელიც მიყვარდა, დავამტვრიე ნაძვის ხის სათამაშოები, გამეჭრა ხელები და ა.შ. — ათასი სისულელე ჩავიდინე.

ახლაც ასეთი სიმთვრალე გაქვთ?

— არა, მე მგონი, ნორმალური სიმთვ-რალე მაქვს. თუმცა, ყოფილა შემთხვევები, როდესაც აგრესიულობა გამოიჩინებოდა: მოვხვედრილობარ ისეთ სიტუაციაში, რო-დესაც ჩემი აზრით, უსამართლობას ან არასწორ ქმედებას გავუღიზიანებდარ და ისე მოვქცეულვარ, როგორც სიფხიზლე-ში ნამდვილად არ მოვიქცეოდი...

ზღვაზე დასვენება არ გიყვართ?

— ზღვაზე მეტად აუზი მიყვარს. რა თქმა უნდა, კარგია მზე, ზღვა და ა.შ., მაგრამ რომ ამბობენ ხოლმე — უიმე, ახლა ზღვაზე წამიყვანა და მეტი არა-ფერი მინდაო, — ეგ მომენტია არ მქონია.

— ნინას უყვარს ზღვა?

— ძალიან უყვარს, გიჟდება. აი, ნინა სწორედ ის „შემთხვევაა“ — ნეტავ, ზღ-ვაზე წამიყვანა და... ისე, მგონი ცურვა არ იცის. ერთხელ ვიყავით აუზზე ერ-თად და ახლა მასხენდება, რომ ნამეტ-ანი ტივტივებდა...

— ამ ზაფხულსაც არ აპირებთ დასვენებას?

— წელს ალბათ გამოენახავ დროს და 10 დღით წავალ დაბა შეკვეთილში, ავთო ვარსიმაშვილთან. როგორც ამ-ბობენ, ძალიან კარგი ადგილია.

— დაბოლოს, ერთი კურორტული ამბავი გაიხსენეთ.

— ერთხელ იალტაში მე და ჩემი მეგობარი სანაპიროზე ვსეირნობდით. დიდხანს ვისეირნეთ და მოგვმივდა. უცებ ვხვდავთ — შორს, საიდანაც კვამლი ამოდის. მივხვდით, რომ მწვადს წვავდ-



ნინა — ფიქრობს, მე — ვამბობ...

ნენ და იქით წავიდით. სლაურ ქვეყნებ-ში საერთოდ, ძალიან უყვართ დიდი რიგე-ბი. მწვადის გამო რიგში ვერ ჩავდებო, რომ მომკლა. ვხვდავ, ძალიან დიდი რიგია. უცებ მესმის, ის ტიპი, ვინც მწვადს წვავს, იმისი — **ГРУЗИНСКИЙ ШАШ-ЫК!** — და ამით რეკლამას უკეთებს ამ მწვადს, თან ამბობს, რომ ქართველია, რომ ყველაზე კარგ ქართულ მწვადს აკეთებს და ა.შ. ვიფიქრე — გვეშველა, ქართვე-ლია თვალს ჩავუპაჭუნებ და ურიგოდ მოგვცემს-მეთქი. მივუახლოვდი და ვუბ-ნები ქართულად — ძმურად, რიგში ნუ დამაყენებ, ორი მწვადი აქეთ გამოუშვი-მეთქი. გაკვირვებული მიყურებს და ვხ-ვდები, რომ არ ესმის, რას ვუბნობ. თან ლაპარაკს აგრძელებს. მერე დავაკვირდი და მივხვდი, რომ სომეხი იყო. კიდევ ვუთხარი რაღაც, ისევ გაკვირვებულმა შემომხედა. უკვე ხალხიც რაღაცაში დაეჭვდა. ისიც მიხვდა, რომ შეიძლებო-და, კლიენტები დაეკარგა, გადახედა რიგს და ჩემზე უთხრა, — **БРАТИШКА ИЗ АРМЕНИИ**, — ვითომ, მე ვიყავი სომეხი... იმდენი ვიცინეთ, აღარც მწვადი გვინდო-და და შიმშილმაც გადაგვიარა... ■

როგორ დასსაკრთი პატარა მწამრმუი?

ბავშვის სწორად აღზრდა გაცილებით რთული საქმე აღმოჩნდა, ვიდრე გულის სწორის მოხიბვლა ანდა სიდედრისა თუ დედამთილის მოთვინიერება. თუმცა, მეთოდი აქაც მრავალგვარია. როგორ დავსაჯოთ ბავშვი, თუ ის რამეს დააშავებს? — ამ კითხვით რამდენიმე ცნობილ ადამიანს მივმართეთ და ე.წ. „მზა რეცეპტებიც“ მივიღეთ...

სოფო ყარაღაშვილი

ზურა ხანიძე:

— ეკლიანი ტოტი უნდა ამოავლო მარჯუთმი და ბავშვს ურტყა, როცა რამეს დააშავებს... ეს, რა თქმა უნდა, — ხუმ-



რობით. როცა პატარა, რამეს დააშავებს, უნდა დავისვათ და ვესაუბროთ, სანამ არ შევაგებინებთ. თუ ვერ შეიგნებს, უარი უნდა ვუთხრათ ყველა სურვილზე. ამ დროს ხმის აწევას აზრი არა აქვს, ცივი გონებით უნდა გააკეთო ყველაფერი. ერთხელ მეზობლის ორი ბავშვი ჩხუბობდა, მეც სარდაფში ჩაკეტილ, მაგრამ სანამ გამოუშვებდი, ჩემი დამემართა. ბავშვის დასჯის დროს წონასწორობიდან არ უნდა გამოხვიდე, იმიტომ, რომ ამ დროს შენ თვითონ ემსგავსები ბავშვს.

ლავა თაბუაშვილი:

— გაჩნია, რას დააშავებს ბავშვი. რაც უფრო დელიკატური იქნები ბავშვთან, მით უფრო კარგია. საერთოდ, ბავშვთან უნდა იმეგობრო და არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოახვიო თავს შენი პრობლემები. როდესაც რამეს დააშავებს, ნამუსზე უნდა შეაგდო. საკუთარ შეცდომებზე უნდა მოუყვე, უნდა აუხსნა, რომ მისი გესმის. მთავარია, ბავშვს თავი არ შეაცოდო, უბრალოდ უნდა უთხრა, რომ ამ საქციელით მან გული გატკინა. ბავშვისთვის ავტორიტეტი უნდა იყო.

ბაპურ ბაპურაძე:

— პირველ რიგში, უნდა ავუხსნათ

ბავშვს, რომ დააშავე. ცემა-ტყეპა სიგიჟეა. პატარას წინ ცხოვრებაში ისეთი რაღაცები ელოდება, რომ ჭიქის გატეხვის გამო მასთან ჩხუბი არ ღირს.

ნათია ნეზირიძე:

— მაღიზიანებს, როდესაც ბავშვს ურტყამენ. დარტყმა და წამორტყმა სხვადასხვაა. ბავშვს შეიძლება, საჯლოშე წამორტყა ან ხმას აუწიო, როცა გაგაბრაზებს. კუთხეში დაყენება არ შეიძლება. უნდა შეაშინო — ბუა მოვათქო, — და ა.შ. ბევრჯერ მსმენია — ამ ბავშვს მშობლები თავში ურტყამდნენ და ახლა „ვერ არისო“... ცემა არ შეიძლება!

თამთა გოგუაძე:

— ამ დროს ბავშვს საერთოდ არ უნდა მიატყუო ყურადღება. რომ სცემო, მერე შეეჩვევა და რეაქცია აღარ ექნება. ისე, ამის გამოცდილება არ მაქვს. რომ გავაჩენ, მერე გეტყვი.

ნატო გელაშვილი:

— შეიძლება, ის ნივთი წაართვა, რომელიც ყველაზე მეტად უყვარს. მე, მაგალითად, შვილებს კომპიუტერზე თამაშს ვუკრძალავ, როცა რამეს დააშავებენ; ხანდახან ვებუტები და იგნორირებას ვუკეთებ. ამაზე, ძალიან ბრაზობენ. ზოგჯერ სკოლაში წასვლის დროს ხურდას არ ვაძლევ, ამ დროსაც ცუდ დღეში ცვივდებიან. ერთხელ ფეხსაცმელებიც კი დავუშალე, რომ ვერსად წასულიყვნენ. და კიდევ, ეზოდან რომ ვერ ამომყავს, კარს ვკეტავ და ახლობელთან შევდივარ, მერე კართან ატუხულები მხვდებიან...



მანანა ჯაფარიძე, ფსიქოლოგი:

— როდესაც ბავშვი რამეს „დააშავებს“, სასურველია, მშობელმა არ იჩქაროს მისი დასჯა და თავდაპირველად გაარკვიოს, რატომ მოიქცა ბავშვი ასე, რა მიზანი ჰქონდა. მიზანი ყოველთვის დადებითია — უბრალოდ, მიღწევის გზა შეიძლება იყოს მიუღებელი. ბავშვმა შეიძლება არ იცოდეს, რომ მიზნის მიღ-



წევის უფრო კარგი გზა არსებობს. სასჯელი კი მისთვის ტრავმა იქნება, რომელიც უთუოდ იმოქმედებს მის შემდგომ ცხოვრებაზე. ბავშვი დაასკვნის, რომ მშობლები მის მიმართ უსამართლონი არიან და საერთოდ, სამყაროში სამართალი არ არსებობს... დასჯას არავითარი სიკეთე არ მოაქვს. შეიძლება, ბავშვს სითბო, ყურადღება აკლია და ცდილობს, ცელქობით მიიქციოს მშობლების ყურადღება. ამ შემთხვევაში მშობლებმა რეაგირება უნდა მოახდინონ არა ქცევაზე, არამედ სურვილზე, რომელიც ამ ქცევის მიღმა იმალება. ბავშვს უნდა აუხსნან, რომ საკუთარი თავისადმი ყურადღების მიქცევის სხვა გზაც არსებობს.



წინამდებარე წერილი
იხ. „გზა“ №26

ქართული სეკვით ღანთაგული სიყვარულის სეხსლი ბრაიბონზე...

როცა სამშობლოსგან, შენიანებისგან ძალიან შორს ხარ, როცა თავს სრულიად მარტო გრძნობ უცხო გარემოში, ამ დროს კი შენ გვერდით თანამემამულეებს ხედავ, რომელთაც შენი იმედი აქვთ, ერთბაშად გავიწყდება საკუთარი პრობლემები და ცდილობ, მათ დაეხმარო.

ქართველი კაცი თავის ნაკლსა და ღირსებას ყველაზე მეტად სუფრაზე ავლენს და ეს რომ ასეა, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როცა ბრაიტონზე, რესტორან „Золотое кольцо“-ში 6 ქართველი ბიჭი აღმოვჩნდით 10 ამერიკელი ლამაზი გოგოს პირისპირ. თანაც, ინგლისური მხოლოდ მე და ჩემმა მეგობარმა, დიმა ბაზელმა ვიცოდით. ასე რომ, თარჯიმნის როლიც ჩვენ დაგვეკისრა.

აკაკი გვებნავა

„ბატების სიმღერაზე“ აცეკვებული რესტორანი

თავდაპირველად, მხიარული ამბები-სა და ანეკდოტების მოყოლას მივყავი ხელი. არაფერი გამომივიდა. მერე დი-მამ სცადა დაძაბული ატმოსფეროს განმუხტვა იმავე მეთოდით. თქვენც არ მომიკვდეთ, რაც უფრო გულიანად ვიცინოდით მე და დიმა, მით უფრო მეტად ჩამოყარეს ყურები ამერიკელმა გოგონებმა. რომ ვიფიქრებდი – აი, ახლა ახ-არხარდებიან-მეთქი, – ზუსტად მაშინ გადმოხვედავდნენ გაცეკვულები, – რა გინდათ, რას გვერჩით, არ გვეცინება თქვენს ანეკდოტებზე და რა ვქნათ?..

ექსპერიმენტი ჩაგვეშალა. ბოლო გაბრძოლება საკუთარ თავზე ავიდე და ერთი ძალიან მაგარი ანეკდოტი უნდა მოგიყვებო-მეთქი, – გამოვაცხადე.

ლანამ ერთი ამომხედა, ეტყობა, ისეთი სახე მქონდა, იფიქრა, ცოლო და ისე გამიღიმა, ამერიკელები რომ უღიმიან უცნობებს – მხოლოდ ტუჩებით. იხ-ტიბარი მინც არ გავიტებე და დავიწყე:

„ლოთი შინ დაბრუნდა. მოუსვენ-რადაა. გამოალო კარადა – არავინაა, შეიხედა საწოლის ქვეშ – არავინაა, სააბაზანო ცარიელია...“

– მალაქათბო, ხომ, შენი დედა!.. – მივარდა ცოლს.

– რა ნახე ასეთი?! – გადირია ცოლი.

– რა და, დღესაც მარტოს მომიწევს დალევა!..“

ვიცინი მე, იცინის დიმა, ცალკეად აგვეყენენ ჩვენი ბიჭები. ამერიკელი გოგონები კი, უფრო გაოცებულები გვიყურებენ. ლანამ ისიც მითხრა, ვე-რაფერი გავიგეო.

საგონებელში ჩავვარდი. ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, სუფრა როგორ გამეხიარულებინა. ბათუმელ ზურას გადავხედე, მაღალ, სიმბათიურ ბიჭს, ბათუმის ანსამბლში სოლისტი ვიყავიო, რომ მითხრა.

– ზურა, შენი სოლისტობა ეტყობა, ბათუმში დატოვე! რა იყო, რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის? ადექი და იცეკვე, მოაწონე ამ გოგონებს თავი!

– დააკვრე ვინე „განდაგანა“ და ვიცე-კვებ! – ისე ცივად მიპასუხა, თითქოს

რესტორნის სცენაზე გამოსვლას კი არა, ეშაფოტზე ასვლას ვთხოვდი.

რას ვიზამდი? – რესტორნის მუსიკოსებთან მივედი და ვიკითხე, – შეეძლოთ თუ არა ქართული მუსიკის შესრულება.

– როგორ არ შეგვიძლია? ახლავე დაუკრავთ „სულიკოს“! – გამიღიმა გრძელთმიანმა წითურმა მუსიკოსმა და გიტარა მოიმარჯვა.

– არა, არა, „სულიკო“ საცეკვაო მუსიკა არ არის!.. – შევაჩერე იგი და მოულოდნელად თავში „გენიალური“ აზრი მომივიდა.

– მოდი, ძველებური რუსული სიმღერა დაუკარი, აი, თუნდაც „Жили у бабуси, два весёлых гуся...“

ამის თქმა იყო და მუსიკოსებმა დასცხეს, მაგრამ რა დასცხეს! უკრავდნენ და მონდომებით მღეროდნენ კიდევ. ამ ერთი შეხედვით მარტივმა და მსუბუქმა მელოდია ერთბაშად მთელი დარბაზი გაამხიარულა. ბათუმელ ზურას ამაყად გადავხედე.

– რა არის, კაკო ეს?.. მე „განდაგანა“ გითხარი, შენ კიდევ რაღაც სისულელეს აკვრევენ. ამაზე მარტო ბატები თუ იცეკვებენ!.. – მისაყვედურა ზურამ.

– თბილისში კი არა ხარ, „განდაგანა“ რომ მომთხოვე. მაგარი მოცეკვავე მაშინ იქნები, ამ მუსიკას კი არა, ნები-სმიერ უნიჭოდ დაკრულ მელოდიასაც რომ აჰყვები...“

ზურამ აღარ მომიხინა; მის გვერდით მჯდომ ქერა გოგონას ხელებით რაღაც ანიშნა და ისიც აკისკისდა. ამ დროს კი, თითქოს ჩემს შეკვეთას ელოდნენ, ლამის ნახევარი რესტორანი წამოიშალა და სცენას მიამურა. წვეილები ისეთი ენერჯითა და გატაცებით აცეკვდნენ, ნამდვილი ცეცხლი დაანთეს.

– რა კარგია! – წამოიყვირა ლანამ, ჩემი ფირმის მომხიბვლელმა მულატმა მდივანმა. ლანას დანარჩენებიც აჰყვნენ. ყველას საცეკვაოდ მიუწვევდა გული, მაგრამ რად გინდა? – ისხდნენ ჩვენი ბიჭები მუღოებივით და უყურებდნენ, როგორი ხალისით ცეკვავდნენ „ЗОЛОТОЕ КОЛЬЦО“-ს რუსი კლიენტები. ერთი სიტყვით, „ოფსაიდში“ იყვნენ და ღანა პირს არ უხსნიდათ. მეც არ განხლდით მათზე უკეთეს დღეში. დიმა გადავხედე საშველად. ეტყობა, მიხვდა, ყინულის გაღობა მას რომ მოუწვევდა და წელათრევით წამოღვა სუფრიდან, ლანასთან მივიდა და ჯენტლმენურად გაიწვია საცეკვაო მოედანზე. ლანა ისე წამოფრინდა, იფიქრებდი, მთელი ცხოვრება ამ წუთს ელოდებოდაო. მხიარულ მელოდია რიტმულად აჰყვა და დიმასთან ხელჩაკიდებული

მოცეკვავეებს შერია. სუფრასთან მსხ-
ლომ გოგონებს გადავხედე, რომლებიც
აშკარად მოუთმენლად ელოდნენ ბიჭე-
ბის გააქტიურებას.

— აბა, ბიჭებო, თქვენ იცით, შეუბერეთ,
ხედავთ, როგორ გელოდებიან გოგონე-
ბი? — შევაგულიანე ჩემი თანამემამუ-
ლეები, რომლებიც მსხნელივით ელოდ-
ნენ ბათუმელ ზურას ანუ, როგორც თვი-
თონ ამბობდნენ, მაგარი მოცეკვავის მა-
გალითს. ის კი ისევ ჯიუტად გაიძახ-
ოდა: კი მინდა ცეკვა, მაგრამ ასეთ სულე-
ლურ მუსიკაზე ხელს ვერ გავშლიო!

დიდი მოცეკვავე არ გახლავართ, მა-
გრამ ამერიკულ ლამაზმანებთან შერცხ-
ვენას ისევ ცეკვა ვარჩიე, წამოვდექი და
მხიარულად წამოვყარე გოგონებიც, მა-
ტარებლის ვაგონებივით ჩავამწკრივე და
მოცეკვავეთა ჯგუფის შუაგულში შევი-
ჭვრით. მათაც თავისიანებით მიგვიღეს
და ჩვენც მეტი რა გვინდოდა?..

მუსიკოსებიც გახალისდნენ. ერთი
მხიარული მელოდიიდან მეორეზე გადა-
დიოდნენ, მერე რეპერტუარში ბოშური
სიმღერებიც ჩართეს და კიდევ უფრო
გაიზარდა მოცეკვავეთა ჯგუფი.

თავიდან ვფიქრობდი, ამერიკელებს
ალბათ მალე მოჰპებრდებათ ცეკვა-მეთქი,
მაგრამ ნურას უკაცრავად — ჩვენი სუ-
ფრის გოგონები ტოლს არ უდებდნენ
„ЗОЛОТОЕ КОЛЬЦО“-ს რუს კლიენტებს.

ვილას ახსოვდა ვისკი და კონიაკი?..

მოცეკვავეებიც დაილაღნენ, მუსიკოსე-
ბიც და ისევ სუფრას მივუსხედით. გოგონე-
ბი გამხიარულდნენ და ისევ უხაროდათ,
ერთმანეთს აღარ აცლიდნენ ლაპარაკს.

— ამათ რა, ცეკვა არ იციან? ესეც

ხომ ინგლისური ენა არ არის! — წამ-
ოიძახა ერთ-ერთმა გოგონამ, გადაიკისკისა
და დანარჩენებაც აჰყვნენ.

— გესმით, ბიჭებო? თქვენზე იციან,
ცეკვა არ სცოდნიათო!.. — „გადავუ-
თარგმნე“ ბიჭებს ჩემებურად მათი ნათქ-
ვაში და ზურასკენ გავიხედე. ის კი
ისევ ჯიუტად იმეორებდა — ცეკვა მე
რომ ვიცი, ისეთი უნდა, მაგრამ უაზროდ
და უმისამართოდ ხელ-ფეხის ქნევა არ
მისწავლიაო...

ამ სიტყვების თარგმნას აზრი არ
ჰქონდა, რადგან ჩემს გასაგონად იყო
ნათქვამი.

— შენ გინდა, ქართული დოლ-გარ-
მონი გაგიჩინო ამერიკაში თუ სუხიშ-
ვილების მუსიკოსები მოვიწვიო ბრაი-
ტონზე?! — შევუძახე ზურას.

— არა, ძმაო, მე უშუესიკოდ თავს არ
შევირცხვენ! — ისევ თავისას „აწვებო-
და“ ზურა. მერე სულაც თავი დაანება
ჩემთან ლაპარაკს და ქერათმიან ან-
გელოზს მიუბრუნდა. თუმცა, დღემდე
ვერ გამოვიგა, რას ელაპარაკებოდა...

ასე იყო თუ ისე, სუფრა გამხიარულ-
და. მეც მომეხსნა დაძაბულობა, თუმცა
ზურას სიტყვები მოსვენებას არ მა-
ძლეოდა. ქვა უნდა გამეხეთქა და ქართუ-
ლი მუსიკა „მეშოვა“ ბრაიტონზე. ერთი
სული მქონდა, მენახა, როგორ ცეკვაოდ-
ნენ ზურა და მისი ძმაკაცები.

უცბად გამახსენდა რესტორნის მე-
პატრონე კისა, რომელიც, ჩვენებურად
რომ ვთქვით, თადარიგიანი ქალი გახლ-
დათ. ერთი ახირებაც ჰქონდა: მის
რესტორანში რომელიმე უცხო ანსამბ-
ლი ან მომღერალი თუ გამოვიდოდა,
მათ სიმღერებს ჩაიწერდა და მერე ამაყ-
ობდა საკუთარი კოლექციით. ჩემი
თავისთვის ვერ მეპატიებინა, დროზე რომ



საგონებელში ჩავევარი. ახლა
მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, სუფრა
როგორ გამემხიარულებინა

არ გამახსენდა კისას კოლექცია. თუმ-
ცა, არც ახლა იყო გვიან. ჩემი „აღ-
მოჩენით“ გახარებული, კისასთან გავიქე-
ცი და სულ მალე მუსიკალური ჩანაწე-
რების მოზრდილი კარტოთეკის წინაშე
აღმოვჩნდი. დიდხანს არ მიწვალაია, რამ-
დენიმე წუთში აღმოვაჩინე ერთ-ერთი
ქართული ჯგუფის კონცერტის ჩანაწე-
რი. გახარებულმა ავიღე კასეტა და
მუსიკოსებს მივუტანე.

როგორც კი ქართული მუსიკა აუღერ-
და (შიგადაშიგ საცეკვაო მელოდიებით),
ნიშნის მოგებით გადავხედე ზურას. ბა-
თუმელი მოცეკვავე თავიდან შეცბა, მა-
გრამ ბოლოს მიხვდა, რომ უარი აღარ
გაუვიდოდა. თანაც ეტყობა, თვითონაც
გაუჩნდა ამბიცია, თავი მოეწონებინა ოკეან-
ისგალმელი ლამაზი გოგონებისათვის.

ზურა მშვიდად წამოვლოდა. ამაყად გამა-
ლა მკლავები და საცეკვაო მოედანზე
გავიდა. აშკარად ეტყობოდა, რომ პროფე-
სიონალი მოცეკვავე იყო. ისე დახვეწილად
ცეკვადა, რომ მთელი დარბაზი განცვი-
ფრებას ვერ ფარავდა. დროდადრო ტაში-
თაც აჯილდოებდნენ. ოღონდ არავინ
ფიქრობდა, მისთვის ხელი შეეშალა. ცოტა
ხანში ზურას მეგობრებსაც (ისინიც
მოცეკვავეები იყვნენ) გაუჩნდათ თავის
გამოჩენის სურვილი და მოცეკვავეს
შეუერთდნენ. ახლა კი ნამდვილი ცეცხ-
ლი დაინთო რესტორნის მომცრო სცენაზე.
ჯერ იყო და „ლეკური“ იცეკვეს, „ლე-
კურს“ „ხორუმი“ მოჰყვა, „ხორუმს“ —
„მთიულური“. მერე მოულოდნელად, „გან-
დაგანას“ მელოდია გაისმა. ბიჭები აზ-
არტში შევიდნენ. დარბაზი კიდევ უფრო
გამხიარულდა. ვილას ახსოვდა მოტლან-
დიური ვისკი და ფრანგული კონიაკი?!
უმეტესობა ფეხზე იდგა და გაფაცციე-
ბით აღევნებდა თვალყურს ქართველი

ახლა კი ნამდვილი ცეცხლი დაინთო
რესტორნის მომცრო სცენაზე. ჯერ
იყო და „ლეკური“ იცეკვეს, „ლე-
კურს“ „ხორუმი“ მოჰყვა, „ხორუმს“
— „მთიულური“. მერე მოულოდ-
ნელად, „განდაგანას“ მელოდია
გაისმა. ბიჭები აზარგმი შევიდნენ.



ბიჭების განუმეორებელ ცეკვას. ბიჭები მართლაც თავდავიწყებით ცეკვავენ. კულმინაცია კი მაშინ დადგა, როცა სუფრის დანები აიღეს ხელში და ხანჯლებად გამოიყენეს. ამ დროს ტაშმა იქუხა. დარბაზი ერთიანად გუგუნებდა. წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

– დიმა, ესენი რა მაგრები ყოფილან!

– ალტაცება ვერც მე ღაფფარე.
– აბა, შენ რა გეგონა?... რომ გაუწვრილე გული – იცაპკეთ, იცაპკეთო, – ვერ იცაპკევეს?!

– რა კარგად ცეკვავენ! სად ისწავლეს ასეთი ცეკვა? – მკითხა ლანამ.

– ჩემს სამშობლოში! – ამაყად ვუპასუხე.

– მართლა სუპერმენები არიან! – დაასკვნა ლანამ.

ლანას დაქალებიც თვალს ვერ აშორებდნენ ქართველ ბიჭებს, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ, მორცხვად ისხდნენ მათ გვერდით, ახლა კი საოცნებო სუპერმენებად ქცეულიყვნენ...

მეორე დღით გვიან გამოძევიდა. ისიც კი არ მახსოვდა ხეირიანად, შინ როგორ მივედი. თუმცა – არა: გამახსენდა, როგორ მაცილებდა კისა, როგორ ჩამსვა ტაქსიში და მძღოლს ჩემი მისამართი უთხრა. აი, საწოლში როგორ აღმოვჩნდი, ეს კი, მომკალით და – არ მახსოვს.

არადა, მშვენივრად მახსოვს დიალოგი კისასთან, რომელიც ბიჭების ცეკვისას გაიმართა.

– ხშირად მოდი, აკაკი, შენს ბიჭებთან ერთად. ხომ ხედავ, მათზე რა მოთხოვნაა! – კმაყოფილებას ვერ ფარავდა კისა.

– ხომ არიან ლომები? – წავიტრახახე.

– მე დიდი ხანია ვიცი, ქართველი მამაკაცები რა მაგრებიც ხართ, მაგრამ ეს გოგონები რომ კარგად გაგიცნობენ, ვეღარც მოიშორებთ...

– მერე მაგას რა სჯობია? რაც მეტი ქართველი დაიბადება, მით უკეთესი ჩვენთვის... – ამას უკვე ბახუსი მაღაპარაკებდა...

ელმონდის პრესტიჟული კომპანიის გოგონებს ისე მოსწონებიათ ჩვენი მოცეკვავეები, თავადვე „გაუნაწილებით“ და შინ გაუქნებიათ... არა, მე ნამდვილად არაფერ შუაში ვიყავი ამ „გაუნაწილებაში“, მაგრამ საყვედურს მაინც ვერ ავცდი ამ გოგონების გამო...

ახალი პრობლემა

ნაშუადღევს კომპანიაში მივედი. უნდა გამეგო, სად მომიწვედა ახალი მივლინება-მოგზაურობა (ალბათ გახსოვთ, რომ გადაზიდვების კომპანიაში ვმუშაობდი და უხარმახარი ტრაილერით სხვადასხვა ტვირთი გადაამქონდა ამერიკის ერთი ადგილიდან მეორეში).

ლანამ რომ დამინახა, ეშმაკურად გამიღიმა და მანიშნა – ახლოს მოდი, რაღაც უნდა გითხრაო.

– დიდი მადლობა გუშინდელი საღამოსთვის. მშვენიერი დრო გავატარეთ...

– ეგ რა არის? ყველაფერი წინა გვაქვს!.. – თავი გამოვიდე.

– მაგრამ... – ლანამ უფროსის კაბინეტისკენ გაიხვლა, მერე ისევ მე მომიბრუნდა. – ელმონდი გიჟს ჰგავს, 5 გოგონა ჯერაც არ მოსულა სამსახურში..

– რატომ? რამე მოხდა? – მართლა გამიკვირდა.

– ისეთი მეგობრები გყავს, ვერ ელვივიან...

– ვერ გავიგე.
– რა ვერ გაიგე? ეს წუთია, ჯეისიმ დამირეკა – ისეთი ღამე გავატარეთ, ეჭვი მეპარება, ეს კაცი ვინმეს ღაუთმო!

აი, ასე – ერთი პრობლემა ძლივს გადავჭერი და ახალი გამიჩნდა: იმის გამო, რომ გოგონები რესტორანში დაუპატიჟე, კომპანიის უფროსისთვის უნდა ჩამებარებინა ანგარიში და თავი როგორმე შემართლებინა...

ამ ფიქრით დაძმობული შევედი ბოსის კაბინეტში.

P.S. რა მოხდა შემდეგ, ამას „გზის“ 30-ე ნომრიდან შეიტყობთ.

ერთგული მკითხველი


თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. სად გაიხსნა პირველად აშშ-ის ფარგლებს გარეთ „დინსენილენდი“?



- ა) ლონდონში;
- ბ) ტოკიოში;
- გ) რომში.

2. რას ეძახის ფონოგრაფმა სიმღერას მივი გერიკაშვილი?



- ა) ტუჩების ცმაცუნს;
- ბ) სცენაზე ღლაბუცს;
- გ) სახალხოდ აფერისტობას.

3. ვინი ხატი ეკიდა გულზე არიანა შენგელაიას გმირს მარგალიტას მ/ფ „შირეკილეშვილი“?



- ა) წმინდა პორფილეს;
- ბ) მარიამ ღვთისმშობლის;
- გ) იოანე ნათლისმცემლის.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ვააყოვ ჩემი შედეგით!

გთავაზობთ წონის დაკლებას და შემდგომ შენარჩუნებას დიეტისა და ფარჯისის გარეშე, ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებით, ორსულობის შემდგომი დარების გასწორება. ჩაწერა წინასწარ.

94-18-29 (დღე) 61-00-14 (საღამო) 893-34-34-59 ლია

...ვეფორბ, საერთო ღონითა და ტექნიკური სტანდარტებით ტურნირი არცთუ ისე შთაბეჭდავი გამოვიდა. „ვერო-2004“ ემოციური და სენსაციური იყო: ყველა ფავორიტი გავარდა და ჩემპიონატმა ამიტომაც გამოიწვია უდიდესი ინტერესი. მაგრამ ტექნიკური თვალსაზრისით ის არაფრით არ გამოირჩეოდა“, – ამბობს ორიოდ დღის წინ დასრულებული ვეროპის ჩემპიონატის შესახებ ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა, იოჰან კრეიფი. მაგრამ მისი ეს შეფასება ალბათ, ნაკლებად ალელვებთ საბერძნეთის ნაკრების წევრებს, მწვრთნელსა და მათი მოულოდნელი წარმატებით გაოგნებულ ქომაგებს. შეჯიბრება ხომ მათთვის ისე დასრულდა, როგორც მხოლოდ ოცნება შეეძლოთ, რადგან ბერძნთა გუნდი თავიდანვე ტურნირის ერთ-ერთ აუტსაიდერად ითვლებოდა და „წესით და რიგით“, ქვეგავუფიდანაც ვერ უნდა გასულიყო.

ასეა თუ ისე, ბებერ კონტინენტს ახალი ჩემპიონი ჰყავს, რომელსაც მანამდე, მსგავსი წარმატებისთვის არასოდეს მიუღწევია. ფინალურ მატჩში ერთადერთი გოლის ავტორი, ანგელოს ჰარისტიკასი კი ნამდვილ გმირად იქცა. პირველობას ანტიგმირიც მრავლად ჰყავდა. მათი კრიტიკა დღემდე არ წყდება. ეს კი არაა და, ტელეკომპანია ESPN-მა „ვერო-2004“-ზე იმდგამცრუებული მოთამაშების სიმოლოური ნაკრებიც გამოაქვეყნა. აი ისინიც: ჯეიმსი (ინგლისი), პაულა ფერერა (პორტუგალია), დესაი, სილვესტრი (ორივე – საფრანგეთი), ნოვოტნი (გერმანია), ბექჰემი (ინგლისი), სტილიან პეტროვი (ბულგარეთი), კოკუ (პოლანდია), ტოტი, ვერი (ორივე – იტალია), რაული (ესპანეთი).

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ტურნირზე უსასური გამოსვლის გამო ყველაზე მძაფრი კრიტიკის ქარცეცხლში დევიდ ბექჰემი მოექცა. ინგლისელი ვარსკვლავის წარუმატებელი ასპარეზობა თვით მის ყოფილ მწვრთნელს (ჯერ „მანჩესტერ იუნაიტედში“, ხოლო შემდეგ – „რეალში“), კარლუმ კეირუმსაც კი არ დაუ-



ახსოვს როგორ იქმნებოდა პირ რეჰაბელის იმპერია

ტოვებია უყურადღებოდ, რომელმაც დევიდსა და ლუის შორის ასეთი შედარება გააკეთა: „ფიგუ ყოველ მატჩში ბოლომდე იხარჯებოდა და თითოეულ შეხვედრას დიდი სერიოზულობით ეკიდებოდა. იგი მთელი წლის მანძილზე ეზადებოდა ვეროპის ჩემპიონატისთვის და ტურნირს საკმაოდ კარგ ფორმამაც შეხვდა. დევიდ ბექჰემმა კი, ორი წლის წინ მსოფლიო ჩემპიონატზეც ვერაფრით გამოიჩინა თავი, ხოლო ახლა ვეროპის პირველობაც ჩააგდო. ამისთვის გამართლების მოძებნას ის ყოველთვის შეეცდება. მაგრამ მაშინ როდესაც ფიგუ „რეალში“ გულმოდგინედ ვარჯიშობდა, ბექჰემი საწვრთნელ პროცესს ყოველთვის თავს არიდებდა.

ბექსის წინააღმდეგ აგორებულ კომპანიაში მისი ყოფილი თანაგუნდელი „მანჩესტერში“, არგენტინელი, სუან-სებასტიან ვერონიც ჩაება, რომლის აზრითაც, ინგლისელმა ნახევარმცველმა ფეხბურთისადმი ინტერესი უკვე დაკარგა. „როდესაც მე დევიდიან ერთად „მანჩესტერ იუნაიტედში“ ვთამაშობდი, ის გუნდის ლიდერი გახლდათ, რომელიც პასუხისმგებლობას

საკუთარ თავზე იღებდა, – დასძინა სამხრეთამერიკელმა, – „ვერო-2004“-ზე კი იგი ასეთ ფეხბურთელად არ მოგვევლინა. პორტუგალიასთან მატჩში ბექჰემი საერთოდ არ ჩანდა მოედანზე. ისეთი შთაბეჭდილება შემექნა, თითქოს იგი არა ფეხბურთზე, არამედ სულ სხვა რამეზე ფიქრობდა. მის მიერ დაშვებული შეცდომების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ბექჰემი კარგ ფორმაში არ იმყოფება. ბოლო დროს, იგი დიდი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშა მოქცეული. როგორც ჩანს, პირადმა პრობლემებმა და „რეალში“ წარუმატებლად ჩატარებულმა სეზონმა მასზე ძალზე უარყოფითად იმოქმედა. მიუხედავად ამისა, მჯერა, რომ დევიდი კიდევ გამოავლენს თავის საფეხბურთო ნიჭს“.

გასაკვირი არც ის უნდა იყოს, რომ ბექჰემს ალბიონელი ფანებიც არ წყალობენ. ორიოდ დღის წინ, ლონდონში, ხელოვნების სამეფო აკადემიაში ფეხბურთელის მეტრნახევრიათი პლაკატი დააზიანეს, რის შემდეგაც 7.5 ათას გირვანქა სტერლინგად შეუასებული ექსპონატი დაწესებულების მესვეურებმა კედლიდან ჩამოსხნეს. გარდა ამისა, ხელოვნებმა ბექსის სურათზე შემდეგი წარწერაც დატოვეს: „ხელოცარულე-ბო“... (You Losers). ჟურნალისტებმა კი, მაშინვე გამოიტანეს დასკვნა, რომ მათ სპეციალურად იხმარეს ამ სიტყვაში ორი O, რითიც ბექსს კიდევ ერთხელ შეასხენეს რებეკა ლუუსი... ამასობაში დევიდს ახალი უსიამოვნების საბაბი მიეცა. ორიოდ დღის წინ, ბრიტანეთში გამოვიდა 29 წლის გეინორ მორგანის (იგი „მანჩესტერის“ ყოფილი ფეხბურთელის შვილია) წიგნი სახელწოდებით – „რეალური დევიდ ბექჰემი“, რომელშიც ფეხბურთელთან ავტორის რომანზეა საუბარი. მორგანი ამტკიცებს, რომ მას ბექსისთან ინტიმური



ურთიერთობა 2001 წლის ზაფხულში ჰქონდა, თანაც გენიორის თქმით, „ეს უფრო მეტი იყო, ვიდრე უბრალოდ ერთი ღამით გათობა“.

„ევრო-2004“-ის ფინალური მატჩის ბოლოს, კრიშტიანუ რონალდუ ცრემლებს ვერ იკავებდა, რაც არც იყო გასაკვირი — მან ხომ ორჯერ ვერ გამოიყენა ხელსაყრელი საგოლე მომენტი. „მანჩესტერის“ ფორვარდს „ნუგეზად“ ისღა რჩება, რომ იგი „ცისფერებმა“ ეროვნული ნაკრების ყველაზე სექსუალურ ფეხბურთელად დაასახელეს. სპეციალური გამოკითხვა ტურნირის მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელი ჰომოსექსუალისტების ინტერნეტსაიტზე ჩატარებულა. გამოკითხვის მონაწილეთა 14%-ს სწორედ 19 წლის რონალდუსთვის მიუცია ხმა, რომელსაც სიაში ნუნუ გომეში და პაულეტა მოსდევენ. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ პოზიციები დათმო პორტუგალიელთა კაპიტანმა, ლუიშ ფიგუმ. მას ვერ კიდევ ერთი წლის წინ არ ჰყავდა კონკურენტი. ამჯერად კი, „რეალის“ ნახევარმცველმა ხმათა საერთო რაოდენობის მხოლოდ 9% მიიღო. დეკუს თავგანისმცემელი კი, „ცისფერთა“ მხოლოდ 2% ყოფილა.

ახლა კვლავ ტურნირის ტირუმფატორებს დაუბრუნდეთ. ბუნებრივია, „ევრო-2004“-ის შემდეგ ყურადღების ცენტრში გამარჯვების გოლის ავტორი, ანგელოს ჰარისტუასი მოექცა. „ჩვენ ჩემპიონები ვართ, — ემოციებს ვერ იკავებდა ბერძენი ფეხბურთელი, — ჩვენ ევროპის საუკეთესო გუნდი გვყავს და ეს გამარჯვება დავიმსახურეთ. ამ წარმატებით მართლაც აღტყინებული ვარ. მსოფლიოს ყველა კუთხეში მცხოვრებ ბერძნებს მოუწოდებ, რომ სათანადოდ აღვნიშნოთ ჩვენი დიდი გამარჯვება. ეს ხომ მთელი ერისთვის უნიკალური მომენტი. დარწმუნებული ვარ, ბერძენთა ნაწილს რიგაზად ჯერაც ვერ გაუცნო-

ბერებია, თუ რა მოხდა... ბედნიერი ვარ იმით, რომ ბერძენი ვარ. ჩვენს გამარჯვებაში ეჭვი არ მეპარებოდა. ჯერ კიდევ მატჩამდე ვხვდებოდი, რომ თასს ჩვენ აღვმართავდით, თუმცა, იმ მომენტში ვერც წარმოვიდგენდი, თუ როგორ მივალწვედით წარმატებას. ფინალურ შეხვედრამდე რამდენიმე ძლიერი ნაკრები დავამარცხეთ. გადაწყვეტ ბრძოლაში კი, თვით ტურნირის მასპინძლებს დაუბრუნებდა. ძალიან რთული ამოცანის წინაშე ვიდექით. მიუხედავად ამისა, გამარჯვება მაინც შევძელით. ეს ჩემს საფეხბურთო კარიერაში საუკეთესო მატჩი იყო. მთელი გუნდი მოწოდების სიმაღლეზე იდგა. თანაც არა მარტო დღეს, არამედ მთელი ტურნირის მსვლელობის მანძილზე, თითოეულ მატჩში და თითოეული მეტოქის წინააღმდეგ. სწორედ ჩინებული გუნდური თამაშის შედეგად მივალწვიეთ ტრიუმფს“.

ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ „ევრო-2004“-ზე თავიანთ გუნდებს თავდავიწყებით ქომაგობდნენ პორტუგალიისა და საბერძნეთის უმაღლესი ხელისუფალნი. მაგალითად, მასპინძელი ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა, ხოსე მანუელ დურაო ბაროშუმ ფინალური მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ ბერძნებთან განცდილი მარცხის მოუხედავად, მას მომავალში მაინც ექნება ეროვნული ნაკრების იძლი: „ამჯერად მთორე ადგილზე გავდით, — აღნიშნა ბაროშუმ ტელეარხს RTP-ისთვის მიცემულ ინტერვიუში, — მაგრამ სხვა დროს აუცილებლად მივალწვეთ გამარჯვებას. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ „ევრო-2004“ ჩინებულ სპორტულ ღონისძიებად გვექცია“.

ცხადია, გაცილებით ამაღლებულ განწყობაზე გახლდათ საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი, კოსტას კარამანლისი: „დღეს ყველა, ჩვენს ბიჭებზე ლაპარაკობს. ორიოდე სიტყვას მეც ვიტყვი. მათ საბერძნეთის დიდი გამარჯვება მოუტანეს და ყველა ოჯახი



ნუნუ გომეში

სიხარულით ადავსეს. ახლა ჩვენ ყველამ მადლობა უნდა გადავუხადოთ მათ. ბერძენი ფეხბურთელების გამარჯვება მომავალ ოლიმპიურ თამაშებზე სტუმართა მიპატიჟებისთვის ჩინებული ფონია“.

როგორც ჩანს, საბერძნეთის ნაკრების გამარჯვებამ ოტო რეჰაგელის გუნდის ქომაგებს არა მარტო დიდი სიხარული მოჰკვარა, არამედ ზოგიერთ მათგანს მატერიალური სარგებლობაც მოუტანა. მაგალითად, ერთ-ერთმა მათგანმა ტოტალიზატორში 607 ათასი დოლარი მიიღო. ამ გულშემატკივარმა ბერძენთა ნაკრების გამარჯვებაზე ფინალურ მატჩამდე რამდენჯერმე დალო ფსონი და გაუმართლა კიდევ „ფეიქრობთ. ეს არის ბერძენი, რომლისთვისაც „ევრო-2004“-ზე მოვლენების ამგვარი განვითარება სიურპრიზი სულაც არ ყოფილა“, — ამბობს მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული ბუკმეკერული ორგანიზაციის — William Hill-ის ოფიციალური წარმომადგენელი, გრეჰამ შარპი.

რა თქმა უნდა, ფინალური შეხვედრის შემდეგ კომენტარის გაკეთება თავად მასპინძელთა გუნდის წარმომადგენლებსაც მოუწიათ. „ფინალში შეცდომების დაშვება არ შეიძლება, — ამბობს პორტუგალიის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი მანიშე რიბეირუ, — მაგრამ ჩვენ ერთი შეცდომა მაინც დავეშვით და მეტოქისგან გოლიც მივიღეთ. ბერძნებს კი საკმაოდ კარგი დაცვა ჰყავთ. ასეთ მატჩში დამარცხება საოცრად მტკივნეულია, მაგრამ შემძლია ვითხრათ, რომ ბერძნებმა ჩემპიონობა ნამდვილად დაიმსახურეს. მადლობას ვუხდით იმ ქომაგებს, რომლებიც ყველა თამაშში მხარს გვიჭერდნენ. ჩვენ გაღიზიანებულები ვართ, მაგრამ ტურნირის თავაწეულნი ვტოვებთ“.

გულშემატკივართა როლს ხაზი გაუსვა რუი კოშტამაც, რომელმაც ფინალში შეცვლაზე შესვლის შემდეგ, თავისი გუნდი დამარცხებისაგან ვერ იხსნა: „პორტუგალიამ მაინც გაიმარჯვა. ქომაგებმა ჩვენ მიმართ უდიდესი სითბო გამოავლინეს“. თავისებურად ახსნა მარცხი კრიშტიანუ რონალდუმ: „საბერძნეთმა რამდენიმე დიდი

ლუიშ ფილიპე სკოლარი ამას ნამდვილად არ ელოდა...



ეს ფიგუსთვის ბოლო ევროპის ჩემპიონატი იყო...



გუნდი დაამარცხა, რომელთა შორისაც, სამ-
წუხაროდ, ჩვენც აღმოჩნდით“.

ფინალური მატჩის შემდეგ, ოტო რეპა-
გელს გამარჯვება მიულოცა ლუიშ ფე-
ლიპე სკოლარში და მეტოქე გუნდის დაც-
ვას მაღალი შეფასება მისცა: „საბერძნეთის
ნაკრებს არაჩვეულებრივი დაცვის ხაზი ჰყავს.
ისინი ისე თამაშობენ, რომ მოწინააღმდეგის
ნებისმიერი შეცდომის თავიანთ სასარგებლოდ
გამოყენება შეუძლიათ. არა მგონია, რომ
ბერძენთა გამარჯვება მსოფლიო ფეხბურ-
თისთვის უკანგადადგმული ნაბიჯი იყოს.
ძლიერ გუნდებს ასეთი მეტოქეების დამარ-
ცხებაც უნდა შეეძლოს. ჩვენ უფრო ხშირ-
ად ვვლოდით ბურთს, ფეხბურთელებმაც
არაერთხელ დაარტყეს კარში, მაგრამ მოწ-
ინააღმდეგე უფრო ეფექტურად მოქმედებდა,
იმიტომ, რომ გოლის გატანა მოახერხა.
გამარჯვებას ვულოცავ ბერძნებს და მათ
მწვრთნელს. მაგრამ ეს ტურნირი ჩვენთვისაც
კარგი იყო. ჩვენ ხომ ევროპის ვიცე-ჩემპი-
ონები ვართ და თუ ამავე მიმართულებით
გავაგრძელებთ მუშაობას, მომავალში გამა-
რჯვებასაც მივაღწევთ“.

ახლა კი, „ევრო-2004“-ის მთავარ ტრი-
უმფალორს, საბერძნეთის ნაკრების თავკაც
ოტო რეპაგელს მოვუხმინით: „დიდ მად-
ლობას ვუხდით ყველას, – მოთამაშეებს,
ექიმებს, გუნდის მომსახურე პერსონალს,
გულშემამტკიარებებს. თითოეულმა მათგანმა
დიდი წვლილი შეიტანა ჩვენს გამარჯვე-
ბაში. დამიჯერეთ, წარმატებას დიდი
შრომისა და წვალების ფასად მივაღწიეთ.
ვფიქრობ, მხოლოდ ფეხბურთს შეუძლია
ხალხის გაერთიანება. იცით, რა არ ჰყ-
ოფნიდათ ბერძნებს ადრე?... სერიოზულო-
ბა! წამყვანი ლეგიონერები ნაკრების
საწვრთნელ შეკრებებზე გამოცხადების
შემდეგ, გულმოდგინედ ვარჯიშის ნაცვ-
ლად, სიცოცხლით ტყებოდნენ... მას შემ-
დეგ, რაც მე დავიწყე მათთან მუშაობა,
ბევრი რამ შეიცვალა. ვფიქრობ, ბერძენი
მოთამაშეების მენტალიტეტი შეეცვალა.
თავიდანვე განვაცხადე: ინდივიდუალიზმი
მისასალმებელია, მაგრამ ჩვენ აქცენტი
კოლექტიურ ფეხბურთზე უნდა გავაკე-
თოთ-მეთქი. გარდა ამისა, ბიჭებს ჩაუნერგე
ის, რომ ისინი არა მარტო სპორტსმენები,

არამედ გარკვეულწილად ხე-
ლოვნებიც არიან. მათ საოპ-
ერო მოძღვრებს ვადარებ-
დი, რომლებიც სიზარმაცის
შემთხვევაში, პუბლიკის
წინაშე რთული ვოკალური
პარტიების შესრულებას ვერ
შეძლებდნენ. ნაკრების წევრ-
მა ფეხბურთელმაც უნდა
გააცნობიეროს, რომ გუნდში
გასართობად არაა მიწვეული

და სერიოზული მისია აკისრია. ამიტომ
ისე დავაყენე საქმე, რომ მოთამაშეებს თავის
დაზოგვა ვერ გაეხდებოდა. თუ ადრე ელინებ-
ის ქვეყანაში უპირატესობა საკლუბო ფეხ-
ბურთს ენიჭებოდა და ნაკრები „ოლიმპი-
კოსის“, „პანათინაიკოსისა“ თუ „აიკ“ -ის
ჩრდილში იმყოფებოდა, ახლა საქმე სულ
სხვაგვარადაა. ფეხბურთელებს ყოველთვის
ვეუბნებოდი, ნაკრებში თამაში დიდი პა-
ტივია-მეთქი. მათ გამიგეს, დამიჯერეს და
დიდ წარმატებასაც მიაღწიეს. ადრე
ეროვნულ გუნდში განსხვავებული სიტუ-
აცია სუფევდა. რამდენადაც ვიცი, მაშინ
ნაკრების შემადგენლობის დამტკიცებაში
ყველა მონაწილეობდა, თვით ჟურნალისტე-
ბიცა და ფანებიც, რომ აღარაფერი ვთქვათ
კლუბების ხელმძღვანელებსა და მწვრთ-
ნელებზე... იცით, თუ ათენში ტაქსით იმე-
ზავრებთ, მძღოლი პირველ რიგში, პოლი-
ტიკაზე ჩამოვიდებოდა საუბარს, შემდეგ კი,
ფეხბურთზე გადავა და დავწვრილებით აღვი-
წერთ, თუ ვინ რომელ პოზიციაზე უნდა
თამაშობდეს ნაკრებში. ერთი სიტყვით, სა-
ბერძნეთში ყველა ცდილობს, რომ მწვრთ-
ნელს საკუთარი აზრი მოახვიოს თავზე.
მაგრამ პირადად მე, სხვის რჩევებს არა-
სოდეს ვითვალისწინებ და ყველაფერს საკ-
უთარი გონებით ვწყვეტ... ვერასოდეს წარ-
მოვიდგენდი, რომ ბერძენთათვის ასეთი ახ-
ლობელი გავხდებოდი. ვერ კიდევ ევრო-
პის ჩემპიონატის დაწყებამდე, ქუჩაში მან-
ერებდნენ და მეგობრულად მეკითხებოდნენ,
თუ როგორ მიდიოდა ჩემი საქმეები... მოხ-
არული ვარ, რომ კონტრაქტი გავაგრძელებ
და უშველესი კულტურის ქალაქში კვლავ-
ვაც ვრჩები. შარშან კი, საბერძნეთის წლის
ადამიანად დამასახელეს. ალექსანდრე მაკე-



დონელის შთამომავლები ბედნიერები არი-
ან: მათმა ეროვნულმა ნაკრებმა ხომ ძლე-
ვა მოიხილება დაიბრუნა! 2002 წლის ოქ-
ტომბრიდან მოყოლებული, მხოლოდ ერთხ-
ელ დამარცხდით – ქვევგუშში რუსე-
თის გუნდთან. ჩვენი წარმატების მიზეზი
იმაში მდგომარეობს, რომ ფეხბურთელებმა
ჩინებულად ათვისეს ჩემი სტრატეგია –
„კონტროლირებად-თავდასხმითი თამაში“.
სწორედ ამის წყალობით, ცოტა გოლი
გავუშვით. როგორ გვინათ – რა მოხდე-
ბოდა, პორტუგალიაში ტურნირი რომ
ჩაგვეგდო? იცით, ხალხი ბედნიერი იყო
უკვე იმით, რომ ჩვენ პორტუგალიაში მოე-
დიოდით. ჩვენი უმთავრესი მიზანი ხომ
ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა იყო!..
მაგრამ ახლა უკვე კონტინენტის ჩემპი-
ონებიც ვართ, რაც ტურნირის წინ ყველას
წარმოუდგენლად მიაჩნდა“.

დაბოლოს, „ევრო-2004“-ის დასრულებ-
ის შემდეგ, უყვას ტექნიკურმა ჯგუფმა
(მასში შედიან ისეთი ცნობილი სპეციალ-
ისტები, როგორებიც არიან იოჟეფ ვენგლო-
ში (ჩეხეთი), როი ჰოჯსონი (ინგლისი),
ანგელ იორდანესკუ (რუმინეთი), დერდ მეზეი
(უნგრეთი) და ჟერარ ულიე (საფრანგე-
თი)), ტურნირის სიმბოლური ნაკრები
დასახელა: მეკარეები – პეტრ ჩეხი (ჩეხე-
თი), ანტონიოს ნიკოლოპოლიდისი (საბერძნე-
თი), მცველები – სოლ კემპელი, ემლი
კოული (ორივე ინგლისი), ტრაიანოს დელასი,
გეორგიოს სეიტარდისი (ორივე – სა-
ბერძნეთი), ოლოფ მელბერგი (შვედეთი),
რიკარდუ კარვალუ (პორტუგალია), ჯან-
ლუკა ძამბროტა (იტალია); ნახევარმცველე-
ბი – მიხაელ ბალაკი (გერმანია), ლუიშ
ფიგუ, მანიშე (ორივე პორტუგალია), თე-
ოდოროს ზაგორაკისი (საბერძნეთი), ზინე-
დინ ზიდანი (საფრანგეთი), პაველ ნედვედი
(ჩეხეთი), ფრენკ ლამპარდი (ინგლისი);
თავდასხმელები – მილან ბაროში (ჩეხე-
თი), ანგელოს ჰარისტეასი (საბერძნეთი),
ჰენრიკ ლარსონი (შვედეთი), იონ დალ
ტომასონი (დანია), უეინ რუნი (ინგლისი),
კრიშტიანუ რონალდუ (პორტუგალია), რუდ
ვან ნისტელროი (ჰოლანდია).

ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო მოთ-
ამაშედ კი, საბერძნეთის ნაკრების კაპიტანი,
თეოდოროს ზაგორაკისი აღიარეს.



საფინანსო
ემოციები

„დავაფასებელი“ Audi



გერმანულმა კომპანიამ ბაზარზე ახალი მოდელი – A3 Sportback გამოუშვა. ეს მანქანა შეიძინარი ძრავითი შეიძლება იყოს აღჭურვილი – 1,9 ლ მოცულობის (105 ცხ.ძ.) ძალზე ეკონომიური დიზელით დაწყებული, 3,2 ლ მოცულობის 6-ცილინდრიანი (250 ცხ.ძ.) ბენზინის აგრეგატიით დამთავრებული. A3-ის ტრადიციულ სამკარიან მოდიფიკაციასთან შედარებით, Sportback 68 მმ-

ით გრძელია. ამის წყალობით, გაცილებით ხალვათი გახდა მანქანის უკანა სავარძელი, საბარგულის მოცულობა 20 ლ-ით გაიზარდა და 370 ლ-ს მიაღწია, სავარძლის დაკეცვის შემთხვევაში კი – 1120 ლ-ა. ახალ A3-ს კარგი სპორტული ავტომობილისთვის შესაფერისი დინამიკა ახასიათებს: 2 ლ მოცულობის (200 ცხ.ძ.) ბენზინის ძრავითი აღჭურვილი „აუდის“ მაქსიმალური სიჩქარე

234 კმ/სთ-ა, ხოლო 100 კმ/სთ-ს – 7,1 წმ-ში ავითარებს.


ბაზარზე A3 Sportback-ის ორ ვარიანტს გაიტანენ – წინა და სრულამძრავიანს. მომხმარებელს მიეცემა შესაძლებლობა, აირჩიოს ხუთ ან ექვსსაფეხურიანი მექანიკურ გადაცემათა კოლოფი. ამავე დროს, 1,6 და 2,0 ლ მოცულობის ძრავებით აღჭურვილ Sportback-ს, შეკვეთის შემთხვევაში, ავტომატურ გადაცემათა კოლოფს – Tiptronic-საც ჩაუდგამენ. საბაზო კომპლექტაციაში, რომელსაც Attraction დაარქვეს, შედის: სტაბილიზაციის ელექტრონული პროგრამა ESP, უსაფრთხოების გვერდითი და ფრონტალური ბალიშები, ფანჯრის მინების ელექტროაწვეები, დისტანციური ცენტრალური საკეტი. ოპციის სახით მიღვევს სთავაზობენ სპორტულ საკიდარს, რომელიც სტანდარტულზე 15 მმ-ით დაბალია, გამჭვირვალე ლიუქს – Open Sky – და წვიმის სენსორს.

გერმანიაში ამ მანქანაზე შეკვეთებს უკვე მიმდინარე თვიდან იღებენ, ავტოსალონებში კი ის სექტემბრიდან გამოჩნდება.

Renault-ის დიზაინერი ექსპერიმენტი

სულ ცოტა ხნის წინ, ფრანგულმა კომპანიამ ელევანტური სპორტული კუპე – Fluence წარმოადგინა. მანქანის სიგრძე – 4,60, სიგანე – 1,89, ხოლო სიმაღლე – 1,39 მ-ა. უჩვეულო, ელევანტური დიზაინის მქონე მანქანა აღჭურვილია 6-ცილინდრიანი ბენზინის ძრავით, რომლის საშუალო მოცულობა 3,5 ლ-ს, ხოლო სიმძლავრე – 280 ცხ.ძ-ს შეადგენს. მანქანას 6-საფეხურიანი ავტომატურ გადაცემათა კოლოფი აქვს. 1500 კგ მასის Fluence


100 კმ/სთ სიჩქარეს 6,5 წმ-ში ავითარებს. მანქანას ფაქტობრივად არა აქვს რადიატორის ცხაური, „დაკუნთული“ უკანა ფრთები კი მის აგრესიულ-სპორტულ იერს უსვამს ხაზს. ახალ „რენოს“ საკმაოდ ხალვათი სალონი აქვს და მასში თავისუფლად და კომფორტულად მოთავსდ-



ბა 4 მგზავრი. წინა კარის გაღების დროს, წინა სავარძელი ავტომატურად იკეცება, რათა მგზავრი თავისეფლად შევიდეს უკანა სავარძელზე დასაჯდომად. საბარგულის მოცულობა 39 ლ-ს შეადგენს. წინა პანელში ჩამონტაჟებულია საინფორმაციო დისპლეი, რომელსაც მძღოლი სპეციალური ჯოისტიკით მართავს.

Renault Fluence ექსპერიმენტული კონცეპტუალური მოდელია, რომელსაც ნოვატორული დიზაინერული სვლების აპრობაციისთვის იყენებენ. ამიტომ ბუნებრივია, რომ კომპანიამ ის სადიზაინერო კონკურსზე – Louis Vuitton Classic წარმოადგინა.

კბილების გასწორება ნებისმიერ ასაკში ბრეკეტ-სისტემით



სტომატოლოგიური კლინიკა „გეოდენტი“

გამსახურდას გამზ. №33 37-60-16

თავისი უკანასკნელი როლი ვახტანგ ნინუამ სპექტაკლში — „ჩემი ეიფელის კოშკი“ ითამაშა. მისი გმირი ბოლოს კვდებოდა. თურმე, ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, მსახიობის ბიოგრაფიაში, როცა ვახტანგ ნინუას სიკვდილი უნდა ეთამაშა... თითქოს სიმბოლური იყო, ამ სპექტაკლის პრემიერაზე უკვე ცუდად მყოფი, თურმე თვითონაც სასიკვდილოდ განწირული, ნავიდა... როცა ქალიშვილის თხოვნით რამდენიმე სპექტაკლი მოხსნეს, კინალამ გაგიჟდა, ისე იდარდა. ლოგინად მყოფიც სულ იმას ამბობდა — აი, მივალ თეატრში, ამ სცენას ასე შევცვლი, იმ სცენას — ისე...

ჩისტვის უმადლონიზონი ჩინიტი ვახტანგ ნინუას



ქრდი ანბასი — კადრი ფილმიდან „შემთხვევა კამსალმე“

ლეა ჩიყაშვილი

ვახტანგ ნინუა ბაქოში დაბადებულა. მამამისი დავით ნინუა იქ ცხოვრობდა და მუშაობდა. მეწარმე გახლდათ, კონიაკის ქარხანა და ნავთობსარეწი ჰქონდა. ოჯახში ორი ვაჟი იზრდებოდა — ვახტანგი და შოთა. რევოლუციის შემდეგ დავით ნინუამ ყველაფერი გაყიდა და საცხოვრებლად ბათუმში გადავიდა. მუდლის გარდაცვალების შემდეგ კი სამტრედიისში დასახლდა.

ვახტანგ ნინუამ ინდუსტრიული ტექნიკური დაამთავრა, მაგრამ მსახიობობა მისთვის ერთადერთი ინტერესის სფერო აღმოჩნდა.

„ბედნიერი შეხვედრის“ გადაღებისას შეხვდა ნატო ინაშვილს, რომელიც 30-იანი წლების რეპრესიების მსხვერპლი ოჯახიდან იყო. მამამისი კოჯრის ბრძოლებში მონაწილეობდა, ლენინ-სტალინ-ორჯონიკიძის მიერ საქართველოს დასაპყრობად გამოგზავნილი წითელი არმიის წინააღმდეგ. ამას ვინ აპატიებდა?! გადა-

ასახლეს. ოჯახი განადგურდა. მისმა მუდლემ ყველაფერი „ტორგსინში“ ჩააბარა. ქმრის გათავისუფლების იმედს არ კარგავდა, მოსკოვში, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ბერეას წინამორბედ ეჟოვთანაც კი იყო ჩასული, რომელიც მუდლის გათავისუფლებას დაჰპირდა, მაგრამ არ გაათავისუფლეს...

ვახტანგ ნინუამ ომის დროს საავიაციო ქარხანაში დაიწყო მუშაობა. მთელ დამეს საამქროში ათენებდა... ძალიან მაღალი და გამხდარი იყო... საოცარი ბუნების კაცი გახლდათ, ბევრ სიკეთეს აკეთებდა. ოჯახში მისი გაბრაზება არავის ახს-

ოვდა. ნინუების ბინიდან ყოველდღე ლხინის ხმა გამოდიოდა. ხალხს ეგონა, მსახიობი, მილიონერი იყო, სინამდვილეში კი ხშირად, მხოლოდ ძეხვი, თონის პური და ღვინო ჰქონდა. მთავარი მისთვის სუფრა კი არა, მეგობრებთან ყოფნა იყო. მასთან იკრიბებოდნენ აკაკი კვანტალიანი, სესილია თაყაიშვილი, რეზო ლალიძე... საუბრობდნენ თეატრზე, ხელოვნებაზე. როცა გიგა ლორთქიფანიძემ ახალგაზრდების ჯგუფი რუსთავის თეატრში წაიყვანა, აკაკი კვანტალიანი, პიერ კობახიძე და ვახტანგ ნინუა ტიროდნენ.

მოულოდნელი, არაორდინარული ნაბიჯების გადადგმაც სჩვეოდა. მაგალითად, ერთხელ მსახიობსა და რეჟისორს ნოდარ ჩხეიძეს (თემურ ჩხეიძის მამას) დაენახლეთ: მე და ჩემი მეგობრები მივალთ სტალინის ბაღში (ამჟამად — დედაენის ბაღი), სადაც კვარცხლბეკზე აღარ იდგა ბელადის ძეგლი და იქ წავიკითხავ ჰამლეტის მონოლოგს — „ყოფნა-არყოფნა, საკითხავი აი, ეს არის!“ არადა, საბჭოთა კავშირის მამინდელი თავკაცის — ხრუშჩოვის მიერ სტალინის კულტის გამოცხადების შემდეგ, ეს ძალზე სარისკო „ექსპერიმენტი“ გახლდათ...

ვახტანგ ნინუა კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი იყო. თავის დროზე, კანის ფესტივალზე მიიწვიეს, შვეიცარიაშიც, ვენეციაშიც... ვენეციის ფესტივალზე მედია ჯაფარიძეთან ერთად იყო ჩასული და ძალზე თბილად იხსენებდა ხოლმე ამ მოგზაურობას.

„...უდიპლომო სასიძოს“ იღებდნენ. ალბათ გახსოვთ სცენა, რომელშიც ვახტანგ ნინუა სიზმარში წასული, ღორებს კოცნის... ჰოდა, ამის გამო მის შვილს თურმე სკოლაში დასცინოდნენ — მამაშენი ღორებს როგორ ეხვეოდაო?! ერთხელ ატირებული დაბრუნდა შინ მანანა ნინუა: რა იქნებოდა, ეგ ფილმი არ გადაეღოთ? ან რამ გათამაშა ასეთი როლიო?... პასუხად, ჩვეულ სტილში უხუშირია თურმე ბატონ ვახტანგს: რა



კადრი ფილმიდან „ღიმილის ბიჭები“



ვახტანგ ნინუა
იამა გრიგოლასკისთან ერთად

გატირებს, შვილო? ისეთი ჰონორარი გადამხადეს, კიდევ რომ მითხრან, ისევ ვითამაშებ მსგავს სცენასო... – და დასძინა: – თანაც, როცა „უდიპლომო სასიძო“ ხრუშჩოვს უნახავს, სიცილისაგან სკამიდან გადმოვარდნილაო!..

ძალიან უყვარდა ფილმი – „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. სულ აღნიშნავდა: ბედმა გამიღიმა, აქ რომ მიმიწვიეს და ამხელა მსახიობების გვერდით ვითამაშეო! გადაღებების დროს, ერთხელ ამ ფილმის სცენარზე მუშაობდა შინ. ოთახიდან ოთახში უნდა გასულიყო და უცებ ხელნაწერი ხელიდან გაუვარდა! წამით გამრა. მერე მიბრუნდა და მოწყვეტით ზედ დაავდა დავარდნილ სცენარს.

– მამა, რას აკეთებ? – ჰკითხეს გაცილებულმა შვილებმა.

– როლი რომ არ ჩამივარდეს, ასე უნდა მოვიქცე! – სრულიად სერიოზულად უპასუხა ბავშვებს, რომლებიც ამას სახელმძღვანელოს დავარდნის დროს აკეთებდნენ ხოლმე, ორიანი რომ არ მიეღოთ.

...არაჩვეულებრივი მამა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათი წელი ოჯახიდან წასული გახლდათ და ახალი ოჯახი ჰქონდა შექმნილი, შვილებს ყოველდღე ურეკავდა. მისი ორივე ქალიშვილი გათხოვილი იყო. მათ ოჯახებს მატერიალურად არ უჭირდათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყოველთვის მიჰქონდა შვილებთან პროდუქტები და ამას ასე ხსნიდა: არხეინად ვიქნები, გულს უნარია, როცა რამით გეხმარებიო...

იყო დრო, როცა ვახტანგ ნინუას ოჯახს ძალიან უჭირდა. დღესაც სათუთად ინახავენ ყავის სერვისს, რომელიც ვახტანგს ნატო ვაჩნაიემ აყიდვინა. მაგრამ ერთხანს ეს მათთვის ძვირფასი ნივთი ფეხსაცმლის კოლოფში ჰქონდათ შენახული, იმიტომ, რომ მის გამოსაჩენად საჭირო ადგილი არსად ჰქონდათ...

ქართული კინოს ვარსკვლავს ვახტანგ ნინუას უფროსი ქალიშვილი უნდა მოენათლა. – ოღონდ, ახლა მოსკოვში მივდივარ, იქიდან რომ ჩამოვალ, მაშინ

მოენათლა, – უთქვამს ულაშაზეს ქალბატონს. ეს ის საბედისწერო მოვზაურობა აღმოჩნდა, რომლიდანაც ცოცხალი ვეღარ დაბრუნდა... ვახტანგ ნინუამ ძლიერ განიცადა ნატო ვაჩნაძის დაღუპვის ამბავი. ასევე იყო გიორგი შავგულიძის სიკვდილის შემდეგაც: ორი დღე ყოფილა პირქვე დამხობილი.

ვახტანგ ნინუას ყველა დიდ პატივს სცემდა, იმიტომ რომ იცოდნენ – უკან არაფერზე დაიხვედა, ყველას დაეხმარებოდა. რამდენი ასეთი შემთხვევა ყოფილა, ზუსტად არაინ იცის. ქუჩაში შემთხვევით გაცნობილ ქალბატონს შეუჩივლია, რომ მიმედ ავადმყოფი შვილი ჰყავდა, ფსიქიატრიულში ეწვა. დახმარება უთხოვია. მსახიობიც ყველგან გაპყლია – ჩემი ძმისშვილიაო, – ასე სთხოვდა დახმარებას ექიმებსა თუ ჩინოსნებს...

ფილმის წყალობით, რომელსაც „შემთხვევა კაშხალზე“ ერქვა, შავი სამყაროს ავტორიტეტთა სიყვარულიც მოიპოვა: ამ ფილმში ვახტანგ ნინუა ქურდ ახმასს ასახიერებდა. ერთხელ, სპექტაკლის შემდეგ თეატრთან დახვდნენ ქურდების გამოგზავნილი „კაი ბიჭები“: დაბატიყებული ბრძანდებითო, – უთხრეს, მანქანაში ჩაისვენს და წაიყვანეს. ერთი ქუჩის ბოლოს, თვალები აუხვიეს და ისე მიიყვანეს ოჯახში, სადაც ზღაპრული სუფრა იყო გაშლილი. ქურდული სამყაროს წარმომადგენელს დიდი მადლობა გამოუცხადებია:

„მაგარი ხარ, რომ საქმეს არ უღალატე და ბოლომდე ქურდად დარჩიო!“

საქმე ის გახლდათ, რომ ფილმში ქურდი ახმასი ბოლომდე ქურდული ტრადიციების ერთგული რჩება და მუშაობაზე უარს ამბობს... შინ დაბრუნებულ ვახტანგ ნინუას, რომელიც, ცხადია, დიდი პატივით მიიყვანეს ქურდებმა, უთქვამს: რომ ვითხრაო, სად ვიყავი, მაინც ვერ დაიჯერებთ, ამიტომ არაფერს გეტყვითო... დაუინებელი თხოვნის შემდეგ კი, თავისი „ქურდული თავგადასავლის“ ეს დასასრული უამბნია.

მუდამ დატვირთული იყო, ხელმძღვანელობდა მსახიობების ჯგუფს, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში კონცერტებს ატარებდნენ. აფიშების დაბეჭდვა თუ მგზავრობის ორგანიზება ვახტანგ ნინუას ე-

ალებოდა. ამ ბრიგადაში (ასე ეძახდნენ თვითონ) შედიოდნენ: თამარ სხირტლაძე, ლეო ანთაძე, ლენა ყიფშიძე, გოგი გელოვანი... რომ ჩამოვიდოდნენ, გამოსვლების შემდეგ მოგროვილ ფულს მაგიდაზე დაყრიდნენ, დაითვლიდნენ და თანაბრად გაინაწილებდნენ...

უკურნებელი სენი მოულოდნელად „მიეპარა“...

საავადმყოფოში რომ დაწვა, ყოველ საღამოს მიდიოდნენ მასთან გივი ბერიკაშვილი, გოგი გელოვანი, იამა ტრიპოლსკი, ტარიელ საყვარელიძე და უმღეროდნენ. ტარიელს სთხოვდა ხოლმე – „სალაღობო“ წამიკითხო, ისიც უკითხავდა.

საოპერაციოდ კიევში წაიყვანეს. საოპერაციოში, ვიდრე ნარკოზს გაუკეთებდნენ, ექიმს უთქვამს: – **Вахтанг Давидович, снимите протез!** მე ვითომ ვერ გავიგონეო, – იხსენებდა



კანის ფესტივალზე მიწვიეს, შეეცარიაშიც, ვენეციაშიც... ვენეციის ფესტივალზე შედეგა დაფარბითან ერთად იყო ჩასული

შემდეგ ვახტანგ ნინუა. ექიმს კიდევ გაუმეორებია – პროთეზი მოიხსენითო. – **Какой протез?** – ამაყად უთქვამს მსახიობს. – **У меня свои зубы!** ამ ამბავს მერეც სიამაყით იხსენებდა...

რაღაც ავს თვითონაც გრძნობდა: ვერ კიდევ, მანამდე, სანამ ლოგინად ჩავარდებოდა, მისი უახლოესი მეგობარი – რეზო ლალიძე გარდაიცვალა. სამძიმარზე მისულს უთქვამს: რეზო, ჩემო კარგო, მეც მალე მოვალ შენთანო... ერთ თვეში თვითონაც გარდაიცვალა.

P.S. წერილის მომზადებაში გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდით მსახიობის ქალიშვილს მანანა ნინუას.

„გზაში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუს ქალბატონ დალი ავაგუმაშვილთან უამრავი მკითხველი გამოეხმაურა. ამჯერად სწორედ მათი ცნობისნაადილის დასაკმაყოფილებლად ვესტუმრეთ ცნობილ პარაფსიქოლოგს.

დალი ავაგუმაშვილი: ადამიანს შეუძლია, თვითონვე გათვალოს სახუთარი თავი!



ნანა სისაური

— ქალბატონო დალი, ბევრმა ჩვენი ჟურნალის მეშვეობით შეიტყო, რომ პოპულარული ანსამბლის „ოთხი გიას“ წევრი ვიყავი ავაგუმაშვილი თქვენ ძმა და სარძლოსაც პირველმა თქვენ უთხარი, რომ გიას მეუღლე გახდებოდა...

— უკეთესს გეტყვი: როცა ჩემი რძალი თვა მჩაიძე პირველად დაფენხმშიდა, ორსულობის 4 თვის თავზე გამ მთხოვა, გვიტხარი, გოგო გვეყოლება თუ ბიჭიო. შევედი აურაში, მაგრამ ბავშვი ვერ დავინახე. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, გაოგნებული დავრჩი, მივუბრუნდი თვას და ვუბნებ, მუცელი ცარიელია, შვ ბავშვი არა გყავს-მეთქი. ცოლ-ქმარს სასაცილოდ არ ეყო ჩემი ნათქვამი. ისე გავლიზინდი, სახეზე შავი ფერი დამეღო, თვალები გამიფართოვდა და ორივეს პირში მივახალე, რაც დავინახე: 5 წელი შვილი არ მოგეცემთ, მერე 4 თუ არა, სამი მინც გვეყოლება-მეთქი.

— აუხდათ თქვენი ნათქვამი?

— მეორე დღესვე წავიდნენ ექიმთან, ექოსკოპიამ დაადასტურა, რომ მართალი ვიყავი, თვას ცრურსულობა დაუდგინეს. 5 წლის განმავლობაში არ ჰყოლიათ შვილი. ჩემი რძალი ფენხმშიდებოდა, მაგრამ ნაყოფს ვერ ინარჩუნებდა, თვითნებურად ეშლებოდა. ქორწინებიდან 5 წლის თავზე ნინი გაჩნდა, მერე ზურაბი და დეა. ასე რომ, შეუძლიათ, მეთხეც გააჩინონ, ხელს არაფერი უშლით!.. სხვათა შორის, ჩემი შვილის ნათლიასაც აუხდა, რაც ვუთხარი, უფლის ნებას წინ ვერაფერი დაუდგება!

— რა უთხარი?

— სამი ქალიშვილის დედას ძალიან უნდოდა ბიჭი, მაგრამ ისეთ დროს დაფენხმშიდა, რომ ვერ გააჩენდა და აბორტი გაიკეთა. საავადმყოფოდან მობრუნებულს ვუთხარი, ამის მერე რომ დაფენხმშიდები,

ბიჭი იქნება, მაგრამ მუცელი თავისით მოგეშლება. მალე ისევ დაორსულდები, ბიჭი გვეყოლება, გიორგის დაარქვეთ, ოღონდ აბორტი არ გაიკეთო, იცოდე, ეს შენი უკანასკნელი ფენხმშიდობაა და მეტი შვილი აღარ მოგეცემა-მეთქი. მართლაც, 4 თვის თავზე მუცელი თავისით მოეშალა, ექიმებმა უთხრეს, ბიჭი იყო. თვითნებური აბორტის მერე, ისევ დაორსულდა, მაგრამ, გაფრთხილების მიუხედავად, მუცლის მოშლა დააბირა. გავახსენე ჩემი ნათქვამი, იცოდე, შვილი აღარ გვეყოლება-მეთქი. არ დამიჯერა, წარამარა ვრჩები ფენხმშიდელ და რატომ ვერ გავაჩენ, ვერ 32 წლის ვარო.

— შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს!

— ნამდვილად ასეა!.. თქვენ წარმოიდგინეთ, აბორტზე მე გამიყოლა. რა უნდა მექნა, წავიყვანე ექიმთან. ყველანაირად მომზადებული უკვე მაგიდაზე იწვა, რომ თავი საშინლად ამტკიცდა. ისე ცუდად გავხდი, ვერც ერთ ორგანოს ვეღარ ვგრძნობდი, ყურები საშინლად მიშხუოდა, თვალები გამიფართოვდა, საოცრად ავფორიაქდი, სააპერაციოში შევევარი, მაჯაზე ხელი ვტაცე და მაგიდიდან წამოვადგე: არ გაიკეთებ აბორტს, შენ ბიჭი გვეყოლება, დამიჯერე, მეტ შვილს ღმერთი აღარ მოგცემს-მეთქი. ისეთი საშინელი სანახავი ვყოფილვარ, რომ უსიტყვოდ დამთანხმდა და შინ წამომეყა. მართლაც, 9 თვის თავზე გაჩნდა ბიჭი — გიორგი. მესამე გოგონაზე ძალიან მძიმედ იმშობიარა და ეშინოდა, მაგრამ ყველაფერმა შესანიშნავად ჩაიარა, რადგანაც შვილი ღმერთმა უბოძა. თქვენ წარმოიდგინეთ, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა იყო, მას შემდეგ აღარ დაფენხმშიდებულა!.. ამას წინათ, მყავდა კიდევ ერთი ფრიად უჩვეულო პაციენტი.

— რით იყო გამოჩენილი?

— 5 წლის განმავლობაში ქალს მენტრუალური ციკლი აღარ ჰქონდა, მა-

გრამ მოულოდნელად დაფენხმშიდა და აბორტი გაიკეთა.

— პირველი ორსულობა იყო?

— არა, ქორწინებიდან წლისთავზე გოგონა შეეძინა, მაგრამ მას შემდეგ მენოციკლი შეუწყდა და 5 წლის განმავლობაში აღარ დაფენხმშიდებულა. თქვენ წარმოიდგინეთ, ოთხი თვის თავზე ბავშვი იძრა.

— როგორ, აბორტი არ გაიკეთა?

— დიახ, მუცელი მოიშალა, მაგრამ ბავშვი მინც იძრა.

— ეტყობა, ტყუპისცალი იყო ან, შეიძლება, ოპერაციის დროს საგანგებოდ დაიმალა!

— ვერაფერს გეტყვით. მაგრამ ნაყოფი უკვე იმხელა იყო, რომ იძულებული გახდა, გაეჩინა. ქალს ძლიერი სისხლდენა ჰქონდა, ვაკუუმით ამშობიარეს. დაიბადა 7-თვიანი ბიჭი, 1 კგ და 600 გრამი, რომელსაც ცენტრალური ნერვული სისტემა მოშლილი ჰქონდა, გულში კი სვრელი აღმოაჩნდა...

— რა სვრელი?

— გულში გაუფილტრავი სისხლი შედიოდა. სარქველი სვრელივით ჰქონდა. ბიჭს გაჩენის დღიდან უშედეგოდ დაატარებდნენ ექიმებთან. ერთ მშენიერ დღეს კი, წლინახვერის ასაკში, მარჯვენა მუხლზე ორი ხუთქიმიანი ვარსკვლავი გამოესახა. ერთი — მკაფიო, მეორე — შედარებით მკრთალი.

— რანაირად?

— თითქოს ამოუწვესო... მკრთალი ვარსკვლავი ერთ დღეში გაუქრა, მკაფიო კი სამ დღეში გაუჩინარდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ბავშვი უცებ გამოჯანმრთელდა — ნერვული სისტემაც მოუწესრიგდა და გულიც.

— ზოგმა იცის თქმა, ჩემს თავს მე თვითონ ვთვალავო. განა შეიძლება, კაცმა საკუთარი თავი გათვალოს?

— როგორ არ შეიძლება!.. ჩემთან მოვიდა შესანიშნავი გარეგნობის, მშვიდი, გაწონასწორებული ქალბატონი. მიუხედავად მისი პიროვნული ღირსებებისა, ოჯახის წევრებს რაღაცით აღიზიანებდა. ამ ქალბატონის ტრავმის მიზეზი უარყოფითად დამუხტული ენერჯიაა, რომელსაც თავად ასხივებს.

— გამოდის, ბოროტი ადამიანი ყოფილა!

— არა, ცდებით, არსებობენ ადამიანები, რომლებიც უარყოფითად დამუხტულ ენერჯიას ასხივებენ, მაგრამ შესანიშნავი პიროვნებები არიან. ადამიანური ღირსება გამოსხივებული ენერჯიის მუხტით არ განისაზღვრება. ქალს პირველი გოგო გაუჩნდა, მაგრამ დედას ბიჭი უნდოდა და იმდენად არ ესიამოვნა მისი დაბადება, რომ უემპათიურობას ვერც კი ფარავდა. მეორე ბიჭი ეყოლა და არანორმალურად

კვირის (12 - 18 ივლისი)

ასპროლოგიური პროგნოზი

პირი - 21/III-20/IV

ქალი: ამ კვირაში თავს შეგიძლიათ დასვენებისა და ფუფუნების უფლება მისცეთ – ფინანსური საქმეები კარგად მიგდით, თანაც შეიძლება ძველი, უკვე მივიწყებული ვალიც დაგიბრუნონ.

მამაკაცი: პრაქტიკულად ყველა საქმეს შეგიძლიათ მოჰკიდოთ ხელი. წარმატება მხოლოდ თქვენზე იქნება დამოკიდებული. ასე რომ, ამ კვირას სიზარმაცესა და ნებეირობაში ნუ გაატარებთ.

პერო - 21/IV-21/V

ქალი: ახლობლები თქვენ მიმართ გულისამაჩუყებლად თბილი და ყურადღებიანი იქნებიან. პარასკევს მცირეოდენი უსიამოვნება გელით, მაგრამ ამის გამო განწყობილება არ გაიფუჭოთ – შექმნილი გაუგებრობა მალე გაირკვევა.

მამაკაცი: კვირის უმეტეს ნაწილს ჩხუბსა და კამათში გაატარებთ. ხშირ შემთხვევაში, კონფლიქტის ინსპირატორი თქვენ იქნებით, მაგრამ ამას მოგვიანებით გააცნობიერებთ.

პარნოზი - 22/V-21/VI

ქალი: კვირის პირველი ნახევარი შესაძლოა ნეგატიურად წარიმართოს, თუმცა, ამის გამო მინცდამინც ნუ იღარდებთ. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს მეგობრების დახმარებით იპოვით.

მამაკაცი: თქვენი იდეები და მოსაზრებები ბევრისთვის მიუღებელი იქნება, ამიტომ ჯობს ისინი ჯერჯერობით თქვენთვის შეინახოთ. მათი რეალიზების დრო მოგვიანებით დადგება.

პირნოზი - 22/VI-22/VII

ქალი: მთელი კვირა დაძაბულად წარიმართება, მაგრამ გარემომცოფთა მხარდაჭერას იგრძნობთ. შეეცადეთ წონასწორობა შეინარჩუნოთ, რათა გამოუსწორობელი შეცდომა არ დაუშვათ.

მამაკაცი: კვირის დასაწყისში მატერიალური წახალისება გელით, მომდევნო დღეებში კი ვინმეზე გამარჯვების სურვილი აგეკვიატებათ. მაგრამ სანამ საბრძოლო ყიფინას დასცემდეთ, კარგად დაფიქრდით: ხომ არ სჯობს, მოჭარბებული ენერგია სხვა საქმეს მოახმაროთ?

ლოპო - 23/VII-23/VIII

ქალი: შეიძლება ითქვას, რომ თქვენში წინასწარმეტყველურმა ნიჭმა გაიღვიძა: ამ კვირაში ნანახი სიზმრები კარგად აგიცხადებთ და ეს ფაქტი თქვენს სასიამოვნო გოცხებას გამოიწვევს.

მამაკაცი: თავი დააღწიეთ ყოველდღიურობას და მეტი იფიქრეთ პერსპექტიული პროექტების განხორციელებაზე. კვირის ბოლოს რომანტიკული თავგადასავალი გელით. იყავით ყურადღებიანი ქალბატონების მიმართ.

ქალწული - 24/VIII-23/IX

ქალი: მეტისმეტად ბევრს „დაფრინავთ ღრუბლებში“. ხომ არ გგონიათ, რომ მიწაზე დაშვების დროა?! გაფრთხილდით – თუ რეალურად არ შეაფასებთ მოვლენებს, იმედგაცრუება არ აცდებთ.

მამაკაცი: შაბათ-კვირამდე დასვენების იმედი არ გქონდეთ. როგორც კი თქვენს საქმეებს მოაგვარებთ, ნათესავებისა და მეგობრების დახმარება მოგიწევთ. ასე რომ, მოემზადეთ ქველმოქმედებისათვის.

სანსორი - 24/IX-23/X

ქალი: ამ კვირაში ზედმეტად აღზნებული და აგრესიული ხართ. ჯობს, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება შემდეგი კვირისთვის გადადოთ, რათა საბედისწერო შეცდომის დაშვებისგან თავი დაიხლებით.

მამაკაცი: ამ კვირაში ძალიან იოლად შეძლებთ თქვენი იდეების განხორციელებას. შუა კვირაში კი მეტისმეტად სარფიან წინადადებას შემოგთავაზებენ. კვირის ბოლოს დასვენეთ – ბუნების წიაღში გაისიერნეთ ან საცურაო აუზს მიაშურეთ.

ღრინაპალი - 24/X-22/XI

ქალი: ამ კვირაში მორიდეთ როგორც ფიზიკურ დატვირთვას, ასევე ჭარბ გონებრივ სამუშაოს. ჯობს, დროის უმეტესი ნაწილი მეგობრებთან ერთად გაატაროთ ან მსუბუქ ხელსაქმეს მოჰკიდოთ ხელი.

მამაკაცი: ფულის ხარჯვა მოგიწევთ, თუმცა, დარწმუნებული ხართ, რომ ეს ფული „წყალში გადაყრის“ არ არის. დიდ დროს ნუ გაატარებთ კომპიუტერთან – შესაძლოა, ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები შეგექმნათ.

მეზოლოსანი - 23/XI-21/XII

ქალი: განვლილი ცხოვრების მესიერებიდან ამოშლას ცდილობთ, გსურთ, ყველაფერი დაივიწყოთ, მაგრამ კარგად დაფიქრდით, ხომ არ ცდებით? წარსულთან ხომ ბევრი ლამაზი მოგონება გაკავშირებთ?!

მამაკაცი: უმჯობესია, ჯანმრთელობას მეტი ყურადღება დაუთმოთ. იყავით ობიექტური და ზედმეტი შეკითხვებითა და ეჭვიანობით საყვარელ ადამიანს ნუ შეაწუხებთ.

თხის რქა - 22/XII-20/I

ქალი: ამ კვირაში წარმატება გელით ფინანსურ სფეროში. თუ ვაჭრობით ხართ დაკავებული, გირჩევთ, თამამად გარისკოთ. პირად ურთიერთობებში სერიოზული ცვლილებები ამ ეტაპზე მოსალოდნელი არ არის. თუმცა, მომავალში ამას ვერ ასცდებით.

მამაკაცი: რომანტიკული საღამო გელით. თქვენი ოცნების ქალი დიდ სიურპრიზს გიმზადებთ, მაგრამ მასთანაც კი ზედმეტი გულახდილობისგან თავის შეკავებას გირჩევთ. უმჯობესია, ცოტა ილაპარაკოთ და მეტი მოისმინოთ.

პერნეული - 21/I-19/II

ქალი: ნუ წამოგებით პროვოკაციაზე და მაქსიმალურად შეეცადეთ, კონფლიქტურ სიტუაციებს თავი აარიდოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი უსიამოვნება გელით.

მამაკაცი: სიფრთხილე გამოიჩინეთ საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობისას. ნუ გადაჭყვებით ქიფსა და დროს ტარებას. გამოიჩინეთ წინდახედულება და ფულს უყიაროდ ნუ დახარჯავთ.

თეზეზი - 20/II-20/III

ქალი: გულში ბოლმას ნუ ჩაიდებთ. თუ უსამართლოდ მოგექცევიან, შეეცადეთ დელიკატურად, მაგრამ მინც გამოხატოთ პროტესტი. დაიკავით თქვენი უფლებები და პიროვნული თავისუფლება.

მამაკაცი: მორიდეთ არასასურველ ადამიანებთან ურთიერთობას და ახარტული თამაშებისგანაც თავი შეიკავეთ. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახის წევრებს. უქმე დღეები კი მეგობრების წრეში გაატარეთ.



	დამოუკიდებელი საჯარისო ერთეული	ს	ბრინჯების ბოლოებზე არს. უწერ. ბუშტები	ზოლი-აკოს ნიშანი
ა	მ	ნ	კ	ი
ა	ნ	ზ	ი	ს
ნ	როკ-ენ-როლის „მეფე“ ... პრესელი	ა	ჰ	ნოტი
ი	კ	მ	ნ	უკრაინის უნგრეთთან სასაზღვრო ქალაქი

ნადიმის გამძლეობი	მ	მ	ე	ფინური მუსიკალური სკოლის ფუძემდებელი	საქართველოს მეფე ვახტანგ V-ს ძე	ა	კურორტი აფხაზეთში	ძე ქართველური ტომის წარმომადგენ.	კ	მ	ნ	ს	ი
30 დღე	ა	პერუს დედაქალაქი	ი	კ	ს	ნ	მ	ბ	ი	ტ	ა	ი	კ
ჭამის სურვილი	ა	მ	ი	სამელი აგაგასაგან	ი	ნ	ნ	ა	ს	გ	კანარის კუნძ. აბორიგენი მოსახ.	ბ	ლერმონტოვი ამ ქალაქში მოკლეს
საკუთარი ცხოვრების აღწერა	ა	ზ	ტ	მ	ზ	ი	მ	ბ	ჰ	ა	ფ	ი	ა
ა	ნ	ნ	ა	ბ	ა	ნ	ლენონის ქვრივი	ჰ	ი	ბ	ა	ფაშისტა ფრთოსანი რაკეტა	ფრანგი დრამატურგი
ბ	ა	ი	ბ	ა	ნ	ი	თქმულება, არაჩვეულებრივი ამბავი	ა	ს	ი	ლ	ნ	ა
ყველაზე ღმა ტბა მსოფლიოში	ლათ. ამერ. მომღერალი ... მარტინი	ჰ	ი	კ	ი	ა	„პერკეტი კაკალი“ (მსახიობი)	დროის საზომი	ს	ი	ლ	ნ	ა

მეზვერთა განყოფილება ტრანსპორტში	ა	„ჩარლის ანგელოზები“ ... ლიუ	ა	ნ	ს	ა	გერდას მეგობარი	
ა	ნ	ა	ფ	ი	ნ	ი	პ	
ნრილითი ძეზღაპრთაფის	მ	მ	ნ	ი	მ	მ	„მინო“ (ზაჩკაინის მშობლიური ქალაქი)	
ი	ნ	ა	ფ	ი	ნ	ი	ნ	
თმის საღებავი	ი	კ	მომუშაობის კომბინაცია პოკერში	კ	ბილიარდის სათამაშო ვიზი	შეადგინა რამაზ ალანია		

მე-19 გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-გ; 3-ბ; 4-გ.
 51-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-ა; 3-ა.

გუმორიანი პერიკლიუსი მოსხმული გუმონათქაფები

საშიში ორიგინალობა

რიმსკი-კორსაკოვს უთხრეს, რომ ერთი მისი მოწაფე მას მეტიმეტად აშკარად ჰბაძავს. ამაზე კომპოზიტორმა უპასუხა:

– თუ მუსიკაზე ლაპარაკობენ, რომ ის რაღაცას ჰგავს, ეს იმდენად საშიშნელება არ არის. ხოლო თუკი მუსიკა არაფერს ჰგავს, აი, მაშინ არის საქმე ცუდად.

კეთილი შური

იოჰანეს ბრამსი დიდად აფასებდა იოჰან შტრაუსის ტალანტს. ერთხელ „გალსების მეფის“ ცოლმა სთხოვა მას,

ჩაეწერა რამდენიმე სტრიქონი მის საოჯახო ალბომში. ბრამსმა აიღო კალამი და სახელდახელოდ ჩაწერა შტრაუსის ვალსის – „მშვენიერ ცისფერ ღუნაიზე“ – პირველი ტაქტები და ქვემოთ მიაწერა:

„სამწუხაროდ, მუსიკა ჩემი არ არის. იოჰანეს ბრამსი“.

დამშვილება

ერთმა ფრიად ელეგანტურმა ქალმა, მაღალი წრის ქალისათვის დამახასიათებელი დაუდევრობით, ცნობილ ფრანგ კომპოზიტორს გაბრიელ ფორეს უთხრა:

– აჰ! ძვირფასო მანესტრო, უკვე აღარ შემიძლია ვაგენერის ატანა.

– დამშვიდდით ქალბატონო, – მიუგო თავაზიანად ფორემ, – ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს!

ანეკდოტები

მღვდელი სტადიონის ტრიბუნაზე ზის და ერთ ახალგაზრდა ფეხბურთელს მიუღი თამაშის განმავლობაში დაჟინებით აკვირდება. თამაშის ბოლოს ფეხბურთელმა ველარ მოითმინა, მივიდა მასთან და ეუბნება:

– მაშაო, რატომ მადევნებთ თვალყურს... თქვენ ალბათ გგონიათ, რომ კვირა დღეს ფეხბურთის თამაში დიდი ცოდვაა?..

– შეილო ჩემო, ისე თამაში, როგორც თქვენ თამაშობთ... დიდი ცოდვაა, კვირის ნებისმიერ დღეს...

გულახდილი საუბარი:

– როგორ გრძობდი თავს, პირველად რომ გადმოხტი პარაშუტით?

– ჩიტივით...

– ეგ როგორ?

– როგორ და... მოფრინავდი, და ვსკინტლავდი... მოფრინავდი და ვსკინტლავდი...

– აფიცინტ!.. კიდევ ათი ცალი ხინკალი... თუ შეიძლება...

– რატომ... დაგენაცვლე... მოგეწონათ თუ არ გეყვით?..

მიხლო დილით ნაბახუსევზე იღვიძებს, თვალს მღვივს ახელს, თავი უსკდება. მიმოიხედა, შინაა. მაგიდაზე ჭიქა წყალი, ასპირინის აბი და მეუღლის

ბრათი დევს „ძვირფასო, საუბზე მაგიდაზე“. გაოგნებული ფეხაკრევით მიდის სამზარეულოსკენ. ხედავს შვილი თავისთვის ზის და გაკვეთილებს ამზადებს. ოჯახში სრული წესრიგი და იდილია.

– შეილო... რა მოხდა წუხელ?

– არაფერი მაში... როგორც ყოველთვის მთვრალი მოხვედი... და აურიე შენებურათა...

– იი... დედიშენს და ბინას რაღა დაემართა, ჰაა?..

– არაფერი... უბრალოდ, როცა დაგაწვინა და შარვალსა გხდიდა, უყვირე: თავიდან მამწყდი, ბოზო, ცოლიანი ვარო!

კონფიდენციალური საუბარი:

– ბატონო, პროფესორო, ჩემი ბიჭი ხვალ გაბარებთ საგანს... მაგრამ წინასწარ ვიცი, რომ ჩაიჭრება...

– გენამღევეებით ხუთას დოლარზე, რომ... არ ჩაიჭრება...

ფილოსოფიური საუბარი:

– არ გეწყინოთ, მეგობარო, მაგრამ თქვენ ვირი ხართ!

– ძალიან კარგი, ოღონდ ეს ამისხენით: ვირი რომ ვარ, იმიტომ ვარ თქვენი მეგობარი, თუ თქვენი მეგობარი რომ ვარ, იმიტომ ვარ ვირი?

უტაქტო კითხვა:

– ქალიშვილო, თქვენ გათხოვილი ბრძანდებით?

– ეს რა შეკითხვაა... რას მოითხოვთ ჩემგან, გათხოვილიც ვიყო და ქალიშვილიც?!

– ბავშვობაში რაზე ოცნებობდი?

– თეთრ ცხენზე

ამხედრებულ პრინცზე.

– მაინც უფრო რომელზე?.. თეთრ ცხენზე თუ პრინცზე?..

კომპიუტერული მომსახურების მაღაზიაში თანამშრომლები საუბრობენ:

– ვერ ვიტან ლევ ტოლსტოის, წარმოგიდგენია, „ომი და მშვიდობა“ ოთხი ტომისაგან შედგება, შეიძლება გაგიჟდე...

– შენ რა, კითხულობდი?..

– არა... ქსეროქსზე ვიღებდი...

– აფიცინტ, მომიტანე კონიაკი.

– რომელი?

– აი, ისა, ხუთვარსკვლავიანი.

კლიენტი სვამს და იქვე მკვდარივით ეცემა. ბარმენი კონიაკის ეტიკეტზე შეეხებოდა ვარსკვლავს ახატავს.



რამდენად დაბნეული აღაპიანი ხართ?

1. როცა რაიმეს თამაშობთ, უყურადღებობის გამო ხშირად ხართ ხოლმე წაგებულნი?

- ა) დიახ - 0;
- ბ) არა - 1.

2. ნაცნობ-მეგობრები ხომ არ გაპამპულეებენ ხოლმე?

- ა) დიახ - 1;
- ბ) არა - 0.

3. შეგიძლიათ თუ არა, რომ ერთდროულად საქმეც აკეთოთ და იმასაც დაუგდოთ ყური, თუ რას ლაპარაკობენ ირგვლივმყოფები?

- ა) დიახ - 1;
- ბ) არა - 0.

4. ოდესმე ქუჩაში ფულიან გასაღები თუ გიპოვიათ?

- ა) დიახ - 1;
- ბ) არა - 0.

5. ქუჩაზე გადასვლისას ყურადღებით იყურებით თუ არა აქეთ-იქით?

- ა) დიახ - 1;
- ბ) არა - 0.

6. შეგიძლიათ თუ არა, რომ წინა საღამოს ნანახი ფილმი დეტალურად აღიდგინოთ?

- ა) დიახ - 1;
- ბ) არა - 0.

7. ღიზიანდებით თუ არა, როცა კითხვას ან სხვა საქმიანობას გწყვეტენ ხოლმე?

- ა) დიახ - 0.
- ბ) არა - 1.

8. ჩვევაში გაქვთ თუ არა

ხურდის დათვლა?

- ა) დიახ - 1;
- ბ) არა - 0.

9. თქვენთვის საჭირო ნივთს შინ იოლადად პოულობთ თუ არა?

- ა) დიახ - 1;
- ბ) არა - 0.

10. მოულოდნელობისაგან ხომ არ კრთებით, როცა ქუჩაში ვინმე გეძახით?

- ა) დიახ - 0;
- ბ) არა - 1.

11. ერთი ადამიანი მეორეში ხომ არ გეშლებათ ხოლმე?

- ა) დიახ - 0;
- ბ) არა - 1.

12. გქონიათ შემთხვევა, ტრანსპორტში, საუბარში გაართულს, საკუთარ გაჩერებაზე ჩასვლა რომ დაგვიწყობდათ?

- ა) დიახ - 0;
- ბ) არა - 1.

13. შეგიძლიათ თუ არა, სწრაფად ჩამოთვალოთ თქვენი ახლობლების დაბადების დღეები?


- ა) დიახ - 1;
- ბ) არა - 0.

14. ძილისას, ადვილად ფიზილდებით თუ არა?

- ა) დიახ - 1;
- ბ) არა - 0.

15. დიდ ქალაქში, სხვის დაუსმარებლად, იოლადად იპოვით თუ არა იმ ადგილს, სადაც მხოლოდ ერთხელ და ისიც ერთი წლის წინ ყოფილხართ?

- ა) დიახ - 1;
- ბ) არა - 0.



დააჯამეთ ქულები

10 დან 9 მითი ქულა: თქვენ საოცრად ყურადღებიანი და გამჭრიახი ადამიანი ბრძანდებით, ამასთან არაჩვეულებრივი მენსიერებითაც გამოირჩევით.

5-9 ქულა: საკმაოდ ყურადღებიანი ხართ, მნიშვნელოვანი რამეები არასოდეს გაგინწყდებათ. მაგრამ ნათქვამია: ერთი ალილო მღვდელსაც შეცდებო — ასე რომ, რაღაც-რაღაცები შესაძლოა, თქვენც გადაგავიწყდეთ. თუმცა საკუთარი დაბნეულობის გამოისობით მარცხი არასოდეს მოგდით, რამეთუ საპასუხისმგებლო მომენტში ყურადღების მობილიზების უჩვეულო უნარით გამოირჩევით.

4 დან ნაკლები ქულა: საოცრად დაბნეუ-

ლი ადამიანი ხართ და ამას ხშირად მოაქვს თქვენთვის უსიამოვნება. მაგრამ ჯიუტად არ აქცევთ ყურადღებას ამგვარ „წვრილმანებს“, მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში, თქვენი დაბნეულობის წყალობით სხვები ზარალდებიან. რაც გამოინახება ვთქვათ, იმაში, რომ ზოგჯერ უყურადღებობით ონკანის ვინტილის ბოლომდე დაკეტვა გაგინწყდებათ (ზარალდება მეზობელი) ან საკუთარი დაუდევრობით ვინმესგან ნათხოვარ წიგნს კარგავთ... სხვათა შორის, ამ მაგნი ჩვევისათვის თავის დაღწევა მოწიფულ ასაკშიც (მით უმეტეს, ადრეულ ასაკში) შესაძლებელია, თუკი ცოტათი მაინც შეინუხებთ თავს და ყურადღებასა და მენსიერებას გაავარჯიშებთ.

სინგაპურში SMS-ის სნხაფად ახეთაში ახალი ხეყოფი დამყაჩდა

სინგაპურელმა ქალიშვილმა ფიჭური ტელეფონის კლავიატურაზე ტექსტის სწრაფად აკრეფაში ახალი რეკორდი დაამყარა. 23 წლის კიმბერლი იეომ მოკლე ტექსტური შეტყობინების 160 სიმბოლო 43 წამში აკრეფა და ამით წინა – 2003 წლის რეკორდი (67 წმ) გააბათილა.

კონკურსი რამდენიმე დღის წინ, ერთ-ერთი უნივერსიტეტის წინ ჩატარდა. იქ შეკრებილ 125 ადამიანს, მობილურ ტელეფონზე ერთი და იმავე ტექსტის აკრეფა შესთავაზეს. კონკურსის სინგაპურის უმსხვილესი ფიჭური ოპერატორი SingTel და დამოუკიდებელი დამკვირვებლები ადევნებდნენ თვალყურს. გამარჯვებულმა, პრიზის სახით 17.500 სინგაპურული დოლარი (დაახლოებით, 10.000 აშშ დოლარის ეკვივალენტი) მიიღო. კიმბერლი იეო ამბობს, რომ მეგობრებსა და ნათესავებს ყოველთვიურად, 1500-მდე მესიჯს უგზავნის.

აღსანიშნავია, რომ სინგაპურს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ფიჭური კავშირების გაცრცელების მაღალი დონით გამოირჩევიან: ხუთიდან ოთხი სინგაპურელი მობილური ტელეფონით სარგებლობს.

მადგასეხზე ყავის ხე აღმოაჩინეს


ბრაზილიელმა ბოტანიკოსებმა მადგასკარზე „არაბიკას“ ჯიშის რამდენიმე ყავის ხე აღმოაჩინეს, რომელთა მარცვლები 15-ჯერ ნაკლებ კოფეინს შეიცავს, ვიდრე ჩვეულებრივი ყავის ხისა. მადგასკარზე აღრეც იყო აღმოჩენილი დაბალკოფეინიანი ყავის ხეები, მაგრამ მათი მარცვლები, უხარისხობის გამო, სამრეწველოდ არ გამოდგებოდა. ამჟამად მსოფლიოში გამოყენებული ყავის უმეტესობას კოფეინი ხელოვნურად აქვს დაქვეითებული. კოფეინის გამოცლის სამრეწველო პროცესი საკმაოდ ძვირად ღირებულია, ამასთანავე ნეგატიურად მოქმედებს სასმლის გემოზე.



ახალაღმოჩენილი ყავის ხეები ჩვეულებრივზე გაცილებით ნელა იზრდება, ამიტომ მეცნიერები ამ ხის ჩვეულებრივი ყავის ხესთან შეჯვარებას აპირებენ, რათა სწრაფად მზარდი, კოფეინის სხვადასხვა შემცველობის მქონე მცენარე მიიღონ.

„დალუქემა“ ვეტეხანმა ახალ მეზობელში „გაჩდაცვილი“

მეგობარი ამოიცირო



ამერიკელი ჯარისკაცები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს მზარდამხარ იბრძოდნენ და ერთმანეთი უკვე დიდი ხნის დაღუპულადც მიაჩნდათ, მეზობლები აღმოჩნდნენ. 80 წლის გილბერტ ფოგმა თავის ახალ მეზობელში ძლივძლივობით ამოიცირო ფრონტელი მეგობარი – 82 წლის ტომ პარკერი, რომელთან

ერთადაც მეორე მსოფლიო ომის დროს, უმძიმეს ბრძოლებში მონაწილეობდა.

მათ ერთმანეთი 60 წელია აღარ უნახავთ და თითოეული მათგანი ფიქრობდა, რომ მისი მეგობარი ბრძოლის ველზე დაიღუპა.

ჰოცივედის „თავყაყი“ გადადგომას აპიებს




კინომწარმოებელთა ამერიკული ასოციაციის (MPAA) პრეზიდენტმა და აღმასრულებელმა დირექტორმა – ჯეკ ვალენტიმ გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა. 82 წლის ვალენტი, MPAA-ს 38 წელი ეღა სათავეში. მან საზოგადოებას შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ვიცი, უკვე დიდი ხანია გაწუხებთ კითხვა – ბოლოს და ბოლოს, როდის დავტოვებ თანამდებობას? – და აი, ეს მომენტიც დადგა. მე ცხოვრების უმშვენიერესი გზა განველე, ახლა კი ეს შესანიშნავი თავგადასავალი დასასრულს უახლოვდება“.



ჯეკ ვალენტი პოსტს 2004 წლის 1-ელ სექტემბერს დატოვებს, მის ადგილს კი კანზასის კონგრესის ყოფილი წევრი და კლინტონის მმართველობის პერიოდში სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელი – დენ გლიკმანი დაიკავებს. შეიძლება უმსხვილესმა კინოკომპანიამ, ხანგრძლივი და მომქანცველი ტენის შემდეგ – რომლის დროსაც აშშ-ის ბევრი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის კანდიდატურა განიხილა – არჩევანი სწორედ მასზე შეაჩერა.



ფოტოკუჩიოზები



628/26

№14(74) 8.VII-21.VII 2004

ოჯახის

მკურნალი

სამედიცინო ჟურნალი

ფასი 70 ლარი

სქესობრივი
აქტივობის
შესანარჩუნებლად

არდადეგები
ორსულთათვის

რა მოსდევს
კომპიუტერთან
ხანგრძლივ
მუშაობას

ბულიმია —
მკურნალობა
ფსიქოლოგმა
უნდა დაიწყო

მთავარი თემა:
**პროფესია და
დაავადებები**

გავრცობა
ინფექციები:
ქუნთრუხა

როგორ
ვამკურნალოთ
ბუასილს

თქვენი და
თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

